ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1944 წლის [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენახულ იქნას იმ მასალების თანაბრად,
რაც არ უნდა გამოქვეყნდეს

# საქართველოს სსრ
# სახალხო კომისართა საბჭოს
# დადგენილებანი

1944 წლის ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 589

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**იმ ელექტროენერგიის ტარიფის საშეღავათო ფასდაკლების გაუქმების შესახებ, რაც ქვანახშირის მრეწველობას ეძლევა**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 მაისის № 579 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს 1944 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 13 აპრილის № 613 დადგენილებით დაწესებული საშეღავათო ფასდაკლება იმ ელექტროენერგიის ტარიფზე, რაც ქვანახშირის მრეწველობას ეძლევა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 1 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 593

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**თელასისათვის ჟირობრძანებათა წიგნაკების დამზადების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

წინადადება მიეცეს „გლავბუმსბიტის" საქართველოს კანტორას— ამხ. ჩხარტიშვილს 1944 წლის 1 ივლისამდე დაამზადოს ქაღალდის ჩამონაჭრებისგან თელასისათვის ჟირობრძანებათა 10.000 წიგნაკი, ფართო მოხმარების ნაწარმის გამოშვების დავალების ანგარიშში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჯაში.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 1 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 594

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩამტარებელი კომიტეტის შექმნის შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ 1944 წლის 15 ივლისს სრულდება დიდი რუსი მწერლის ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩამტარებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. კუპრაძე (თავმჯდომარე), ლ. ქიაჩელი (თავმჯდომარის მოადგილე), ლ. ასათიანი (მდივანი), ს. ჩიქოვანი, ვ. ეგნატაშვილი, ს. ჯანაშია, ო. ეგაძე, შ. დადიანი, ს. დანელია, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, გ. ქიქოძე, დ. არაყიშვილი, ა. ვასაძე, ნ. ნაკაშიძე, გ. ჯიბლაძე.

2. დაევალოს კომიტეტს ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩატარების ღონისძიებათა გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჯაში.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 2 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 596

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების წალკის, ადიგენის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხის და აგრეთვე ქალ. თბილისის სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომების დადგენილებანი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შინსახკომის დასკვნით და დაენიშნოს ქვემოჩამოთვლილ მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება შემდეგი ოდენობით:

1. ნინა ზაქარიას-ასულ დელიბალტოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. წალკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ელენე თედორეს-ასულ დელიბალტოვაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 თებერვლიდან 1948 წ. 10 თებერვლამდე.

2. ელისაბედ სოლომონის-ასულ ალმაზოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. წალკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ეკატერინე პეტრეს-ასულ ალმაზოვაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 6 მარტიდან 1948 წ. 6 მარტამდე.

3. სულთან შაქირ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. გუგუნაურში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე — ჰეიდაროვა ეკმატ მაჰმუდ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 აგვისტოდან 1948 წ. 15 აგვისტომდე.

4. მაფი ფაირატ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. შოლავერში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე— ლატიფშა ხალილ ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 20 ოქტომბრიდან 1947 წ. 20 ოქტომბრამდე.

5. გიულსაარ რეშიდ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. მოხეში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე —

სულეიმან სეიფულ ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წადში, 1942 წ. 12 ოქტომბრიდან 1947 წ. 12 ოქტომბრამდე.

6. უმაინ ბექირ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. აბასთუმანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე — მურსალ დავრიშ ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 12 ოქტომბრიდან 1947 წ. 12 ოქტომბრამდე.

7. ზაქია მავლუდ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. ჩიხელში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაეშინოს მეშვიდე შვილზე—მანაშ შახმურად ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 25 ოქტომბრიდან 1947 წ. 25 ოქტომბრამდე.

8. ბახია ასან ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. ჩეჩლაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—შაქიროვ მირზა გილმან ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 იანვრიდან 1948 წ. 20 იანვრამდე.

9. გიუხანუმ აკიფ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. ზედუბანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაეშინოს მეშვიდე შვილზე — შახინაზ მავლუდ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 12 ოქტომბრიდან 1947 წ. 12 ოქტომბრამდე.

10. სოფიო ოჰანესის-ასულ სეხპოსიანს, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. აბასთუმანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—აიდა ვაგარშაკის-ასულ სეხპოსიანზე — ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 18 ოქტომბრიდან 1948 წ. 18 ოქტომბრამდე.

11. სონა მიკიჩის-ასულ არუთუნიანს, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ბოლნისში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მარო ბახშოს-ასულ არუთუნიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 9 დეკემბრიდან 1948 წ. 9 დეკემბრამდე.

12. ნიარ ალი ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. არუხლოში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ხადიჯა ისმაილ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 ივნისიდან 1948 წ. 1 ივნისამდე.

13. ურუ ჰუსეინ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. არუხლოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გამიდოვ თამამ დირი ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 აპრილიდან 1948 წ. 15 აპრილამდე.

14. ფატმა ალახიარ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ზ/გულავერში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ალი ახვერდი ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 აგვისტოდან 1948 წ. 1 აგვისტომდე.

15. ეთარ კასუმ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ზ. კოშაკილისაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაეშინოს მეშვიდე შვილზე—ავა მაჰამედ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 21 თებერვლიდან 1948 წ. 21 თებერვლამდე.

16. ალმაზ მირზა ყზის, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. მანგლისში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—

რომან ჯალირის-ძე ჯალიროვზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 სექტემბრიდან 1948 წ. 1 სექტემბრამდე.

17. დარო ივანეს-ასულ სულხანიშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პატარა თონეთში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—გულიკო ლავრენტის-ასულ სულხანიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 4 თებერვლიდან 1948 წ. 4 თებერვლამდე.

18. ნინო მიტროს-ასულ წიკლაურს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დიდთონეთში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე — სერგი შაქროს-ძე წიკლაურზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 23 მარტიდან 1948 წ. 23 მარტამდე.

19. ევა ხეჩოს-ასულ თათუაშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დიდთონეთში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ლენა დათას-ასულ თათუაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 18 ოქტომბრიდან 1947 წ. 18 ოქტომბრამდე.

20. მანიაკ გოლას-ასულ ალთუნაშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პ. თონეთში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ჟენია ტიგრანის-ასულ ალტუნაშვილზე, — ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1941 წ. 1 ივლისიდან 1946 წ. 1 ივლისამდე.

21. ოსანა ყაზარის-ასულ აზრუმელაშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დიდ-თონეთში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ფრიდონ ისაკის-ძე აზრუმელაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 9 ნოემბრიდან 1948 წ. 9 ნოემბრამდე.

22. მარუსა ქიტესას-ასულ დავითაშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ჩხიკვტაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—არტუშა გლახას-ძე დავითაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 28 ივნისიდან 1948 წ. 28 ივნისამდე.

23. ანა სერგის-ასულ ქვრივიძეს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. გოლთეთში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ეთერ ივანეს-ასულ ქვრივიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 13 მაისიდან 1948 წ. 13 მაისამდე.

24. აშხენ ასლანის-ასულ ეპრიკოვას, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ვარხუნოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მარგო მიხეილის-ასულ ეპრიკოვაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 2 დეკემბრიდან 1948 წ. 2 დეკემბრამდე.

25. ჰილვარდ. მარტიროსის-ასულ კოლიანს, მცხ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ყაურმაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—რაფიკ ერვანდის-ძე კოლიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 11 ოქტომბრიდან 1948 წ. 11 ოქტომბრამდე.

26. შოღაკატ ავეტისის-ასულ ბაბოიანს, მცხ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. დ. არაგიალში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ალვარდ ხდრენის-ასულ ბაბოიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 8 აპრილიდან 1948 წ. 8 აპრილამდე.

27. ფლორა არუთინის-ასულ პუტულიანს, მცხ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ხოჯაბეკში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—სლავიკა არზუნის-ძე პუტულიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 14 მაისიდან 1948 წ. 14 მაისამდე.

28. არპენიკ სერგის-ასულ სირაკანიანს, მცხ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. განძაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მაირამ კარაპეტის-ასულ სირაკანიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 9 მარტიდან 1948 წ. 9 მარტამდე.

29. სათენიკ მკრტიჩის-ასულ მიროიანს, მცხ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. დ. არაგიალში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გეორქ ალექსანის-ძე მიროიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 26 ივლისიდან 1948 წ. 26 ივლისამდე.

30. სათენიკ გრიგოლის-ასულ ვართერესიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ყარზახში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ჰერიკნაზ არტაშესის-ასულ ვართერესიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 29 იანვრიდან 1949 წ. 29 იანვრამდე.

31. სირანუშ თათულის-ასულ ოჰანესიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. დილისკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ლევიკა მისაკის-ძე ოჰანესიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 აგვისტოდან 1948 წ. 25 აგვისტომდე.

32. ასთღიკ გრიგოლის-ასულ მაკარიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ალატუმანში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—გევორქ გრიგოლის-ძე მაკარიანზე — ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 ივლისიდან 1948 წ. 25 ივლისამდე.

33. ნაზიკ პეტროსის-ასულ ერემიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. კულიკამში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—მიშა მირანის-ძე ერემიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 დეკემბრიდან 1948 წ. 20 დეკემბრამდე.

34. ვართანუშ დავითის-ასულ ამბარიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. მისნიკიანში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—მარტუნ სედრაკის-ძე ამბარიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 დეკემბრიდან 1948 წ. 15 დეკემბრამდე.

35. ლუსაბერ სტეფანეს-ასულ კირაკოსიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. დ. ხორენიაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაე-

ნიშნოს მერვე შვილზე—იურიკ არმენაკის-ძე კირაკოსიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 1 თებერვლიდან 1949 წ. 1 თებერვლამდე.

36. ჩინაშხარიკ აკოფის-ასულ კოშატაშიანს—მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. დილისკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—კლიმენტი ჩახატურის-ძე კოშატაშიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 27 თებერვლიდან 1949 წ. 27 თებერვლამდე.

37. სირანუშ ეკნატოსის-ასულ გეზალიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. მარტუნში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ენდრიკ ანდრისის-ძე გეზალიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 2 იანვრიდან 1949 წ. 2 იანვრამდე.

38. მარიამ იაკობის-ასულ ბერიაშვილს, მცხ. ქალ. ახალციხეში, ებრაელთა მე-2 კვარტ. № 75, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ლილი მორდეხის-ასულ ბერიაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 21 იანვრიდან 1949 წ. 21 იანვრამდე.

39. ევა ბაბა ყზის, მცხ. ქალ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, ზ/ვეძინის ქ. № 6, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—სულთან სოინ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 25 იანვრიდან 1949 წ. 25 იანვრამდე.

40. გულიზარ ჩაჩოს-ასულ ავდალიანს, მცხ. ქ. თბილისის სტალინის რაიონში, პასტერის ქ. № 7, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ნინო მამედის-ასულ ავდალიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 9 იანვრიდან 1948 წ. 9 იანვრამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 2 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 598

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს დამხმარე მეურნეობის მიწის ფართობის ერთი ნაწილისა და შენობების ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის გადაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ნაჭყებიას ერთი დეკადის განმავლობაში გადასცეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას ყარაიის გზატკეცილსა და ს. ამბარტაპის გზას შორის არსებული ყველა შენობა და მიწის ფართობი (როზა ლუქსემბურგის სახ. ყოფ. კოლმეურნეობა) მრავალწლიანი ნარგავებით, ორსართულიანი სახლი მინაშენებითა და 1,5 ჰექტარი ხეხილის ბაღით (ყოფილი ბოტანიკური ბაღი) და 11,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს გადასაცემი დაბის საკარმიდამო მიწების გაგრძელებას.

2. დაევალოს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის უფროსს ამხ. ვოლინსკის:

ა) დაუყოვნებლივ შეუდგეს გადასაცემი საცხოვრებელი სახლების რემონტსა და სტანდარტული ტიპის ახალი სახლების მშენებლობას მათში საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის გასანაწილებლად;

ბ) ერთი დეკადის განმავლობაში ააგოს დამხმარე მეურნეობის ტერიტორიაზე კარვები 150 კაცისათვის და ჩააბაროს ისინი მილიციის სამმართველოს დამხმარე მეურნეობის მომსახურე პერსონალის მოსათავსებლად;

გ) განახორციელოს ღონისძიებანი გადაცემული ბაღისა და ტყის მრავალწლიანი ნარგავების დაცვისა და მოვლისათვის;

დ) გამოარკვიოს, ყარაიის რაიაღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილებასთან ერთად, ერთწლიანი კულტურების მოსალოდნელი მოსავალი გადასაცემ საკარმიდამო ნაკვეთებზე და უზრუნველჰყოს მისი ანაზღაურება მფლობელისათვის ნატურით მიმდინარე წლის III კვარტალის დამლევამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 5 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 599

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

## 1944 წელს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების, გალეწვისა და დამზადების შესახებ

იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს მარცვლეული თავთავიანი კულტურების აღება შემჭიდროებულ ვადებში, თავიდან იქნას აცილებული მარცვლის დანაკარგები მოსავლის აღების დროს და კოლმეურნეობებმა დროზე შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარების ვალდებულებანი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

### I. მოსავლის აღებისათვის მზადების დარგში

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, რაიმიწგანების გამგეებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომელთაც თავთავიანი კულტურების ნათესები აქვთ:

ა) ერთი დეკადის ვადაში შეადგინონ ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და მთლიანად რაიონის მიხედვით მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარების სამუშაო გეგმები, ამასთან გაითვალისწინონ მოსავლის აღების შეხამება სხვა, თანამთხვევად სამუშაოებთან (სახნავი კულტურების ნათესების მოვლა, ნაადრევი ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების აღება, გადაზიდვა და სხვა) და მუშახელის სწორად განაწილება, კომბაინების, მოსავლის ხაღები მარტივი მანქანების, კოლმეურნეობათა სატრანსპორტო საშუალებებისა და ცოცხალი გამწევი ძალის სრულად გამოყენება;

ბ) დააწესონ ყოველი ბრიგადისათვის, რგოლისა და მოსავლის ასაღები მანქანისათვის (კომბაინები, ძნისშემკვრელი მანქანები, სამკელი მანქანები, სათიბი მანქანები) მოსავლის აღების დავალებანი და დააწესონ თვითეული მათგანისათვის ყოველდღიური დატვირთვა; ამასთან ერთად შეადგინონ მანქანების მოძრაობის გრაფიკი და გაითვალისწინონ მათი გადასროლა ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში;

გ) სამუშაო გეგმები განიხილონ და დაამტკიცონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საწარმოო თათბირებზე, აგრეთვე მტს-ის საბჭოზე;

დ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ ყველა კომბაინის, მოსავლის ასაღები უბრალო მანქანების, ხელით ასაღები ინვენტარის, სალეწი მანქანების, მარცვალსაწმენდი მანქანების და სატრანსპორტო საშუალებათა რემონტი და მომზადება; ამ მანქანებისა და ინვენტარის რემონტის თავის დროზე დასამთავრებლად მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამჭედლოები, აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციათა სახელოსნოები;

ე) მოსავლის აღებამდე 5 დღით ადრე გამოარკვიონ ის ფართობები, რომლებიც აღებულ უნდა იქნას კომბაინებით, უბრალო მანქანებითა და ხელით, მიამაგრონ ნატურით ეს ფართობები ყოველ კომბაინს, ყოველ მანქანას და კოლმეურნეობის ბრიგადას;

ვ) ნაკვეთების გამოყოფა ნატურით და კომბაინზე მიმაგრება ჩაატარონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა აგრონომებთან, მექანიკოსებთან, კომბაინერებთან, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებთან ერთად. ნაკვეთების გამოყოფა გააფორმონ აქტებით, ამასთან აღნიშნონ ნაკვეთები და ზომა, კულტურები და ჯიშები, აგრეთვე იმ კომბაინის ნომერი, რომელმაც მოცემულ ნაკვეთზე უნდა იმუშაოს;

ზ) დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს თავის დროზე მოამზადონ ნაკვეთები კომბაინებით ასაღებად, კერძოდ, უზრუნველჰყონ ნაკვეთების კუთხეების შემოთიბვა, მისასვლელი გზებისა და ხიდების რემონტის სავალდებულო ჩატარება.

2. დაევალოს მიწსახკომს, საქართველოს მეცხოველეობის ტრესტს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და იმ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომელთაც მარცვლეული თავთავიანი კულტურების ნათესები აქვთ:

ა) დანიშნონ ყოველ აგრეგატზე კომბაინერები, კომბაინერთა თანაშემწეები და ტრაქტორისტები, სავსებით გამოიყენონ აგრეგატების დასაკომპლექტებლად სხვა პირებიც, რომლებიც წინათ იყვნენ მომზა-

დებული მექანიზაციის სკოლებში და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების კურსებზე;

ბ) შეადგინონ კომბაინების მოძრაობის მარშრუტი ცალკეულ ნაკვეთებზე პურეულის მომწიფების ვადების გათვალისწინებით და ჩააბარონ ყოველ კომბაინერს მოსავლის აღების გეგმა, რომელშიაც აღნიშნულ იქნას კოლმეურნეობათა დასახელება, ნაკვეთის სახელწოდება და ზომა კულტურებისა და ჯიშების მიხედვით;

გ) კომბაინებისა და ტრაქტორების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, მოაწყონ ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში თითო მოძრავი სახელოსნო ავტომანქანებზე 10-15 კომბაინისათვის ან თითო მოძრავი სახელოსნო 5-8 კომბაინისათვის ცხენის წევაზე. მოამარაგონ კომბაინის ყოველი აგრეგატი სათადარიგო ნაწილებით, მასალებითა და ინსტრუმენტებით, რაც ყველაზე უფრო საჭიროა რემონტის ჩატარებისა და მინდვრად ტექნიკური მოვლისათვის, აგრეთვე გასაწყობი ინვენტარით და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით;

დ) უზრუნველჰყონ მოსავლის აღების დაწყებამდე ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში ყოველგვარი სახის საწვავის, საცხები მასალების სულ მცირე 10 სამუშაო დღის მარაგის შექმნა, რაც საჭიროა მოსავლის აღების ჩასატარებლად, აკრძალონ მოსავლის ასაღებად განკუთვნილი საწვავის გამოყენება სხვა რაიმე მიზნებისათვის;

ე) მიამაგრონ კომბაინები სატრაქტორო ბრიგადებს. დაევალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს შეიტანონ სატრაქტორო ბრიგადების სამუშაოთა გეგმაში მოსავლის აღება კომბაინებით. დაწესდეს, რომ კომბაინერი, როგორც აგრეგატის უფროსი,-ემორჩილება სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს, რომელიც კომბაინერთან ერთად პასუხისმგებელია მანქანა-ტრაქტორთა სადგურის წინაშე მოსავლის კომბაინით აღების გეგმის შესრულებისა და კომბაინების ტექნიკური მდგომარეობისათვის.

3. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს, რაიმიწგანების გამგეებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს:

ა) გამოჰყონ კოლმეურნეობებში საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები და ტრანსპორტი კომბაინებისა და მოსავლის ასაღები მარტივი მანქანებისათვის მომსახურების გასაწევად და მიამაგრონ ისინი ყოველ აგრეგატს მოსავლის აღების მთელი პერიოდისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ საწვავი მასალისა და წყლის შეუფერხებლივ მიწოდება, მარცვლის გადმოტვირთვა ბუნკერებიდან იმ ანგარიშით, რომ ამ სამუშაოთა შეუსრულებლობის გამო არ მოცდეს კომბაი-

ნების გაცდენა. კომბაინზე მიმაგრებული ყველა კოლმეურნე უშუალოდ დაუმორჩილდეს კომბაინერს;

გ) გამოჰყონ მოსავლის ხელით ასაღებად საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები—ქალები და კაცები, უზრუნველჰყონ ისინი მოსავლის ასაღები ინვენტარით (ნამგლებით, ცელებით) და დააწესონ მათთვის მოსავლის ყოველდღიური აღების გეგმა.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს მიწსახკომს, მეცხოველეობის ტრესტს და მარცვლეულ თავთავიან კულტურათა ნათესების რაიონების სამიწათმოქმედო განყოფილებებს:

ა) მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე 10 დღით ადრე ჩაატარონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სათესლე ნაკვეთების მდგომარეობის შემოწმება და იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ სათესლე ნაკვეთები გამოყოფილი არ ყოფილა თესვამდე ან გამოყოფილი სათესლე ნაკვეთების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შესცვალონ ისინი სხვა ნაკვეთებით, ამასთან გამოჰყონ სარეველებისაგან გასუფთავებული ჯიშიანი ნათესებიდან საუკეთესო ნაკვეთები;

ბ) ჯიშობრივი ნიშნების გამოვლინებისას ჩაატარონ აპრობაცია ყველა სათესლე ნაკვეთსა და სხვა ჯიშიან ნათესებზე იმ ოდენობით, რაც საჭიროა სათესლე და სადაზღვევო ფონდების ჩასაბარებლად და თესლის გამოსაყოფად სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში.

5. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებსა და რაიმიწგანებს უზრუნველჰყონ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების დაწყებამდე კალოების გამოყოფა და მომზადება, კატეგორიულად აკრძალონ მარცვლის გალეწვა, გაწმენდა და ბუნკერებიდან, კომბაინებიდან დაყრა ძველ კალოებზე, თუ ეს კალოები წინასწარ არ იქნა მომწვარი და გაუსნებოვნებული.

ამასთან ერთად მოაწყონ ყველა კოლმეურნეობაში მარცვალსაწმენდი მანქანების, მარცვალსაცავების, იმ ტარისა და ტრანსპორტის დროულად და გულმოდგინედ გაწმენდა და დეზინფექცია, რომლებსაც მარცვლის გადასაზიდად იყენებენ.

6. დაევალოს რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუყოვნებლივ დაამთავრონ არსებული საველე ბანაკების რემონტი და ახალი ბანაკების მშენებლობა, მოაწყონ ისინი ინვენტარით და გამოჰყონ საჭირო პროდუქტები მოსავლის აღებაზე მომუშავე კომბაინერთა, ტრაქტორისტთა და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისათვის.

## II. მოსავლის აღებისა და გალეწვის ჩატარების დარგში

7. დაევალოს რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, მან-

ქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული მარცვლის დანაკარგი ძირზე პურეულის დიდხანს გაჩერების გამო, მოაწყონ ყველა კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და ბრიგადაში მუდმივი თვალყურის დევნება ნათესების მდგომარეობისადმი იმ ანგარიშით, რომ მოსავლის აღება ჩატარდეს შერჩევით, ცალკეულ უბნებზე პურეულის დამწიფების მიხედვით, და არ დაელოდონ პურეულის შემოსვლას მთელ მასივზე;

ბ) თავთავიანი კულტურების აღება კომბაინებით აწარმოონ სრული სიმწიფის დასაწყისში, მარტივი მანქანებით—ძნის შემკვრელით, სამკელით, სათიბი მანქანებითა და ხელით კი—ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში;

გ) ცვენადი ჯიშების—„კოოპერატორკის", „უკრაინკის", უფხოსა და სხვების აღება აწარმოონ შემჭიდროებულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 3-4 სამუშაო დღისა, დანარჩენი ჯიშების კი—10-12 სამუშაო დღეში;

დ) უზრუნველჰყონ კომბაინებისა და მოსავლის ასაღები უმარტივესი მანქანების მუშაობის ხანგრძლივობა არანაკლებ 16 საათისა დღე-ღამეში. კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების იძულებითი გაცდენის დროს გამოიყენონ კომბაინებსა და მოსავლის ასაღებ სხვა მანქანებზე მიმაგრებული კოლმეურნეები მოსავლის ხელით ასაღებად, მათი მუშაობის ადგილის მახლობლად;

ე) გულმოდგინე კონტროლი გაუწიონ მოსავლის აღების ხარისხს და კომბაინებით აღების დროს არ დაუშვან პურის მაღლა მოჭრა. ჩაწოლილი პურეულის აღებისას და მაშინ როცა პური ხშირია, მოუკლონ ხედერის მოდების სიგანეს, აგრეთვე გაუკეთონ ხედერებს სპეციალური მოწყობილობა ჩაწოლილი პურეულის ასაღებად;

ვ) მოსავლის ასაღებ ყველა მანქანას გაუკეთონ მარცვალმჭერები, კომბაინებს კი—ჩალის დამბულულებლებიც;

ამასთან ერთად მოაწყონ კომბაინები საფარებით ბუნკერების შნეკებში, განსატვირთი მოედნებითა და სხვა ხელსაწყოებით;

ზ) ხელითა და მარტივი მანქანებით აღების დროს მკის დამთავრებასთან ერთად ჩაატარონ ძნების შეკვრა და მათი ჯვარედინად დაწყობა;

თ) მთელი აღებული პურის დაზვინვა დაამთავრონ მკის დამთავრებიდან არაუგვიანეს 7-8 დღისა და დასდგან ზვინები ცალკე მემინდვრეობის ბრაგადების მიხედვით;

ი) მოსავლის აღებისთანავე ჩაატარონ კუთხეების შემოთიბვა და ჩაცვენილი თავთავების აკრეფა ხელით და ცხენის ფოცხებით, ხოლო შემდგომ ძნებად შეჰკრან და ჯვარედინად დააწყონ.

8. ნება დაერთოს რაიაღმასკომებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს, იმ შემთხვევაში, თუ კომბაინები რაიმე დეფექტის გამო გაცდებიან, მარცვლის ჩაცვენის თავიდან ასაცილებლად აწარმოონ პურეულის აღება მარტივი მანქანებით ან ხელით, დამოუკიდებლად იმისა, რომ მოცემული ნაკვეთი გამოყოფილი იყო კომბაინებით ასაღებად.

9. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებას მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში და კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთებზე, გამოჰყონ ამისათვის გამოცდილი კომბაინერები და უზრუნველჰყონ სათესლე ნაკვეთების აღება სრული სიმწიფის დაწყებიდინ 5-6 დღის განმავლობაში, არ აურიონ ჯიშები და კატეგორიები როგორც მოსავლის აღებისა და გალეწვის დროს, ისე მარცვლის გაწმენდის, გადაზიდვისა და შენახვის დროსაც.

10. აეკრძალოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სათესლე ნაკვეთებიდან მიღებული მოსავლის დახარჯვა რაიმე სხვა მიზნებისათვის მანამ, ვიდრე სრულად არ იქნება გამოყოფილი სათესლე ფონდები.

11. დაწესდეს, რომ ყოველი აღებული ნაკვეთი სამი დღის განმავლობაში უნდა მიიღონ ბრიგადირისაგან პირადად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორმა. საბჭოთა მეურნეობებში აღებული ფართობების მიღებას აწარმოებს პირადად საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ნაკვეთები აღებულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როცა მოსავლის აღების შემდეგ ჩატარდა თავთავების აკრეფა და მთლიანად იქნა აღებული ჩალა და ბზე.

12. დაევალოს რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) შეუდგნენ პურეულის გალეწვას მკის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა და პირველ რიგში მოაწყონ პურეულის გალეწვა ბულულებიდან;

ბ) დააწესონ ყოველი სალეწი მანქანისათვის სეზონური დატვირთვის მოცულობა ორცვლად მუშაობის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ 20 საათის მუშაობისა დღე-ღამეში, ამასთან უზრუნველჰყონ ამისათვის სალეწი მანქანები განათებითა და საჭირო სათადარიგო ნაწილებით;

გ) მიამაგრონ სალეწი მანქანები მემანქანეებს და გამოჰყონ ტრაქტორები, უმთავრესად „უნივერსალის“ მარკისა, შეადგინონ სალეწი მანქანების მოძრაობის მტკიცე მარშრუტი იმ ანგარიშით,

რომ კოლმეურნეობაში მოსავლის გალეწვა დამთავრდეს მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ 25-30 დღეში;

დ) გამოჰყონ ყოველ კოლმეურნეობაში საჭირო რაოდენობის კოლმეურნეები სალეწ მანქანებზე ორცვლად მუშაობისათვის, ამასთან მოამარაგონ ისინი შემოწმებული დადაღული სასწორებით, გირებითა და ტომარტარით;

ე) ფართოდ შემოიღონ აგრეთვე მოსავლის გალეწვა კალოზე კევრის გამოყენებით;

ვ) ყოველგვარი საშუალებით გალეწვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მარცვლის წმინდად გამოფშვნას.

13. დადგენილ იქნას გალეწილი მარცვლის აღრიცხვის შემდეგი წესი:

ა) კომბაინებით აღებისას მარცვალი აიწონოს ყოველ ბუნკერიდან, შემდეგ მინდვრიდან საწყობში გაგზავნისა და საწყობში მიღების დროსაც;

ბ) სალეწი მანქანებითა და კევრით გალეწვისას მარცვალი აიწონოს საწყობში გაგზავნისა და საწყობში მიღების დროსაც;

გ) საწყობებში მარცვალი გაიგზავნოს მხოლოდდამხოლოდ ზედნადებებთან ერთად;

დ) გამოჰყონ მწონავებად გამოცდილი და წერა-კითხვის მცოდნე კოლმეურნეები;

ე) კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესის განხორციელების მიზნით, როგორც კომბაინებით აღების, ისე გალეწვის შემდეგ მიღებული მარცვალი აიწონოს ბრიგადების მიხედვით.

14. მოსავლის აღებასა და მარცვლის გამოზიდვაზე მომუშავე კოლმეურნეთა წახალისების საკითხებში იხელმძღვანელონ სსრ კავშირის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „1943 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ (1943 წლის 20 ივლისის „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“).

15. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს კომბაინებით პურეულის აღების დამთავრების შემდეგ გამოიყენონ ყველა განთავისუფლებული კომბაინი პურეულის გასალეწად სტაციონარზე.

16. მოუმკელი ნათესების, აგრეთვე ბულულების, ზვინებისა და კალოებზე გალეწილი მარცვლის დასაცავად, დაწესდეს მორიგეობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

მინდვრებში და კალოებზე მოსავლის დაცვისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს ყოველ ბრიგადაში—ბრიგადირს, ხოლო მთლიანად კოლმეურნეობაში—პირადად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

17. ხება დაერთოს მიწსახკომსა და რაიაღმასკომებს დაუშვან ნაწვერალის დაწვა ძიღვრის თაგვებითა და სხვა მავნებლებით დაავადებულ, აგრეთვე ძლიერ დასარევლიანებულ ნაკვეთებზე.

## III. სახანძრო ღონისძიებათა დარგში

18. დაევალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს:

ა) მოსავლის აღებამდე 10 დღით ადრე დასდგან ყველა კომბაინისა და ტრაქტორის საბოლქვ მილებზე ნაპერწკალმჭერები;

ბ) დასდგან კომბაინთა ძრავების კოლექტორებზე წვრილი ფოლადის ბადურის გარსაცმები და ლითონის ხუფები მაგნეტოსაგან;

გ) მოამარაგონ ყველა კომბაინი და სალეწი მანქანა ცეცხლსაქრობებით, ნიჩბებითა და ცოცხებით;

დ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ სახანძრო ინვენტარის რემონტი და მოიყვანონ იგი სრული მზადყოფნის მდგომარეობაში;

ე) სახანძრო ინსპექტორთა მონაწილეობით გაუწიონ ინსტრუქტაჟი კომბაინერებს, ტრაქტორისტებს, შემანქანეებს, შოფერებსა და კოლმეურნეობათა ბრიგადირებს სახანძრო ღონისძიებათა საკითხზე;

ვ) მოსავლის აღების პერიოდში პურეულის დაზვინვის დროს არ დაუშვან ორ ზვინზე მეტის დადგმა ჯგუფში, ამასთან დასტოვონ ზვინებს შორის ადგილი არანაკლებ 8 მეტრისა, ხოლო ჯგუფებს შორის—არანაკლებ 100 მეტრისა;

ზ) გალეწვის ადგილებში იქონიონ სახანძრო ტუმბოები, წყლით სავსე კასრები, ცეცხლსაქრობები, სილიანი ყუთები და სხვ.;

თ) ნაწვერალის დაწვისას დააყენონ მოსაწვავი ნაკვეთების საზღვრებზე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან შემდგარი გუშაგები ნიჩბებითა და შეკრული ტოტებით ცეცხლის შესანელებლად.

19. წინადადება მიეცეს „იუგო-ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის მმართველს მოსავლის აღების დაწყებამდე ჩაატაროს მთელი სახანძრო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სასაწყობო სადგომების მომზადებას მარცვლის მისაღებად, და ამ მიზნით შეაკეთოს სახანძრო ინვენტარი, დასდგას საჭირო რაოდენობის ცეცხლსაქრობები და უზრუნველჰყოს ობიექტები წყლითა და სილით.

## IV. მარცვლეული კულტურების დამზადების დარგში

20. დაევალოს რაიაღმასკომებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, მან-

ქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) მოაწყონ მარცვლის თავის დროზე გატანა დამამზადებელ პუნქტებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბეღლებში, ამასთან არ დაუშვან მარცვლის დატოვება კალოებზე კომბაინებით აღებისა და გალეწვის შემდეგ 10 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;

ბ) უზრუნველჰყონ პურის ჩაბარება დამამზადებელ პუნქტებში გალეწილი მარცვლის პირველივე პარტიებიდან;

გ) დაუწესონ ყოველ ცალკე კოლმეურნეობას 5-დღიური დავალებანი მარცვლის მინდვრიდან გატანისა და დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარებისა სახელმწიფოს წინაშე კოლმეურნეობათა ვალდებულებების ანგარიშში (ჩაბარება, ნატურსაზღაური, სესხი);

დ) დამამზადებელ პუნქტებში მარცვლის მიტანის უზრუნველსაყოფად მოახდინონ იმ ტომარტარის მობილიზაცია, რაც კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მოეპოვებათ, აგრეთვე მოაწყონ საკოლმეურნეო ურმები და საზიდრები იმისათვის, რომ მარცვალი უტაროდ იქნას გადაზიდული.

21. ნება დაერთოს რაიაღმასკომებს, საჭიროების შემთხვევაში, მობილიზაცია უყონ კოლმეურნეობათა დასახმარებლად მოსავლის აღებისა და მარცვლის გამოზიდვის პერიოდისათვის საზიდრებსა და ცხენებს, რომლებიც კოლმეურნეთა, აგრეთვე კოლმეურნეობის სხვა არაწევრ მეურნეობათა პირად სარგებლობაში იმყოფებიან.

22. დაწესდეს, რომ მარცვლის პირველ პარტიებიდან, რასაც კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სახელმწიფოს აბარებენ, პირველ რიგში დაიფარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული სესხები, აგრეთვე კოლმეურნეობათა წინა წლების დავალიანება სავალდებულო ჩაბარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურსაზღაურის ხაზით. შემდეგში ჩაბარებული მარცვლის ყოველ პარტიიდან ნახევარი გადაირიცხება სავალდებულო ჩაბარებათა ანგარიშში, ნახევარი კი მანქანა ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურსაზღაურის ანგარიშში.

23. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და „იუგო-ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორას:

ა) დაამთავრონ სასაწყობო სადგომების რემონტი და დეზინფექცია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონების დამამზადებელ პუნქტებში ამა წლის 20 ივნისამდე, ხოლო მთაგორიან რაიონებში —1 ივლისამდე;

ბ) ამავე ვადისათვის დაამთავრონ ყველა ბაზისა და მიმღები

პუნქტის დაკომპლექტება ლაბორანტებით, მენიხრეებით, მოანგარიშეებითა და მარცვლის მიღებასთან დაკავშირებული სხვა მუშაკებით; უზრუნველჰყონ ყველა პუნქტი შემოწმებული სასწორებითა და სალაბორატორიო ინვენტარით;

გ) მარცვლის მიღების პერიოდში გადაიყვანონ ყველა პუნქტი სადღეღამისო მუშაობაზე, ამასთან არ დაუშვან მარცვლის არათავისდროზე მიღების გამო ტრანსპორტის გაცდენის არც ერთი შემთხვევა;

დ) უზრუნველჰყონ დამამზადებელი პუნქტები სანიავებელი მანქანებით, ტრიერებით და სხვა მარცვალსაწმენდი მანქანებით, აგრეთვე ბრეზენტებით.

24. აეკრძალოს კოლმეურნეობებს სათესლე ფონდების გამოყოფა კოლმეურნეობათა საერთო ნათესებიდან, გარდა სათესლე მიზნებისათვის გამოყოფილი ნაკვეთებისა, მანამ, ვიდრე კოლმეურნეობანი არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე.

დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს მთელი მარცვალი, რაც სათესლე ნაკვეთებიდან იქნება მიღებული, პირველ რიგში გამოიყენონ ფონდების გამოსაყოფად და მთელი გარდამეტი მარცვალი ჩააბარონ დამამზადებელ პუნქტებს სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულების წესით.

25. დაევალოს „სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს კანტორას და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს 15 ივნისამდე დაამთავრონ ავტომანქანების რემონტი და სრულ მზადყოფნაში მოიყვანონ მთელი ავტოპარკი.

26. დაევალოს საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარს ამხ. რთველაძეს ა/წ 1 აგვისტომდე გადასცეს „სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს განყოფილებას 19 სატვირთო ავტომანქანა, რომლებიც შესაკეთებლად არის მიღებული თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, და, ამას გარდა, მიმდინარე წლის ივლისის დამლევამდე შეაკეთოს „სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს განყოფილების 4 ავტომანქანა.

27. ნება დაერთოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს დაუთმონ კოლმეურნეობებს ნატურსაზღაურით ტრაქტორები იმ მარცვლის გადასაზიდად დამამზადებელ პუნქტებში, რომელსაც ისინი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურსაზღაურის ანგარიშში აბარებენ.

28. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულს და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში უზრუნველჰყონ მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის დროულად და სწორად გამორკვევა და კოლმეურნეობათა მიკუთვნება მოსავლიანო-

ბის თანრიგებზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურსაზღაურის დასარიცხავად.

29. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს საჭირო დახმარება გაუწიონ სახელმწიფოს საგეგმო კომისიის და დამზადებათა სახალხო კომისარიატის ორგანოებს ცალკე ყოველი კოლმეურნეობის მიხედვით მოსავლის სწორად გამორკვევის საქმეში, გადაჭრით აღკვეთონ მოსავლიანობის შემცირების ანტისახელმწიფოებრივი ცდები, რითაც ხელოვნურად მცირდება ნატურსაზღაურის ოდენობა.

30. დაევალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს დააზუსტონ ყოველი ცალკე კოლმეურნეობის მიხედვით ტრაქტორებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და უზრუნველჰყონ, რათა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშები გადაეცეს კოლმეურნეობებს არაუგვიანეს ერთი კვირის ვადისა იმ დღიდან, რაც დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან მიღებული იქნება ცნობა მოსავლიანობის თანრიგებზე კოლმეურნეობათა მიკუთვნების შესახებ, ხოლო თიბვისა, კომბაინით აღებისა, გალეწვისა, მარცვლის გაწმენდისა და პურის გადაზიდვისათვის არაუგვიანეს ერთი კვირის ვადისა იმ დღიდან, რაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა ეს სამუშაო შეასრულა.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ | საქართველოს კ. პ. (ბ) |
| სახალხო კომისართა საბჭოს | ცენტრალური კომიტეტის |
| თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | მდივანი **კ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 5 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 600

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

## სათოხნი კულტურების ნათესების დამუშავების შესახებ

აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად ტარდება მარგვლა-დამუშავება, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში მოსულ დიდ ნალექებთან დაკავშირებით სათოხნი კულტურების ნათესებში ძლიერ განვითარდა სარეველა ბალახები.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში 1 ივნისისათვის გამარგლულია თამბაქოს ფართობის მხოლოდ 3,6%, აჭარის ასსრ-ის კოლმეურნეობებში—18,2%, ყვარლის რაიონში—20,7% და ბოლნისის რაიონში—22,5%. დაუშვებლად ჭიანურდება მზესუმზირას მარგვლა თეთრიწყაროს, თბილისის, მცხეთის, საგარეჯოსა და წითელწყაროს რაიონებში.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის ნათესების გაფხვიერებას ჯერაც არ შესდგომიან. ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა გაფხვიერებისათვის ხაშურის (15,6%), გორისა (21,7% და ქარელის (23,7%) რაიონებში.

ბევრ კოლმეურნეობაში სიმინდის გათოხნა ჯერაც არ დაწყებულა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოაგონებენ რაიონულ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს, სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ სათოხნი კულტურების ნათესების თავის დროზე და ხარისხობრივი დამუშავება არის წინაპირობა მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა მიმდინარე წელს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, რაიონულ სამიწათ-

მოქმედო განყოფილებებს, საქალაქო აღმასკომების სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს:

### სიმინდისა და მზესუმზირას დარგში

1. შეამოწმონ სიმინდის აღმონაცენების მდგომარეობა და, ნაგვიანევ ნათესთა ნაკვეთებზე მეჩხერ აღმონაცენთა შემთხვევაში, მოაწყონ შეთესვა იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივნისისა.

2. მოაწყონ კოლმეურნეთა მასობრივი გასვლა სიმინდისა და მზესუმზირის ნათესების კულტივაციისა და გათოხნის ჩატარებისათვის და უზრუნველჰყონ ვეგეტაციის პერიოდში ორჯერ გათოხნა მაინც.

3. სარწყავ რაიონებში, ნიადაგის მდგომარეობის მიხედვით, უზრუნველჰყონ ორი-სამი მორწყვის ჩატარება; ამასთან, სიმინდის ერთერთი მორწყვა ჩაატარონ ათი დღით ადრე ჯილების გაშლამდე.

4. იმ ნაკვეთებზე, სადაც სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ დათესილ უნდა იქნას საშემოდგომო თავთავიანი კულტურები (ქართლის რაიონები და ალაზნის ველი), ჩაატარონ სამჯერადი გათოხნა მაინც და უკანასკნელი მორწყვა არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აგვისტოსი.

### კარტოფილის დარგში

5. კარტოფილის აღმონაცენთა გამოჩენისთანავე ჩაატარონ ნათესების დაფარცხვა.

6. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში უზრუნველჰყონ ორჯერადი გათოხნა და მიწის ერთ-ორჯერ შემოყრა მაინც. შემდგომი გაფხვიერება აწარმოონ საჭიროებისამებრ, ნათესების მდგომარეობის მიხედვით, და არ დაუშვან სარეველა ბალახების გაზრდა და ქერქის გაჩენა.

7. გამოარკვიონ ნაკვეთები მეჩხერი აღმონაცენებით როგორც მთიან რაიონებში, აგრეთვე დაბლობი რაიონების სარწყავ ნაკვეთებზედაც და ჩაატარონ შეთესვა.

8. ნათესების მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩაატარონ სისტემატური მორწყვა და არ დაუშვან მცენარეთა დაჭკნობა. ყოველი მორწყვის შემდეგ ქერქის გაჩენის თავიდან ასაცილებლად აუცილებლივ აწარმოონ ნიადაგის გაფხვიერება.

9. თავის დროზე და ხარისხობრივად ჩაატარონ კარტოფილის სათესლე ნაკვეთების დამუშავება და უზრუნველჰყონ ნათესების ხარისხოვანი გაწმენდა.

10. თვალყური ადევნონ მავნებელთა და ავადმყოფობათა გაჩენას და თავის დროზე გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი მოსპობისათვის.

### ბოსტნეულის დარგში

11. შეამოწმონ ბოსტნეული კულტურების ყველა ნათესი და გამეჩხრებულ ადგილებში ჩაატარონ ჯანსაღი ჩითილების ჩარგვა ან დამბალი თესლის შეთესვა.

12. უზრუნველჰყონ ბოსტნეული კულტურების სათესლეთა განსაკუთრებით გულმოდგინე დამუშავება, წინასწარ დაამზადონ საჭირო რაოდენობის სარები და ქარისაგან მცენარეთა მტვრევისა და ყვავილობის პერიოდში თესლის დაცვენის თავიდან ასაცილებლად ჩაატარონ ხახვის, სტაფილოს და სუფრის ჭარხლის სადედეების აკვრა.

13. ზაფხულის განმავლობაში ჩაატარონ 3-4 გათოხნა და კულტივაცია მაინც და უზრუნველჰყონ ნიადაგის შენახვა ნაკვეთებზე გაფხვიერებული და სარეველებისაგან გაწმენდილი სახით.

14. თავის დროზე და გულმოდგინედ ჩაატარონ ბოსტნეული კულტურების მორწყვა და არ დაუშვან ნათესების წალეკვა და წყლის დატბორება ნაკვეთებზე.

15. მუდმივი თვალყური ადევნონ მავნებელთა და ავადმყოფობათა გაჩენას და უზრუნველჰყონ ღონისძიებათა თავის დროზე გატარება მათი მოსპობისათვის.

### შაქრის ჭარხლის დარგში

16. შეამოწმონ მეჭარხლეობის ყველა კოლმეურნეობაში, თუ რამდენად არის შესრულებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 28 მარტის № 295 დადგენილება „1944 წელს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ და უზრუნველჰყონ პირველი გათოხნის, გამეჩხრების, გაფხვიერების, შემოწმების, დამატებითი კვების, მორწყვისა და მავნებლებთან ბრძოლის აუცილებლივ თავის დროზე და ხარისხობრივი ჩატარება და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან შაქრის ჭარხლის პლანტაციების უყურადღებოდ მიტოვება.

### თამბაქოს დარგში

17. ერთი დეკადის განმავლობაში გამოავლინონ თამბაქოს ის პლანტაციები, რომლებიც რემონტს მოითხოვენ, მოაწყონ მათი რემონტი ჯანსაღი ჩითილების ჩარგვით და უზრუნველჰყონ თამბაქოს ყველა ნაკვეთზე მცენარეთა ნორმალური სიხშირე იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია აგროწესებით.

18. ჩაატარონ თამბაქოს ყველა პლანტაციაში, მიუხედავად მათი დასარევლიანებისა, ოთხჯერადი მარგვლა მაინც ნიადაგის შემჭიდროებისა თუ ქერქის გაჩენის ნიშნების აღმოჩენისთანავე.

19. სარწყავ რაიონებში, ამინდის პირობებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით, ჩაატარონ ხუთამდე მორწყვა კვლებში, ამასთან უკანასკნელი მორწყვა დაამთავრონ მეოთხე შეტეხის წინ.

20. უზრუნველჰყონ ნამხრის სამჯერადი აცლა და თავის ორჯერადი წაწყვეტა, ამასთან აცლილი ნამხრისა და ყვავილის უცილობელი შეგროვება და პლანტაციებიდან გატანა.

### გერანის დარგში

21. ხუთი დღის განმავლობაში დაამთავრონ გერანის ყველა გამეჩხრებული პლანტაციის რემონტი ჯანსაღი ნერგების ჩარგვით.

22. უზრუნველჰყონ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში გერანის პლანტაციების ნიადაგის შენახვა გაფხვიერებულ და სარეველებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში.

23. აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში უზრუნველჰყონ დროული მორწყვის ჩატარება და არ დაუშვან ნიადაგის გამოშრობა. მორწყვა ჩაატარონ აუცილებლივ კვლებში და უმთავრესად ღამით. ყოველი მორწყვის შემდეგ ჩაატარონ ნიადაგის გაფხვიერება.

### საკვები კულტურების დარგში

24. სისტემატურად აწარმოონ სარეველების ხელით გამარგვლა საკვები ბალახების ყველა ნათესში.

25. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკვები ბალახების სათესლეთა მოვლას, ჩაატარონ ამ ნაკვეთებზე ორ-სამჯერადი ხელით მარგვლა მაინც და ფართომწკრივიან ნათესებში—ორ-სამჯერადი კულტივაცია; მთელი მუშაობა ბალახების სათესლეთა მოვლისათვის იმნაირად მოაწყონ, რომ მიმდინარე წელს აუცილებლივ უზრუნველყოფილ იქნას თესლის მაღალი მოსავლის მიღება.

* * *

26. მინდვრების შემდგომი დასარევლიანებისა და სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სათოხნი კულტურების ნათესების დამუშავებასთან ერთად, უზრუნველჰყონ სარეველა ბალახების შემოთიბვა თესლის დაცვენამდე ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და დამხმარი მეურნეობის მიჯნებზე, გზის გვერდულებსა და ხევებში.

27. შეამოწმონ სატრაქტორო და ცხენის კულტივატორების მდგომარეობა, მოიყვანონ ისინი სრულს წესრიგში და, ხელით მათოხნის ყოველნაირ ძალასთან ერთად, გამოიყენონ არსებული სატრაქტორო და ცხენის კულტივატორები; დააწესონ ყოველი კულტივატორისათვის ცალცალკე ყოველდღიური დავალება და უზრუნველჰყონ მათი გამოყენება სრული დატვირთვით.

28. შეამოწმონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ყოველი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და დამხმარი მეურნეობა შესაწამლი მასალებითა და ქიმიკატებით და მიიღონ ზომები მათი შემოზიდვისათვის იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლისათვის.

ამასთან ერთად, შეამოწმონ არსებული აპარატურის მზადყოფნის მდგომარეობა და დააწესონ ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის მთელი აპარატურის რემონტისა და გამოყენების გეგმა. ნება დაერთოს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, ურთიერთდახმარების წესით, შემოიღონ პრაქტიკაში აპარატურის გადატანა ერთი მეურნეობიდან მეორეში.

29. შეადგინონ ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და დამხმარე მეურნეობისათვის სამუშაოთა კალენდარული გეგმა ნათესების მოსავლელად, ცალკეული კულტურების მოთხოვნილებისა და ნაკვეთების მდგომარეობის გათვალისწინებით.

30. მოაწყონ დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულ ნაკვეთებზე მომუშავე ყველა საკოლმეურნეო ბრიგადებში ღამისსათევი საველე ბანაკები და საზოგადოებრივი კვება.

31. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყონ კოლმეურნეთა და მუშათა ბავშვებისათვის საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები და მოედნები და უზრუნველჰყონ ბავშვები სათანადო მოვლითა და კვებით.

32. დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) სისტემატურად ჩაატარონ ხარისხის გამომრკვევი საკოლმეურნეო ინსპექტორების საშუალებით კოლმეურნეთა მიერ რგოლებსა და ბრიგადებში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება და მტკიცედ დაიცვან კოლმეურნეთა მიერ ნათესების მოვლისათვის ჩატარებულ სამუშაოთა მიღების წესი.

ბ) კოლმეურნეთა მიერ სამუშაოების არაკეთილხარისხოვანი შესრულების დროს წუნი დასდონ მუშაობას და აიძულონ კოლმეურნე ხელახლა ჩაატაროს მუშაობა შრომადღეების დაურიცხავად ამ მუშაობისათვის.

33. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს გაუწიოს სასტიკი კონტროლი სარწყავი წყლის გამოყენების სისწორეს და უზრუნველჰყოს წყლის მიწოდება უწინარეს ყოვლისა ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების ნათესების მოსარწყავად კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწებზე.

დამნაშავენი წყლის სარგებლობის წესების დარღვევასა და წყლის ტაცებაში მისცეს სასტიკ პასუხისგებაში.

34. დაევალოს რაიალმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წყლის ეფექტიან გამოყენებას და არ დატოვონ სათოხნი კულტურების ნათესები მოურწყავად.

ღამით მორწყვის განსაკუთრებით დიდი ეფექტიანობის გამო, მოაწყონ ყველა რაიონში სათოხნი კულტურების ნათესების სადღეღამისო მორწყვა.

35. წინადადება მიეცეს რაიალმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ხუთი დღის განმავლობაში მიამაგრონ რაიმიწგანებისა და მტს-ების აგრონომებს განსაზღვრული რაოდენობის კოლმეურნეობები სათოხნი კულტურების მოვლის სამუშაოთა ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის და დააკისრონ აგრონომებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ერთად, პასუხისმგებლობა სამარგვლავი და სათოხნი სამუშაოების თავის დროზე და ხარისხობრივი ჩატარებისათვის.

36. ჯვარედინ-სამტვერებელი კულტურების (მზესუმზირას, იონჯის, სამყურის, კომბოსტოს, სტაფილოს, ხეხილისა და სხვ.) მოსავლიანობის გადიდების საქმეში ფუტკრის დიდი მნიშვნელო-

ბის გამო, რჩევა მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს აწარმოონ ფუტკრის სკების გადატანა ჯვარედინ-სამტვერებელი კულტურების ნათესებისაკენ 3-4 დღით ადრე ყვავილობის დაწყებამდე, იმ ანგარიშით, რომ ერთ ჰექტარ ნათესზე მოდიოდეს 2-3 სკა, ამასთან უზრუნველჰყონ ფუტკრის შენარჩუნების ყველა წესის დაცვა სკების გადატანის დროს.

37. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს დააწესოს მუდმივი მეთვალყურეობა დამუშავებით სამუშაოებზე რაიონებში და სისტემატურად მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ | საქართველოს კ. პ. (ბ) |
| სახალხო კომისართა საბჭოს | ცენტრალური კომიტეტის |
| თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | მდივანი **კ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 5 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 601

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით დაწესებული რაიონობლივი წლიური ნორმები სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისა ყოველ ჰექტარ სახნავ მიწაზე კილოგრამობით.

| რაიონები | კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები | კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მტს-ები |
|---|---|---|
| 1. სტალინირის | 12 | 14 |
| 2. ზნაურის | 7 | 8 |
| 3. ლენინგორის | 12 | 14 |
| 4. ჯავის | — | 15 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 7 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 602

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ ასპინძის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მცხეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს. წალკის, ჩხარისა და ჩხოროწყუს რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1942 წლის 12 აპრილს „კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ქალაქებისა და სასოფლო ადგილების შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციის წესის შესახებ“ მიღებული № 507 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილებულ იქნას ქვემოჩამოთვლილი რაიონების რაიაღმასკომების შუამდგომლობანი არამომუშავე შრომისუნარიანი მოსახლეობის, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოსამსახურეთა, აგრეთვე არასრული საშუალო და საშუალო სკოლების 6—10 კლასების მოსწავლეთა და ტექნიკუმების სტუდენტთა ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ იმ ზოგიერთი კოლმეურნეობისათვის დახმარების გასაწევად ნათესების, მრავალწლოვანი ნარგავების დამუშავებასა და 1944 წლის მოსავლის აღებაში, რომლებიც მუშახელის ნაკლებობას განიცდიან, შემდეგი რაოდენობით:

| რაიონების დასახელება | მოსწ.-ვლე-ები | მოსამსახუ-რეები | არამომუშავე მოსახლეობა | სულ |
|---|---|---|---|---|
| ასპინძის | 165 | — | — | 165 |
| ახალციხის | 100 | — | 50 | 150 |
| ბოლნისის | 550 | — | 50 | 600 |
| ბორჯომის | 100 | 50 | 50 | 200 |
| გეგეჭკორის | 1430 | 245 | 100 | 1775 |
| გურჯაანის | 875 | 50 | 450 | 1375 |
| დუშეთის | 200 | — | — | 200 |
| ზესტაფონის | 540 | 30 | — | 570 |
| ზუგდიდის | 650 | 150 | 200 | 1000 |
| ქარელის | 250 | 80 | 50 | 380 |
| კასპის | 1150 | 300 | 250 | 1700 |
| ქუთაისის | 560 | 200 | 40 | 800 |
| ლანჩხუთის | 590 | 140 | 150 | 880 |
| მაიაკოვსკის | 950 | 140 | 40 | 1130 |
| მახარაძის | 1000 | 150 | 250 | 1400 |
| მცხეთის | 1200 | 160 | 440 | 1800 |
| საგარეჯოს | 500 | 100 | 300 | 900 |
| სამტრედიის | 900 | 95 | — | 995 |
| სიღნაღის | 250 | — | 2 0 | 450 |
| თელავის | 1865 | 285 | 400 | 2550 |
| წალენჯიხის | 120 | 160 | 70 | 350 |
| ცხაკაიას | 750 | 200 | 180 | 1130 |
| წყალტუბოს | 150 | 200 | — | 350 |
| წალკის | 275 | 125 | — | 400 |
| ჩხარის | 1200 | 110 | 15 | 1325 |
| ჩხოროწყუს | — | 80 | — | 80 |

2. დაწესდეს, რომ მობილიზაციის კონკრეტულ ვადებს განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები — მოსწავლეებისათვის — 10 ივნისიდან 20 აგვისტომდე, მოსამსახურეებისათვის — არაუმეტეს 2 თვისა, არამომუშავეებისათვის — 3 თვემდე.

3. დაწესდეს, რომ სკოლების მოსწავლეთა და ტექნიკუმების სტუდენტთა მობილიზაციის ჩატარებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობებში სამუშაოდ მათი ორგანიზებულად გაგზავნისათვის, რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან ერთად, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლებისა და ტექნიკუმების დირექტორებს.

4. განემარტოს მობილიზებულთ, რომ ყოველმა მათგანმა თან უნდა იქონიოს ლოგინის მოწყობილობა, აგრეთვე ჭიქა და კოვზი.

5. დაევალოს იმ სკოლებისა და ტექნიკუმების დირექტორებს, რომლებშიაც მობილიზაცია ტარდება, დააკომპლექტონ მოსწავლეთა ჯგუფები თითო 25 კაცის შემადგენლობით (სკოლების მიხედვით — ცალკე ბიჭები და ცალკე გოგოები) იმ პედაგოგის მეთაურობით,

რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს კოლმეურნეობაში მოსწავლეთა მუშაობას და პასუხისმგებელია როგორც დისციპლინისათვის, ისე ნორმების შესრულებისთვისაც.

6. დაევალოს ზემოჩამოთვლილი რაიონების აღმასკომებს:

ა) მოსახლეობის მობილიზაცია და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გაგზავნა ჩაატარონ იმ წესისა და პირობების სრული შესაბამისობით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 13 აპრილის № 507 დადგენილებით;

ბ) ანგარიშები მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ ყოველდეკადურად ყოველი თვის 1, 11 და 21 რიცხვს წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 7 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 603

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით დაწესებული რაიონობლივი წლიური ნორმები კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისა თითო ჰექტარ სახნავ მიწაზე კილოგრამობით:

| რაიონები | კომბოსტო | თავიანი ხახვი | კიტრი | სტაფილო | სუფრის ჭარხალი | პომიდორი |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრის . . . . . . . . . . . . . | 21 | 3,5 | 7 | 3,5 | 3,5 | 35 |
| სოხუმის . . . . . . . . . . . . | 21 | 3,5 | 7 | 3,5 | 3,5 | 35 |
| ზუგდიდის . . . . . . . . . . . | 21 | 3,5 | 7 | 3,5 | 3,5 | 35 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 8 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 604

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს, 1944 წლის მოსავლიდან დაწყებული, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომისა და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით დაწესებული რაიონობლივი წლიური ნორმები სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარებისა თითო ჰექტარ სახნავ მიწაზე კილოგრამობით:

| რაიონები | კომბოსტო | თავიანი ხახვი | სტაფილო | სუფრის ჭარხალი | პომიდორი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლენინგორის . . . . . . . . . . . | 11,0 | 1,0 | 1,0 | 1,0 | 3,0 |
| 2. ზნაურის . . . . . . . . . . . . . | 15,4 | 1,2 | 1,2 | 1,2 | 3,5 |
| 3. სტალინირის . . . . . . . . . . . | 15,4 | 1,3 | 1,3 | 1,3 | 4,1 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 8 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 605
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის ორი ცენტრიდანული ტუმბოს გადაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ბუკიას და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს გადასცენ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს გორის წყალთა მეურნეობის რაიონის სატუმბო სადგურის მოსაწყობად შემდეგი თავისუფალი ცენტრიდანული ტუმბოები:

ა) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გორის წყალსადენიდან—1 ცალი ცენტრიდანული ტუმბო (დემონტირებული);

ბ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ზუგდიდის ჩაის ფაბრიკიდან—1 ცალი 5-დუიმიანი ცენტრიდანული ტუმბო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 7 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 606
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისა და „კომუნისტის" პოლიგრაფკომბინატისათვის უდოკუმენტო პოლიგრაფმოწყობილობისა და სასტამბო შრიფტის გადაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს ამხ. ტაბატაძეს № 659647 ვაგონით მოსული პოლიგრაფმოწყობილობა და სასტამბო შრიფტი, რომელიც თბილისის სადგურის სამხრეთ პარკის ევაკობაზაში ინახება როგორც უდოკუმენტო ტვირთი, გადასცეს:

ა) პოლიგრაფმოწყობილობა — სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს შესანახად;

ბ) სასტამბო შრიფტი — „კომუნისტის" პოლიგრაფკომბინატს გარტსდ გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 7 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 609

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში 1944 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 5.500 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაცვლად 1 მაისისათვის იყო 5.190 სული ანუ გეგმის 94,4%, აქედან ძროხა და ფურკამეჩი—82,7% და მუშახარი — 56,7%; 1944 წლის 1 იანვართან შედარებით საერთო სულადობა შემცირებულია 286 სულით.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ 1943 წელს მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში მიღებულია მხოლოდ 408 სული ნამატი, ანუ დედაპირუტყვის 65,4%; აქედან დაიხოცა 55 სული, ანუ ნამატის 13,4%.

1944 წლის გეგმით გათვალისწინებული 6.300 სული ცხვრისა და თხის ნაცვლად, მიმდინარე წლის 1 მაისისათვის იყო 7.154 სული, ანუ გეგმის 113,6%; აქედან დედაცხვარი და თხა, ნაცვლად 3.450 სულისა, 3.085 სული (89,4%).

მეღორეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა 1 მაისისათვის შესრულებულია 112,5%-ით, აქედან დედაღორისა —87,9%-ით.

ცხენის რაოდენობა 1944 წლის 1 მაისისათვის, ნაცვლად 205 სულისა, შეადგენდა 164 სულს, ანუ გეგმის 80%-ს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ძალზე ცუდად არის დაყენებული ცხენის მოვლა-პატრონობის საქმე.

მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში ფრინველის რაოდენობა შემცირდა 31,5%-ით და 1 მაისისათვის შეადგენდა მხოლოდ 2.925 ფრთას, ნაცვლად 5.000 ფრთისა ანუ გეგმის 58,5%. მეტად დაბალია კვერცხის გამოსავლიანობა და სრულიად მოუწესრიგებელია მისი აღრიცხვის საქმე. შემოწმებულ კოლმეურნეობებში გამოირკვა, რომ კვერცხს აბარებენ სახელმწიფოს მეტწილად არა საკუთარი საშუალებით, არამედ შესყიდვით. კვერცხის

ანგარიშში აბარებენ აგრეთვე ხორცსა და სხვა პროდუქტებს, რომელთა საგრძნობ რაოდენობას იძენენ საბაზრო ფასებში.

მეფუტკრეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 88,7%-ით, ამასთან მოუგვარებელია თაფლისა და სანთლის გამოსავლიანობისა და მისი გამოყენების აღრიცხვა.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ნამატის მიღება-შენარჩუნების საქმეში. მიმდინარე წლის პირველ მაისისათვის 653 ძროხიდან მიღებული და შენარჩუნებულია 233 ხბო (35,6%), 2.929 დედაცხვარიდან და თხიდან—2.366 სული ბატკანი და ციკანი (80,4%), 252 დედაღორიდან—233 სული გოჭი, ანუ ყოველ ერთ დედაღორზე 0,9 გოჭი, 82 დედაცხენიდან—2 კვიცი (2,4%).

ცუდად მიმდინარეობს პირუტყვის დაგრილება. 1944 წლის 1 მაისისათვის დაგრილებულია ძროხების 13% და ფაშატების 6,4%.

ძალზე დაბალია ძროხების წველადობა. ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია ამა წლის 1 მაისისათვის 18,6 ლიტრი რძე; მთელ რიგ კოლმეურნეობებში წველადობა ამაზე უფრო დაბალია და არ აღემატება 0,5 ლიტრს. არ სრულდება მატყლის საშუალო გამოსავლის გეგმა: 1943 წელს ერთ სულზე მიღებულია 1,4 კგ ნაცვლად 2,2 კილოგრამისა.

დაბალი პროდუქტიულობის შედეგად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არ სრულდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ცალკეული პროდუქტების ჩაბარების გეგმები. რაიონის 50 კოლმეურნეობიდან გაანაწილა მეცხოველეობის პროდუქტები ერთმა კოლმეურნეობამ, ხოლო მთელი რიგი კოლმეურნეობები მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო ჩაბარების ვალდებულებებს ასრულებდნენ შესყიდვით—შრომადღეებზე გასანაწილებელ ფონდების ხარჯზე.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგში დედაპირუტყვის სულადობა არ აღემატება 11,9%, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში იგი ამაზე უფრო დაბალია. არ არის შესრულებული მსხვილფეხა რქიანი საქონლის დედაპირუტყვის მინიმუმი—32, დედაღორის — 29, დედაცხვრისა და თხის—41 კოლმეურნეობაში.

არ ექცევა ყურადღება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. მოუწესრიგებელია დედაპირუტყვის ჯიშიანი მწარმოებლებით დაგრილების და მეტისური ნამატის აღრიცხვა.

2.388 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი არ არის უზრუნველყოფილი განსაზოგადოებული ბინებით, ხოლო ბინების საგრძნობ რაოდენობას ესაჭიროება შეკეთება.

არ ექცევა საჭირო ყურადღება კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში გათვალისწინებული პირუტყვის მომრავლებისა და უძროხობის ლიკვიდაციის საქმეს. 1944 წლის 1 იანვრისათვის 4.306 საკოლმეურნეო კომლიდან არ ჰყავდა ძროხა 2.028 კომლს.

არ სრულდება თივისა და წვნიანი საკვების დაგროვების გეგმები. უხეშ საკვებში ძალზე უმნიშვნელოა თივის ხვედრითი წონა, რაც 1943 წელს არ აღემატებოდა 10,7%. ადგილი აქვს უხარის-

ხოდ დასილოსებას, დასილოსებული საკვების ჩალპობას და სილოსის გამოუყენებლობის ფაქტებს. 1943 წელს ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმა შესრულდა 52,5%-ით, მრავალწლიანი ბალახებისა—74%-ით; ძირნაყოფები სრულიად არ არის დათესილი.

რაიონის კოლმეურნეობების ფერმებთან არ არის მოწყობილი 2-3 ჰექტარ მიწის ფართობზე საკვები კულტურების ნათესები, არ ექცევა ყურადღება საკვები ბალახებისა და ძირნაყოფების მეთესლეობის საკუთარი ბაზის შექმნის საქმეს.

მოუწესრიგებელია წინა წლების ნათესი მრავალწლიანი ბალახების ფართობების აღრიცხვის, მისი მოვლა-დაცვის, სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების საქმე; დაბალია საკვები კულტურების მოსავლიანობა, რის შედეგად საკვების ძირითად ნაწილს შეადგენს ნამჯა და ჩალა, რასაც იყენებენ წინასწარ შემზადების გარეშე, რის გამო ადგილი აქვს დიდ დანაკარგებს.

ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია. ფერმის გამგეებს, ბრიგადირებსა და მწყემსებს შრომადღეები ეწერებათ საწარმოო დავალებებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის განურჩევლად. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუგვარებელია სოციალისტური შეჯიბრება, ადგილი აქვს სანარდო სისტემის უგულებელყოფას, მოუწესრიგებელია აღრიცხვა-ანგარიშწარმოების საქმე.

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აიხსნება კოლმეურნეობათა გამგეობების სუსტი მუშაობით და რაიაღმასკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით, რომლებიც თავის დროზე არ ღებულობენ საჭირო ზომებს საკოლმეურნეო საზოგადოებრივ მეცხოველეობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად და მთლიანად აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს და რაიმიწგანის გამგეს ამხ. დათუაშვილს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების დარგში და გააძლიერონ სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, ფერმების გამგეებისა და ბრიგადირების პასუხისმგებლობა პირუტყვის მოვლის, შენარჩუნების, საკვები ბაზის შექმნისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება, პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და შენახვის მდგომარეობა ცალკეულ კოლმეურნეობებში, ფერმებსა და ბრიგადებში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად, ამასთან მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისრონ იმ პირებს, რომელთა დანაშაულებრივი მოქმედებით დაიხოცა და განიავდა პირუტყვი;

გ) უზრუნველჰყონ 1944 წლის მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება პირუტყვის სახისა და ჯგუფის

მიხედვით და თვითეულ კოლმეურნეობაში გაატარონ ღონისძიებანი პირუტყვის სულადობისა და მუშასაქონლის ზრდისათვის საკუთარი ნამატის მიღების გზით;

დ) დაამტკიცონ რაიაღმასკომის სხდომაზე კოლმეურნეობათა მიხედვით სასილოსე ნაგებობის რემონტის ღონისძიებანი და ახლად ასაგები ორმოების გეგმა; უზრუნველჰყონ 1944 წლის სილოსის ჩადების გეგმის შესრულება, რისთვისაც სასილოსე ნათესებთან ერთად ფართოდ გამოიყენონ გარეული მცენარეებისა და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების ნარჩენები;

ე) მიაღწიონ თვითეული კოლმეურნეობის მიერ 1944 წელს უხეში საკვების დაგროვების გეგმების შესრულებას, რისთვისაც ჩაატარონ ბუნებრივი სათიბებისა და ნათესი ბალახების მთელი ფართობის მოთიბვა, მთლიანად გამოიყენონ სიმინდის ჩალა, ნამჯა და უზრუნველჰყონ მათი შეგროვება, მიზიდვა და დაზვინვა პირუტყვის საზამთრო სადგომებთან; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნამჯის, ჩალისა და კონცენტრირებული საკვების წინასწარ შემზადების საქმეს არსებული მანქანა-იარაღების სრული გამოყენების საშუალებით. ამასთან ერთად დაამტკიცონ რაიაღმასკომის სხდომაზე მეორე თიბვის გეგმები ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით. სასტიკი კონტროლი დააწესონ საკვების ხარჯვაზე და არ დაუშვან მისი გაფუჭება-განიავება;

ვ) დაუყოვნებლივ შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობა და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი სათიბი ინვენტარის შეკეთებისათვის, ჩამოაყალიბონ მთიბავთა ბრიგადები, რგოლები, გააპიროვნონ მათზე სათიბი ფართობები და უზრუნველჰყონ თივის დროულად და უდანაკარგოდ აღება;

ზ) დააზუსტონ გასული წლების ნათესი მრავალწლიანი ბალახების ფართობი ადგილზე შემოწმებითა და აქტების შედგენით და გამოარკვიონ მოსავლიანი ფართობის რაოდენობა;

თ) ნათესი ბალახების მოსავლიანობის ზრდის მიზნით გასწმინდონ ნათესები სარეველებისაგან, აწარმოონ სარწყავ ადგილებში ნათესი ბალახების მორწყვა, აკრძალონ პირუტყვის ძოვება სათიბ და ნათესი ბალახების ფართობებზე, ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით მოაწყონ პირუტყვის მორიგ-ნაკვეთობრივი ძოვება ბუნებრივ საძოვრებზე;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკვები ბალახებისა და ძირხვენების საკუთარი სათესლე ბაზის შექმნას, რისთვისაც გამოჰყონ ნაკვეთები სათესლე მიზნებისათვის და უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საკუთარი თესლით 1945 წლისათვის;

კ) განახორციელონ ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით სათიბ-საძოვარი ფართობების გასაუმჯობესებლად ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის ბუჩქნარების გაკაფვა, ზედაპირული წყლების აცილება, ქვებისაგან გაწმენდა, შხამიან ბალახებთან ბრძოლა, მორწყვა და სხვ. დააწესონ თვითეულ კოლმეურნეობას ბუნებრივი ბალახების სათესლე ფართობების გამოყოფისა და თესლის აღების გეგმები; ამასთან ერთად რაიმიწგანმა კონკრეტული დახ-

მარება გაუწიოს კოლმეურნეობებს გადაგვარებულ-უმოსავლიანო სათიბებისა და საძოვრების ფართობის გადახვნასა და ბუნებრივი ბალახების თესლის თესვაში სათანადო კულტურების შერჩევით;

ლ) უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა ფერმებთან 2-3 ჰექტარი ძირხვენების ან მათი შემცვლელი კულტურების თესვა ფერმის მუშაკთა ძალებით. განუმარტონ მეცხოველეობის ფერმების მუშაკებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 14 ივნისის დადგენილება ამ ნაკვეთებზე მიღებულ მოსავლის გამოყენების წესის შესახებ;

მ) შეამოწმონ ორი დეკადის ვადაში თვითეულ კოლმეურნეობაში პირუტყვის დაგრილების მიმდინარეობა და დედაპირუტყვის გაბერწების მიზეზები და შედეგები მოისმინონ რაიაღმასკომის სხდომაზე; განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ დედაპირუტყვის მთელი სულადობის დაგრილებასა და გაბერწების ლიკვიდაციას;

ნ) უზრუნველჰყონ მეცხოველეობიდან მიღებული პროდუქტების გადამუშავებისა და გამოყენების ზუსტი აღრიცხვა, სისტემატურად შეამოწმონ პირუტყვის სულადობის, ნამატის მიღებისა და შენარჩუნების აღრიცხვის მდგომარეობა; შემოიღონ ყველა კოლმეურნეობაში მოზარდეულის გამოზრდის, დედაპირუტყვის დაგრილება-დამაკებისა და მისი პროდუქტიულობის ჟურნალები;

ო) ორი დეკადის ვადაში რაიაღმასკომის სხდომაზე დაამტკიცონ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობის 1944 წლის გეგმები და უზრუნველჰყონ ბინების აგება სათანადოდ შერჩეულ ადგილებზე;

პ) გააუმჯობესონ საკოლმეურნეო მეცხოველეობის ზოოვეტერინარული მომსახურება, მიაღწიონ ზოოვეტუბნების სპეციალისტებით დაკომპლექტებას და შეუქმნან მათ მუშაობის საჭირო პირობები;

ჟ) მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციის და აღრიცხვის საქმეს და გაატარონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ;

რ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეობებში, ფერმებსა და ბრიგადებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის უზრუნველსაყოფად, სისტემატურად შეაჯამონ სოცშეჯიბრების მიმდინარეობა და მოისმინონ რაიაღმასკომის სხდომაზე, გამოვლინებულ მოწინავეთა გამოცდილება გადაიტანონ ჩამორჩენილებს შორის;

ს) შეისწავლონ თვითეულ კოლმეურნეობაში მესაქონლეობის დაბალი პროდუქტიულობის მიზეზები და განახორციელონ ღონისძიებანი პროდუქტიულობის საგრძნობლად გადიდებისათვის ძროხების წველადობის, მატყლის პარსვის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის;

ტ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მეღორეობისა და მეფრინველეობის საკვები ბაზის შესაქმნელად, საკვები ჭარხლის, გოგ-

რის, მიწა-ვაშლის, პირუტყვის საკვებ საზამთროს, სიმინდისა და სხვა კულტურების ფერმებთან თესვით და ტყის ნაყოფის დამზადებისა და მისი გამოყენების გზით;

უ) განიხილონ და დაამტკიცონ რაიაღმასკომის სხდომაზე ღონისძიებები მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმებთან სასილოსე ორმოების მოსაწყობად და საჭირო რაოდენობის სილოსის დასამზადებლად;

ფ) შეამოწმონ ცალკე კოლმეურნეობებში ცხენის სულადობის შემცირების, დახოცვისა და დედაცხენების გაბერწების მიზეზები, უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 მაისის დადგენილების შესრულება ცხენების გაპიროვნებისა და მისი მოვლა-პატრონობის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს, რაიმიწგანის გამგეს ამხ. დათუაშვილს და კოლმეურნეობების გამგეობის თავმჯდომარეებს მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარება ხდებოდეს საკუთარი საშუალებებით და აღკვეთილ იქნას დაუშვებელი პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობის გამგეობები ბაზარზე ყიდულობენ მეცხოველეობის პროდუქტებს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად; ამასთან უზრუნველჰყონ კოლმეურნეობის წევრებისათვის შრომადღეებზე მეცხოველეობის პროდუქტების გაცემა.

3. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს და მიწგანის გამგეს ამხ. დათუაშვილს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეთა შორის უძროხობის ლიკვიდაციისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ჯაბუას) და სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს (ამხ. გომელაურს) გამოუყონ მცხეთის რაიაღმასკომს: პირველმა თიანეთის რაისატყეოდან ტყესაკაფი 200 კუბ. მეტრი, ხოლო მეორემ დუშეთის სატყეოდან 200 კუბ. მეტრი მერქნის დასამზადებლად საკოლმეურნეო მეცხოველეობის განსაზოგადოებული პირუტყვის ბინების მშენებლობისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (ამხ. ალავიძეს) გაითვალისწინოს გეგმაში მცხეთის რაიაღმასკომისათვის 10 ტონა ცემენტის გამოყოფა სასილოსეების ასაგებად და შესაკეთებლად.

6. წინადადება მიეცეს მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს უზრუნველჰყონ რაიაღმასკომთან არსებულ მრეწვკომბინატის საშუალებით საჭირო რაოდენობის კრამიტის დამზადება მეცხოველეობის ბინების მშენებლობისა და შეკეთებისათვის.

7. გაფრთხილებულ იქნას მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მელიქიშვილი და რაიმიწგანის გამგე ამხ. დათუაშვილი, რომ თუ ისინი არ მიიღებენ გადამჭრელ ზომებს ამ დადგენილე-

ბაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორებისათვის, მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

8. წინადადება მიეცეს მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს 1944 წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წერილობითი ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

9. ეს დადგენილება დამუშავდეს მცხეთის რაიონის სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების თათბირზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 610

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ძირულის შამოტის ქარხანა „შრომის“ გაფართოების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შემდგომი წარმოებისაგან ტრესტ ხრამჰესმშენის განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გაშლასთან დაკავშირებით, განთავისუფლებულ იქნას 1944 წლის 1 ივნისიდან ტრესტი ხრამჰესმშენი ძირულის შამოტის ქარხანა „შრომის“ გაფართოების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შემდგომი წარმოებისაგან და წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს თვითონ განახორციელოს შემდეგში აღნიშნული ქარხნის მშენებლობის ყოველგვარი სამუშაოები.

2. დაევალოს ტრესტ ხრამჰესმშენის მმართველს ამხ. ჭანკოტაძეს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს:

ა) მიმდინარე წლის 10 ივნისამდე დაამთავრონ ქარხანა „შრომის“ მშენებლობის ჩაბარება და მიღება, რაზედაც შეადგინონ სათანადო აქტი და მოახდინონ სრული ანგარიშსწორება;

ბ) გადასცენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ქარხანა „შრომის“ მშენებლობაზე დაბანდებული ყველა მუშა, ა. წ. 1 ივნისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით;

გ) გადასცენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ძირულის სამშენებლო მოედანზე არსებული მასალები, თანახმად თანდართული სიისა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს:

ა) დაუყოვნებლივ მოაწყოს შამოტის ქარხანა „შრომის“ მშე-

ნებლობის სპეციალური კანტორა, რომელიც უშუალოდ დაემორჩილება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს;

ბ) განახორციელოს 1944 წელს საწარმოო კორპუსის საფქვავი და საყალიბო განყოფილებების მშენებლობა მოწყობილობის დადგმით, რკინიგზის ჩიხის გაგრძელება, სამთო-სათხრელი სამუშაოები მაღაროს დასავლეთ უბანში, დამხარისხებლის მშენებლობა მოწყობილობის დადგმით და ფეთქებადი მასალების საწყობის მშენებლობა;

გ) მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის გადასცეს საექსპლოატაციოდ ქარხანა „შრომის" საწარმოო კორპუსის 20-კამერიანი ღუმელი და საშრობი განყოფილება.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს შამოტის ქარხანა „შრომის" მშენებლობის კანტორის შტატი 15 ერთეულის რაოდენობით, რომლის თვიური ხელფასის ფონდი განისაზღვროს 9.850 მანეთით.

ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საშტატო კომისიას დაამტკიცოს აღნიშნული შტატები 1944 წლისათვის.

5. დაევალოს ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბერაძეს და ორჯონიკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ღამბაშიძეს ორი კვირის განმავლობაში დააბრუნონ ძირულის ქარხანა „შრომის" მშენებლობაზე მშენებლობიდან წასული მუშები, რომლებიც 1943 წელს იყვნენ მობილიზებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით.

6. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს ძირულის ქარხანა „შრომის" მშენებლობის კანტორის მუშათა მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებული იყო ხრამჰესმშენის მუშებისათვის, რომლებიც ძირულის ქარხანა „შრომის" მშენებლობაზე მუშაობენ.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები და ორი თვის განმავლობაში დაამთავროს მდინარე ძირულის ხიდის რემონტი ქარხანა „შრომასთან".

8. დაევალოს ზესტაფონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორს ერთი დეკადის ვადაში დაუბრუნოს ქარხანა „შრომის" მშენებლობას ვარგის მდგომარეობაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მიერ დროებითი სარგებლობისათვის მიღებული ერთი ტრაქტორი.

9. წინადადება მიეცეს შემდეგ ორგანიზაციებს მისცენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ქარხანა „შრომის" მშენებლობისათვის შემდეგი მასალები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—ამხ. გორდეზიანმა „სოიუზპრომმეტიზზბიტისაგან“ მიღებული მავთულიდან დამზადებული 0,5 ტონა ლურსმანი;

ბ) ტრესტ საქმომარაგებამ—ამხ. კვანტალიანმა 5 ტონა საარმატურო რკინა 12-დან 20 მმ-მდე, 1 ტონა ფოლადის მილები, 0,25 ტონა კარბიდი, 500 გრძივი მეტრი სადენი 25 კვ. მმ, 500 გრძივი მეტრი სადენი 4-6 კვ. მმ, 42 ცალი ბურთობსაკისარი, აქედან 16 ცალი 30 მმ დიამეტრისა, 14 ცალი 15 მმ დიამეტრისა და 12 ცალი 60 მმ დიამეტრისა, ფანჯრის მინა—160 კვ. მეტრი.

10. აღინიშნოს, რომ ტრესტ ხრამჰესმშენმა (მმართველი ამხ. ჭანკვეტაძე) და ხრამჰესმშენის სპეციალურმა სამშენებლო კანტორამ (უფროსი ამხ. ჩოგოვაძე), რომელიც ძირულის ქარხანა „შროშის“ მშენებლობას აწარმოებდა, წარმატებით შეასრულეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალება ძირულის ქარხანა „შროშის“ ობიექტთა მშენებლობის შესახებ, განსაკუთრებით 12 და 20 კამერიანი ღუმელების მშენებლობის ნაწილში.

დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს და ტრესტ ხრამჰესმშენის მმართველს ამხ. ჭანკოტაძეს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინადადებანი ტრესტ ხრამჰესმშენის იმ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქარხანა „შროშის“ მშენებლობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 6|VI
№ 610 დადგენილების დანართი

# ნ უ ს ხ ა

## მანქანებისა და ინვენტარისა, რომლებიც უნდა გადაეცეს სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ხრამჰესმშენის ტრესტის № 2 სამშენებლო კანტორიდან

| დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|
| **სამშენებლო მასალები** | | |
| მრგვალი ხე-ტყე | კბმ | 70 |
| დახერხილი ხე-ტყე | „ | 17 |
| ტუფი | „ | 150 |
| კირი | ტონა | 72 |
| ცემენტი | „ | 7 |
| სახურავი რკინა | კგ | 190*** |
| კვადრატული რკინა | „ | 250 |
| ზოლოვანი რკინა | „ | 18 |
| ფურცლოვანი რკინა | „ | 250 |
| მრგვალი რკინა | „ | 200 |
| საბურღი ფოლადი | „ | 75 |
| ფურცლოვანი ფოლადი | „ | 159 |
| ჩანგლები | ცალი | 80 |
| ბრტყელი საყელურები | „ | 200 |
| მაღალვოლტიანი კაკვები | „ | 15 |
| გაგლინული მავთული | კგ | 200 |
| დაფქული ცარცი | „ | 160 |
| კარბიდი | „ | 50 |
| გაფისული ლენტი | „ | 2 |
| მაღალვოლტიანი სამჭვალები | ცალი | 8 |
| ბიტუმი | კგ | 140 |
| ბერგმანის მილაკი | ცალი | 10 |
| წნელოვანი თითბერი | „ | 15 |
| სხვადასხვა სადენი | მეტრი | 200 |
| პროსშპანი | ცალი | 2 |
| შალტშტანგი | „ | 1 |
| ძველი ბრეზენტი | „ | 1 |
| სპილენძ-გრაფიტის ჯაგრისები | „ | 6 |

*) ნახმარი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 611

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქსარეწტყეკავშირის მიერ დამზადებული ხე-ტყის განაწილების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1944 წლისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემისა და საქსარეწტყეკავშირის მიერ დამზადებული ხე-ტყის მასალების რესურსები: წიწვიანი ჯიშის მორი—35,6 ათასი კუბ. მეტრის, ფურცლოვანი ჯიშის მორი—13,5 ათასი კუბ. მეტრის, წიწვიანი ჯიშის დახერხილი მასალა—15,6 ათასი კუბ. მეტრისა და ფურცლოვანი ჯიშის დახერხილი მასალა—8,9 ათასი კუბ. მეტრის რაოდენობით, რაც განაწილდეს ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს 1944 წლისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემისა და საქსარეწტყეკავშირის მიერ დამზადებული ხე-ტყის მასალის განაწილების გეგმა, № 2, 3, 4 და 5 დანართების თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქსარეწტყეკავშირს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგი-

ლობრივი მრეწველობის განყოფილებას, ამ დადგენილების № 3, 4 და 5 დანართებში აღნიშნულ საქალაქო სამრეწველო კომბინატებს და რაიონულ სამრეწველო კომბინატებს აწარმოონ ხე-ტყის მასალების მიწოდება გეგმით გათვალისწინებულ მომხმარებლების სამშენებლო და საწარმოო-საექსპლოატაციო საჭიროებისათვის თანაბარ პარტიებად თვეების მიხედვით.

4. გაფრთხილებულ იქნას ყველა მომხმარებელი, რომ გამოყოფილი ხე-ტყის მასალების არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში, დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

5. ამოწურულად ჩაითვალოს წინათ მიღებული დადგენილებებითა და განკარგულებებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულებანი 1944 წელს მომხმარებელთათვის ხე-ტყის მასალების მიცემის შესახებ, გარდა ხე-ტყის მასალების მიცემისა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 3 მარტის № 190 დადგენილებით „საკურორტო ტყეების სანიტარული წმენდის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“.

ხე-ტყის ნაწილობრივი ჩაუბარებლობა 1943 წლის ფონდებით— გაუქმდეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესურსები

**ხე-ტყის მასალებისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და საქსარეწტყეკავშირი 1944 წელს**

| ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების დასახელება | საზომი ერთეული | სორტიმენტების დასახელება | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მრგვალი ხე-ტყე | | დახერხილი ხე-ტყე | |
| | | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო . . | კბმ | 21.310 | 100 | 4115 | — |
| საქსარეწტყეკავშირი . . . . . . . . . | „ | 3.700 | 13.350 | — | — |
| საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი—„საქტყემომარაგება" . . . . . . . . . . . . | „ | 10.625 | — | — | — |
| საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის რაიმრეწველობის სამმართველო | | | | | |
| ა ქ ე დ ა ნ: | | | | | |
| აფხაზეთის ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | „ | — | — | 7350 | 3000 |
| აჭარის „ „ „ . | „ | — | — | 1500 | - |
| სამხრეთ-ოსეთის ადგ. მრეწვ განყ. . . | „ | — | — | — | 1375 |
| მაიაკოვსკის რაიალმასკომის სამრეწველო კომბინატი . . . . . . . | „ | — | — | — | 235 |
| ხობის რაიალმასკ. სამრეწვ. კომბ. . . | „ | — | — | — | 330 |
| ჩხარის „ „ „ . . | „ | — | — | 60 | — |
| თელავის „ „ „ . . | „ | — | — | — | 660 |
| ქუთაისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატი . . . . . . . . . | „ | — | — | 300 | 275 |
| ჩხოროწყუს რაიალმასკ. სამრ. კომბინ. | „ | — | — | — | 165 |
| ფოთის საქ. საბჭოს სამრეწვ. კომბ. . . | „ | — | — | — | 385 |
| წულუკიძის რაიალმასკ. „ „ . . | „ | — | — | 300 | — |
| ზუგდიდის „ „ „ . | „ | — | — | — | 550 |
| ცხაკაიას „ „ „ . . | „ | — | — | — | 55 |
| აბროლაურის „ „ „ . . | „ | — | — | 1200 | — |
| ლაგოდეხის „ „ „ . . | „ | — | — | — | 1100 |
| ცაგერის „ „ „ . . | „ | — | — | 300 | — |
| საჩხერის „ „ „ . . | „ | — | — | — | 165 |
| წალენჯიხის „ „ „ . . | „ | — | — | — | 450 |

| ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციე-ბის დასახელება | საზომი ერთეული | სორტიმენტების დასახელება | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მრგვალი ხე-ტყე | | დახერხილი ხე-ტყე | |
| | | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი |
| ბორჯომის რაიალმასკ. სამრეწველო კომბინატი . . . . . . . . . . | კბმ | — | — | 180 | — |
| ახალციხის " " " | " | — | — | 120 | — |
| ჭიათურის " " " | " | — | — | — | 165 |
| ქარელის რაიალმასკომის ადგ. მრეწვ. განყ. . . . . . . . . . . . . | " | — | — | 200 | — |
| სულ რესურსები . . | | 35635 | 13450 | 15625 | 3910 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 6/VI
№ 611 დადგენილების დანართი № 2

# განაწილება

**მომხმარებელთა შორის ხე-ტყის მასალებისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო, საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემა და საქსარეწტყეკავშირი 1944 წელს**

| მომხმარებელთა დასახელება | გამოყოფილი ფონდის რაოდენობა კუბ. მეტრ. | | | |
|---|---|---|---|---|
| | წიწვიანი მორი | ფოთლოვანი მორი | წიწვიანი დახერხილი მასალა | ფოთლოვანი დახერხილი მასალა |
| 1. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარ. | 2280 | 200 | — | 100 |
| 2. საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი . . . . . . . . | 1000 | 300 | 140 | 60 |
| 3. საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატი . . . . . . . | 70 | 50 | 70 | 45 |
| 4. საქ. სსრ ჯანსახკომი . . . . . . | 785 | — | 455 | — |
| 5. საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარ. | 460 | 160 | 365 | 50 |
| 6. საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომის. | 2600 | — | 200 | — |
| 7. საქ. სსრ განსახკომი . . . . | 1120 | — | 1140 | 190 |
| 8. საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომის. | 1850 | — | — | — |
| 9. საქ. სსრ ხორცრძემრეწველობის სახ. კომისარიატი . . . . . . . . . | 100 | — | — | — |
| 10. საქ. სსრ მიწსახკომი . . . . . . | 980 | — | 200 | 20 |
| 11. საქ. სსრ წყალთა მეურნეობის სახ. კომისარიატი . . . . . . . | 710 | — | 200 | — |
| 12. საქ. სსრ საფეიქრო მრეწვ. სახ. კომისარიატი . . . . | 480 | — | — | — |
| 13. საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ სახ. კომის. | 450 | — | 100 | — |
| 14. საქ. სსრ შინსახკომის სპეცვაჭრობა . | 20 | — | — | — |
| 15. შინსახკომის მე 5 შრომის კოლონია | 50 | — | — | — |
| 16. შინსახკომი—ქუთაისის შრომის კოლონიის შენობის რემონტისათვის . | 80 | — | — | — |
| 17. შინსახკომი—საბავშვო-სააღმზრდელო კოლონიების საერთო საცხოვრებელთა რემონტისათვის . . . | 500 | — | 500 | — |
| 18. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწვ. მთავარი სამმართველო . . . . . | 1000 | — | 350 | — |
| 19. შინსახკომის სახანძრო რაზმის სამმართველო და გასამხედროებული საქალაქო სახანძრო რაზმი | — | — | 35 | — |
| 20. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართვ. . . . | 720 | — | — | — |
| 21. კინოფიკაციის სამმართველო . . . | 100 | — | 200 | — |

| მომხმარებელთა დასახელება | გამოყოფილი ფონდის რაოდენობა კუბ. მეტრ. | | | |
|---|---|---|---|---|
| | წიწვიანი მრგ. | ფოთლოვანი მრგ. | წიწვიანი დახერხილი მასალა | ფოთლოვანი დახერხილი მასალა |
| 22. ხელოვნების საქმეთა სამმართველო . | 650 | — | 1250 | 400 |
| 23. ადგილობრივი საჰაერო დაცვა . . | 200 | — | 550 | — |
| 24. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი . . . . . . . . | 1650 | — | 1760 | 1580 |
| 25. საქმომარაგების საპარკეტო ქარხანა | 400 | — | 60 | — |
| 26. საქკონსერვტრესტი . . . . . . . | 354 | — | — | 70 |
| 27. ცეკავშირი . . . . . . . . . . | 200 | — | 1000 | — |
| 28. ხრამჰესი . . . . . . . . . . . | 12 | — | — | — |
| 29. ქარხანა № 31 . . . . . . . . | 132 | — | [illegible] | — |
| 30. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა | 70 | — | — | — |
| 31. შრომითი რეზერვების სამმართველო | 127 | — | — | — |
| 32. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა . . | 75 | — | — | — |
| 33. თბილისის საქალაქო საბჭო . . . | 900 | 100 | — | — |
| 34. საქმაღარმშენი . . . . . . . . | 700 | — | — | — |
| 35. საქაბრეშუმტრესტი . . . . . . | 50 | — | — | — |
| 36. ბაკურიანის მემხეცეების საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . . . | 20 | — | — | — |
| 37. კუიბიშევის სახ. ქარხანა . . . . . | 800 | — | — | — |
| 38. რაიონული მრეწველობა . . . . . | 880 | 100 | 3120 | 2575 |
| 39. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართვ. . | 700 | — | — | — |
| 40. ასპინძის რაიაღმასკომი . . . . . | 50 | — | — | — |
| 41. ბორჯომის „ . . . . . | 100 | — | — | — |
| 42. თეთრიწყაროს „ . . . . . | 50 | — | — | — |
| 43. ა\|კ-ის მეტალურგიული ქარხანა . . | 12 | — | — | — |
| 44. მახარაძის რაიაღმასკომი . . . . . | 50ა } | — | — | — |
| 45. წითელწყაროს „ . . . . | 130ა } | — | — | — |
| 46. აბაშის „ . . . . | 50ა } | — | — | — |
| 47. „სახაროსბიტი“ . . . . . . . | 20 | — | — | — |
| 48. მათხოჯის მონასტერი . . . . . . | 25 | — | — | — |
| 49. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ტყეების სამმართველო—ხე-ტყის დახერხვისა და სამეურნეო საჭიროებისათვის . . . . . . . . | 8060 | — | 140 | — |
| 50. სამტრედიის რაიაღმასკომი—მეცხოველეობის მეურნეობისათვის . . | 100 | — | — | — |
| 51. საქსარეწტყეკავშირი – საწარმოო საჭიროებისათვის . . . . . . . | 2400 | 10540 | — | — |
| 52. სარეწაო კავშირი . . . . . . . | — | — | 60 | 40 |
| 53. სრ.-საქართველოს ინკოოპკავშირი . | — | — | 60 | 80 |
| 54. საქ. სსრ უმაღლესი საბჭო . . . . | — | — | 20 | — |
| 55. მეცნიერებათა აკადემია . . . . . . | — | — | 30 | 100 |
| 56. საქეთერზეთტრესტი . . . . . . | — | — | 40 | — |
| 57. თბილისის წისქვილკომბინატი . . . | — | — | 20 | — |
| 58. ქარელის რაიაღმასკომი--ბორნისათვის | — | — | 20 | — |
| 59. კოლხიდმშენი . . . . . . . . | — | — | 200 | — |
| 60. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი . | — | — | 20 | — |

| მომხმარებელთა დასახელება | გამოყოფილი ფონდის რაოდენობა კუბ. მეტრ. | | | |
|---|---|---|---|---|
| | წიწვიანი მრგვალი | ფოთლოვა-ნი მრგვალი | წიწვიანი დახერხილი მასალა | ფოთლოვანი დახერხილი მასალა |
| 61. „სოიუზზაგოტტრანსის“ საქგანყოფილება . . . . . . . . . . . | — | — | 20 | — |
| 62. ლაგოდეხის რაიაღმასკომი—მეთამბაქოობის მეურნეობათათვის . . | — | — | — | 400 |
| 63. სიღნაღის სამრეწველო კომბინატი . | — | — | — | 40 |
| 64. ფრონტელთა ოჯახების მოწყობის სამმართველო . . . . . . . . | — | — | — | 610 |
| 65. აგარის შაქრის ქარხანა . . . . . | 250 | — | — | — |
| 66. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭო . . . | — | — | 2000 | 1200 |
| 67. აჭარის ასსრ სახკომსაბჭო . . . . | — | — | 300 | — |
| 68. სამხრეთ-ოსეთის საოლქო აღმასკომი | — | — | — | 600 |
| 69. საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახ. კომისარიატი . . . . . . . | 60 | — | — | — |
| 70. პიონერბანაკები . . . . . . . | 65 | — | — | — |
| 71. საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი . | 940 | 2000 | 1000 | 750 |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 35635 | 13450 | 15625 | 8910 |

ა) ხე-ტყის გაცემა წარმოებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მითითებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ე

**იმ მრგვალი ხე-ტყის მასალის განაწილებისა, რომელსაც ამზადე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო, საქ. სსრ შირი**

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული |
|---|---|
| 1 | 2 |
| საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი | კბმ |
| საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ ჯანსახკომი | „ |
| აქედან: წალკის საავადმყოფო | „ |
| მთავარი საკუროროტო სამმართველო | „ |
| სპეცსამსანსამმართველო | „ |
| ფარქიმმრეწვი | „ |
| საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი | „ |
| აქედან: თბილხილბოსტანვაჭრობა | „ |
| თბილსაზკვებტრესტი | „ |
| საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატი | „ |
| აქედან: მცხეთის წყლის სადგური | „ |
| საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ ხორცრძემრეწვ. სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ მიწსახკომი | „ |
| აქედან: იპოდრომი | „ |
| კომბაინების რემონტი | „ |
| საქსოფლელექტრო | „ |
| მეფუტკრეობის კანტორა | „ |
| გორის მტს | „ |
| ლიმმანტრესტი | „ |
| საქ. სსრ წყალთა მეურნ. სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ საფეიქრო მრეწვ სახ. კომისარიატი | „ |
| საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ სახ. კომისარიატი | „ |
| შინსახკომის სპეცვაჭრობა | „ |
| შინსახკომის მე-5 შრომის კოლონია | „ |
| შინსახკომის ქუთაისის შრომის კოლონიის შენობათა რემონტისათვის | „ |
| შინსახკომის საბავშვო-საალმზრდელო კოლონიის საერთო საცხოვრებელთა რემონტისათვის | „ |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწვ. მთავარი სამმართველო | „ |

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 6/VI
№ 611 დადგენილების დანართი № 3

# გ მ ა

**ბენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი და საქსარეწტყეკავ- 1944 წლისათვის**

| ხე-ტყის ჩამბარებელთა დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო | | საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | | საქსარეწტყეკავშირი | | ს უ ლ | |
| წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| — | — | 2280 | — | — | 200 | 2280 | 200 |
| 450 | — | 550 | — | — | 300 | 1000 | 300 |
| 70 | — | — | — | — | 50 | 70 | 50 |
| 486 | — | 300 | — | — | — | 785 | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 185 | — | 140 | — | — | — | — | — |
| 20 | — | — | — | — | — | — | — |
| 40 | — | — | — | — | — | — | — |
| 200 | — | 260 | — | — | 160 | 460 | 160 |
| 200 | — | 200 | — | — | — | — | — |
| — | — | 60 | — | — | — | — | — |
| 620 **) | — | 500 | — | — | — | 1120 | — |
| 20 | — | — | — | — | — | — | — |
| 900 *) | | 1700 | — | — | — | 2600 | — |
| 1850 | — | — | — | — | — | 1850 | — |
| 100 | — | — | — | — | — | 100 | — |
| 60 | — | — | — | — | — | 60 | — |
| 940 | — | 40 | — | — | — | 980 | — |
| 340 | — | — | — | — | — | — | — |
| 30 | — | — | — | — | — | — | — |
| 450 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| 20 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | 40 | — | — | — | — | — |
| 210 **) | — | 500 | — | — | — | 710 | — |
| 80 | — | 400 | — | — | — | 480 | — |
| 250 | — | 200 | — | — | — | 450 | — |
| 20 | — | — | — | — | — | 20 | — |
| — | — | 50 | — | — | — | 50 | — |
| — | — | 80 | — | — | — | 80 | — |
| 500 | — | — | — | — | — | 500 | — |
| 300 | — | 400 | — | 300 | — | 1000 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული |
|---|---|
| 1 | 2 |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო | კბმ |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო | „ |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ხელოვნების საქმეთა სამმართველო | „ |
| აქედან: ზესტაფონის თეატრი . . . . . . . . . . . . | „ |
| ქუთაისის თეატრი . . . . . . . . . . . . . | „ |
| დანარჩენი საჭიროებანი . . . . . . . . . . . | „ |
| ქ. ქუთაისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა . . . . . . . . | „ |
| საქ. სსრ კომუნ. მეურნ. სახ. კომისარიატი . . . . . . . . . | „ |
| აქედან: გორის რაიალმასკომი . . . . . . . . . . . | „ |
| წყალტუბოს რაიალმასკომი . . . . . . . . | „ |
| ცაგერის რაიალმასკომი . . . . . . . . . . | „ |
| ქუთაისის საქალაქო საბჭო . . . . . . . . . . | „ |
| კასპის რაიალმასკომი . . . . . . . . . . . | „ |
| დანარჩენი საჭიროებანი . . . . . . . . . . . | „ |
| საქმომარაგების საპარკეტო ქარხანა . . . . . . . . . . | „ |
| საქკონსერვტრესტი . . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ც ე კ ა ვ შ ი რ ი . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ხ რ ა მ ჰ ე ს ი . . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ქარხანა № 31 . . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა . . . . . . . . . | „ |
| შრომითი რეზერვების სამმართველო . . . . . . . . . | „ |
| ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა . . . . . . . . . . . | „ |
| თბილისის საქალაქო საბჭო . . . . . . . . . . . . | „ |
| ს ა ქ მ ა ღ ა რ მ შ ე ნ ი . . . . . . . . . . . | „ |
| საქაბრეშუმტრესტი . . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ბაკურიანის მემხეცეობის საბჭოთა მეურნეობა . . . . . . . | „ |
| კუიბიშევის სახ. ქარხანა . . . . . . . . . . . . . | „ |
| რაიონული მრეწველობა . . . . . . . . . . . . . | „ |
| აქედან: წულუკიძის სამრეწვ. კომბ. . . . . . . . . | „ |
| გორის „ „ . . . . . . . . | „ |
| ხაშურის „ „ . . . . . . . . | „ |
| კასპის „ „ . . . . . . . . | „ |
| ქობულეთის „ „ . . . . . . . . | „ |
| წყალტუბოს „ „ . . . . . . . . | „ |
| დუშეთის „ „ . . . . . . . . | „ |
| კავშირგაბმულობის სახ. კომ. რწმ. სამმართვ. . . . . . . . | „ |
| სამტრედიის რაიალმასკომი . . . . . . . . . . . . | „ |
| ასპინძის „ . . . . . . . . . . . . | „ |
| ბორჯომის „ . . . . . . . . . . . . | „ |
| თეთრიწყაროს „ . . . . . . . . . . . . | „ |
| აგარის შაქრის ქარხანა . . . . . . . . . . . . . | „ |
| აბაშის რაიალმასკომი . . . . . . . . . . . . . | „ |
| მახარაძის „ . . . . . . . . . . . . | „ |
| წითელწყაროს „ . . . . . . . . . . . . | „ |
| „სახაროსბიტი“ „ . . . . . . . . . . . . | „ |
| ა/კ-ის მეტალურგიული ქარხ. . . . . . . . . . . . . | „ |

| ხე-ტყის ჩამბარებელთა დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო | | საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | | საქსარეწტყეკავშირი | | ს უ ლ | |
| წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 600 | — | 120 | — | — | — | 720 | — |
| 100 | — | — | — | — | — | 100 | — |
| 650 | — | — | — | — | — | 650 | — |
| 200 | — | — | — | — | — | — | — |
| 350 | — | — | — | — | — | — | — |
| 100 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | 200 | — | — | — | 200 | — |
| 350 | — | 1300 | — | — | — | 1650 | — |
| 50 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | 50 | — | — | — | — | — |
| — | — | 700 | — | — | — | — | — |
| — | — | 300 | — | — | — | — | — |
| 50 | — | — | — | — | — | — | — |
| 250 | — | 250 | — | — | — | — | — |
| 400 | — | — *** | — | — | — | 400 | — |
| 104 ****) | — | 250 ** | — | — | — | 354 | — |
| — | - | 100 | — | 100 | — | 200 | — |
| 12 | — | — | — | — | — | 12 | — |
| 132 | — | — | — | — | — | 132 | — |
| — | — | 70 | — | — | — | 70 | — |
| — | — | 127 | — | — | — | 127 | — |
| — | — | 73 | — | — | — | 73 | — |
| 700 | — | — | — | 200 | 100 | 900 | 100 |
| - | — | — | — | 700 | — | 700 | — |
| — | — | 50 | — | — | — | 50 | — |
| 20 | — | — | — | — | — | 20 | — |
| 550 | — | 250 | — | — | — | 800 | — |
| 180 | 100 | 700 | — | — | — | 880 | 100 |
| — | — | 550 | — | — | — | — | — |
| 80 | — | — | — | — | — | - | — |
| 60 | — | — | — | — | — | — | — |
| 40 | - | — | — | — | — | — | — |
| — | — | 100 | — | — | — | — | — |
| — | - | 50 | — | — | — | — | — |
| — | 100 | — | — | — | — | — | — |
| 700 | — | — | — | — | — | 700 | — |
| 100 | — | — | — | — | — | 100 | — |
| 50 | — | — | — | — | — | 50 | — |
| 100 | — | — | — | — | — | 100 | — |
| 50 | — | — | — | — | — | 50 | — |
| 250 | — | — | — | — | — | 250 | — |
| — | — | 50 ა) | — | — | — | 50 | — |
| 50ა | — | — | — | — | — | 50 | — |
| 130ა | — | — | — | — | — | 130 | — |
| 20 | — | — | — | — | — | 20 | — |
| 12 | — | — | — | — | — | 12 | — |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული |
|---|---|
| 1 | 2 |
| პიონერბანაკებს—საქ. სსრ სახკომსაბჭოს № 547 დადგენილ. . . . | კბმ |
| მათხოჯის მონასტერი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ტყეების სამმართველოს საწარმოო და სამეურნეო საჭიროებანი . . | „ |
| აქედან: სამეურნეო საჭიროებანი . . . . . . . . . . . . . . | „ |
| საქსარეწტყეკავშირი—საწარმოო საჭიროებანი . . . . . . . . . . | „ |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი . . . . . . . . . . . . . . . | „ |
| ს უ ლ . . . . . . . . . . . . . . . . . . | კბმ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ხე-ტყის ჩამბარებელთა დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველო | | საქ სსრ ადგილ. მრეწვ სახ. კომისარიატი | | საქსარეწტყეკავშირი | | ს უ ლ | |
| წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი | წიწვიანი | ფოთლოვანი |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 15 | — | 50 | — | — | — | 65 | — |
| — | — | 25 | — | — | — | 25 | — |
| 8060 | — | — | — | — | — | 8060 | — |
| 60 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | 2400 | 10540 | 2400 | 10540 |
| 940 | — | — | — | — | 2000 | 940 | 2000 |
| 21310 ბ) | 100 | 10625 | — | 3700 | 13350 | 35635 | 13450 |

*) აქედან: 700 კბმ საქართველოს ჩაის სახლის მშენებლობის დამთავრებისა და 150 კბმ თბილისის ქაღალდის ფაბრიკისათვის.

**) „ 200 კბმ საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლებისათვის.

***) „ 60 კბმ ადიგენის წყალთა უბნისათვის.

****) გორის საკონსერვო ქარხანას სპეცსაფუთავისათვის.

*****) 250 კბმ ლელვსახმობისათვის.

ა) იხარჯება საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მითითებით.

ბ) გარდა ამისა, საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველომ 1943 წლის გარდამავალი ნაშთებიდან უნდა ჩააბაროს ონის რაიაღმასკომს - 500 კბმ და ქუთაისის საქალაქო საბჭოს—100 კბმ შოჯის სატყეო მეურნეობის ზედა რიუმებზე ადგილობრივი საჭიროებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ

**წიწვიანი ჯიშის იმ დახერხილი ხე-ტყის მასალის განაწილებისა, ბული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამ- ლი მრეწველობა**

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული | ხე-ტყის ჩამბარე: საქ. სსრ სახკომსაბ-ჭოსთან არსებული ტყეების სამმართვ. | ხე-ტყის ჩამბარე: აფხაზეთის ადგ. მრეწვ. სახ. კომი-სარიატი | ხე-ტყის ჩამბარე: აჭარის ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატი | კბმ. | 140 | — | — |
| საქ. სსრ სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატი | „ | 70 | — | — |
| საქ. სსრ ჯანსახკომი . . . . . . . . . . . | „ | 275 | 180 | — |
| აქედან: მთავარი საკურ. სამმ. . . . . . . | „ | 140 | 100 | — |
| სპეცსამსანსამმართვ. . . . . . . | „ | 25 | — | — |
| ფარმქიმმრეწვი . . . . . . . | „ | 40 | — | — |
| საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარ. . . . . . . | „ | 65 | 200 | — |
| აქედან: კვებკომბინატი . . . . . . . . | „ | 25 | — | — |
| საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი . . | „ | 200** | — | — |
| საქ. სსრ განსახკომი . . . . . . . . . | „ | 40 | 600 | 200 |
| აქედან: საბავშვო ტექ. სადგური . . . . . | „ | 20 | — | — |
| მცხეთის წყლის სადგური . . . . . | „ | 20 | — | — |
| საქ. სსრ მიწსახკომი . . . . . . . . . . | „ | 200 | — | — |
| აქედან: კომბაინების რემონტი . . . . . . | „ | 30 | — | — |
| საქსოფლელექტრო . . . . . . . . | „ | 50 | — | — |
| სას.-სამეურნ. ინს-ტი . . . . . . . | „ | 60 | — | — |
| ლიმმანტრესტი . . . . . . . . . | „ | 60 | — | — |
| საქ. სსრ წყალთა მეურნ. სახ. კომისარიატი . . | „ | — | 200 | — |
| საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომ. . . . . . | „ | 100 | — | — |
| საქ. სსრ შინსახკომი—საბავშვო-საალმზრდელო კოლონიის საერთო საცხოვრებელთა რემონტი-სათვის . . . . . . . . . . . . . . . . | „ | 300 | 200 | — |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. სამშ. მასალ. მრეწვ. მთავ. სამმართ. . . . . . . . . . | „ | 150 | 200 | — |
| შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველო და გასამხედროებული საქალაქო სახანძრო რაზმი | „ | 35 | — | — |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფი-კაციის სამმართველო . . . . . . . . . | „ | 100 | 100 | — |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვ-ნების საქმეთა სამმარ. . . . . . . . . . | „ | 350 | 900*** | — |

# მ ა

**რომელსაც ამზადებენ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსე-
მართველო და საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის რაიონუ-
1944 წლისათვის**

| ბელთა დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამრეწველო კომბინატები | | | | | | | |
| ქუთაისის საქალაქო საბჭო | წყალტუბოს რაიალმასკომისა | ჩხარის რაიალმასკომისა | ამბროლაურის რაიალმასკომისა | ცაგერის რაიალმასკომისა | ბორჯომის რაიალმასკომისა | ახალციხის რაიალმასკომისა | ქარელის რაიალმასკომის ადგ. მრეწვ. განყ. | სულ |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 140 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 70 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 455 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | 100* | — | — | — | — | 365 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 200 |
| — | — | — | 300 | — | — | — | — | 1140 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 200 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 200 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 100 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 500 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 350 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 35 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 200 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 1250 |

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული | ხე-ტყის ჩამბარე: საქ. სსრ სახკომსაბ-ჭოსთან არსებული ტყეების სამმართვ. | ხე-ტყის ჩამბარე: აფხაზეთის ადგ. მრეწვ. სახ. კომი-სარიატი | ხე-ტყის ჩამბარე: აჭარის ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| აქედან: სოხუმის თეატრი . . . . . | კბმ. | — | 800 | — |
| ქუთაისის „ . . . . . . | „ | 200 | — | — |
| ზესტაფონის „ . . . . . . | „ | 100 | — | — |
| დანარჩენი საჭიროებ. . . . . . | „ | 50 | 100 | — |
| ადგილ. საჰაერო თავდაცვა—ბათუმი . . . . | „ | — | — | 200 |
| „ სოხუმი . . . | „ | — | 250 | — |
| „ ფოთი . . . . . | „ | — | 100 | — |
| საქ. სსრ კომუნ. მეურნეობის სახ. კომისარიატი | „ | 600 | 340 | 200 |
| აქედან: გორის რაიალმასკომი . . . . . . | „ | 60 | — | — |
| კასპის რაიალმასკომი . . . . | „ | 100 | — | — |
| თბილისის რაიალმასკომი . . . . | „ | 60 | — | — |
| ბერიას სახ. რაისაბჭო . . . . . | „ | 40 | — | — |
| ფოთის საქალაქო საბჭო . . . | „ | 60 | — | — |
| წულუკიძის რაიალმასკ. . . . . | „ | - | — | — |
| ზესტაფონის „ . . . . . | „ | 100 | — | — |
| ამბროლაურის „ . . . . . | „ | — | — | — |
| ცაგერის „ . . . . | „ | — | — | — |
| ქუთაისის საქალაქო საბჭ. . . . . | „ | — | 200 | — |
| ქარელის რაიალმასკომი . . . | „ | — | — | — |
| წითელწყაროს „ . . . . | „ | 40 | — | — |
| დანარჩენი საჭიროებანი . . . . . | „ | 140 | 140 | 200 |
| საპარკეტო ქარხანა . . . . . . . . . . . | „ | 60** | — | — |
| ცეკავშირი . . . . . . . . . . | „ | 140** | 760 | — |
| რაიონული მრეწველობა . . . . . . . | „ | 180 | 1100 | 600 |
| აქედან წულუკიძის სამრეწვ. კომბ. . „ | „ | — | — | — |
| ხაშურის „ . . . | „ | 60 | — | — |
| კასპის „ . . . | „ | 80 | — | — |
| სამტრედიის „ . . . | „ | — | — | — |
| აბაშის „ . . | „ | — | — | — |
| ლანჩხუთის „ . . . | „ | — | — | — |
| ქუთაისის რაიალმასკომის სამრეწველო კომბ. | „ | — | — | — |
| მახარაძის „ . . . | „ | 40 | — | — |
| ჩხოროწყუს „ . . . | „ | — | — | — |
| ქუთაისის საქალ. საბჭო „ . . . | „ | — | — | — |
| ამბროლაურის რაიალმ. „ . . . | „ | — | — | — |
| ცაგერის „ „ . . | „ | — | — | — |
| ბორჯომის „ „ . . . | „ | — | — | — |
| ახალციხის „ „ . . . . | „ | — | — | — |
| ქარელის „ „ . . | „ | — | — | — |
| აფხაზეთის ადგ. მრეწვ. სახ. კომისარ. სამრეწვ. კომბინ. . . . . . . . . . . . . | „ | — | 1100 | — |
| აჭარის „ . . . . . . . | „ | — | — | 600 |

| ბელთა დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამრეწველო კომბინატები | | | | | | | |
| ქუთაისის საქალაქო საბჭო | წულუკიძის რაიაღმასკომისა | ჩხარის რაიაღმასკომისა | ამბროლაურის რაიაღმასკომისა | ცაგერის რაიაღმასკომისა | ბორჯომის რაიაღმასკომისა | ახალციხის რაიაღმასკომისა | ქარელის რაიაღმასკომის ადგ. მრეწვ. განყ. | სულ |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | | | | | | | | |
| — | — | — | — | — | — | — | — | 200 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 250 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 100 |
| | | | | | | | | |
| — | 40 | — | 200 | 200 | — | — | 180 | 1760 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | 40 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | 200 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | 200 | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | 180 | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | | | | | | | | |
| — | — | — | — | — | — | — | — | 60 |
| — | — | — | 100* | — | — | — | — | 1000 |
| 300 | 260 | 60 | 200 | 100 | 180 | 120 | 20 | 3120 |
| — | 140 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | 30 | — | — | — | — | — | — | — |
| — | 30 | — | — | — | — | — | — | — |
| — | 30 | — | — | — | — | — | — | — |
| | | | | | | | | |
| — | 30 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | 60 | — | — | — | — | — | — |
| 300 | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | 200 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | 100 | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | 180 | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | 120 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | 20 | — |
| | | | | | | | | |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული | ხე-ტყის ჩამბარე | | |
|---|---|---|---|---|
| | | საქ. სსრ სახკომსაბ-ჭოსთან არსებული ტყეების სამმართვ. | აფხაზეთის ადგ. მრეწვ. სახ. კომი-სარიატი | აჭარის ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| სარეწაო კავშირი . . . . . . . . . . . . . . . | კბმ. | — | 60 | — |
| სრ.-საქართველოს ინკოოპკავშირი . . . . . . . | „ | — | 60 | — |
| უმაღლესი საბჭო . . . . . . . . . . . . . | „ | — | 20 | — |
| საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია . . . . . . . | „ | — | 30 | — |
| აქედან: ბოტანიკური ბაღი . . . . . . . . . . | „ | — | 20 | — |
| აბასთუმნის ობსერვატ. | „ | — | 10 | — |
| საქეთერზეთტრესტი . . . . . . . . . . . . . | „ | 40 | — | — |
| თბილისის წისქვილკომბინატი . . . . . . . . | „ | 20 | — | — |
| ქარელის რაიაღმასკომი —ბორნისათვის . . . | „ | 20 | — | — |
| მარქს-ენგელს-ლენინის ინს-ტი . . . . . . . . | „ | 20 | — | — |
| კოლხიდმშენი . . . . . . . . . . . . . . . | „ | — | 200 | — |
| „სოიუზზაგოტტრანსის" საქგანყ. . . . . . . . | „ | — | 20 | — |
| ტყეების სამმართველო—სამეურნეო საჭიროებანი | „ | 140 | — | — |
| აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭო . . . . . . . . | „ | — | 2000 | — |
| აჭარის ასსრ სახკომსაბჭო . . . . . . . . . | „ | — | — | 300 |
| საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი . . . . . . | „ | 700 | — | — |
| სულ საქართველოს სსრ-ში . . . | | 4115 | 7350 | 1500 |

| ბელთა დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | ქარელის რაიაღმასკომის ადგ. მრეწვ. განყ. | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამრეწველო კომბინატები | | | | | | | | |
| ქუთაისის საქალაქო საბჭო | წულუკიძის რაიაღმასკომისა | ჩხარის რაიაღმასკომისა | ამბროლაურის რაიაღმასკომისა | ცაგერის რაიაღმასკომისა | ბორჯომის რაიაღმასკომისა | ახალციხის რაიაღმასკომისა | | |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 60 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 60 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 20 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 30 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 40 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 20 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 20 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 20 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 200 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 20 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 140 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 2000 |
| — | — | — | — | — | — | — | — | 300 |
| — | — | — | 300 | — | — | — | — | 1000 |
| 300 | 300 | 60 | 1200 | 300 | 180 | 120 | 200 | 15625 |

*) 100 კბმ ცეკავშირსა და 100 კბმ თბილხილბოსტანვაჭრობას—ჩაბარება წარმოებულ უნდა იქნას ხარისთვალის ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან.

**) გარდა ამისა, საქმინწყლების ტრესტს 250 კბმ დახერხილი საყუთე მასალა და 100 ტონა ბურბუშელა ახალდაბის ქარხნიდან და კვების მრეწვ. სახ. კომისარიატს 900 კბმ დახერხილი მასალა ჯალაბეთის ქარხნიდან.

***) აქედან: სოხუმის თეატრს 350 კბმ მრგვალი ხე-ტყე.

****) გარდა ამისა, 150 კბმ დახერხილი საყუთე მასალა ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ ე გ

### ფოთლოვანი ჯიშის იმ დახერხილი მასალის განაწილებისა, რო
### კომისარიატის რაიონული მრეწ

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული | ხე-ტყის ჩამბარებელთა: აფხაზეთის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | ხე-ტყის ჩამბარებელთა: სამხრეთ-ოსეთის ადგ. მრეწვ. განყ. | ხე-ტყის ჩამბარებელთა: მაიაკოვსკის რაიალმასკომის სამრეწველო კომბინატი | ხე-ტყის ჩამბარებელთა: ფოთის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | კბმ. | — | — | — | — |
| 2. საქ. სსრ ავტოტრანსპ. სახ. კომისარიატი | „ | — | — | — | — |
| 3. საქ. სსრ სოცუზრუნველ. სახ. კომისარ. | „ | — | — | 5 | — |
| 4. საქ. სსრ ვაჭრობის სახ. კომისარიატი | „ | 30 | — | — | — |
| 5. საქ. სსრ განსახკომი | „ | — | — | — | — |
| 6. საქ. სსრ მიწსახკომი | „ | — | — | — | — |
| აქედან: კომბაინების რემონტი | „ | — | — | — | — |
| 7. საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებ. ხელოვნების საქმეთა სამმართველო | „ | 400 | — | — | — |
| აქედან: სოხუმის თეატრი | „ | 400 | — | — | — |
| 8. საქ. სსრ კომუნ. მეურნ. სახ. კომისარ. | „ | — | — | 130 | 235 |
| აქედან: ფოთის საქალაქო საბჭო | „ | — | — | — | 235 |
| მაიაკოვსკის რაიალმასკომი | „ | — | — | 130 | — |
| საჩხერის „ | „ | — | — | — | — |
| წალენჯიხის „ | „ | — | — | — | — |
| ხობის „ | „ | — | — | — | — |
| თელავის „ | „ | — | — | — | — |
| ჩხოროწყუს „ | „ | — | — | — | — |
| ზუგდიდის „ | „ | — | — | — | — |
| 9. საქკონსერვტრესტი | „ | — | — | — | — |
| 10. რაიონული მრეწველობა | „ | 700 | 575 | 50 | 150 |
| აქედან: აფხაზეთის ასსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | „ | 700 | — | — | — |
| სამხრეთ-ოსეთის ადგ. მრეწვ. განყოფილება | „ | — | 375 | — | — |
| მაიაკოვსკის სამრეწველო კომბინატი | „ | — | — | 50 | — |

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 6/VI
№ 611 დადგენილების დანართი № 5

# მ ა

**მელსაც ამზადებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწვ. სახ. ველობა 1944 წლისათვის**

| დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაგოდეხის რაიაღმასკ. სამრეწველო კომბინატი | საჩხერის რაიაღმასკ. სამრეწველო კომბინატი | წალენჯიხის რაიაღმასკ. სამრეწველო კომბინატი | ქიათურის რაიაღმასკ. სამრეწველო კომბინატი | ხობის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატი | თელავის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატი | ქუთაისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატი | ჩხოროწყუს რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატი | ზუგდიდის რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატი | ცხაკაიას რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატი | ს უ ლ |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 100 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 100 |
| — | — | — | — | — | 60 | — | — | — | — | 60* |
| 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 45 |
| — | — | — | — | — | 20 | — | — | — | — | 50 |
| 30 | — | — | — | — | 60 | — | — | 100 | — | 190 |
| 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 20* |
| 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 400 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | 65 | 370 | — | 230 | 130 | — | 120 | 300 | — | 1580 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | 65 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | 370 | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | 230 | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | 130 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | 120 | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 300 | — | — |
| 40 | — | — | — | — | 30 | — | — | — | — | 70 |
| 200 | 100 | 80 | 165 | — | 80 | 275 | 45 | 100 | 55 | 2575 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| ხე-ტყის მომხმარებელთა დასახელება | საზომი ერთეული | ხე-ტყის ჩამბარებელთა | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | აფხაზეთის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი | სამხრეთ-ოსეთის ადგ. მრეწვ. განყ. | მაიაკოვსკის რაიალმასკომის სამრეწვ. კომბინატი | ფოთის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| ფოთის სამრეწველო კომბინატი | კბმ | — | — | — | 150 |
| ლაგოდეხის " " | " | — | — | — | — |
| საჩხერის " " | " | — | — | — | — |
| წალენჯიხის " " | " | — | — | — | — |
| ჭიათურის " " | " | — | — | — | — |
| თელავის " " | " | — | — | — | — |
| ჩხოროწყუს " " | " | — | — | — | — |
| ზუგდიდის " " | " | — | — | — | — |
| ცხაკაიას " " | " | — | — | — | — |
| გორის " " | " | — | 100 | — | — |
| თბილისის საქ. საბჭოს ადგ. მრეწვ. განყ. | " | — | 100 | — | — |
| ქუთაისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატი | " | — | — | — | — |
| 11. სარეწაო კავშირი | " | — | — | — | — |
| 12. საქინკოოპკავშირი | " | — | — | — | — |
| 13. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია | " | — | — | — | — |
| 14. ლაგოდეხის რაიალმასკომი — მეთამბაქოობა-მეგერანეობის მეურნეობისა და სხვა საჭიროებისათვის | " | — | — | — | — |
| 15. სიღნაღის სამრეწველო კომბინატი | " | — | — | — | — |
| 16. ფრონტელთა ოჯახების მოწყობის სამმართველო | " | 170 | 100 | 50 | — |
| 17. აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭო | " | 1200 | — | — | — |
| 18. სამხრეთ-ოსეთის საქალაქო აღმასკომი | " | — | 600 | — | — |
| 19. საქ. სსრ სახკომსაბჭოს რეზერვი | " | 500 | 100 | — | — |
| სულ . . . . . . . . . . | | 3000 | 1375 | 235 | 385 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| დასახელება და ჩაბარების მოცულობა | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაგოდეხის რაიონმსკ. სამრეწველო კომბინატი | საჩხერის რაიონმსკ. სამრეწველო კომბინატი | წალენჯიხის რაიონმსკ. სამრეწველო კომბინატი | ქიათურის რაიონმსკ. სამრეწველო კომბინატი | ხობის რაიონმსკომის სამრეწველო კომბინატი | თელავის რაიონმსკომის სამრეწველო კომბინატი | ქუთაისის საქალაქო საბჭოს სამრეწველო კომბინატი | ჩხოროწყუს რაიონმსკომის სამრეწველო კომბინატი | ზუგდიდის რაიონმსკომის სამრეწველო კომბინატი | ცხაკაიას რაიონმსკომის სამრეწველო კომბინატი | სულ |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 200 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | 100 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | 80 | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | 165 | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | 80 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | 45 | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | 100 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | 55 | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | 275 | — | — | — | — |
| 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 40 |
| 80 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 80 |
| — | — | — | — | — | 100 | — | — | — | — | 100 |
| 400 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 400 |
| 40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 40 |
| 40 | — | — | — | 100 | 100 | — | — | 50 | — | 610 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1200 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 600 |
| 70 | — | — | — | — | 80 | — | — | — | — | 750 |
| 1100 | 165 | 450 | 165 | 330 | 660 | 275 | 165 | 650 | 55 | 8910 |

* გარდა ამისა, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის ჯალაბეთის ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან წიფლის დახერხილი მასალა საქ. სსრ მიწსახკომს—300 კუბ. მეტრი და საქ. სსრ ავტოტრანსპორტის სახ. კომისარიატს—300 კუბ. მეტრი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 612

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სარეწაო კავშირის შუამდგომლობა ნავთლუღში ნავთობის ამოღების ნებართვის მიცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის შუამდგომლობა და ნება დაერთოს მას მოაწყოს ნავთლუღში ნავთობიან ნაკვეთზე ნავთობის ამოღება თავისი ძალებითა და სახსრებით, რათა დააკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება სათბობზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 613

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებისათვის ანდეზიტის ქვისა და ფხვნილის გაგზავნის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1944 წლის 21 მაისს „ქიმიური მრეწველობის მჟავას გამძლე მასალებით უზრუნველყოფის შესახებ“ მიღებული № 581 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს უზრუნველჰყოს 1944 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში 1000 ტონა ანდეზიტის თლილი ქვისა და 1500 ტონა ანდეზიტის ფქვილის მიწოდება ყაზბეგის ანდეზიტის საწარმოდან ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნებისათვის.

2. დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს უზრუნველჰყოს 1944 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში 800 ტონა ანდეზიტის თლილი ქვის მიწოდება ბაკურიანის კარიერიდან ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნებისათვის.

3. დაევალოს ყაზბეგის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. შელიას ორი კვირის განმავლობაში დაუბრუნოს საქანდეზიტის საწარმოებს 40 მუშა, რომლებიც წინათ ანდეზიტის დამუშავებაზე მუშაობდნენ.

4. დაევალოს ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლურსმანიშვილს ორი კვირის განმავლობაში დაუბრუნოს წარმოებას 40 ქვის მთლელი, რომლებიც წინათ ანდეზიტის ამოღებაზე მუშაობდნენ ბაკურიანში.

5. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს

ამხ. გორდეზიანს მიიღოს ზომები და უზრუნველჰყოს „ზის-5“ მარკის 3 სატვირთო ავტომანქანის, აგრეთვე იმ მასალების დროულად მიღება, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 მაისის № 581 დადგენილებით არის გამოყოფილი ანდეზიტის კარიერებისათვის, და მიღებულ მასალიდან გადასცეს სარეწაო კავშირს:

| | |
|---|---|
| ინსტრუმენტალური და საბურღი ფოლადი | —0,5 ტონა |
| ბამბის ქსოვილი ლოგინის მოწყობილობისათვის | —300 მეტრი |
| ტყავის დაბალყელიანი წაღა | —50 წყვილი |
| ავტოსაბურავი „ზის-5“-სათვის | —5 კომპლექტი |
| ა მ ო ნ ი ტ ი | —3 ტონა |

6. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. გიორგაძეს გამოუყოს სარეწაო კავშირს ბაკურიანის ანდეზიტის ამოღებაზე დაბანდებული მუშებისათვის საკვები პროდუქტები იმ ნორმებით და იმავე წესით, რაც ეს დადგენილია ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ყაზბეგის ანდეზიტის საწარმოსათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 614

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე კრამიტის ქარხნების მშენებლობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს გეგმა 1944 წელს რაიონული მრეწველობის ხაზით სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე ხუთი ახალი კრამიტის ქარხნის მშენებლობისა შემდეგ პუნქტებში: ხარაგოულში (ორჯონიკიძის რაიონი), ზუგდიდში, ჩოხატაურში, ონში და ტყიბულის რაიონის სოფ. ახალსოფელში თითოეული 160,0 ათასი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით.

2. წინადადება მიეცეს ორჯონიკიძის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ტყიბულისა და ონის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს მიმდინარე წლის დამლევამდე ააშენონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული კრამიტის ქარხნები.

3. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად, ამა წლის 20 ივლისამდე შეამოწმოს თიხის მარაგი და ხარისხი კრამიტის ქარხნების მშენებლობის იმ ადგილებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ მისცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს თიხის შესწავლის გეოლოგიური და ტექნოლოგიური სამუშაოების შესასრულებლად 60,0 ათასი მანეთი იმ სახსრებიდან, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 16 მაისის № 493 დადგენილებით კრამიტის ქარხნების მშენებლობისათვის.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწ-

ველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს:

ა) ა/წ 1 აგვისტომდე შეადგინოს კრამიტის ქარხნების მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები და დაუგზავნოს იგი რაიონებს;

ბ) ა/წ 1 ოქტომბრამდე დაამზადოს თავისი სისტემის საწარმოებში 10 ხრახნული წნეხი კრამიტის დასამზადებლად ახალ ქარხნებში.

6. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ გადასცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს კრამიტის ქარხნების მშენებლობის ტიპიური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე ნახაზები და ტექნიკური პირობები ხრახნული წნეხების დასამზადებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 615

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1944 წლის მოსავლის კაკლის თესლის დამზადების გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან სპეციალური სახელმწიფო და საკოლმეურნეო სანერგეები კაკლის სათესი მასალით, დაწესდეს აპრობირებულ სადედე ხეებიდან 1944 წლის მოსავლის კაკლის დამზადების გეგმა 10 ტონის რაოდენობით შემდეგ რაიონებში:

| | | |
|---|---|---|
| თელავის რაიონში | . . . . 1 | ტონა |
| საგარეჯოს „ | . . 0,5 | „ |
| თეთრიწყაროს „ | . . 0,5 | „ |
| ქარელის „ | . . 0,5 | „ |
| ბორჯომის „ | . . 0,5 | „ |
| ლენინგორის „ | . . 1,0 | „ |
| სტალინირის „ | . . 1,5 | „ |
| ორჯონიკიძის „ | . . 1,0 | „ |
| გორის „ | . . 1,5 | „ |
| ქუთაისის „ | . . 0,5 | „ |
| საჩხერის „ | . . 1,0 | „ |
| ტყიბულის „ | . . 0,5 | „ |

2. კაკლის თესლის დამზადება დაევალოს „აგროლესსემის“ საქართველოს კანტორას.

3. დაევალოს ცეკავშირს (ამხ. ნარსიას) გამოჰყოს და დამზადების რაიონებში შეიტანოს კაკლის თესლის ჩამბარებლებისათვის მი-

სასყიდად 50 ათასი მანეთის საქონელი, აქედან 5 ათასი მანეთის სამეურნეო საპონი, 3 ათასი მანეთის მარილი, 10 ათასი მანეთის ნავთი, 2 ათასი მანეთის ასანთი, 27 ათასი მანეთის ტრიკოტაჟი, 3 ათასი მანეთის ნემსი, ქალის წინდები, კაცის წინდები და ძაფი. რაიონებში საქონლის შეტანა და მისი გაყიდვა აწარმოოს „აგროლესსემის" საქართველოს კანტორის განრიგებით.

4. დაწესდეს სათესლე კაკლის დასამზადებელი და გასაცემი ფასები შემდეგი რაოდენობით:

1 კგ კაკლის დასამზადებელი ფასი . . . . 5 მან.
1 კგ კაკლის გასაცემი ფასი . . . . . . 17 მან.

5. საქართველოს სსრ მიწსახკომმა თვალყური ადევნოს სათესლე კაკლის დამზადებას და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გაუკეთოს მოხსენება დამზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 616
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 1944 წლის ხარჯთაღრიცხვა 300 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 617

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ყაზბეგის საკურორტო სატყეო მეურნეობის მოწყობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ ყაზბეგის რაიონის შემადგენლობაში შეტანილია ახალი ტერიტორიები 16.700 ჰექტარამდე ტყეების ფართობით და იმის გამო, რომ საჭიროა ჩატარდეს ყაზბეგის რაიონში სერიოზული სატყეო-კულტურული ღონისძიებანი, დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მოაწყოს ყაზბეგის საკურორტო სატყეო მეურნეობა.

2. ყაზბეგის საკურორტო სატყეო მეურნეობის ტყეები მიეკუთვნოს პირველი ჯგუფის ტყეებს და მათში ტყის სარგებლობა დაწესდეს ტყის მოვლისა და სანიტარული ჭრის ჩატარების წესით, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 2 ივლისის № 969 დადგენილების შესაბამისად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს:

ა) 1944 წელს დააზუსტოს იმ ნაკვეთების საზღვრები და ფართობი, რომლებიც გატყევებულ უნდა იქნან ყაზბეგის რაიონში, და აგეგმოს ისინი;

ბ) გამოჰყოს სათანადო ნაკვეთები და გააშენოს ტყის სანერგეები ყაზბეგის რაიონში 1944 წელს 0,15 ჰექტარ ფართობზე და 1945 წელს — 0,35 ჰექტარ ფართობზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განსაზღვროს ის ფართობები, რომლებიც გატყევებულ უნდა იქნან 1945 წელს და შემდეგ წლებში, და შეადგინოს კალენდარული გეგმა;

დ) დაამზადოს 1944 წლის შემოდგომაზე ხის ჯიშების თესლი იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სანერგეების გასაშენებლად.

4. ყაზბეგის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შელიამ გამოუყოს ყაზბეგის საკურორტო სატყეო მეურნეობას სათანადო სადგომი კანტორისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 618

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტუნგოს ახალი ქარხნის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. კეცხოველის და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქ ოჩამჩირის ფარგლებში აშენდეს ტუნგოს ახალი ქარხანა და რომ ამ მშენებლობისათვის საქალაქო მიწებიდან გამოყოფილ იქნას 12 ჰექტარი მიწა შემდეგ საზღვრებში:

ა) სამხრეთ-აღმოსავლეთით—ოჩამჩირე—კვეზანის გზატკეცილი;

ბ) სამხრეთ-დასავლეთით—ქალაქის გრუნტის გზა;

გ) ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით—ქალაქის ფონდის ნაკვეთები, რომლებიც განაშენიანებული არ არის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 619
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მოსავლიანობის თანრიგებზე კოლმეურნეობათა მისაკუთვნებლად მარცვლეულ და ზეთოვან კულტურათა მომავალი მოსავლის შეფასების შესახებ**

იმ მიზნით, რომ სწორად და თავის დროზე იქნას გამორკვეული, თუ როგორი პირი უჩანს მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოსავალს და მიეკუთვნოს ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მოსავლიანობის თანრიგებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურსაზღაურის დასარიცხავად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თიანეთის, ბაშქიჩეთისა და წალკის რაიონებში მარცვლეული თავთავიანი კულტურების გვიან დამწიფების გამო, ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოარკვიონ, თუ როგორი პირი უჩანს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალს ამ რაიონებში 1944 წლის 1 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

ყველა დანარჩენ რაიონში იმის გამორკვევა, თუ როგორი პირი უჩანს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავალს, ჩაატარონ 1944 წლის 1 ივლისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

2. იმის გამორკვევა, თუ როგორი პირი უჩანს ფეტვისა და მზესუმზირას მოსავალს, ჩაატარონ 1944 წლის 15 აგვისტოსათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, ხოლო სიმინდისა და სოიას მოსავალს—1944 წლის 1 სექტემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

3. დაევალოს რაიმიწგანების გამგეებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებს და სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორებს შეუდგნენ მუშაობას იმის გამოსარკვევად, თუ როგორი პირი უჩანს მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოსავალს იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დაამთავრონ და მოსავლიანობის მასალები დასკვნისათვის წარუდგინონ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულებს:

ა) მარცვლეული თავთავიანი კულტურების შესახებ გვიან დამწიფების რაიონებში—არაუგვიანეს 1944 წლის 3 აგვისტოსი, ყველა დანარჩენ რაიონებში—არაუგვიანეს 3 ივლისისა;

ბ) ფეტვისა და მზისუმზირას შესახებ—არაუგვიანეს 1944 წლის 18 აგვისტოსი;

გ) სიმინდისა და სოიას შესახებ—არაუგვიანეს 1944 წლის 3 სექტემბრისა.

4. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონული რწმუნებულების განაცხადების თანახმად გაგზავნონ ამ უკანასკნელთა განკარგულებაში აგრონომები, რომლებიც მათთან ერთად გამოარკვევენ, თუ როგორი პირი უჩანს მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოსავალს.

5. საქართველოს სსრ მიწსახკომმა გამოჰყოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის განკარგულებაში საჭირო რაოდენობის აგრონომები მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის თანრიგებზე კოლმეურნეობათა მიკუთვნების პერიოდისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 620

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**თელავის რაიონის სოფელ მატანისა და ახმეტისათვის სამხედრო გადასახადის ოდენობის შემცირების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღინიშნოს, როგორც შეუწყნარებელი ფაქტი, რომ თელავის რაიაღმასკომმა თავისი 1943 წლის 15 ნოემბრის № 209 დადგენილებით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სანქციის გარეშე 50%-ით შეუმცირა სამხედრო გადასახადის განაკვეთი თელავის რაიონის სოფელ მატანსა და ახმეტაში მცხოვრებ კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს, რისთვისაც მითითება მიეცეს თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. უთიაშვილს.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინსახკომმა თვალყური არ ადევნა თელავის რაიონში სამხედრო გადასახადის განხორციელებას და თავის დროზე არ გამოაშკარავა თელავის რაიაღმასკომის მიერ დაშვებული შეცდომა.

წინადადება მიეცეს ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს სასტიკი სასჯელი დაადოს თელავის რაიონის ფინგანის გამგეს, რომელმაც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სანქციის გარეშე დაუშვა სამხედრო გადასახადის განაკვეთის შემცირება თელავის რაიონში.

3. იმის გამო, რომ თელავის რაიონის სოფელ მატანსა და ახმეტაში მცხოვრებ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა 1944 წლის სამხედრო გადასახადი გაწერილია და უკვე მთლიანად გადახდევინებულია, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს სამხედრო გადასახადის განაკვეთის გადიდება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 621

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## ღვინო-არყის პროდუქციის სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ დამზადებული ღვინო-არყის პროდუქციის შესაფასებლად.

2. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული მუდმივი სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 11 კაცის რაოდენობით.

დამტკიცდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული ღვინო-არყის პროდუქციის შემფასებელი სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის შემდეგი პერსონალური შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე—საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ზ. ნ. კეცხოველი.

**კომისიის წევრები:**

ამხ. ს. მ. ჩოლოყაშვილი—აკადემიკოსი

ამხ. ქ. ვ. მოდებაძე—პროფესორი

ამხ. ვ. ს. ბურჯანაძე—საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი მეღვინე

ამხ. გ. ი. მგალობლიშვილი—სამტრესტის მთავარი მეღვინე

ამხ. ს. ნ. ბელოუსოვი—მთავშამპანკომბინატის მთავარი შამპანისტი

ამხ. ე. გ. ფოფხაძე—მიწსახკომის მევენახეობის სამმართველოს უფროსი

ამხ. გ. დ. კანდელაკი—სამტრესტის წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე

ამხ. ე. ე. ჩაფიძე—ავჭალის შამპანური ქარხნის მთავარი შამპანისტი

ამხ. ი. ტ. რცხილაძე—საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი მევენახე

ამხ. გ. ი. ბერიძე—სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეღვინე.

3. დამტკიცდეს დებულება ღვინო-არყის პროდუქციის შემფასებელი სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის შესახებ (იხ. დანართი).

4. დაევალოს სამტრესტს (ამხ. აზარაშვილს) გადასცეს მუდმივ სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიას შენობა № 1-ა, რომელიც № 1 ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობს, და გაანთავისუფლოს იგი მობინადრეებისაგან.

5. დაეკისროს მუდმივ სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიას თვალყურის დევნება ღვინო-არყის ნაწარმის იმ ბიბლიოთეკის (კოლექციის) შევსებისა, მოვლისა და მდგომარეობისადმი, რომელიც სამტრესტის № 1 ღვინის ქარხანასთან არსებობს.

6. მუდმივი სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის მდივნის მოვალეობა დაეკისროს მეღვინეს, რომელიც ღვინო-არყის ნაწარმის ბიბლიოთეკას (კოლექციას) განაგებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

დამტკიცებულია საქ. სსრ სახკომსაბჭოს
1944 წლის 6/VI № 621 დადგენილებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დებულება

## ღვინო-არყის ნაწარმთა მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის შესახებ

1. ღვინო-არყის ნაწარმთა მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისია წარმოადგენს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გამომუშავებული ღვინო-არყის პროდუქციის სავალდებულო შემფასებელ ორგანოს.

2. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისია იმყოფება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატთან.

3. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისია შესდგება 11 წევრისაგან. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში შედიან მეღვინეობის სპეციალისტები და მის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭო.

4. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის მოწვევას ანხორციელებს კომისიის თავმჯდომარე ერთხელ მაინც კვარტალის განმავლობაში.

5. სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის მუშაობის ადგილად წესდება ქალ. თბილისი.

6. თავის მუშაობაში სადეგუსტაციო კომისია სარგებლობს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სადეგუსტაციო კომისიისათვის დადგენილი ჩაწერის წესებითა და ფორმებით.

7. ღვინო-არყის პროდუქციის შესაფასებლად ცალკეულ დავალებათა გატარებისათვის, მუდმივმა სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიამ უნდა გამოჰყოს თავის წევრთა შემადგენლობიდან 3 კაცი.

**შენიშვნა:** გამოყოფილ წევრთა დასკვნებს ცალკეულ დავალებათა შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარი და აცნობებს მუდმივ სადეგუსტაციო კომისიას.

8. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის მოვალეობაში შედის:

ა) დასავარგებლად შენახული ახალი ღვინო-არყის ნაწარმისა და დიდპარტიებად ბაზარზე გამოსაშვები ან რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გასაგზავნი მზა პროდუქციის შეფასება;

ბ) დეგუსტაციების ჩატარება მეღვინეობის მიმართულების დასაზუსტებლად მიკრო-რაიონებში და ახალი ტიპის ღვინოების გამოსავლინებლად;

გ) სამტრესტის № 1 ღვინის ქარხანასთან არსებული მეღვინე-

ობის მრეწველობის პროდუქციის რესპუბლიკური კოლექციის შევსება, მოვლა და მდგომარეობის მეთვალყურეობა;

დ) მეღვინეობის ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს სადეგუსტაციო კომისიების მუშაობის კონტროლი.

9. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის დადგენილებანი ძალაში შედიან იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მის წევრთა 50% მაინც.

10. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის დადგენილებანი საბოლოოდ ითვლებიან და მათი გაუქმება შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარს.

11. მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის მუშაობის დროს პროდუქციის შეფასება სწარმოებს იმ ნიმუშთა მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის ყოველი ერთგვარი პარტიის საშუალო ჭაშნიკს. ჭაშნიკების აღებას დეგუსტაციისათვის აწარმოებს აქტით ტექნოლოგი და ქარხნის ტექნიკურ-ქიმიური კონტროლის ლაბორატორიის გამგე მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის ან ღვინო-სპირტის ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

12. ტექნოლოგი (მთავარი მეღვინე), რომლის პროდუქციის დეგუსტაციაც ხდება, მონაწილეობას იღებს კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე.

13. ღვინოების შეფასებას კომისია აწარმოებს დახურულ დეგუსტაციებში 10-ნიშნიანი სისტემით, სადეგუსტაციო შეფასების წესებისა და სადეგუსტაციო ფურცლის ფორმის თანახმად.

14. ღვინის საერთო შეფასება გამოყვანილ უნდა იქნას როგორც საშუალო არითმეტიკული ნიშანი სადეგუსტაციო კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების ყველა ნიშნის ჯამიდან.

15. ზონარგაყრილი სადეგუსტაციო წიგნები ინახება მუდმივი სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის მდივანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 622

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## სოღანლუღ - წითელი ხიდის გზის საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ

შესაბამისად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 1 მარტის № 5275-ს დადგენილებისა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და წითელი არმიის ზურგის უფროსის 1944 წლის 9 მარტის № 046|054 ბრძანებისა „ბესლან—თბილის—ერევან—ჯულფისა და ბაქო—აქსტაფა—ყაზვინის გზების რეკონსტრუქციის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სოღანლუღ-წითელი ხიდის გზატკეცილი, რომლის მანძილი 47 კილომეტრს უდრის, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარ საგზაო სამმართველოს გამგებლობიდან გადაეცეს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს გადასცეს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს 36 ცალი მზა რკინა—ბეტონის მილი, რომელიც წინათ იყო შემოტანილი სოღანლუღ—წითელი ხიდის გზისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 623

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისათვის ბარიტის გამოზიდვის შესახებ**

სსრკ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ქუთაისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მაღლაფერიძეს და წულუკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ციბაძეს გამოზიდონ 1944 წლის 15 ივნისიდან 1 დეკემბრამდე კოლმეურნეობათა ჭაპანზიდვის ტრანსპორტით თანაბარ პარტიებად ბარიტის კარიერიდან სათანადო გზატკეცილებზე 4.500 ტონა ბარიტი, აქედან ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობათა ჭაპანზიდვის ტრანსპორტით ჟონეთის, წიფლარისა და წვენათის ბარიტის კარიერებიდან 4.000 ტონა და წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობათა ჭაპანზიდვის ტრანსპორტით ღვედის ბარიტის კარიერიდან — 500 ტონა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 624

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ადიგენის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის თბილისის რაიონის სოფ. დილომში გადატანის შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ ადიგენის მანქანა ტრაქტორთა სადგურის პარკი, ტრაქტორებით მოსახნავად ვარგისი მიწების სიმცირის გამო, საკმაოდ არ არის დატვირთული და იმ კოლმეურნეობათა მუშაპირუტყვი, რომლებსაც მომსახურებას უწევს ეს მანქანა-ტრაქტორთა სადგური, სავსებით უზრუნველჰყოფს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად ჩატარებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 17 აპრილის ნებართვის შესაბამისად, ადიგენის მანქანა - ტრაქტორთა სადგური ადიგენის რაიონიდან გადმოტანილ იქნას თბილისის რაიონის სოფელ დილომში და ამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ამიერიდან ეწოდოს „დილმის მანქანა-ტრაქტორთა სადგური".

2. გადაეცეს დილმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს საერთო საცხოვრებლად 13 ოთახი ორსართულიან საცხოვრებელ სახლიდან და ერთი სადგომი კანტორისათვის საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო ნაწილის დამხმარე მეურნეობიდან.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს შეიტანოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კაპიტალური მშენებლობის 1944 წლის გეგმაში დილმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სახელოსნოს, ნავთის ბაზის, ფარდულის მშენებლობა, მისი კანტორისა და საერთო საცხოვრებლის რემონტი.

4. წინადადება მიეცეს ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მისცენ საქართველოს სსრ მიწსახკომს დილმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურისათვის შემდეგი მასალები:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო

მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსმა ამხ. ბუაჩიძემ: 100 ათასი ცალი სამშენებლო აგური, აქედან მიმდინარე წლის ივნისში—30 ათასი ცალი, ორგანიზაციათა მიერ ა/წ II კვარტალის გეგმით გაუტანელი აგურის ხარჯზე, და 80 ტონა კირი;

ბ) „გლავმეტალოსბიტის“ თბილისის კანტორის მმართველმა ამხ. მემარნიშვილმა—0,5 ტონა სატრანსფორმატორო რკინა;

გ) ტრესტ საქმომარაგების მმართველმა ამხ. კვანტალიანმა:

| | | |
|---|---|---|
| თეთრა | 0,2 | ტონა |
| სელის ზეთი | 0,4 | „ |
| ცემენტი | 10,0 | „ |

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ა/წ III კვარტალისათვის აგურისა და კრამიტის განაწილების დროს გაითვალისწინოს დილმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მოთხოვნილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 6 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 625

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქმინწყლების ტრესტის ბორჯომის შუშეულობისა და ჩამომსხმელი ქარხნების მუშაობის შესახებ**

ბორჯომის შუშეულობისა და ჩამომსხმელი ქარხნების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს), საქმინწყლების ტრესტს (ამხ. გაგოშიძეს) და ბორჯომისა და ავჭალის შუშეულობის ქარხნების დირექტორებს (ამხ. ჯაფარიძესა და დოქსოპულოს) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რათა განახორციელონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 6 აპრილის № 7618 განკარგულება 1944 წელს ქარხნების რეკონსტრუქციისათვის 1400 ათასი მანეთისა და აქედან ბორჯომის ქარხნისათვის 1000 ათასი მანეთისა და ავჭალის ქარხნისათვის 400 ათასი მანეთის ათვისების შესახებ.

2. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. კეცხოველს) და საქმინწყლების ტრესტს (ამხ. გაგოშიძეს):

ა) მიმდინარე წლის დამლევამდე დადგან ბორჯომის შუშეულობის ქარხანაში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ ქუთაისის შუშეულობის ქარხნიდან გამოყოფილი 250 ცხენის ძალის სიმძლავრის დიზელი გენერატორით და, ამასთან ერთად, შეაკეთონ ქარხანაში არსებული ძრავი მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე;

ბ) ქარხნის მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 15 დღის განმავლობაში მოაწყონ ყველა საამქროში ტექნიკური წრეები და უზრუნველჰყონ მუშათა მაქსიმალური ჩაბმა ამ წრეებში.

მოამზადონ ქარხნების მუშათა რიცხვიდან 20 ზეინკალი, მონტიორი და სხვ.;

გ) გამოსაშვები პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით, აღადგინონ 1945 წელს მცირე ღუმელის მუშაობა და გამოიყენონ იგი ფართო მომხმარების ნაწარმის გამომუშავებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ქვემოდასახელებულ სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს გამოუყონ საქმინწყლების ტრესტს ბორჯომის შუშეულობისა და ჩამომსხმელი ქარხნების საჭიროებისათვის:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს (ამხ. ბუაჩიძეს)—300 ათასი ცალი აგური (1944 წლის II, III და IV კვარტალებში თანაბარ პარტიებად), 100 ტონა კირი და 120 ტონა ცეცხლგამძლე აგური;

ბ) ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ბერიშვილს)—900 კილოგრამი ამონიაკი მიმდინარე წლის II კვარტალის განმავლობაში და III კვარტალის დამდეგს;

გ) სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში (ამხ. კვირკველიას)—ყოველთვიურად ორ-ორი ტონა ფქვილის ნახვეტ-ნარჩენი საქმინწყლების ტრესტის შუშეულობის ქარხნების ტექნოლოგიური საჭიროებისათვის;

დ) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. რობაქიძეს)—30 კილოგრამი სამანქეტე ტყავი.

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ (ამხ. ალავიძემ) აგურის განაწილების დროს გაითვალისწინოს ავჭალის შუშეულობის ქარხნის მოთხოვნილება მიმდინარე წლის III და IV კვარტალებში 150 ათასი ცალის რაოდენობით თვითეულ კვარტალში და კრამიტის განაწილების დროს—ბორჯომისა და ავჭალის შუშეულობის ქარხნების მოთხოვნილება 50 ათასი ცალის რაოდენობით, აგრეთვე გამოჰყოს 10 ტონა კოქსი ბორჯომის შუშეულობისა და ჩამომსხმელი ქარხნების საჭიროებისათვის ტყვარჩელის კოქსის ქარხნის გამომუშავებიდან.

5. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომს (ამხ. ლურსმანიშვილს) 1944 წლის 15 ივნისამდე გამოუყოს საქმინწყლების ტრესტის ქარხნების დამხმარე მეურნეობას საძოვრები და სათიბები პირუტყვის არსებული სულადობის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 8 ივნისი.

# დადგენილება № 626

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

### გურჯაანის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობათა საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების მუშაობის პრაქტიკის შესახებ

გურჯაანის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობათა სავაჭრო წერტების მუშაობის შემოწმებით გამოირკვა, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობაში ადგილი აქვს მთელ რიგ არსებითს ნაკლოვანებებსა და ბოროტმოქმედებებს. ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა სავაჭრო წერტების რაოდენობა ქალ. თბილისში: მარტო თბილისის რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ 25 სავაჭრო, ხოლო გურჯაანის კოლმეურნეობებს—41 სავაჭრო წერტი; ამასთან, ბევრი მათგანი დატვირთული არ არის.

სავაჭრო წერტების მეტ ნაწილში გამგეებად და გამყიდველებად მუშაობენ კოლმეურნეობათა არა წევრები, ხოლო ცალკეულ წერტებში—ყოფილი ვაჭრები, სპეკულანტები და თვით მსჯავრდებულებიც კი (სოფ. გურჯაანის რაიონის კარდანახის სტალინის სახ. კოლმეურნეობა და სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთანი", საგარეჯოს რაიონის სოფ. სართიჭალის ტელმანის სახ. კოლმეურნეობა, თბილისის რაიონის სოფ. დიღმის ლენინის სახ. კოლმეურნეობა და სხვ.).

ადგილი აქვს შრომადღეებისა და კოლმეურნეობათა სახსრების განიავებას სავაჭრო წერტების მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად. ცალკეული კოლმეურნეობები გამყიდველებს თვეში 25 შრომადღეს უწერენ და ფულად 300-დან 500 მანეთამდე აძლევენ სავაჭრო წერტების მუშაობის მოცულობის გაუთვალისწინებლად.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ვადაწყვეტილებით დადგენილი წესი ზედნადებთა გამოწერისა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დადგენა ხდებოდეს კოლმეურნეობის თავმჯდო-

მარისა და მოანგარიშის ხელმოწერით, ირღვევა, ზედნადებს ხშირად აფორმებენ თვით ქალაქში სავაჭრო წერტების მუშაკები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის დღეს.

სავაჭრო წერტების მეტი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციით ანალებ თანხას არ აბარებს სახელმწიფო ბანკს. ათეულობითა და ასეულობით ათას მანეთებს ისინი აბარებენ საკოლმეურნეო სალაროს. მიღებული სახსრებით სავაჭრო წერტების მუშაკები ხშირად ყიდულობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ასაღებენ მათ გადიდებულ ფასებში სავაჭრო წერტების საშუალებით (გურჯაანის რაიონის სოფ. კოლაგის სტალინის სახ. კოლმეურნეობა, სოფ. კარდანახის ლენინის სახ. კოლმეურნეობა, სოფ. ველისციხის ბერიას სახ. კოლმეურნეობა და სხვ.).

არსებობს ისეთი დაუშვებელი პრაქტიკა, როდესაც ღვინოსპირტის ინსპექციის გარდა ღვინის ჭაშნიკები ანალიზისათვის მიაქვთ სხვა ორგანიზაციების (საქალაქო სავაჭრო განყოფილება, ჯანგანყოფილება, მთავარი სავაჭრო ინსპექცია და სხვ.) ინსპექტორებს, რის შედეგადაც ხდება ღვინის განიავება.

აღრიცხვა და ანგარიშწარმოება კოლმეურნეობებში სტაციონარული სავაჭრო წერტების საქმიანობის შესახებ დაყენებულია სრულიად არადამაკმაყოფილებლად; კოლმეურნეობის არც ერთ გამგეობას არ განუხილავს საკითხი 1943 წელს სავაჭრო წერტების მუშაობის შესახებ, მაშინ როდესაც ცალკეულ სავაჭრო წერტებს აქვთ 7—8 მილიონი მანეთის საქონელბრუნვა. სავაჭრო წერტების ბევრ მუშაკზე ირიცხება დიდი დავალიანება. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სავაჭრო წერტის მუშაკებზე ირიცხება 33000 მანეთი და სოფ. კოტეხის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის სავაჭრო წერტის გამგეზე — 69299 მანეთი.

ბევრი სავაჭრო წერტი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, მაღაზიებს რემონტი არ უკეთდება. სავაჭრო წერტების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხი, ბაზრის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან შედარებით, დაბალია.

რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებანი სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და კონტროლს არ უწევენ სავაჭრო წერტების საქმიანობას, არ არის შემოღებული პრაქტიკაში უეცარი რევიზიების ჩატარება. არადამაკმაყოფილებლად ანხორციელებს საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების ხელმძღვანელობასა და დახმარებას საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საკოლმეურნეო ვაჭრობის სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეს გურჯაანის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს მიიღონ საჭირო ზომები სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების მუშაობაში, კერძოდ:

ა) დაავალონ კოლმეურნეობათა გამგეობებს გაანთავისუფლონ სავაჭრო წერტებში მუშაობისაგან კოლმეურნეობის ყველა არა წევრი, ყოფილი ვაჭრები და სპეკულანტები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან. შეარჩიონ სავაჭრო წერტების მუშაკები შემოწმებულ და პატიოსან კოლმეურნეთა რიცხვიდან;

ბ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად გადასინჯონ და შეამცირონ საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების ქსელი. მიიღონ საჭირო ზომები საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების სადგომთა რემონტისა და მოწყობისათვის;

გ) უზრუნველჰყონ დადგენილი წესის მტკიცედ შესრულება, რომ კოლმეურნეობათა მიერ ზედნადების გამოწერა ხდება კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და მოანგარიშის ხელმოწერით და სარეალიზაციო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების განსაზღვრით;

დ) გამოავლინონ და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ კოლმეურნეობათა ის ხელმძღვანელები და საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების მუშაკები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაყიდვას ეწევიან;

ე) დაუწესონ შრომის საზღაური სავაჭრო წერტების გამგეებსა და გამყიდველებს საქონელბრუნვის მოცულობის შესაბამისად;

ვ) უზრუნველჰყონ საუკეთესო ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიზიდვა სავაჭრო წერტებში და მოაწყონ მათი დროული რეალიზაცია;

ზ) განიხილონ საკითხი კოლმეურნეობებში აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების დაყენებისა და სტაციონარული სავაჭრო წერტების საქმიანობის შესახებ, უზრუნველჰყონ პერიოდული რევიზიების ჩატარება კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებისა და რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებების საშუალებით და მოახდინონ სრული ლიკვიდაცია სადებიტორო დავალიანებისა, რაც სავაჭრო წერტების მუშაკებზე ითვლება;

თ) დაავალონ რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს თვალყური ადევნონ საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების მუშაობას და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შემოიღოს ღვინის ჭაშნიკისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნიმუშების საანალიზოდ აღების წესი და არ დაუშვას ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი და იგივე ანალიზისათვის ჭაშნიკს იღებენ რამდენიმე ორგანიზაციის ინსპექტორები;

ბ) გააძლიეროს კონტროლი და საჭირო დახმარება აღმოუჩინოს საკოლმეურნეო სავაჭრო წერტებს საკოლმეურნეო ვაჭრობის საუკეთესო ორგანიზაციის საქმეში.

3. დაევალოს სავაჭრო განყოფილებას—ამხ. ლოლიძეს გადასინჯოს, თუ როგორაა განლაგებული სტაციონარული საკოლმეურნეო სავაჭრო წერტები და ახლად ორგანიზებული სავაჭრო წერტები მოათავსოს ძირითადად ქალაქის განაპირა რაიონებში.

4. ეს დადგენილება დაეგზავნოს ყველა რაიაღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ყველა რაიკომს. დაევალოს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და რაიკომების მდივნებს ერთი თვის განმავლობაში შეამოწმონ საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების მუშაობის მდგომარეობა და გაატარონ ღონისძიებანი მათი მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 5 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 627

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

## საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა (უწყებებისა) და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკუმების პირველი და მეორე კურსის სტუდენტების 15-დღიანი საბანაკო შეკრებების ჩატარების შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1942 წლის 24 ოქტომბერს დამტკიცებული „დებულებისა სამოქალაქო სასწავლებელთა მოსწავლეების დაწყებითი და საწვევამდელო სამხედრო მომზადების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, თბილისისა და ქუთაისის საავიაციო ტექნიკუმების დირექტორებს, თბილისის ტოპოგრაფიული, თბილისის სამშენებლო და თბილისის ნავთის ტექნიკუმების დირექტორებს და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს:

ა) მიმდინარე წლის 10 ივლისიდან 15 აგვისტომდე ჩაატარონ ტექნიკუმების პირველი და მეორე კურსის ახალგაზრდა სტუდენტთა 15-დღიანი საბანაკო შეკრებები; შეკრებებში ჩააბან ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ პირველ ჯგუფზე მიკუთვნებული სტუდენტები;

ბ) პერსონალური პასუხისმგებლობა საბანაკო შეკრებების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ იმ სახალხო კომისარიატებს (უწყებებს), რომელთა გამგებლობაშიაც ტექნიკუმები იმყოფებიან, ტექნიკუმების დირექტორებსა და საქ. სსრ სამხედრო კომისარიატს;

გ) უზრუნველჰყონ საბანაკო შეკრებები სამეთაურო-სამასწავლებლო შემადგენლობით, სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით, სასწავლო-საბრძოლო იარაღითა და საბრძოლო მასალებით, აგრეთვე სადგომებით, საჭირო სამეურნეო ინვენტარითა და საკვები ბლოკების მოწყობილობით.

საბანაკო შეკრებების დაფინანსებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სახალხო კომისარიატები (უწყებები), ტექნიკუმების დირექტორები და ეს თანხები იხარჯება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის მითითებით.

2. დამტკიცდეს ტექნიკუმების სტუდენტთა კონტინგენტი, რომელმაც უნდა გაიაროს საბანაკო შეკრებები, და საბანაკო პუნქტების დისლოკაცია საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში (იხ. დანართი).

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს საჭირო დახმარება აღმოუჩინონ და ხელი შეუწყონ სახალხო კომისარიატებს (უწყებებს), ტექნიკუმების დირექტორებსა და საქალაქო და რაიონულ სამხედრო კომისარიატებს ტექნიკუმების სტუდენტთა საბანაკო შეკრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. გიორგაძეს) გადარიცხოს ტექნიკუმების სტუდენტთა საბანაკო შეკრებების საჭიროებათათვის საქართველოს სსრ განსახკომის სასკოლო ბანაკების სამეთაურო-მომსახურე შემადგენლობის შესანახად გათვალიწინებული 1500 ულუფა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანსახკომს (ამხ. ხელიძეს) უზრუნველჰყოს ტექნიკუმების ბანაკები სამედიცინო-სანიტარული მომსახურებით.

6. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გამოჰყონ პარტიული აქტივის რიცხვიდან მუშაკები ბანაკთა უფროსების მოადგილეებად პოლიტიკურ დარგში და უზრუნველჰყონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სასწავლო-საბანაკო შეკრებების მონაწილეთა შორის.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 5 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 5/VI № 627 დად-
გენილების დანართი

| ქალაქებისა და რაიონების დასახელება | ტექნიკუმების დასახელება | ტექნიკუმების პირველი და მეორე კურსების იმ ახალგაზრდა სტუდენტ-თა რაოდენობა, რომ-ლებმაც უნდა გაიარონ 15-დღიანი საბანაკო შეკრებები |
|---|---|---|
| 1. ქალ. თბილისი | საავიაციო ტექნიკუმი | 350 |
| „ | ტოპოგრაფიული „ | 50 |
| „ | ნავთის „ | 50 |
| „ | სამშენებლო „ | 180 |
| „ | ელექტრო-კავშირგაბმულობის ტექნიკუმი (სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატის რწმუნებული) . . . . | 50 |
| „ | რკინიგზის ტექნიკუმი (ა/კ რკინიგზის სამმართველო) . . . . . . . . | 270 |
| 2. ქალ. ბათუმი | რკინიგზის ტექნიკუმი (ა/კ რკინიგზის სამმართველო) . . . . . . | 200 |
| „ | საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ტექნიკუმები . | 100 |
| 3. ქალ. სოხუმი | საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის ინდუსტრიული ტექნიკუმი . | 100 |
| 4. ქალ. ქუთაისი | საავიაციო ტექნიკუმი . . | 150 |
| | ს უ ლ . . . | 1500 კაცი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 628

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**წალკის რაიონის გერმანელთა ყოფილი კოლმეურნეობის (როზენბერგის) მიწების სხვა კოლმეურნეობებისა და ხრამჰესმშენისათვის გადაცემის შესახებ**

(მშრომელთა დეპუტატების წალკის რაიონის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება).

რადგან წალკის რაიონის გერმანელთა ყოფილ კოლმეურნეობაში (როზენბერგი), ხოლო ამჟამად სოფელ მოლოტოვის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში სხვა კოლმეურნეობებიდან გადმოსახლებულ კოლმეურნეთა 72 მეურნეობას არ ძალუძს სავსებით აითვისოს საკოლმეურნეო მიწა—3491 ჰექტარი სახნავი და 10 ჰექტარი ხეხილის ბაღი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დადასტურდეს მშრომელთა დეპუტატების წალკის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან გადაეცეს წალკის რაიონის კოლმეურნეობებს:

| | | |
|---|---|---|
| სოფ. ედი-კილისის კალინინის სახ. კოლმეურნეობას | 125 | ჰექტარი სათიბი |
| „ ტიაკ-კილისის სტალინის „ „ | 75 | „ |
| „ ნეონ-ხარაბის კოლმეურნეობა „სპარტაკს“ | 75 | „ |
| „ ხადიკის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობას | 75 | „ |

და ხრამჰესმშენს—250 ჰექტარი სახნავი მიწა, 300 ჰექტარი სათიბი და 10 ჰექტარი ხეხილის ბაღი, აგრეთვე სოფლად არსებული 112 თავისუფალი საცხოვრებელი სახლი. მიეყიდოს საკოლმეურნეო ფასებში ხრამჰესმშენს 30 ძროხა და 250 სული წვრილფეხა რქიანი პირუტყვი.

2. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნება დაგვრთოს წალკის რაიონის გერმანელთა ყოფილ კოლმეურნეობაზე მიმაგრებული მიწები გადავცეთ ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებსა და ხრამჰესმშენს.

საქართველოს სსრ<br>სახალხო კომისართა საბჭოს<br>თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 5 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 629

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

## საქართველოს სსრ-ში უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადების შესახებ

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 13 აპრილის № 413 დადგენილებისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შემოღებულ იქნას 1944 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ახალი „დებულების“ შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს, მიწსახკომსა და ჯანსახკომს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს, თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის, რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინერო ინსტიტუტისა და ლენინგრადის კავშირგაბმულობის საინჟინერო ინსტიტუტის დირექტორებს და საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს:

ა) 15 ივნისამდე ჩაატარონ უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო და ფიზიკური მომზადების მასწავლებელთა მთელი კადრის (კათედრის გამგეების, სამხედრო და ფიზკულტურული მომზადების უფროსი მასწავლებლებისა და სხვ.) ხელახალი ატესტაცია;

ბ) წარუდგინონ უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტს და თავდაცვის სახალხო კომისარიატს განაცხადები სათანადო სპეციალისტების გამოყოფაზე უმაღლეს სასწავლებელთა სამხედრო კათედრების დაკომპლექტებისათვის;

გ) გამოჰყონ და მოაწყონ სპეციალური სადგომები სამხედრო კაბინეტებისათვის, იარაღისა და სხვა სამხედრო ქონების საწყობებისათვის, მოაწყონ სატანვარჯიშო დარბაზები, ტირები, სასპორტო მოედნები, სატანვარჯიშო მოედნები და სხვ.;

დ) ჯეროვან მდგომარეობაში მოიყვანონ სასწავლო-თვალსაჩი-

ნო სახელმძღვანელოები, სამხედრო და ფიზკულტურულ-სასპორტო ქონება და მიიღონ საჭირო ზომები სამხედრო კაბინეტების შესავსებად დანაკლისი თვალსაჩინო სახელმძღვანელოებითა და ფიზკულტურულ-სასპორტო ინვენტარით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს (ამხ. ციმაკურიძეს) გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებში საჭირო ასიგნობანი უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადების ჩასატარებლად, თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადების შესახებ“.

4. შეიქმნას საქართველოს სსრ განსახკომთან უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადების განყოფილება და შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ ჯანსახკომსა და განსახკომში სტუდენტების სამხედრო მომზდების ინსპექტორების თანამდებობანი.

ეთხოვოს სახელმწიფო საშტატო კომისიას დაამტკიცოს საქართველოს სსრ განსახკომის სტუდენტთა სამხედრო მომზადების განყოფილების შტატი 5 ერთეულის რაოდენობით და აგრეთვე საქ. სსრ ჯანსახკომის სამი ინსპექტორისა და მიწსახკომის ერთი ინსპექტორის შტატი.

5. დაევალოს ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებასა და სამხედრო განყოფილებას, საქართველოს სსრ განსახკომთან და სამხედრო კომისარიატთან ერთად, მოიწვიონ მიმდინარე წლის ივლისის მეორე ნახევარში უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორების თათბირი—ახალი სასწავლო პროგრამებით უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 5 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 630

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1944 წელს საქარხნო და კომუნალური ელექტროსადგურების კაპიტალური რემონტის ჩატარების, სათადარიგო ნაწილების დამზადებისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს კომისიას ამხ. ბუკიას (თავმჯდომარე), ფრანგულიანის (საქ. სსრ სახკომსაბჭო), მხეიძის (საქენერგო), ჯავახიშვილის (სახელმწიფო საგეგმო კომისია), თევოსიანის (საქსოფლელექტრო), მესხის (კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი) და ტიმოფეევის (ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი) შემადგენლობით ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 23 მაისის № 5949 დადგენილების შესაბამისად, 1944 წელს საქარხნო და კომუნალური ელექტროსადგურების კაპიტალური რემონტის, სათადარიგო ნაწილების დამზადებისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 631

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ ფინსახკომის ბარათი ტრესტ თბილმომარაგების 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ფინსახკომის ბარათი ტრესტ თბილმომარაგების 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც განიხილოს იგი და მიიღოს ზომები ტრესტის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს განიხილოს აღმასკომის სხდომაზე თბილმომარაგების მდგომარეობა, ჩაატაროს დოკუმენტალური რევიზია, გამოავლინოს დამნაშავენი, რომელთაც დაუშვეს ზარალი, სახელმწიფო სახსრების განიავება და დატაცება და მიაღწიოს მათს ნამდვილად დასჯას სასამართლოს წესით.

2. ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საფინანსო გეგმით გათვალისწინებული 230 ათასი მანეთის გარდა, მისცეს დამატებით ტრესტ თბილმომარაგებას საბრუნავი სახსრების შესავსებად 500 ათასი მანეთი თბილისის საბჭოს აღმასკომის 1944 წლის ბიუჯეტის ხარჯზე.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო ალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს ა. წ. 15 აგვისტოსათვის წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს ანგარიში ტრესტ თბილმომარაგების მუშაობის გასაჯანსაღებლად მიღებული ზომების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 632

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო თევზსამეურნეო სადგურის სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ**

სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის თხოვნის გამო, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას გადასცეს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატს ბათუმის სამეცნიერო თევზსამეურნეო სადგური მთელი ქონებითა და მოწყობილობით 1944 წლის 1 ივნისისათვის არსებული ბალანსის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 9 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 634
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საფინანსო განყოფილების გამგის ამხ. მ. მ. ჩოდრიშვილის განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. მარიამ მიხეილის-ასული ჩოდრიშვილი მის თანამდებობისაგან, მოსკოვს სამუშაოდ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

2. მიეცეს ამხ. მ. მ. ჩოდრიშვილს დახმარება ერთი ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 637

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოსათვის ტყესაკაფის დამატებით გამოყოფის შესახებ**

ხიდების მშენებლობის ხე-ტყის მასალებით უზრუნველყოფისა და თებერდა-ჩერკესკის უბანზე გზის აღდგენის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გოძელაურს გამოუყოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს კლუხორის სატყეო მეურნეობაში ტყესაკაფი 250 კბმ სამშენებლო ხე-ტყის დასამზადებლად.

2. ტყესაკაფის გამოყოფა და ხე-ტყის დამზადება წარმოებულ იქნას ტყის სანიტარიზაციისა და მოვლის წესით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 638

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**1944 წლის მოსავლის ახალი კურკოვანი ნაყოფის და შავქლიავის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ვიდრე სსრ კავშირის სახკომსაბჭო 1944 წლის მოსავლის ხილის დამზადების გეგმას დაამტკიცებდეს, დაწესდეს ახალი კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა 2000 ტონის რაოდენობით, აქედან კონტრაქტაციით 1800 ტონა, საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარების წესით—200 ტონა, და კურკოვანი ხმელი ხილისა (შავქლიავისა) 200 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონების და დამამზადებელ ორგანიზაციათა მიხედვით, დანართის თანახმად.

2. შენარჩუნებულ იქნას 1944 წლისათვის კონტრაქტაციის ის წესი და პირობები, რაც 1943 წელს მოქმედებდა.

3. წინადადება მიეცეს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს, ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას და თბილხილბოსტანვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭყონიას დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონტრაქტაციას და დაამთავრონ იგი ამა წლის 1 ივლისამდე.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს და დამზადე-

ბათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ დამამზადებელ ორგანიზაციებს 1944 წლის მოსავლის კურკოვანი ხილის კონტრაქტაციისა და დამზადების საქმეში იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ დადგენილებით დაწესებული დამზადების გეგმების მთლიანად შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 10 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 10/VI № 638 დადგე-
ნილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ე გ მ ა

## 1944 წლის მოსავლის კურკოვანი ნაყოფის დამზადებისა

(ტონობით)

| დამზადების რაიონები | სულ დამზა-დების გეგმა | საქკონსერვ-ტრესტი | თბილხილ-ბოსტანვაჭ-რობა | ცეკავშირი |
|---|---|---|---|---|
| 1. გორის | 400,0 | 400,0 | — | — |
| 2. ქუთაისის | 125,0 | 125,0 | — | — |
| 3. წყალტუბოს | 75,0 | 75.0 | — | — |
| 4. სამტრედიის | 150,0 | 150,0 | — | — |
| 5. ტყიბულის | 60,0 | 60,0 | — | — |
| 6. ზუგდიდის | 30,0 | 30,0 | — | — |
| 7. მახარაძის | 60,0 | 60,0 | — | — |
| 8. ჩოხატაურის | 50,0 | 50,0 | — | — |
| 9. სამხრეთ-ოსეთის ა/ო | 60,0 | 60,0 | — | — |
| 10. აჭარის ასსრ | 5 ,0 | 50,0 | — | — |
| 11. აფხაზეთის ასსრ | 200,0 | 140,0 | — | 60 |
| 12. თბილისის | 30,0 | — | 30,0 | — |
| 13. მცხეთის | 30,0 | — | 30,0 | — |
| 14. ყარაიის | 30,0 | — | 30,0 | — |
| 15. ვ ა ნ ი ს | 50,0 | — | 30,0 | — |
| 16. ქარელის | 20,0 | — | — | 20,0 |
| 17. კასპის | 50,0 | — | — | 50,0 |
| 18. ხესტაფონის | 50,0 | — | — | 50,0 |
| 19. ორჯონიკიძის | 60,0 | — | — | 60,0 |
| 20. საჩხერის | 30,0 | — | — | 30,0 |
| 21. ცაგერის | 50,0 | — | — | 50,0 |
| 22. ლანჩხუთის | 60,0 | — | — | 60,0 |
| 23. წულუკიძის | 30,0 | — | — | 30,0 |
| 24. ამბროლაურის | 30,0 | — | — | 30,0 |
| 25. ლაგოდეხის | 30,0 | — | — | 30,0 |
| 26. ბოლნისის | 10,0 | — | — | 10,0 |
| სულ კონტრაქტაციით | 1800,0 | 1200,0 | 120,0 | 480,0 |
| **საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარება** | | | | |
| 1. ქარელის (ბრეთი) | 10,0 | 10,0 | — | — |
| 2. გორის (ვარიანი) | 60,0 | 60,0 | — | — |
| 3. „ (ქიწნისი) | 10,0 | 10,0 | — | — |
| 4. სიღნაღის (ჩირსა) | 120,0 | 120,0 | — | — |
| სულ სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების ხაზით | 200,0 | 200,0 | — | — |
| მ თ ლ ა დ | 2000,0 | 1400,0 | 120,0 | 480,0 |
| კურკოვანი ხმელი ხილი შავქლიავი აფხა-ზეთის ასსრ | 200,0 | 200,0 | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 639

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსათვის საშპალე მორების დასამზადებლად მიზნობრივი ტყესაკაფის გამოყოფის შესახებ**

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 15 მარტის № 5836-გ განკარგულება რკინიგზათა სალიანდაგო სამსახურებისათვის საშპალე მორების დასამზადებლად მიზნობრივი ტყესაკაფების გამოყოფის შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გოგელაურს გამოუყოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს 3.000 კბმ საშპალე მორის დასამზადებლად ტყესაკაფი საირმის სატყეო მეურნეობაში, მეურნეობის გეგმით მოსაჭრელი ხეების ხარჯზე.

2. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს (ამხ. ტაბატაძე) მოაწყოს საშპალე მორების დამზადება და გამოზიდვა ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის მიერ, მოსაჭრელი მერქნის სრული გამოყენებითა და მოჭრის ადგილების გაწმენდით ჭრის ნარჩენებისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 10 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 642

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**თბილისის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობისათვის კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის განვადების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, განევადოთ 1944 წლის 1 ნოემბრამდე თბილისის რაიონის კოლმეურნეობებს საშემოსავლო გადასახადის 1943 წლის ნარჩენი და 1944 წლის I, II და III ვადების გადასახდელები სულ 659,4 ათ. მან., თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 12 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 12/VI
№ 642 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ი ა

**თბილისის რაიონის იმ კოლმეურნეობებისა, რომელთაც გადავადათ მათზე რიცხული 1943 და 1944 წლების საშემოსავლო გადასახადის ნარჩენები (ათ. მან.).**

| კოლმეურნეობათა დასახელება | 1943 წლის ნარჩენი | 1944 წლ. გადასახდელი | სულ |
|---|---|---|---|
| **1. დიღმის სას. საბჭო** | | | |
| ლენინის სახ. კოლმეურნეობა . . . . . | 18,0 | 65,9 | 83,9 |
| სტალინის „ „ . . . . | 60,0 | 54,7 | 114,2 |
| **2. ავჭალის სადაბო საბჭო** | | | |
| ბერიას სახ. კოლმეურნეობა . . . . . . | — | 45.4 | 45,4 |
| **3. სოღანლუღის სას. საბჭო** | | | |
| ბერიას სახ. კოლმეურნეობა . . . . . | 43,5 | 35,2 | 78,7 |
| მოლოტოვის „ . . . . . | — | 41,8 | 41,8 |
| **4. მარტყოფის სას. საბჭო** | | | |
| ლენინის სახ. კოლმეურნეობა . . . . | — | 75,9 | 75,9 |
| სტალინის „ „ . . . | — | 60,0 | 60,0 |
| კიროვის „ „ . . . . | — | 28,4 | 28,4 |
| **5. ნორიოს სას. საბჭო** | | | |
| ლენინის სახ. კოლმეურნეობა . . . . | — | 11,8 | 11,8 |
| სტალინის „ „ . . . . | 5,6 | 39,4 | 45,0 |
| **6. ლილოს სას. საბჭო** | | | |
| სტალინის სახ. კოლმეურნეობა . . . . | — | 32,2 | 32,2 |
| **7. ახალსოფლის სას. საბჭო** | | | |
| ბერიას სახ. კოლმეურნეობა . . . . | 14,6 | 27,0 | 41.6 |
| ს უ ლ . . . . . . | 141,7 | 517,7 | 659,4 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 644

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ტყის ნაკვეთების სამრეწველო ათვისების სამშენებლო სამუშაოებისათვის მუშახელის მობილიზაციის შესახებ**

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშახელით სამშენებლო სამუშაოები, რასაც ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა ატარებს ზემო-სვანეთის საექსპლოატაციო სატყეო ნაკვეთების სამრეწველო ათვისებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ზემო-სვანეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ფარჯიანს მობილიზაცია უყოს, ფასიანი შრომითი ბეგარის წესით, სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავბუმლესის“ ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის 300 მუშას რაიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვიდან, ვადით 1944 წლის 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე.

2. დაევალოს ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს ამხ. კანდელაკს უზრუნველჰყოს ყველა იმ ღონისძიების გატარება, რაც საჭიროა მუშების მისაღებად და მათს მოსამარაგებლად როგორც საჭირო საწარმოო საგნებით, ისე კვებითაც.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 645

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თიანეთის, ქვ.-სვანეთის, გორის, ყვარლის, ონის, სამტრედიის, ჩხოროწყუსა და მცხეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების დადგენილებები, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შინსახკომის დასკვნით, და დაენიშნოთ ქვემოჩამოთვლილ მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება შემდეგი ოდენობით:

1. მარო გიორგის-ასულ მერაბიშვილს, მცხ. თიანეთის რაიონის სოფ. ორხევში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—რობიზონ ანდრიას-ძე მერაბიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 12 აპრილიდან 1948 წლის 12 აპრილამდე.

2. ელისაბედ პეტრეს-ასულ სუარიშვილს, მცხ. თიანეთის რაიონის სოფ. ზარიძეებში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ფატმან შალვას-ასულ სუარიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 12 მარტიდან 1948 წლის 12 მარტამდე.

3. დაშა გიორგის-ასულ გარდაფხაძეს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. შქედში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაეშინოს მეშვიდე შვილზე—ბორის კირილეს-ძე გარდაფხაძეზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 თებერვლიდან 1948 წ. 1 თებერვლამდე.

4. ნინო დევლეთის-ასულ გველებიანს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. მელეში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ნატაშა სევერიანის-ასულ გველებიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 15 სექტემბრიდან 1948 წლის 15 სექტემბრამდე.

5. მინა გიორგის-ასულ ხაბულიანს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. ჭველიერში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—იოლინა ბულიას-ასულ ხაბულიანზე—ორი ათასი

მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 15 იანვრიდან 1948 წლის 15 იანვრამდე.

6. დესპი სანდროს-ასულ აფაქიძეს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. ბავარში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—სოსი მიხეილის-ძე აფაქიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 20 მარტიდან 1948 წლის 20 მარტამდე.

7. სონიჩკა ბამუს-ასულ გულბიანს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. ჩეკულში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გიგლა გრიგოლის-ძე გულბიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 18 აპრილიდან 1948 წლის 18 აპრილამდე.

8. დაფი ნიკოს-ასულ ზურაბიანს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. ტვიბში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—თამარ თომას-ასულ ზურაბიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 8 სექტემბრიდან 1948 წლის 8 სექტემბრამდე.

9. ვერიჩკა ვასილის-ასულ ზურაბიანს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. ტვიბში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ვიოლინა კვირიას-ასულ ზურაბიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 13 სექტემბრიდან 1948 წლის 13 სექტემბრამდე.

10. დომკა ბასილის-ასულ ბაკურაძეს, მცხ. ქვ.-სვანეთის რაიონის სოფ. ნაცელში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ჟორა კლიმენტის-ძე ბაკურაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 16 იანვრიდან 1948 წლის 16 იანვრამდე.

11. სოფიო ივანეს-ასულ აწკარუნაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. სობისში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ნათელა მიხეილის-ასულ აწკარუნაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 10 თებერვლიდან 1948 წლის 10 თებერვლამდე.

12. ნუცა არსენის-ასულ ბოლოთაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ებრაელებში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ნოდარ ილიკოს-ძე ბოლოთაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წლის 15 სექტემბრიდან 1947 წლის 15 სექტემბრამდე.

13. ქენია ივანეს-ასულ ვალიშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. წედისში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მარგარიტა დავითის-ასულ ვალიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 10 ივლისიდან 1948 წლის 10 ივლისამდე.

14. ევა ბასიკის-ასულ ფსუტურს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ნაწრეტში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—მზია შაქროს-ასულ ფსუტურზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წლის 1 აპრილიდან 1947 წლის 1 აპრილამდე.

15. ანეტა აფელის-ასულ გაზაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. თხინვალში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ნინო გიგლას-ასულ გაზაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 30 სექტემბრიდან 1948 წლის 30 სექტემბრამდე.

16. ნატა ქიტეს-ასულ ბოლოთაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ხურვალეთში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ლამარა ელიოზის-ასულ ბოლოთაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 15 მაისიდან 1948 წლის 15 მაისამდე.

17. თამარ გლახოს-ასულ ხაჩირაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ველებში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—იზოლდა გრიგოლის-ასულ ხაჩირაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წლის 12 სექტემბრიდან 1947 წლის 12 სექტემბრამდე.

18. ნინო სიმონის-ასულ კუსრაევას, მცხ. გორის რაიონის სოფ. წითელუბანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ოლია გაბილას-ასულ კუსრაევაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 10 აპრილიდან 1948 წლის 10 აპრილამდე.

19. ვარდი ივანეს-ასულ დუდაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. ხანდისში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მარიკო ფადოს-ასულ დუდაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 5 ოქტომბრიდან 1948 წლის 5 ოქტომბრამდე.

20. ელენე სტეფანეს-ასულ მეზვრიშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფელ პ. გარეჯვარში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—კოწია გრიგოლის-ძე მეზვრიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წლის 8 თებერვლიდან 1947 წლის 8 თებერვლამდე.

21. ნატა მიხეილის-ასულ კაბულაშვილს, მცხ. გორის რაიონის სოფ. კოშკებში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—მარო იაგორის-ასულ კაბულაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 29 აპრილიდან 1948 წლის 29 აპრილამდე.

22. თამარ ალექსანდრეს-ასულ ტატურიშვილს, მცხ. ყვარლის რაიონის სოფ. სანავარდოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ვაჟა პავლეს-ძე ტატურიშვილზე — ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 23 ოქტომბრიდან 1948 წლის 23 ოქტომბრამდე.

23. თეოლინე ანდრიას-ასულ რაზმაძეს, მცხ. ონის რაიონის სოფ. წმენდაურში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—შალვა თეოფილეს-ძე რაზმაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წლის 20 მარტიდან 1949 წლის 20 მარტამდე.

24. ლუბა მათეს-ასულ ანდღულაძეს, მცხ. სამტრედიის რაიონის სოფ. ჩხენიში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე

შვილზე—ქუქუნა რაჟდენის-ასულ ანდღულაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 20 აპრილიდან 1948 წლის 20 აპრილამდე.

25. ელპიტი კოსტას-ასულ ბებიას, მცხ. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—სონიჩკა შალვას-ასულ ბებიაზე ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 20 ნოემბრიდან 1948 წლის 20 ნოემბრამდე.

26. ვარვარა ზარიბეგის-ასულ დიდებაშვილს, მცხ. მცხეთის რაიონის სოფ. ახალდაბაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გოგია ვლადიმერის-ძე დიდებაშვილზე — ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წლის 2 ოქტომბრიდან 1948 წლის 2 ოქტომბრამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 13 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 653

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

### აზერბაიჯანის სსრ განსახკომისათვის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართველ მოსახლეობას შორის სახალხო განათლების გაუმჯობესების საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ „კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში ინგილოელთა მოსახლეობას შორის სახალხო განათლების დარგში ჩასატარებელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ 1944 წლის 31 მაისის თარიღით მიღებულ № 370 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაიგზავნოს აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში სახალხო განათლების ხაზით გამოყენებისათვის ამხანაგები: პ. დ. ბლუაშვილი—კახის ქართული საშუალო სკოლის დირექტორად, გ. ე. კუტუბიძე—კახის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, კ. ა. დანელია—ალიაბათის ქართული საშუალო სკოლის დირექტორად, ნ. ს. შენგელია—ზაქათალის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორად და ვ. ლ. ქარდავა და ს. მ. ქორიძე — ქართული არასრული საშუალო სკოლების დირექტორებად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კუპრაძეს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგეს:

ა) 15 აგვისტომდე აზერბაიჯანის სსრ განსახკომის განაცხადის საფუძველზე სრულად უზრუნველჰყონ გამოცდილი და მომზადებული მასწავლებლებით კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ყველა ქართული დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა;

ბ) ორი კვირის განმავლობაში შეარჩიონ და გაგზავნონ აზერბაიჯანის სსრ განსახკომის განკარგულებაში გამოცდილი მეთოდისტები ქართული სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ საზაფხულო კურსებზე სამუშაოდ;

გ) მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ ქართულ სკოლებს კვალიფიციური მეთოდისტების გაგზავნითა და მათი უზრუნველყოფით მეთოდური ლიტერატურით, თვალსაჩინო სახელმძღვანელოებითა და მასალებით ქართულ ენაზე;

დ) სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს ქართველ მოსახლეობას შორის პოლიტგანმანათლებელი მუშაობის ჩატარების დარგში;

ე) გადასცენ აღნიშნული რაიონების ქართული სოფლების სასკოლო ბიბლიოთეკებსა დ ქოხ-სამკითხველოებს ლიტერატურა ქართულ ენაზე 6.000 წიგნის რაოდენობით.

3. დაევალოს სახელგამის დირექტორს ამხ. კიკნაძეს და საბლიტგამის დირექტორს ამხ. ჭანტურიშვილს სისტემატურად გზავნონ სახელმძღვანელოები, მხატვრული და პოლიტმასობრივი ლიტერატურა კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართული სოფლების ქართული სკოლებისა და პოლიტგანმანათლებელი დაწესებულებებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—ამხ. ეგაძეს გაითვალისწინოს მუშაობის გეგმაში აზერბაიჯანის სსრ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართველი მოსახლეობის სისტემატური მხატვრულ-მუსიკალური მომსახურება.

5. დაევალოს „სოიუზპეჩატის“ საქართველოს კანტორას გამოჰყოს კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართველი მოსახლეობისათვის 1.000 ცალი გაზეთი „კომუნისტი“ და პერიოდული გამოცემანი ქართულ ენაზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს 1944 წლის 15 ივლისამდე გამოჰყოს 60 კომპლექტი ტანსაცმელი (პალტო, კოსტიუმი, თეთრეული) და ფეხსაცმელი იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც იგზავნებიან სამუშაოდ აზერბაიჯანის სსრ ქართულ სკოლებში.

7. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომს—ამხ. გოჩაშვილს შეუნახოს საცხოვრებელი ფართობი იმ პედაგოგებს, რომლებიც იგზავნებიან სამუშაოდ აზერბაიჯანის სსრ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართულ სკოლებში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს—ამხ. კუპრაძეს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგეს ამხ. კვაჭაძეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოადგინონ ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 13 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 654

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**საქართველოს სსრ მტს-ების სახელოსნოებისათვის გამოუყენებელი დაზგებისა და სარემონტო მოწყობილობის გადაცემის შესახებ**

თანახმად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 12 მაისის № 58:0 დადგენილებისა „მტს-ების, სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების დაზგებითა და სარემონტო მოწყობილობით აღჭურვის ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. სარიშვილს, 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. მელაძეს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორს ამხ. ჭავჭანიძეს, ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორს ამხ. მეტრეველს, გზათა სახალხო კომისარიატის ელექტროტექნიკური ქარხნის დირექტორს ამხ. სოსელიას, წითელი არმიის ჰიდრომეტსამსახურის № 302 ქარხნის დირექტორს ამხ. ჯიქიას, ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის № 712 ქარხნის დირექტორს ამხ. მანუკიანს, თბილისის ინსტრუმენტალური ქარხნის დირექტორს ამხ. ხითარიშვილს, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ავტოსარემონტო სახელოსნოს დირექტორს ამხ. აპრელიანს, № 2 პურის ქარხნის დირექტორს ამხ. გრიგორიანს, საშტემპელო-სააქაქო ფაბრიკის დირექტორს ამხ. მარგალიტაძეს, თამბაქოს ფაბრიკის დირექტორს ამხ. როსტომაშვილს, № 3 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ამხ. ბარზიმოვს, რკინიგზის ტრანსპორტის თბილისის საინჟინერო ინსტიტუტის სახელოსნოების დირექტორს ამხ. კელენჯერიძეს, თბილისის მაცივარკომბინატის დირექტორს ამხ. რისმანს, სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს, თბილისის სამშენებლო ჰიდროენერგეტიკული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ჯიმშელეიშვილს და № 2454 ევაკოჰოს-

პიტლის უფროსს ამხ. ფაღავას შეაკეთონ, სამუშაო მდგომარეობაში მოიყვანონ და არაუგვიანეს 1944 წლის 1 ივლისისა მტს-ების სახელოსნოებისათვის ჩააბარონ საქართველოს სსრ მიწსახკომს გამოუყენებელი მოწყობილობა და დაზგები დანართში გათვალისწინებული რაოდენობითა და ნომენკლატურით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს ამხ ხოშტარიას:

ა) გაანაწილოს და 1944 წლის 15 ივლისამდე შეზიდოს მტს-ების სახელოსნოებში მოწყობილობა და ლითონსაჭრელი დაზგები, რომლებიც უნდა გადაეცეს მიწსახკომს ამ დადგენილების თანახმად;

ბ) ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მტს-ების სახელოსნოების იმ მოწყობილობისა და დაზგების სადეფექტო აქტები, რომლებიც კაპიტალურ რემონტს მოითხოვენ;

გ) 1944 წლის ივლისის დამლევამდე დაამთავროს თავის სახელოსნოებში მტს-ების სახელოსნოების მოწყობილობისა და დაზგების მიმდინარე რემონტი;

დ) სსრ კავშირის მიწსახკომის ნებართვის შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 ივლისამდე დაამთავროს დაზგების გადაჯგუფება მტს-ების სახელოსნოებს შორის, მათი უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით.

3. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაადასტუროს მოწყობილობისა და ლითონსაჭრელი დაზგების გადაცემა საქართველოს სსრ მტს-ების სახელოსნოებისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული რაოდენობითა და ნომენკლატურით.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>სახალხო კომისართა საბჭოს<br>თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | საქართველოს კ. პ. (ბ)<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მდივანი **კ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 13 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 13|VI № 654 დადგე-
ნილების დანართი

# ს ი ა

## საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ გამოუყენებელი მოწყობილობისა და ლითონსაჭრელი დაზგებისა, რომლებიც უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს მტს-ბის სახელოსნოებისათვის

| საწარმოთა და ორგანიზაციათა დასახელება | მოწყობილობისა და დაზგების დასახელება | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სახარატო ხრახნსაჭრელი | სახარატო-საკოპირაციო № 145 გ | ჰორიზონტალურ-საბურღი | სარანდი (შეპინგი) | ჭანჭიკმჭრელი | სატეხი | საბურღი | ელექტრო შედუღების აპარატი | ნავთის ძრავი | ექსცენტრიული 15 ტ. წნეხი | სიგრძივ-სარანდი |
| ქარხანა № 173 აბ | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| „ № 712 | 1 | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| „ № 302 | 2 | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — |
| „ № 247 „დაზგა“ | — | 3 | — | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| გზათა სახ. კომ. სარ. ელექტროტექნიკური ქარხანა | — | — | 2 | — | — | — | 2 | — | — | — | — |
| თბილისის სამეცნ.-საკვლ. ჰიდროენერგ. სამეცნ.-საკვლ. ინსტ. | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| კიროვის სახ. ქარხანა | — | 2 | — | — | 1 | — | 3 | — | — | — | — |
| თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა | 1 | 2 | — | — | 1 | 1 | — | — | — | — | — |
| ავტოსარემონტო სახელოსნოები | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | — | — | — |
| პურის ქარხანა № 2 | — | — | 1 | — | 1 | — | — | — | — | — | — |
| საშტემპელო სააქაქო ფაბრიკა | 2 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| თამბაქოს ფაბრიკა | 1 | — | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| სახელოსნო სასწავლებელი № 3 | 1 | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| რკინიგზის ტრანსპ. თბ. საინჟინერო ინსტიტუტი | — | — | — | 1 | — | — | 1 | — | — | — | — |

| საწარმოთა და ორგანიზაციათა დასახელება | მოწყობილობისა და დაზგების დასახელება | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სახარატო-ხოახნსაქ-რელი | სახარატო-საპერაცით № 145 ძ | ჰორიზონტა-ლურ-საფ-რეზერო | სარანდი (შეპინგი) | ჰანჭიკამჭრე-ლი | სატეხი | საბურღი | ელექტრო-შედუღებე-ლი აპარატი | ნავთის ძრავი | ელექტრონა-ქური 15 ტ. წნეხი | სიგრძივ-რანდი |
| თბ. საიარაღო ქარხ. | — | — | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 26 კომისრის სახ. ქარხანა | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| მაცივარკომბინატი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სასოფლო-ს. მეურნეო მანქანათმშენებ. ქარხ | — | — | — | — | — | — | 1 | — | — | — | — |
| სრულიად-საქ. ინკოოპკავშირი | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 | — |
| სარეწაო კავშირი | 2 | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | — |
| ევაკოჰოსპიტალი 2454 | 1 | — | | — | — | — | — | — | — | — | — |
| ს უ ლ | 13 | 7 | 5 | 3 | 3 | 1 | 12 | 1 | 3 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 655

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**1944 წლის მოსავლის თამბაქოს აღებისა და მოსავლისშემდგომი დამუშავების გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს მწვანე მასის აღების 1944 წლის გეგმა 95.700 ათასი ზონარმეტრის რაოდენობით, რაც განაწილდეს საქართველოს სსრ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის, დანართის თანახმად.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს ერთი კვირის განმავლობაში დაიყვანონ თამბაქოს აღების გეგმა ცალკეულ კოლმეურნეობებამდე და კოლმეურნეობათა შიგნით—ბრიგადებამდე და რგოლებამდე.

3. თამბაქოს ძირითადი ფოთლების აღების დამთავრების ვადად მეთამბაქოობის ყველა რაიონისათვის დაწესდეს 1944 წლის 1 ოქტომბერი.

4. დაევალოს რაიაღმასკომებს, რაიმიწგანებსა და მეთამბაქოობის კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) უზრუნველჰყონ თამბაქოს ფოთლების დროული აღების ჩატარება იარუსების მიხედვით მათი ტექნიკური სიმწიფის პერიოდში და არ დაუშვან ფოთლების გადამწიფება მინდვრად; აღკვეთონ ძირითადი მოსავლის აღება ბუჩქური წესით;

ბ) მოაწყონ მეთამბაქოობის ყველა კოლმეურნეობაში თამბაქოს ყოველი შეტეხილი პარტიის აცმა ერთი დღელამის განმავლობაში შეტეხის შემდეგ და დაიცვან ამასთანავე თამბაქოს ფოთლის აცმის ნორმალური სიხშირე (ზონრის სრულფასიანობა);

გ) თამბაქოს ხარისხობრივი მოსავლის მისაღებად უზრუნველჰყონ თამბაქოს თავის წაწყვეტისა და ნამხრის აცლის სავალდებულო ჩატარება აგროწესებით დადგენილ ვადებში;

დ) შეამოწმონ კოლმეურნეობებში არსებული კვირკვლიას სისტემის თამბაქოს ასანემსავი მანქანების მდგომარეობა, შეაკეთონ და მოიყვანონ ისინი სრულ მზადყოფნაში; თამბაქოს აღების

პერიოდში მიამაგრონ ამ მანქანებს კოლმეურნეთა ისეთი მუდმივი ჯგუფები, რომლებიც იცნობენ ამ მანქანას, და უზრუნველჰყონ მანქანების შეუფერხებელი და სრული დატვირთვით მუშაობა;

ე) მოაწყონ თამბაქოს პლანტაციების საველე დაცვა;

ვ) თამბაქოს განიავებისა და გაფუჭების დაუშვებლობის მიზნით, დააწესონ თამბაქოს სადღეღამისო დაცვა საშრობ ფარდულებში და პასუხისმგებლობა თამბაქოს დაცვა-შენახვისათვის დააკისრონ ამ მიზნისათვის გამოყოფილ კოლმეურნეებს.

შემოიღონ წესად თამბაქოს სავალდებულო ჩაბარება კოლმეურნეთათვის ფარდულებში შესანახად აქტის მიხედვით;

ზ) კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებმა, აგრეთვე რაიმიწგანებისა და საქთამბაქნედლეულის ტრესტის დამამზადებელი პუნქტების სპეციალისტთა საშუალებით, სისტემატურად შეამოწმონ ფარდულებში შენახული თამბაქოს მდგომარეობა და ადგილობრივ მიიღონ საჭირო ზომები თამბაქოს გაფუჭების შემთხვევათა თავიდან აცილებისათვის;

თ) უზრუნველჰყონ ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა სრული გატარება საშრობ ფარდულებში (წყლიანი კასრების დადგმა, თამბაქოს წევის აკრძალვა და სხვ.).

5. დაევალოს რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს მოაწყონ მეთამბაქოობის ყველა კოლმეურნეობაში, ბრიგადასა და რგოლში თამბაქოს ასანემსავი ხეზის მიზნობრივი და ეკონომიური გამოყენების სრული აღრიცხვა და კონტროლი. თამბაქოს გაშრობის მიხედვით ნედლეული ჩააბარონ დამამზადებელ პუნქტებს და მთელი განთავისუფლებული ხეზი გამოიყენონ განმეორებით მწვანე თამბაქოს შემდგომი ანემსვისათვის.

პასუხისმგებლობა ხეზის აღრიცხვისა და წესიერი ხარჯვისათვის დაეკისროს რაიმიწგანთა გამგეებსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს ერთი დეკადის განმავლობაში შეამოწმონ თამბაქოს საშრობ ნაგებობათა მდგომარეობა და მოაწყონ მათი რემონტი იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს 1944 წლის 1 აგვისტომდე.

7. დადგენილ იქნას, რომ თამბაქოს მთელი პირველადი დამუშავება (დახარისხება, შეკვრა) და აგრეთვე დამამზადებელი პუნქტებისათვის მისი ჩაბარება სწარმოებს კოლმეურნეობათა ცალკეული რგოლების მიხედვით.

8. შრომის ნაყოფიერების ზრდაში კოლმეურნეთა დაინტერესების გადიდების მიზნით, დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს ფართოდ გამოიყენონ მეთამბაქოობის რგოლებს შიგნით ინდივიდუალური სანარდო მუშაობა ყოველი სახის სამუშაოზე როგორც პლანტაციების მოვლის, ისე თამბაქოს მოსავლის აღების, ანემსვისა და გაშრობის პერიოდში; მოაწყონ ყოველი კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების ჯეროვანი აღრიცხვა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველჰყონ წლის დამლევს კოლმეურნე-

თა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესი თამბაქოს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

9. დაევალოს საქთამბაქნედლეულის ტრესტის მმართველს ამხ. ვაშაკიძეს:

ა) კოლმეურნეობათათვის, არასტანდარტულობის (ტენიანობის გადიდების, ობის მოკიდებისა და სხვ.) გამო, თამბაქოს ნაკრაულების დაბრუნების თავიდან ასაცილებლად მოაწყოს თამბაქოს წინასწარი მიღება ხარისხის მიხედვით უშუალოდ კოლმეურნეობებში და, უწინარეს ყოვლისა, დამამზადებელ პუნქტებს ყველაზე მეტად დაშორებულ კოლმეურნეობებში.

დაევალოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს წინასწარ მიღებული თამბაქო მიზიდონ დამამზადებელ პუნქტებზე არაუგვიანეს შემდგომი დღისა კოლმეურნეობაში მისი მიღების შემდეგ;

ბ) ინსტრუქტაჟისა და პრაქტიკული დახმარებისათვის დაგზავნოს კოლმეურნეობებში თამბაქოს მოსავლისშემდგომი დამუშავების პერიოდისათვის ფერმქარხნებისა და დამამზადებელი კანტორების სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშაკთა ჯგუფი.

10. ახალი მოსავლის ნედლეულით მრეწველობის თავის დროზე უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე თამბაქოს ნედლეულის დატაცებისა და განიავების თავიდან აცილებისათვის დაევალოს რაიაღმასკომებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს თამბაქოს შეკვრა და დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარება აწარმოონ თამბაქოს ფოთლების სრული გაშრობის მიხედვით.

11. თამბაქოს ნედლეულის რესურსების გადიდების მიზნით, დაევალოს მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს ძირითადი მოსავლის აღების შემდეგ მთელს ფართობზე მოაწყონ განვითარებული ფილიჩების ნაზარდიანად შეგროვება და ნორმალური გაშრობა.

12. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, მეთამბაქოობის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს უზრუნველჰყონ თამბაქოს მოსავლის გულმოდგინე კონტროლი და ჯეროვანი ზონარობლივი აღრიცხვა კოლმეურნეობებში; ამასთან უზრუნველჰყონ სახელმწიფო ჩაბარების გეგმის უცილობელი შესრულება ძირითადი მოსავლის თამბაქოთი.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და საქთამბაქნედლეულის ტრესტს მოაწყონ შემოწმება და სისტემატური ინფორმაცია მოაწოდონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ | საქართველოს კ. პ. (ბ) |
| სახალხო კომისართა საბჭოს | ცენტრალური კომიტეტის |
| თავმჯდომარე **Ვ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.** | მდივანი **Კ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ.** |

1944 წლის 13 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 13|VI № 655 დადგენილების დანართი

# გ ე გ მ ა

## 1944 წლის მოსავლის თამბაქოს აღებისა საქართველოს სსრ რაიონებში

| ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები | თამბაქოს აღების გეგმა ათას ზონარმეტრობით |
|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . | 41.500 |
| 2. აჭარის ასსრ . . . . . . . . . | 5.600 |
| 3. სიღნაღის რაიონი . . . . . . . . | 3.600 |
| 4. ყვარლის „ . . . . . . . . | 1.800 |
| 5. ლაგოდეხის „ . . . . . . . . | 22.000 |
| 6. ბორჩალოს „ . . . . . . . . | 18.600 |
| 7. ბოლნისის „ . . . . . . . . | 2.600 |
| სულ რესპუბლიკაში . . . | 95.700 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 659

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## ლაგოდეხის რაიაღმასკომის 1943 წლის ბიუჯეტის რევიზიის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ლაგოდეხის რაიონის ბიუჯეტის შესრულების რევიზიამ დაადასტურა, რომ ლაგოდეხის რაიაღმასკომის საფინანსო და სხვა განყოფილებათა გამგეების დანაშაულებრივი და უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად, ადგილი ჰქონდა 1943 და 1944 წლებში საბიუჯეტო სახსრების მითვისება-გაფლანგვებისა და უკანონო ხარჯვის მრავალ შემთხვევას.

სულ სხვადასხვა პირების მიერ მითვისებული და გაფლანგული აღმოჩნდა 726.336 მანეთი. აქედან: ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან 1943 წელს 422.182 მანეთი, 1944 წელს—220.253 მანეთი. გარდა ამისა, სხვა ორგანიზაციების არასაბიუჯეტო თანხებიდან მითვისებული და გაფლანგულია ამავე პერიოდში 33.901 მანეთი.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გელაშვილმა უკანონოდ მიანიჭა რაიფინგანის გამგეს აღმასკომის შესანახი ხარჯების კრედიტის განმკარგულებლის უფლება და აგრეთვე არ უზრუნველჰყო განყოფილებებში საბიუჯეტო თანხების ხარჯვის კონტროლი, რის შედეგადაც მიითვისეს და გაფლანგეს რაიფინგანის გამგე კუმელაშვილმა 36.000 მანეთი, ფინგანის მთავარმა ბუხჰალტერმა წერეთელმა—236.828 მანეთი, განათლების განყოფილების ბუხჰალტერმა ეგიტაშვილმა—251.672 მანეთი, რაიფინგანის საბიუჯეტო ინსპექტორმა ჩიქვილაძემ—55.583 მანეთი და სხვ.

რაიონში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სამხედრო სესხის, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების ანტისახელმწიფოებრივი წესით გავრცელების შემთხვევებს, რაც იმაში გამოიხატა, რომ საბიუჯეტო, სავაჭრო და სახელმწიფო ორგანიზაციების თანხებიდან ასესხეს მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და მუშა-მოსამსახურეებს 254.800 მანეთი სესხის ობლიგაციებისა და ლატარიის ბილეთების ღირებულების დასაფარავად.

რაიონის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებმა უხეშად

დაარღვიეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 22 იანვრის № 2780-სს დადგენილება. განიავებული აღმოჩნდა ფონდირებული საქონელი და წარმოებისათვის განკუთვნილი ნედლეული. მაგალითად, მრეწვკომბინატის დირექტორმა უკანონოდ მისცა სხვადასხვა პირებს წარმოებისათვის გამოყოფილი 200 კილოგრამი პურის ფქვილი, 65 კილოგრამი ხორბალი, 691 კილოგრამი სიმინდი, 70 კილოგრამი ზეთი და, გარდა ამისა, 22.956 მანეთის ფეხსაცმელი.

რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. პ. ბაბუნაშვილის განკარგულებით, ბარათებით გასაცემი 204 კილოგრამი თამბაქო და კარაკულის პალტო მისცეს გროზნოს თბოელექტროცენტრალის მუშათა მომარაგების განყოფილების წარმომადგენელს ვინმე მირაგოვს. რაიკავშირის დამზადების კანტორიდან განრიგის გარეშე მიღებული აქვს სხვადასხვა პირებს 499,2 კილოგრამი ყველი. ვარდისუბნის სოფლის კოოპერატივის საწყობიდან მეაბრეშუმეებზე გაუცემელია და განიავებულია 28.334 მანეთის ღირებულების 541 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

ლაგოდეხის რაიონში ადგილი ჰქონდა აგრეთვე მარილის სახელმწიფო ფასების უხეშად დარღვევას და მარილის სპეკულანტურ ფასებში რეალიზაციას.

რაიკავშირის სავაჭრო განყოფილების ყოფილმა გამგემ (ამჟამად ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საკოლმეურნეო ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე) ვ. გ. თიკანაძემ შეზიდა რაიონში და კოლმეურნეობებს მიჰყიდა კილოგრამი მარილი 4 მანეთად, ნაცვლად სახელმწიფო ფასებით გათვალისწინებულ 0,69 კაპეიკისა. ამ საშუალებით თიკანაძემ რაიონის კოლმეურნეობებს გადაახდევინა მარილის სახელმწიფო ფასის ღირებულების ზევით ნაღდი ფული 576.718 მანეთი.

რაიონში მოუწესრიგებელია სახელმწიფო შემოსავლების, სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებების გამოანგარიშებისა და აკრეფის საქმე.

განსაზოგადოებული მეურნეობის საწარმოებიდან დასაბეგრ ბრუნვების შეუმოწმებლობისა და ზერელედ განსაზღვრის შედეგად, 1943 წელს ბრუნვის გადასახადი არ იყო გამოანგარიშებული და აუკრეფავი დარჩა 189.047 მანეთი.

საკავშირო ბიუჯეტიდან უკანონოდ იყო ჩამოწერილი და ჩარიცხული ადგილობრივ ბიუჯეტში თამბაქოს ნედლეულის დამზადების ანარიცხები 801.492 მანეთის რაოდენობით. აქედან 1942 წელს—355.841 მანეთი, ხოლო 1943 წელს—445.651 მანეთი.

მოსახლეობაში სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებების გამოანგარიშებისათვის მოსამზადებელი მუშაობის უხარისხოდ ჩატარების შედეგად, 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო გადასახადი გადამხდელებზე წარდგენის შემდეგ ჩამოუწერიათ: სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 986 გადამხდელს 769.800 მანეთისა და სამხედრო გადასახადი 2.503 გადამხდელს 1.296.700 მანეთის რაოდენობით. აღნიშნული გადასახადე-

ბი არასწორად ჰქონდათ დარიცხული სამამულო ომის ინვალიდებს, წითელარმიელთა ოჯახებსა და პენსიონერებს.

რაიონში ადგილი ჰქონდა საგადასახადო პოლიტიკის უხეშად დარღვევის, გადასახად-გამოსაღებების ვადაზე ამოუღებლობისა და შეღავათების არასწორად შეფარდების მრავალ შემთხვევას.

1943-44 წლებში გამოანგარიშებული გადასახად-გამოსაღებები 310.640 მანეთის რაოდენობით გადამხდელებისაგან ამოღების ნაცვლად, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ არის გადახდილი. ამ თანხიდან დღემდე არ დაუბრუნებიათ კოლმეურნეობებისათვის 47.392 მანეთი.

მსხვილფეხა პირუტყვზე გადასახადის გაუტარებლობის, სასოფლო-სამეურნეო, სამხედრო და კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადის არასწორად გამოანგარიშების შედეგად, 1943 წელს გამოუანგარიშებელი და აუკრეფავია 170.060 მანეთი.

რაიონში საშტატო-საგანაკვეთო დისციპლინის უხეშად დარღვევის შედეგად უკანონოდ დახარჯულია 50.265 მანეთი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებებში რევიზიით გამოვლინებული საბიუჯეტო და გადასახადის სახსრების გაფლანგვები და საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევები შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ რაიაღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. გელაშვილი) არ უზრუნველჰყო საგადასახადო პოლიტიკის სწორად გატარება და დაუშვა სერიოზული დამახინჯებანი გადასახად-გამოსაღებების აკრეფის საქმეში, არ გაუწია კონტროლი და ხელმძღვანელობა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას და არ მიაქცია სერიოზული ყურადღება რაიაღმასკომის განყოფილებათა და რაიონის სხვა დაწესებულებათა მუშაკების სწორად შერჩევას.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სარევიზიო აპარატის სუსტი მუშაობის შედეგად ვერ გამოავლინა დროულად ლაგოდეხის რაიონში საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-განიავება და საგადასახადო პოლიტიკის დარღვევები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომს გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სისტემატურად მოისმინოს რაიაღმასკომის სხდომაზე 1944 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების მიმდინარეობა და მიიღოს ზომები შემოსავლის წყაროების შესრულებისა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე დაშვებულ ასიგნობათა მთლიანი ათვისების უზრუნველსაყოფად;

ბ) ა/წლის 1-ლ აგვისტომდე უზრუნველჰყოს საგადასახადო ნარჩენების სრული ინვენტარიზაცია და მათი აკრეფა, კატეგორიულად აკრძალოს კოლმეურნეობების სახსრებიდან მოსახლეობაზე გაწერილ გადასახად-გამოსაღებების დაფარვა და ერთი თვის განმავლობაში უზრუნველჰყოს მოსახლეობის მაგიერ კოლმეურნეობების მიერ გადახდილი თანხების დაბრუნება;

გ) ა/წლის ივლისის დამლევამდე ლიკვიდაცია უყოს საბიუჯეტო დაწესებულებებში არსებულ დებიტორულ დავალიანებებს და

მომავალში ზუსტად დაიცვას საქვეანგარიშო თანხების გაცემისა და ხარჯვის შესახებ არსებული წესები;

დ) გააძლიეროს კონტროლი ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა საბიუჯეტო სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე, განყოფილების დაფინანსება აწარმოოს მხოლოდ ფაქტიური საჭიროების მიხედვით და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ბიუჯეტით გაუთვალისწინებელ ღონისძიებებზე თანხების თვითნებური ხარჯვა;

ე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა საგადასახადო აგენტების მუშაობაზე, სისტემატურად ჩაატაროს მათი მუშაობის რევიზიები და უზრუნველჰყოს აკრეფილი თანხების სრული და დროული ჩარიცხვა ბიუჯეტში.

2. წინადადება მიეცეს ლაგოდეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამლევამდე ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე აუნაზღაუროს საკავშირო ბიუჯეტს 1942-43 წელს უკანონოდ ჩამოწერილი 801.492 მანეთი.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ლაგოდეხის რაიონში საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-განიავებისათვის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა პასუხისგებაში მისცა და საგამოძიებლო ორგანოების მიერ დაპატიმრებული არიან: საფინანსო განყოფილების გამგე ვ. ვ. კუმელაშვილი, საბიუჯეტო ინსპექტორი თ. ი. ჩიქვილაძე, რაიფინგანის მთავარი ბუხჰალტერი ნ. ვ. წერეთელი, განათლების განყოფილების ბუხჰალტერი ვ. ნ. ეგეტაშვილი, სოცუზრუნველყოფის განყოფილების ბუხჰალტერი შ. ნ. ფირცხალაიშვილი, სოცუზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორი ბ. მ. თარაევი და შრომის სასოფლო საბჭოს ყოფილი მდივანი ნ. ვ. ბალარჯიშვილი.

გარდა ამისა, საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევისა და უყაირათო მუშაობისათვის გადაყენებული არიან თანამდებობიდან: განათლების განყოფილების გამგე შ. გ. კანდელაკი, მრეწვკომბინატის დამხმარე მეურნეობის გამგე ა. ს. პეტრიაშვილი, რაიფინგანის სახშემოსავლების ინსპექტორი დ. დ. ზურაბაშვილი, ბაისუბნის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ზ. მიქაუტაძე, ტროპიკული სადგურის გამგე შ. გ. ჯაველიძე, ვარდისუბნის სოფლის კოოპერატივის საწყობის გამგე პ. ი. ხარატიშვილი და მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორი მ. პ. ხეჩუმოვა.

4. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. მ. ბ. ნარსიას ჩაატაროს ლაგოდეხის რაიკავშირის 1943-44 წლების საქმიანობის რევიზია და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 22 იანვრის დადგენილების შესაბამისად მისცეს პასუხისგებაში რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. პ. ბაბუნაშვილი ფონდირებული საქონლის განიავებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. ნ. ა. გიორგაძეს მოხსნას სამუშაოდან და მისცეს პასუხისგებაში საკოლმეურნეო ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. გ.

თიკანაძე ლაგოდეხის რაიონში მარილის სპეკულანტურ ფასებში გაყიდვისათვის.

6. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. გ. ი. სტვილიას ჩაატაროს სახბანკის ლაგოდეხის განყოფილების 1943-44 წლების საქმიანობის დოკუმენტალური რევიზია და შედეგი აცნობოს სახკომსაბჭოს.

7. წინადადება მიეცეს ლაგოდეხის რაიაღმასკომს მოხსნას სამუშაოდან და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 22 იანვრის დადგენილების თანახმად მისცეს პასუხისგებაში მრეწვკომბინატის დირექტორი ე. მ. ბურძგლა ფონდირებული საქონლისა და ნედლეული მასალის განიავებისათვის.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს გაუწიოს დახმარება ლაგოდეხის რაიაღმასკომს რაიფინგანის აპარატის განმტკიცებაში საფინანსო დარგის გამოცდილი მუშაკებით.

9. მშრომელთა დეპუტატების ლაგოდეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ს. ი. გელაშვილს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე უყურადღებობის, საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯების, სახელმწიფო სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ მან დროზე ვერ შეამჩნია და ვერ გამოავლინა რაიონში მოკალათებული გამფლანგველთა ჯგუფი — გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

გაფრთხილებულ იქნას ამხ. გელაშვილი, თუ უმოკლეს ვადაში ვერ უზრუნველჰყოფს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას და მუშაობის გარდაქმნას, მის მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები.

10. დაევალოს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს ამხ. ჯანჯღავას მიავლინოს ლაგოდეხის რაიონში გამოცდილი სპეციალისტი რაიონის პროკურატურის დასახმარებლად დამნაშავე პირთა საქმის სწორად გამოძიებისა და დაჩქარებით დამთავრების საქმეში.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა ამხ. თავაძემ ორი თვის შემდეგ შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

12. ეს დადგენილება დაეგზავნოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ყველა აღმასკომებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 660

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შექმნის შესახებ

არქიტექტურის ხარისხის გაუმჯობესების, არქიტექტურულ და საგეგმარო სამუშაოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 29 სექტემბრის № 1064 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არქიტექტურის საქმეთა სამმართველო.

2. გავრცელდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ არქიტექტურის დარგში განსახორციელებელ საქმიანობაზე,—მიუხედავად მათი უწყებრივი ქვემდებარეობისა.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს:

ა) ქალაქებისა და ქალაქთა ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და გაშენების პროექტების, უმნიშვნელოვანეს საცხოვრებელ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ შენობათა პროექტების დამტკიცება;

ბ) სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის გაწევა ქალაქებისა და ქალაქთა ტიპის დასახლებული ადგილების გაშენების ხარისხისა და საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა მშენებლობისათვის;

გ) მასობრივი სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის ტიპიური პროექტებისა და სტანდარტების გამომუშავება და დამტკიცება, აგრეთვე ქალაქებისა და ქალაქთა ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმარებისა და სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის პროექტირების ნორმების გამომუშავება და დამტკიცება;

დ) სამშენებლო და მხატვრული მრეწველობის ნაწარმთა ნიმუ-

შების განხილვა და დანერგვა საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა გამშვენებისა და მოწყობისათვის;

ე) არქიტექტურულ-საპროექტო ორგანიზაციების შემოქმედებითი მუშაობის თვალყურის დევნება და კონტროლი მათი ქვემდებარეობის მიუხედავად;

ვ) არქიტექტურის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა და არქიტექტურისა და სამხატვრო მრეწველობის დარგში კადრების მოსამზადებელ სასწავლებელთა ხელმძღვანელობა;

ზ) არქიტექტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმის ხელმძღვანელობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს გამოიმუშაოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს:

ა) დადგენილებათა პროექტები დასახლებული ადგილების დაგეგმარების და გაშენების საქმისა და საბინაო და საქალაქო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ;

ბ) ქალაქების დადგეგმარებისა და გაშენების პროექტები და აგრეთვე მსხვილ ნაგებობათა პროექტები;

გ) გადაწყვეტილებათა პროექტები საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათათვის ახალი სახლის სამშენებლო და გასამშვენებელ მასალათა, ნაწარმთა და მოწყობილობათა წარმოების საკითხებზე;

დ) არქიტექტურული პროექტების საქმის მოწესრიგებისა და გაუმჯობესების ღონისძიებანი;

ე) გადაწყვეტილებათა პროექტები საცხოვრებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა საცდელი მშენებლობის ჩატარების შესახებ.

5. შეიქმნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურულ საქმეთა სამმართველოს უფროსთან სახელმწიფო არქიტექტურული საბჭო, ხოლო ქალ. თბილისის მთავარ არქიტექტორთან—საქალაქო არქიტექტურული კომისია.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსს ორი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სახელმწიფო არქიტექტურული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა და აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა კომიტეტთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შესახებ.

7. გადაცემულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში:

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის განყოფილება;

ბ) მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მთავარი არქიტექტორის სამმართველოსთან არსებული საქართველოს სსრ შენიღბვის სამსახური.

8. დადგენილ იქნას, რომ ქალ. თბილისის მთავარი საქალაქო არქიტექტორის სამმართველო მუშაობს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს დირექტივებით.

9. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შტატი, 60 ერთეულის რაოდენობითა და 53.355 მანეთის ხელფასის თვიური ფონდით, წარედგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას.

10. მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურულ საქმეთა სამმართველოს უფროსს არსებული წესით შტატის დამტკიცებამდე მიიღოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიაში გაგზავნილი საშტატო პროექტის მუშაკთა 50%.

11. დაევალოს ფინსახკომს ამხ. ციმაკურიძეს მისცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს 60.000 მანეთი ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად სამმართველოსათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როხტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 661
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოს მშენებლობის შემოწმების შედეგების შესახებ**

ბათუმის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოს მშენებლობა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ისე დაიწყო, რომ მას არ ჰქონია დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტი და ხარჯთაღრიცხვები. სახელოსნოს ნაცვლად არსებითად განზრახულია ქარხნის აშენება, რომლის ღირებულება საორიენტაციო გამონაგარიშებით დაახლოებით 2 მილიონ მანეთს შეადგენს.

ასეთი ობიექტის მშენებლობა უპროექტოდ და უხარჯთაღრიცხვოდ დაუშვებელია, მაგრამ აჭარის ასსრ სახკომსაბჭო, 1943 წლის III კვარტალიდან დაწყებული, მშენებლობისათვის გამოყოფდა სახსრებს და გაღებული 698 ათას მანეთიდან ამჟამად ძველი შენობის აღსადგენად, მოწყობილობის დასამონტაჟებლად და შესაძენად ათვისებულია 392 ათასი მანეთი.

დაშვებულია სახანძრო უშიშროების არსებული ნორმების დარღვევა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სათანადო მანძილის დატოვებას „გლავნეფტესბიტის" ნავთის საწყობებსა და აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მექანიკური სახელოსნოების მშენებლობას შორის.

აჭარის ასსრ შინსახკომის ქ. ბათუმის გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილებამ ჯერ მისცა იმის სანქცია, რომ ეწარმოებინათ აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბათუმის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოების მშენებლობა, სახანძრო უშიშროების ნორმების დარღვევით, ხოლო შემდეგ, როცა მუშაობა გაიშალა, ამის შესახებ საჩივარი აღძრა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახანძრო უშიშროების არსებული ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, შეჩერებულ იქნას აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბათუმის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოების შემდგომი მშენებლობა ნავთის შესახვევში № 4 მდებარე მოედანზე.

2. ნება დაერთოს აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამოიყენოს ნავთის შესახვევში მდებარე № 4 შენობა მხოლოდ ლითონის ცივი დამუშავების საამქროების მოსათავსებლად.

3. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს უზრუნველჰყოს აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბათუმის მექანიკური სახელოსნოს ლითონის ცხელი დამუშავების საამქროებიანად მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა და დამტკიცება დადგენილი წესით, ამასთან დაიცვას სახანძრო უშიშროების ყოველგვარი მოთხოვნები, რის შემდეგ განაახლოს მშენებლობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 662

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სასოფლო-სამეურნეო გადასახლების 1944 წლის გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საგადასახლებო ღონისძიებათა დაკრედიტების იმ გეგმით გათვალისწინებული 11.500 ათასი მანეთის შემდეგი განაწილება, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 22 აპრილის № 445 დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკაში 1944 წლისათვის:

| | | |
|---|---|---|
| საცხოვრებელი სახლების რემონტისა და მშენებლობისათვის | 2.960 | ათასი მანეთი |
| სამეურნეო მშენებლობისათვის | 1.745 | „ „ |
| პირუტყვის შესაძენად | 555 | „ „ |
| გადასახლებულთა სამეურნეო მოწყობისათვის | 871,2 | „ „ |
| ინდივიდუალური სარგებლობისათვის ძროხების შესაძენად | 2.178,0 | „ „ |
| 1945 წლის მოსამზადებელი ღონისძიებებისათვის | 3.190,8 | „ „ |

დამტკიცდეს გადასახლების ღონისძიებებისათვის გაღებული კრედიტის რაიონობლივი განაწილება, №№ 1, 2, 3 და 4 დანართების თანახმად.

2. დაწესდეს 1944 წელს გადასასახლებელთა კონტინგენტი 1504 მეურნეობის რაოდენობით, აქედან ჩასახლებულ იქნას აფხაზეთის ასსრ ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობებში—314, კლუხორის რაიონის კოლმეურნეობებში—500, ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში—200, ახალქევის რაიონის კოლმეურნეობებში—150, ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებში—100, ზემო-სვანეთის რაიონსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იალბუზის სასოფლო საბჭოში—40, თეთრიწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში—50 და ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში—150 მეურნეობა.

3. საკოლმეურნეო კომლთა გადასახლება მოხდეს საქართველოს სსრ მცირემიწიანი და მთაგორიანი რაიონებიდან.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ გადასახლება-დასახლების სამმართველოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის ბერიას სახელობის ახლადდასახლებული კოლმეურნეობის დაბაში არსებული თავისუფალი საცხოვრებელი სახლები გამოიყენოს სხვა ახლადდასახლებულ კოლმეურნეობებში გადასატანად საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტისათვის.

5. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ნოემბრის № 115/2043 დადგენილების შესაბამისად, გამოჰყოს 4.062 ცენტნერი სასურსათო მარცვალი ახლადდასახლებული კოლმეურნეებისათვის სასურსათო სესხის მისაცემად, თანახმად № 5 დანართისა.

6. გადასახლების ხაზით სამუშაოთა მოცულობის მნიშვნელოვნად გადიდებასთან დაკავშირებით, ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ნება დაგვრთოს, რათა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ევაკუირებული მოსახლეობის სამეურნეო მოწყობის განყოფილება გადაკეთდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ გადასახლება-დასახლების სამმართველოდ, რომელსაც აგრეთვე დაეკისროს ევაკუირებული მოსახლეობის მომსახურება.

დაწესდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოს შტატი 17 ერთეულის რაოდენობით, რომლის თვიური ხელფასის ფონდი განისაზღვროს 17.523 მანეთის რაოდენობით და ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას დაამტკიცოს იგი.

7. გადასახლებულთა კოლმეურნეობებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და რემონტი დაეკისროს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ გადასახლება-დასახლების სამმართველოს, რომელსაც ნება დაერთოს მოაწყოს სამმართველოსთან, სარემონტო-სამშენებლო კანტორა დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე.

დაწესდეს სარემონტო-სამშენებლო კანტორის ადმინისტრატიულ-სამეურნეო პერსონალის შტატი 7 კაცის რაოდენობით, რომლის თვიური ხელფასის ფონდი განისაზღვროს 4.650 მანეთის რაოდენობით და ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას დაამტკიცოს იგი.

8. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გამოუყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გადასახლებულთა კოლმეურნეობებში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად 30 ტონა ლურსმანი და 4.000 კვ. მეტრი ფანჯრის მინა.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, ხობის რაიაღმასკომს და ფოთის საქალაქო აღმასკომს მოაწყონ თავიანთი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მეშვეობით ხე-ტყის მასალის, აგურისა და კრამიტის დამზადება 1945 წლის გადასახლება-დასახლების მშენებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ პროდუქციის ერთი ნაწილი გაცემულ იქნას 1944 წლის IV კვარტალიდან.

10. წინადადება მიეცეს სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის საზკვების ტრესტს და კოჩარის ჩაის ფაბრიკას სამუშაოდვარგის მდგომარეობაში დაუბრუნონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ გადასახლება-დასახლების სამმართველოს ის სატვირთო მანქანები, რომლებიც მათ გადასახლებულთა კოლმეურნეობების აფხაზეთის სამშენებლო კანტორისაგან მიიღეს.

11. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ გადასახლება-დასახლების სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. ვ. დ. ვასაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭო'ს 1944 წლის 14/VI
№ 662 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გ ე გ მ ა

## საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რემონტის დაკრედიტებისა 1944 წლისთვის საქართველოს სსრ გადასახლებულთა კოლმეურნეობებში

| გადასახლებულთა კოლმეურნეობების დასახელება | საცხოვრებ. სახლების რაოდენობა | საშუალო ღირებულ. ათას მან. | საერთო ღირებ. ათას მან. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| **მშენებლობა** | | | | |
| საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამთავრება აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის საგადასახლებო დაბა ბესლახუბაში . . . . . . | 120*) | 15,0 | 1800,0 | |
| **რემონტი** | | | | |
| აფხაზეთის ასსრ | | | | |
| 1. ოჩამჩირის რაიონი . . . . . . . . . . . . | 133 | 3,7 | 483,0 | |
| აქედან: ა) სოფ. აძიუბჟა, ბაქრაძის სახელ. კოლ-ბა . . . . . . . . | 81 | 3,5 | 213,5 | |
| ბ) სოფ. ტამიშის მოლოტოვის სახ. კოლმეურნ. . . . . . . . | 35 | 4,0 | 140,0 | |
| გ) სოფ. აკვასკას სტალინის სახ. კოლმ. . . . . . . . . . . | 37 | 3,5 | 129,5 | |
| 2. გუდაუთის რაიონი . . . . . . | 141 | 3,8 | 537,0 | |
| აქედან: ა) სოფ. ახალი სოფელი, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა . | 31 | 3,5 | 108,5 | |
| ბ) სოფ. ახალი სოფელი, ორჯონიკიძის სახელ. კოლმეურნეობა . | 23 | 3,5 | 80,5 | |
| გ) სოფ. ახალი სოფელი, სტალინის სახელობ. კოლმეურნეობა . . . | 87 | 4,0 | 348,0 | |
| 3. გაგრის რაიონი . . . . . . . . . . . . | 40 | 3,5 | 140,0 | |
| აქედან: სოფ. პილენკოვოს სტალინის სახ. კოლმეურნეობა . . . . . . . . | 40 | 3,5 | 140,0 | |
| სულ რემონტისათვის . . . . . . . . . . | 314 | 3,7 | 1160,0 | |
| **მოსამზადებელი ღონისძიებანი 1945 წლისათვის** | | | | |
| 1- სამშენებლო მასალათა დამზადება . . . . | — | — | 3005,0 | |
| აქედან: ა) აფხაზეთის ასსრ-ში . . . . | — | — | 2500 | |
| ბ) კოლხიდაში . . . . . . . . . | — | — | 505,0 | |
| 2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები | — | — | 185,8 | |

*) რომლებსაც აშენებენ სოხუმის გარნიზონის სამხედრო ნაწილები

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 14/VI
№ 662 დადგენილების დანართი № 2

# გეგმა

## სამეურნეო მშენებლობის დაკრედიტებისა 1944 წლისათვის საქართველოს სსრ-ის გადასახლებულთა კოლმეურნეობებში

| რაიონების დასახელება | ბოსლები | | სალორეები | | თამბაქოს საშრობები | | კოლმეურნეობათა გამგეობების შენობები | | წყალსადენი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | ღირებულება ათას მანეთობით | რაოდენობა | ღირებულება ათ. მანეთობით | რაოდენობა | ღირებულება ათას მანეთობით | რაოდენობა | ღირებულება ათას მან. | რაოდენობა | ღირებულება ათ. მან. |
| 1. აფხაზეთის ასსრ . . . . . | 6 | 385,0 | 3 | 100.0 | 2 | 110,0 | 4 | 200,0 | 1 | 500,0 |
| აქედან: ოჩამჩირის რ-ნი | 4 | 265,0 | 2 | 60,0 | – | – | 1 | 50 | 1 | 500,0 |
| გუდაუთის „ | 1 | 80,0 | 1 | 40,0 | 2 | 110,0 | 3 | 150,0 | — | — |
| გაგრის „ | 1 | 40,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2. კლუხორის რ-ნი . . . . . | 2 | 80.0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 3. ყაზბეგის „ . . . . | 1 | 40.0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4. ახალხევის „ . . . . | 3 | 120,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 5. ფოთის „ . . . . | 1 | 60,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6. ხობის „ . . . | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 150,0 |
| სულ . . . . | 13 | 685,0 | 3 | 100,0 | 2 | 110,0 | 4 | 200,0 | 2 | 650,0 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 14/V
№ 662 დადგენილების დანართი № 3

# გ ე გ მ ა

## საქართველოს სსრ გადასახლებულთა კოლმეურნეობების დაკრედიტებისა პირუტყვის შესაძენად 1944 წლისათვის

| რაიონების დასახელება | ძროხების შეძენა სარძეო სასაქონლო ფერმებისათვის | | | მუშა-პირუტყვის შეძენა | | | თხისა და დედა-ღორების შეძენა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულადობის რაოდენობა | საშუალო ღირებ. ათას მან. | საერთო ღირებ. ათას მან. | სულადობის რაოდენობა | საშუალო ღირებ. ათას მან. | საერთო ღირებ. ათას მან. | სულადობის რაოდენობა | საშუალო ღირებ. ათას მან. | საერთო თანხა ათას მან. |
| 1. ოჩამჩირის რაიონი . . . . . | 25 | 3,0 | 75,0 | 20 | 3,0 | 60,0 | 200 | 1,5 | 300.0 |
| 2. გუდაუთის . . . . . . . . . | — | — | — | 40 | 3,0 | 120,0 | — | — | — |
| სულ . . . . . . . . | 25 | 3,0 | 75,0 | 60 | 3,0 | 180,0 | 200 | 1,5 | 300,0 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 14/VI
№ 662 დადგენილების დანართი № 4

# გ ე გ მ ა

**გადასახლებულ კოლმეურნეთა დაკრედიტებისა 1944 წლისათვის ძროხების შესაძენად ინდივიდუალური სარგებლობისა და სამეურნეო მშენებლობისათვის**

| დასახლების რაიონები | დასახლებულ მეურნეობათა რაოდენობა | კრედიტი სამეურნეო მშენებლობისათვის (300 მ. 1 მეურნეობაზე) | კრედიტები ძროხების შესაძენად ინდივიდ. სარგებლობისათ. | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | უძროხო მეურნეობათა რიცხვი | კრედიტის რაოდენობა 1 მეურნეობაზე ათას მანეთობით | კრედიტის საერთო თანხა |
| 1. კლუხორის რაიონი . . . | 500 | 165,0 | 275 | 1,5 | 412,5 |
| 2. ყაზბეგის „ . . . | 200 | 60,0 | 100 | „ | 150,0 |
| 3. ახალხევის „ . . . | 150 | 45,0 | 75 | „ | 112,5 |
| 4. ბოლნისის „ . . . | 940 | 282,0 | 470 | „ | 705,0 |
| 5. საგარეჯოს „ . . . | 250 | 75,0 | 125 | „ | 187,5 |
| 6. ზ/სვანეთის „ . . . | 40 | 15,0 | 25 | „ | 37,5 |
| 7. თეთრიწყაროს „ . . . | 300 | 90,0 | 150 | „ | 225,0 |
| 8. ყვარლის „ . . . | 150 | 45,0 | 75 | „ | 112,5 |
| 9. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . | 314 | 94,9 | 157 | „ | 235,5 |
| აქედან: | | | | | |
| ოჩამჩირის რაიონი . . . | 133 | 39,9 | 67 | „ | 100,5 |
| გუდაუთის „ . . . | 141 | 42,3 | 70 | „ | 105,0 |
| გაგრის „ . . . | 40 | 12,0 | 20 | „ | 30,0 |
| სულ საქართველოს სსრ-ში . . . . . | 2694 | 871,2 | 1502 | — | 2.178,0 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 14|VI
№ 662 დადგენილების დანართი № 5

ნაციონალური ბიბლიოთეკა

# საჭირო რაოდენობის

**ხორბალი (სიმინდი) სასურსათო სესხის მისაცემად გადასახლებულ კოლმეურნეთათვის**

| დასახლების რაიონების დასახელება | მეურნეობა-თა რაოდე-ნობა | სესხის რაო-დენობა 1 მეურნეობაზე | საერთო რაო-დენობა ცენ-ტნერობით |
|---|---|---|---|
| 1. კლუხორის რაიონი . . . . . | 500 | 3 | 1.500 |
| 2. ყაზბეგის „ . . . . . . | 200 | „ | 600 |
| 3. ახალხევის „ . . . . . | 150 | „ | 450 |
| 4. ბოლნისის „ . . . . . . | 100 | „ | 300 |
| 5. თეთრიწყაროს „ . . . . . . | 50 | „ | 150 |
| 6. ზ/სვანეთის „ . . . . . . | 40 | „ | 120 |
| 7. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . | 314 | „ | 942 |
| აქედან: | | | |
| ოჩამჩირის რაიონი . . . . . | 133 | „ | 399 |
| გუდაუთის „ . . . . . | 141 | „ | 423 |
| გაგრის „ . . . . . . | 40 | „ | 120 |
| ს უ ლ . . . . . . . . | 1.354 | „ | 4.062 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 663

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### წიფლის ნაპობი ტკეჩის განაწილების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს 1944 წლისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქსარეწტყეკავშირის, თელავისა და ლაგოდეხის რაიაღმასკომების რაიონული სამრეწველო კომბინატების მიერ დამზადებული წიფლის ტკეჩის რესურსები 900 ათასი ცალის რაოდენობით, აქედან:

| | |
|---|---|
| საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოსათვის — სამეურნეო დამზადება . . . | 100 ათასი ცალი |
| საქსარეწტყეკავშირისათვის . . . . . . . . . | 600 „ „ |
| თელავის რაიაღმასკომის რაიონული სამრეწველო კომბინატისათვის . . . . . . . . . . | 100 „ „ |
| ლაგოდეხის რაიონის რაიონული სამრეწველო კომბინატისათვის . . . . . . . . . . . . . | 100 „ „ |

2. დამტკიცდეს 1944 წლისათვის საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქსარეწტყეკავშირის, თელავისა და ლაგოდეხის რაიაღმასკომების რაიონული სამრეწველო კომბინატების მიერ დამზადებული წიფლის ტკეჩის განაწილება, თანახმად დანართისა.

3. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას, საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს, თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. უთიაშვილს და ლაგოდეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გელაშვილს

უზრუნველჰყონ 1944 წელს წიფლის ტკეჩის დამზადება და მომხმარებლებისათვის ჩაბარება თანაბარ პარტიებად თვეების მიხედვით, ამასთან მთლიანად შეასრულონ გეგმა ტკეჩის მიწოდებისა, პირველ რიგში თბილხილბოსტანვაჭრობისა და ცეკავშირისათვის.

4. წინადადება მიეცეს იმ სახალხო კომისარიატების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც ტკეჩს ამ დადგენილების თანახმად იღებენ, უზრუნველჰყონ ტკეჩის თავის დროზე მიღება და გატანა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ბერიშვილს, საქკონსერვხილტრესტს ამხ. წიკლაურს და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის დირექციას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 5 იანვრის № 9 დადგენილებით გამოყოფილ სატკეჩე წიფლის ტყესაკაფებზე უზრუნველჰყონ 1500 ათასი ცალი ტკეჩის დამზადება და გამოზიდვა საკუთარი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აქედან:

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის
სახალხო კომისარიატმა . . . . . . . . . 300 ათასი ცალი
საქკონსერვხილტრესტმა . . . . . . . . . . 1000 „ „
ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ . . . . . . 200 „ „

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა წინათმიღებული დადგენილებანი და განკარგულებანი 1944 წელს მომხმარებლებისათვის ტკეჩის მიცემის საკითხზე.

1944 წლის 1 ივნისამდე ფაქტიურად გაცემული ტკეჩი ჩაეთვალოს მომხმარებლებს იმ ტკეჩის ანგარიშში, რომელიც ამ დადგენილების თანახმად უნდა გაიცეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 14/VI
№ 663 დადგენილების დანართი

# გ ე გ მ ა

## ნავთობი ტკეჩის განაწილებისა 1944 წლისათვის საქართველოს სსრ-ში

| მომხმარებლის დასახელება | რაოდენობა | ჩამბარებლის დასახელება | ტრანსპორტირება |
|---|---|---|---|
| საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი — თბილხილბოსტანვაჭრობა . . . . . . . . . . . | 50000 | საქ სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი (სამეურნეო დამხადება) . . . . . . . . . . . . | გზატკეცილი |
| " " " | 250000 | საქსარეწტყეკავშირი . . . . . . . . . . . . | " |
| საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატი *) . . | 155000 | " | " |
| საქ. სსრ ჯანსახკომის ფარმქიმმრეწვი . . . . . . . | 20000 | " | " |
| ქვანახშირის მრეწვ. სახ. კომისარიატი . . . . . . . | 12000 | " | " |
| პიროტყვდამზადების საქკანტორა . . . . . . . . . | 30000 | " | " |
| საქცხოველდამზადკანტორა . . . . . . . . . . | 13000 | " | " |
| საქთევზტრესტი . . . . . . . . . . . . . . | 10000 | " | " |
| საქ. სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველო | 10000 | " | " |
| „გლავხიმსბიტის“ თბილკანტორა . . . . . . . . . | 10000 | " | " |
| ცეკავშირი . . . . . . . . . . . . . . . . | 90000 | " | " |
| " " | 50000 | საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი (სამეურნეო დამხადება) . . . . . . . . . . . . | " |
| " " | 70000 | ლაგოდეხის რაიონული სამრეწველო კომბინატი . | " |
| " " | 70000 | თელავის " " " | " |
| თელავის რაიონული სამრეწველო კომბინატი . . . . | 30000 | " " " " | " |
| ლაგოდეხის " " " | 30000 | ლაგოდეხის . . . . . . . . . . . . . . . | " |
| სულ . . . . . . . . . . | 900.000 | | |

*) აქედან თბილისის მარგარინის ქარხნისათვის. 80.000 ცალი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 665

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## ხაშურის რაისამომხმარებლო კავშირთან არსებული ხილის ღვინის წარმოების შტატის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ცეკავშირის პრეზიდიუმის შუამდგომლობა ხაშურის რაისამომხმარებლო კავშირთან ხილის ღვინის წარმოების მოწყობის შესახებ და დამტკიცდეს ხაშურის რაისამომხმარებლო კავშირის ხილის ღვინის წარმოების შტატი 9 ერთეულის რაოდენობით, რომლის ხელფასის თვიური ფონდი განისაზღვროს 2.950 მანეთის რაოდენობით, თანახმად დანართისა, ცეკავშირის 1944 წლის შრომის გეგმის ფარგლებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 14/VI
№ 665 დადგენილების დანართი

# შტატი

## ხაშურის რაიონულ სამომხმარებლო კავშირთან არსებული ხილის ღვინის წარმოებისა

| თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულთა რიცხვი | თანამდებობრივი განაკვეთი | კანონიერი წანამატები | | სულ თვეში |
|---|---|---|---|---|---|
| | | | პერს. | სხვაგვარი (ნამსახურობა და სხვა) | |
| 1. დირექტორი-ტექხელმძღვანელი | 1 | 800 | — | — | 800 |
| 2. უფროსი ბუღალტერი . . . . | 1 | 500 | — | — | 500 |
| 3. საწყობის გამგე . . . . | 1 | 350 | — | — | 350 |
| 4. ექსპედიტორი . . . . . . . | 1 | 300 | — | — | 300 |
| 5. მეკასრე . . . . . . | 1 | 300 | — | — | 300 |
| 6. საწყობის მუშები . . . . . . | 2 | 200 | — | — | 400 |
| 7. გამრეცხავები . . . . . . . . | 2 | 150 | — | — | 300 |
| სულ . . . . . . | 9 | — | — | — | 2950 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 666

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**კლუხორის რაიონის სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქვაჭრობის კლუხორის განყოფილებას კლუხორის რაიონის მთელი მოსახლეობის (როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის) სავაჭრო მომსახურება.

2. კლუხორის რაიონის სასოფლო ადგილებში საქვაჭრობამ აწარმოოს ვაჭრობა სასოფლო ფასებში იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ „ცენტროსოიუზის" 1943 წლის 24 იანვრის № 40|42 ბრძანებით და ამ საკითხზე გამოცემული შემდგომი განკარგულებებით.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ყოველკვარტალურად გამოუყოს საქვაჭრობას კლუხორის რაიონის სასოფლო ადგილებში ვაჭრობისათვის სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფონდები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 667

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### მრეწველობაში ელექტროენერგიის მომჭირნეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი საწარმოები, მრეწველობის ელექტრომომარაგების მხრივ არსებული განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობის მიუხედავად, ელექტროენერგიას მფლანგველურად ხარჯავენ:

მარტო შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 1943 წელს გადახარჯეს 5.232.479 კილოვატსაათი, ანუ გეგმის 2,18%, ხოლო 1944 წლის პირველ კვარტალში—1.353.000 კილოვატსაათი, ანუ 2,2%, აქედან ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ—დირექტორი ამხ. კეკელიძე—1943 წელს გადახარჯა 4.997.179 კილოვატსაათი, ანუ გეგმის 2,13% და 1944 წლის I კვარტალში — 1.400.000 კილოვატსაათი, ანუ 2,33%; თბილისის წისქვილკომბინატმა — დირექტორი ამხ. მინდიაშვილი—1943 წელს გადახარჯა 207.400 კილოვატსაათი, ანუ 8,29%, ხოლო 1944 წლის I კვარტალში—9.600 კილოვატსაათი, ანუ 1,34%; ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ—დირექტორი ამხ. სურმავა—1943 წელს გადახარჯა 48.318 კილოვატსაათი, ანუ 6,8%, ხოლო 1944 წლის I კვარტალში—10.334 კილოვატსაათი, ანუ 5,63% და სხვ.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ელექტროენერგიის ხარჯვაში არსებული უყაირათობა და მფლანგველობა იმის შედეგს წარმოადგენს, რომ საწარმოთა დირექტორები და მთავარი ინჟინრები სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევენ ელექტრომოხმარების საკითხს და რომ საქენერგოს ენერგოგასაღება—დირექტორი ამხ. ცუცქირიძე—და თელასი—მმართველი ამხ. ბახტაძე, აგრეთვე სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები კონტროლს არ უწევენ ამ საქმეს.

დამაკმაყოფილებლად არ არის გამოყენებული ძირითადი რეზერვები ელექტროენერგიის კუთრი ხარჯების შემცირებისა რაციონალიზაციის და ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვის, წარმოე-

ბის უფრო ზუსტი ორგანიზაციისა და საწარმოო მოწყობილობის სრულად დატვირთვის ხარჯზე. ელექტროენერგიის მომჭირნეობის ხაზით მუშაობა მთლიანად მინდობილი აქვთ მთავარ ენერგეტიკოსებს. საწარმოთა ტექნოლოგები, მეტალურგები, მექანიკოსები უმეტეს შემთხვევაში მონაწილეობას არ იღებენ ამ მუშაობაში.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში—დირექტორი ამხ. კეკელიძე, ინგურქაღალდკომბინატში — დირექტორი ამხ. ჯანაშია, № 233 ქარხანაში (თბილისის „ცენტროლიტი")—დირექტორი ამხ სიხარულიძე—თბილისის ინსტრუმენტალურ ქარხანაში—დირექტორი ამხ. ხითარიშვილი, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის სამმართველოში—დირექტორი ამხ. გოგოძე და სხვა საწარმოებში დიდძალი ელექტროენერგია იხარჯება უნაყოფოდ, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევისა და ორგანიზაციული მოუწესრიგებლობის გამო.

ელექტროენერგიის ხარჯვის მოქმედი კუთრი ნორმები საწარმოთა უმრავლესობაში მთლიანად ვერ მოიცავს პროდუქციის ძირითად სახეებს, შემოღებული არ არის ამ ნორმების გადასინჯვისა და კონტროლის სისტემა. ამის შედეგად ბევრ საწარმოში (სამკერვალო ფაბრიკა № 1, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა, თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი, 26 კომისრის სახელობის ქარხანა და სხვ.) მოქმედებს გადიდებული ნორმები, რაც იწვევს ელექტროენერგიის მფლანგველურად ხარჯვის წახალისებას.

შედარებით მარტივ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებით შესაძლებელია შემცირდეს ელექტროენერგიის ხარჯვა ქ. თბილისის მარტო 7 საწარმოში 25.000 კილოვატსაათით თვეში, ანუ, 1944 წლის I კვარტალში მათი ფაქტიურ საშუალო თვიურ ხარჯვასთან შედარებით, 6,4%-ით. ცალკეულ საწარმოებში კი შესაძლებელია ელექტროენერგიის დაზოგვა 10-12%-ით (თბილისის ქაღალდის ფაბრიკა—12%, მარგარინის ქარხანა—10%, ტყავის ქარხანა № 1—10% და სხვ.).

იმ მიზნით, რომ გატარდეს ელექტროენერგიის მტკიცე მომჭირნეობა და დამყარდეს წესრიგი ელექტრომოხმარებაში, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 18 მაისის № 5928 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ალავიძეს ერთი თვის ვადაში დააწესოს თვითეული სახალხო კომისარიატისა და როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი ქვემდებარების ორგანიზაციის მიხედვით ძირითადი ენერგოტევადი სახის პროდუქციის ნომენკლატურა და წლის ყოველი ნახევრისათვის (აპრილ-სექტემბერი და ოქტომბერ-მარტი) დაამტკიცოს ელექტრო და თბოენერგიის კუთრი ნორმები პროდუქციის ერთეულზე დადგენილი ნომენკლატურის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

ა) ყოველწლიურად 1 მარტისა და 1 სექტემბრისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ძირითადი სახის პროდუქციაზე ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის კუთრი ნორმები იმ საწარმოთა მიხედვით, რომელთაც აქვთ დაწესებული სიმძლავრე 100 კილოვოლტამპერი და მეტი რაოდენობით;

ბ) გადასინჯონ და ერთი დეკადის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ძირითადი სახის პროდუქციაზე ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის კუთრი ნორმები 1944 წლის ივნის-სექტემბრის პერიოდისათვის, ამასთან გაითვალისწინონ ელექტროენერგიის კუთრი ხარჯვის შემცირება სულ ცოტა 5%-ით, 1943 წლის სათანადო პერიოდში ფაქტიურ კუთრ ხარჯვასთან შედარებით;

გ) ვიდრე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენდნენ ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის კუთრ ნორმებს, წინასწარ შეათანხმონ ეს ნორმები ენერგომომმარაგებელ ორგანიზაციებთან;

დ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1944 წლის ივნის-დეკემბრის პერიოდისათვის ელექტროენერგიის ხარჯვის 5-7%-ით შემცირების ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ელექტროენერგიის ხარჯვის, შეკუმშული ჰაერის, წყლის ხარჯვის შემცირებისაკენ, და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საწარმოებს ამ ღონისძიებათა გატარებაში;

ე) 1944 წლის 1 ივლისამდე მოაწყონ საწარმოებსა და ძირითად ენერგოტევად საამქროებში ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის აღრიცხვა;

ვ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ საწარმოთა მიერ კუთრი ნორმების შესრულებას და სასტიკ ადმინისტრატიულ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან ენერგიის მფლანგველურად ხარჯვაში.

დაწესდეს, რომ საწარმოში დამტკიცებული კუთრი ნორმების გადამეტებისათვის თანაბრად არიან პასუხისმგებელი საწარმოს დირექტორი, მთავარი ინჟინერი და მთავარი ენერგეტიკოსი, ხოლო საამქროში—საამქროს უფროსი და ელექტრიკოსი;

ზ) საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას სახალხო კომისარიატთა კოლეგიის სხდომებზე მოსმენილ იქნას სახალხო კომისარიატის ენერგეტიკოსის თანამოხსენება ელექტროგამოყენების დარგში ქარხნების მუშაობის შესახებ და ელექტროენერგიის ხარჯვის მონაცემები ერთერთ ძირითად მაჩვენებლად მიიჩნიონ დროშებისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების დროს.

3. წინადადება მიეცეს საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისა და საკავშირო ქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელებს, ვიდრე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ან საკავშირო სახალხო კომისა-

რიატებს დასამტკიცებლად წარუდგენდნენ ძირითადი სახის პროდუქციაზე ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის კუთრ ნორმებს, წინასწარ შეუთანხმონ ეს ნორმები საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

4. დაწესდეს, რომ ყველა სამრეწველო სახალხო კომისარიატი ყოველკვარტალურად უდგენს ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატთან არსებულ სამრეწველო ენერგეტიკისა და ენერგოზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას, ხოლო საწარმოები ყოველთვიურად უდგენენ საქენერგოს ენერგოგასაღების საფაბრიკო-საქარხნო ენერგოინსპექციას და თელასს (ქ. თბილისში), აგრეთვე თავიანთ სახალხო კომისარიატებს ანგარიშს ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვის კუთრი ნორმების შესრულების შესახებ.

5. გაფრთხილება მიეცეს სამრეწველო სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელებს, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 18 მაისის № 5928 დადგენილებით მათ ნებადართული აქვთ გადაუცვალონ ერთმანეთს ელექტრომოტორები და ძალოვანი ტრანსფორმატორები იმ შემთხვევებში, როცა დიდი მოტორები ან ტრანსფორმატორები გამოყენებული არ არის თავიანთი ნომინალური სიმძლავრით.

გადაცვლა სწარმოებს მხოლოდ სახალხო კომისრის ან ენერგეტიკის დარგში მისი მოადგილის ნებართვით, რაც შემდეგში აუცილებლად უნდა ეცნობოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ხაზით გადაცვლა ხდება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ნებართვით.

6. დაევალოს საქენერგოს მმართველს ამხ. დევიძეს და მთავარ ინჟინერს ამხ. მხეიძეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ენერგოგასაღებისა და ელექტროინსპექციის განყოფილების მუშაობას, ამასთან მიიღონ კონკრეტული ზომები მათი მუშაობის გასაძლიერებლად, გადასინჯონ შემადგენლობა და დააკომპლექტონ კვალიფიციური და მუშაობის უნარის მქონე სპეციალისტებით.

7. დაევალოს თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს და თელასის მმართველს ამხ. ბახტაძეს გააძლიერონ თელასის ელექტროზედამხედველობის მუშაობა, ამასთან უზრუნველჰყონ სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქის სხვა ობიექტების ელექტრომეურნეობათა სისტემატური შემოწმება, პასუხისგებაში მისცენ ელექტროენერგიის მოხმარების წესების ბოროტი განზრახვით დამრღვევნი და დააკომპლექტონ ელექტ-

როზედამხედველობის განყოფილება კვალიფიციური სპეციალისტებით.

8. დაევალოს ამხ. ფრანგულიანს (სახკომსაბჭო) საქენერგოსთან ერთად შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება და შემოწმების შედეგები მოახსენოს სახკომსაბჭოს ა/წ 1 სექტემბრისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 668

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემამ საერთო პროდუქციის გეგმა 1943 წელს შეასრულა 109,4%-ით, ხოლო დაგროვების გეგმა შეასრულა 1.835 ათასი მანეთის გადაჭარბებით და ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე—1.051 ათასი მანეთის გადამეტებით, ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის მთელ რიგ საწარმოთა მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ეს ნაკლოვანებანი 1943 წელს გამოიხატა შემდეგში:

1. დამამზადებელი პუნქტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა, პირუტყვის მიღება-ჩაბარების წესების დარღვევისა, სათანადო კონტროლის გაუწევლობისა და დატაცებებთან ბრძოლის ჩაუტარებლობის შედეგად, პირუტყვის ცოცხალი წონის დანაკარგები 1943 წლის განმავლობაში შეადგენდა 517,7 ტონას, აქედან ბაზებსა და გზაში ცოცხალი წონის დაკლების გამო — 368,6 ტონას, პირუტყვის დახოცვის გამო—93,1 ტონას და პირუტყვის დაკარგვის გამო—56 ტონას.

2. საორგანიზაციო-ზედნადებ ხარჯებში დაშვებული გადახარჯვა პირუტყვდამზადების ტრესტში 1943 წელს შეადგენდა 1680 ათას მანეთს, აქედან საკვების დარგში—996,1 ათას მანეთს და ხელფასისა—289,9 ათას მანეთს. საორგანიზაციო-ზედნადები ხარჯები ერთ ცენტნერ დამზადებულ ცოცხალ პირუტყვზე შეადგენდა 65 მან. 07 კაპ., მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 46 მან. 75 კაპ.

3. უხეში საკვების თვითღირებულება შეადგენდა 100 მან. 09 კაპ., მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო ცენტნერზე 60 მანეთი. პირუტყვის დიდხანს გაჩერებამ პირუტყვდამზადების ბაზებში გადააჭარბა მსხვილფეხა პირუტყვის საგეგმო ნორმებს 7,1 დღით, წვრილფეხა პირუტყვის ნორმებს—6,6 დღით და ღორის ნორმებს—6,8 დღით.

4. პირუტყვის გასასუქებლად დაყენების გეგმის 58,1%-ით შესრულების დროს, წონის მატების გეგმა განხორციელებულია მხოლოდ 6,6%-ით, რის გამოც წონის მატების ერთი ცენტნერის თვითღირებულება, რაც გეგმით 524 მან. უდრიდა, შეადგენდა 4.900 მანეთს, რამაც გამოიწვია 451 ათასი მანეთის ზარალი.

5. არადამაკმაყოფილებელი სამეურნეო მუშაობისა და ზეგეგმური დანაკარგების შედეგად, პირუტყვდამზადების ტრესტმა ნახა 2.351 ათასი მანეთის ზარალი და 1944 წლის დამდეგისათვის ტრესტს საბრუნავი სახსრების გარღვევა ჰქონდა 766 ათასი მანეთის რაოდენობით.

6. საქხორცმრეწვის ტრესტის მხრივ ხორცკომბინატებისათვის სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევის გამო, დანაკარგები ხორცკომბინატებში შეადგენდა 1.282,6 ცენტნერ ცოცხალ წონას, აქედან არ არის მიღებული ცხიმნედლეული 160,7 ცენტნერი, ხორცი და სუბპროდუქტები—785,8 ცენტნერი, ტექნიკური ცხიმები—20,6 ცენტნერი, ტყავი, სისხლი და სხვა ტექნიკური პროდუქცია—325,7 ცენტნერი.

7. ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში 1943 წელს ადგილი ჰქონდა, უყაირათობის გამო, საფინანსო დისციპლინის დარღვევებსა და დანაკარგებს, რაც შეადგენდა 1.424 ათას მანეთს, აქედან: მზა პროდუქციისა და მასალების დაკლებითა და გაფუჭებით—340 ათას მან., სადებიტორო დავალიანების ჩამოწერით—582 ათას მან., გასული წლების ოპერაციების ზარალის ჩამოწერით—380 ათას მან. და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ზარალის ჩამოწერით—71 ათას მან.

ხორცრძემრეწველობის საწარმოები არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას შინაგანი რესურსების მობილიზაციის საქმეს, რის შედეგადაც სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიურმა ნაშთებმა დაწესებულ ნორმატივებს 1.999 ათასი მანეთით გადააჭარბა, ხოლო სადებიტორო დავალიანება, გასულ წელთან შედარებით, 2.189 ათას მანეთიდან გაიზარდა 2.759 ათას მანეთამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბერიშვილს და საქპირუტყვდამზადების ტრესტის დირექტორს ამხ. სტურუას:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები და უზრუნველჰყონ 1944 წელს პირუტყვის დახოცვისა და ცოცხალი წონის დანაკარგების მაქსიმალური შემცირება, ყოველგვარი განიავების ლიკვიდაცია და სისტემატური საქმიანი კონტროლი გაუწიონ დამამზადებელი პუნქტების მუშაობას;

ბ) უზრუნველჰყონ განუხრელი შესრულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებისა პირუტყვის უჭდეოდ გადარეკის აკრძალვის შესახებ. უჭდეო პირუტყვის დანაკლისის აღმოჩენის ყოველ შემთხვევაში მატერიალური და სისხლის სამართლის წესის პასუხისმგებლობა დააკისრონ იმ დამამ-

ზადებელი პუნქტების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაარღვიეს დადგენილი წესი.

შემოიღონ საქპირუტყვდამზადების ტრესტის მთელს სისტემაში ქდეების აღრიცხვის ისეთი წესი, რომელიც სასტიკი ანგარიშგების დოკუმენტების აღრიცხვის ანალოგიური იქნება;

გ) საქპირუტყვდამზადების მთელს სისტემაში შემოიღონ პირუტყვის დახოცვის გაფორმების წესი ვეტექიმის, სასოფლო საბჭოს წარმომადგენლისა და მეჯოგის ან მწყემსის სავალდებულო მონაწილეობით;

დ) არ დაუშვან პირუტყვის ზენორმატიული გაჩერება ბაზებში და უზრუნველჰყონ პირუტყვის თავის დროზე მიწოდება ხორცკომბინატებისათვის.

2. დაევალოს ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბერიშვილს და საქხორცმრეწვის დირექტორს ამხ. ჭოლოკავას:

ა) უზრუნველჰყონ ხორცკომბინატებში პირუტყვის ცოცხალი წონის მაქსიმალური გამოყენება და კვების პროდუქციის ზენორმატიულ დანაკარგთა ლიკვიდაცია. გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ხორცპროდუქტების დატაცებისა და განიავების წინააღმდეგ და თავის დროზე მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით;

ბ) მიმდინარე წლის დამლევამდე ჩაატარონ ყველა ხორცკომბინატის რევიზია 1943 წლისა და 1944 წლის პირველი ნახევარწლისათვის და რევიზიის შედეგები მოისმინონ სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე;

გ) მოაწყონ ყველა ხორცკომბინატში შავი ტექნიკური ალბუმინის გამომუშავება მზიური ხმობის გამოყენებით და არ დაუშვან სისხლის გამოყენება საკვები მიზნებისათვის მისგან ალბუმინის გამომუშავების შესაძლებლობის შემთხვევაში.

3. წინადადება მიეცეს ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბერიშვილს და საქყველკარაქმრეწვის ტრესტის დირექტორს ამხ. ზოდელავას:

ა) მიიღონ საჭირო ზომები და უზრუნველჰყონ 1944 წლის დამზადებისა და საწარმოო გეგმების უცილობელი შესრულება საქყველკარაქმრეწვის ტრესტის მიერ;

ბ) დააწესონ სასტიკი კონტროლი რძის მიღებასა და დროულ ტრანსპორტირებაზე. სასტიკად დასაჯონ რძის აჭრის დამშვები პირნი;

გ) დააწესონ კოპტონისა და სხვა სახის კონცენტრირებული საკვების ხარჯვის მტკიცე აღრიცხვა;

დ) გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლის გამომუშავება რძის მრეწველობის ნარჩენებისაგან რაიონულ საწარმოებში, უწინარეს ყოვლისა შრატის გამოყენების საშუალებით.

4. გაფრთხილებულ იქნას საქპირუტყვდამზადების დირექტორი ამხ. სტურუა და საქხორცმრეწვის დირექტორი ამხ. ჭოლოკავა, რომ, უკეთუ ისინი არ გააუმჯობესებენ თავის მუშაობას და

არ უზრუნველჰყოფენ უყაირათობის ლიკვიდაციას ტრესტების მუშაობაში, მათ დაედებათ სასტიკი სასჯელი.

5. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ბერიშვილის განცხადება, რომ დამნაშავენი პირუტყვის დახოცვისა და ცოცხალი წონის დანაკარგების დაშვებაში მიცემული არიან სამართალში და რომ გასუქების, ზრდის დამთავრებისა და თივის აღების გეგმების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით განახლებულია საქპირუტყვდამზადების თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბაზის ხელმძღვანელობა.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის ხორცმრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. სმირნოვს გამოუყოს საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატს 1944 წლის III და IV კვარტალებში 350 ტონა კონცენტრირებული საკვები, 3.000 ტონა კოპტონი რძის ჩამბარებელთა სტიმულირებისათვის, 10.000 მეტრი მარლა, 30 ცალი სეპარატორი, 20 ცალი რძისსამზადი, 30 ცალი რძისსადღვები და სეპარატორის სათადარიგო ნაწილები 100 კომპლექტის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როხტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 669

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ**

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სარემონტო საწარმოებმა 1943 წელს შეასრულეს 75,8%-ით (გეგმა—31.400 ათასი მან., შესრულება — 23.815 ათასი მან.); თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ წლიური გეგმა შეასრულა 76,2%-ით, თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნოებმა—75,6%-ით და სასალტო-სარემონტო სახელოსნოებმა — 65,9%-ით.

ავტომანქანების კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 46,1%-ით, მოტორებისა—75,8%-ით, ავტომანქანების საშუალო რემონტისა—56,9%-ით, ავტოსაფრების რემონტისა — 33,1% და კამერების რემონტისა—55,6%-ით.

ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს არ ჩაუტარებია საკმაო ბრძოლა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა, მოწყობილობის რაციონალური გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი ორცვლიანი მუშაობის დროს შეადგენდა მხოლოდ 58%-ს, ხოლო მოწყობილობის არაგეგმიანი გაცდენა — 20,3%-ს.

ტვირთზიდვის გეგმა ავტოსატრანსპორტო კანტორების მიერ 1943 წელს შესრულებულია 70,6%-ით (გეგმა—115,7 ათასი ტონა, შესრულება—81,7 ათასი ტონა).

მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაა შესრულებული მგზავრთა გადაყვანის გეგმა. მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 476,9 ათასი მგზავრის გადაყვანა, 1943 წელს გადაყვანილ იქნა 538,1 ათასი მგზავრი, ანუ გეგმის 112,8%.

ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი 1943 წელს დღეების მიხედვით შეადგენდა 54%, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწო-

ნებული იყო 60%, ხოლო გაცდენამ დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეში 39%-ით გადააჭარბა საგეგმო ნორმებს.

ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოებში არ ჩაუტარებიათ ჯეროვანი ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

საწარმოო გეგმების მთლიანად შეუსრულებლობისა, ხელფასის ფონდის შედარებით გადახარჯვისა და ზედნადები ხარჯების ზრდის გამო, სარემონტო საწარმოებში ადგილი ჰქონდა პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებას 3,9%, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო მისი შემცირება 3,6%-ით.

გაზ-აა ავტომანქანების კაპიტალური რემონტის ფაქტიურმა თვითღირებულებამ 12,5%-ით გადააჭარბა 1942 წლის თვითღირებულებას. ზის-5 მანქანების რემონტის თვითღირებულებამ 8%-ით გადააჭარბა საგეგმო თვითღირებულებას.

ავტოსატრანსპორტო კანტორებში ტვირთზიდვის ტონა-კილომეტრის თვითღირებულების გაძვირება შეადგენდა 5,1%, მაშინ როდესაც მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება შემცირდა 10,3%-ით.

დაშვებულია 50,4 ათასი ლიტრი საწვავის, ანუ 5,47%-ის გადაჭარბებით დაწვა.

ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა საერთოდ 19%-ის გადაჭარბებით შეასრულეს დაგროვების გეგმა და ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე განახორციელეს გადამეტებით (გეგმა—5.975 ათასი მან., შესრულება—6.518 ათასი მან.).

ამასთან სარემონტო საწარმოებმა თვითღირებულების გაძვირების შედეგად ნახეს ზეგეგმური ზარალი 1.002 ათასი მანეთის რაოდენობით (იმ დროს როცა გეგმა უდრიდა 1.209 ათას მანეთს, ფაქტიური ზარალი შეადგენდა 2.211 ათას მანეთს, აქედან სათადარიგო ნაწილების დამზადებით გამოწვეული ზარალი—1.417,4 ათას მან.).

სადებიტორო დავალიანება 920 ათასი მანეთიდან გადიდდა 1.495 ათას მანეთამდე.

მასალების სათადარიგო ნაწილების არსებული გარდამეტის არადროული რეალიზაციის შედეგად, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ნორმირებულ საშუალებათა ნაშთებმა 642 ათასი მანეთით გადააჭარბა დაწესებულ ნორმატივებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს — ამხ. რთველაძეს:

1) მიიღოს ჯეროვანი ზომები ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მუშაობაში და უზრუნველჰყოს საწარმოო გეგმის შესრულება 1944 წელს.

2) მიაღწიოს სარემონტო საწარმოთა სადაზგო მოწყობილობის არსებული მარაგის მაქსიმალურ გამოყენებას, აღმოფხვრას დაზგების არაგეგმიანი გაცდენა, უზრუნველჰყოს მოწყობილობის

დროული რემონტი და სათადარიგო ნაწილებისა და მასალებისათვის გამოყოფილი ფონდების სრული რეალიზაცია.

3) გააძლიეროს ბრძოლა მუშათა დენადობასთან საწარმოებში, თავის დროზე მიიღოს ზომები შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ და მოამზადოს მიმდინარე წელს 300 მუშა ინდივიდუალური მოწაფეობის საშუალებით.

4) გააუმჯობესოს ავტომანქანების რემონტის ხარისხის კონტროლი, მოაწესრიგოს წუნის ზუსტი აღრიცხვა და სასტიკად დასაჯოს წუნდამშვებნი.

5) მიაღწიოს ავტოსატრანსპორტო კანტორების ავტოპარკის უკეთ გამოყენებას რემონტში და ხაზზე მანქანების გაცდენის შემცირებისა და მანქანის წამყვანთა შემადგენლობაში შრომის დისციპლინის გაძლიერების საშუალებით.

6) სასტიკი კონტროლი დააწესოს საწვავი და საცხები მასალების ხარჯვაზე და არ დაუშვას საწვავის ნორმაზე გადაჭარბებით დაწვა.

7) მოახდინოს უნაყოფო ხარჯების ლიკვიდაცია საწარმოებში, თავის დროზე გამოავლინოს და აღმოფხვრას პროდუქციის თვითღირებულების გაძვირების მიზეზები, მიაღწიოს ზედნადები ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას და არ დაუშვას ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

8) გააუმჯობესოს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა საწარმოების სასაწყობო მეურნეობასა და საამქროებში, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო კანტორებში და მოაწესრიგოს მატერიალურ სახსართა მოძრაობის სწორი დოკუმენტაცია.

ერთი თვის განმავლობაში გადასინჯოს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები საწარმოებსა და ავტოსატრანსპორტო კანტორებში, მოახდინოს მასალებისა და სათადარიგო ნაწილების გარდამეტის რეალიზაცია და მოიყვანოს ისინი დაწესებული ნორმატივების შესაბამის მდგომარეობაში.

9) მიიღოს გადამწყვეტი ზომები და სამი თვის განმავლობაში მოახდინოს სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაცია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 670
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1943 წელს საწარმოო პროგრამა საერთო პროდუქციის მხრივ შეასრულა 106,4%-ით (13.963 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.120 ათასი მანეთისა), აქედან ტყის ექსპლოატაციის ხაზით 95,4%-ით და საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ხაზით 110%-ით. ნატურპროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია შემდეგი რაოდენობით:

დამზადებულია მაქნისი მერქანი — 88,2 ათ. კუბ. მეტ., ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ათ. კუბ. მეტრისა (88,2%)

დამზადებულია შეშა—194,9 ათ. კუბ. მეტ., ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 165 ათ. კუბ. მეტრისა (118,1%)

გამოზიდულია მაქნისი მერქანი—90,41 ათ. კუბ. მეტ., ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 96 ათასი კუბ. მეტრისა (94,1%)

გამოზიდულია შეშა—182,6 ათ. კუბ. მეტ., ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 169 ათასი კუბ. მეტრისა (108%)

საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ხაზით ხერხვის გეგმა შესრულებულია 20,1 ათასი კუბ. მეტრის მოცულობით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26 ათასი კუბ. მეტრისა, გამოშვებულია: შეწებილი ფანერა 1,3 ათასი კუბ. მეტრი, ნაცვლად გეგმის გათვალისწინებული 4 ათასი კუბ. მეტრისა, 1029,6 ათასი მანეთის ავეჯი, ნაცვლად 2400 ათასი მანეთისა, აქედან ვენური სკამები 2,5 ათასი ცალი, ნაცვლად 100 ათასი ცალისა; სპეცნაწარმი დამზადე-

ბულია 4732,5 ათასი მანეთისა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.741,9 ათასი მანეთისა.

გამოშვებულია 2.659,4 ათასი მანეთის ფართო მოხმარების პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.919 ათასი მანეთისა.

სატყეო-სამეურნეო და სატყეო-კულტურულ ღონისძიებათა ხაზით ათვისებულია 8.947 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.800 ათასი მანეთისა; გეგმის შეუსრულებლობას ძირითადად ადგილი ჰქონდა სატყეო-კულტურულ ღონისძიებათა ხაზით—ათვისებულია 1.887 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.391 ათასი მანეთისა.

დამხმარე მეურნეობათა ხაზით მოსავლიანობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 40,8%-ით.

შრომის ნაყოფიერების გეგმა მთლიანად საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით შესრულებულია 102,9%-ით, აქედან შრომის ნაყოფიერება ტყის ექსპლოატაციის დარგში შეადგენს 81,6%-ს, ხოლო საფაბრიკო-საქარხნო წარმოების დარგში—118%-ს, ამასთან სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ არ არის დაცული გამომუშავებისა და ხელფასის განაკვეთის ნორმები ტყის ექსპლოატაციის ყველა ფაზის მიხედვით.

გამომუშავებისა და შეფასებათა ნორმების შეუსრულებლობის შედეგად, აგრეთვე საშტატო კონტინგენტის დარღვევის გამო, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ტყის ექსპლოატაციის დარგში აქვს შედარებითი გადახარჯვა 1.538 ათასი მანეთის რაოდენობით. მთლიანად სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით კი, სხვა დარგებში მიღებული ეკონომიის გათვალისწინებით, ხელფასის საერთო ფონდის გადახარჯვა შეადგენს 477 ათას მანეთს.

მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26.786 ათასი მანეთისა, უდრის 27.928 ათას მანეთს, რამაც მოგვცა გადიდება 1.142 ათასი მანეთით ანუ 4%-ით, აქედან ხის დამუშავების ხაზით ნედლეულის გადახარჯვა შეადგენს 474 ათას მანეთს.

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული მოგება შეადგენს 4.118 ათას მანეთს, რამაც მოგვცა გეგმიანი დაგროვების გადამეტება 235 ათასი მანეთით, ამასთან დაგროვება შეიქმნა უმთავრესად საკურორტო ტყეების მთავარ სამმართველოს და სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს სამეურნეო საქმიანობის ხაზით, იმ დროს როცა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეთესლეობის კანტორამ 136 ათასი მანეთი იზარალა და ტრესტ საქტყესამზადებამ გეგმიან დაგროვებას 34 ათასი მანეთი დააკლო. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცალკეულ საწარმოთა უვარგისი მუშაობის შედეგად, დაშვებულია გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები 1323 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან სადებიტორო დავალიანების ჩამოწე-

რისაგან—631 ათასი მანეთი; ბიუჯეტს დააკლდა 722 ათასი მანეთი, აქედან საკურორტო ტყეების მთავარმა სამმართველომ დააკლო 484 ათასი მანეთი და სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ—238 ათასი მანეთი.

გარდამეტი საბრუნავი სახსრები 1944 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით შეადგენს 238 ათას მანეთს, რაც იმის შედეგად შეიქმნა, რომ ბიუჯეტში მთლიანად არ ყოფილა შეტანილი მოგების ანარიცხები.

სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ მიუღია საჭირო ზომები სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციისათვის. 1944 წლის 1 იანვრისათვის სადებიტორო დავალიანება 1.774 ათას მანეთს უდრის.

1943 წელს აღნიშნულია სატყეო წესების დარღვევის 3.360 შემთხვევა, რომლის დროსაც გაჩეხილია 36.292 კუბ. მეტრი ტყე, რამაც მოგვცა გადიდება, 1942 წელთან შედარებით, 13,7%-ით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას:

ა) სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე საწარმოთა მონაწილეობით განიხილოს 1943 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის და მოაწყოს სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1944 წლის გეგმების უცილობლივ შესრულება გამოშვებული პროდუქციის ყოველგვარი სახისა და სორტიმენტის მიხედვით;

ბ) განსაკუთრებით გაამახვილოს სატყეო მეურნეობის მუშაკთა ყურადღება 1944 წელს სატყეო-კულტურულ და სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს ბრძოლა ტყის თვითნებური ჩეხვისა და სატყეო წესების დარღვევის წინააღმდეგ;

გ) მიაღწიოს პროდუქციის თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების 1944 წლის გეგმის უცილობლივ შესრულებას, უზრუნველჰყოს ნედლეულის, სათბობისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვა, შეამციროს ზედნადები ხარჯები და არ დაუშვას ხელფასის ფონდის გადახარჯვა;

დ) გააუმჯობესოს საწარმოების და სატყეო მეურნეობათა ფინანსიური მუშაობის ხელმძღვანელობა, განამტკიცოს საფინანსო დისციპლინა და მიაღწიოს სახსრების არასწორად, არარაციონალურად და არაეკონომიურად ხარჯვის ფაქტების სრულ ლიკვიდაციას;

ე) მიიღოს გადამწყვეტი ზომები და სამი თვის განმავლობაში აღმოფხვრას სადებიტორო დავალიანება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პირველ რიგში იმ სადებიტორო დავალიანების ლიკვიდაციას, რომელიც ცალკეულ პირებზე ირიცხება;

ვ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა ჩამორჩენილი საწარმოებისადმი ანგარიშგების დარგში და უახლოეს დროში დააკომპლექ-

ტოს საწარმოთა შტატები საანგარიშო დარგის კვალიფიციური მუშაკებით.

2. დაგმობილ იქნას სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში დამკვიდრებული პრაქტიკა ფართო მოხმარების საგნების წარმოების შემცირებისა და დაევალოს ამხ. ჯაბუას მიიღოს ზომები და უზრუნველჰყოს 1944 წელს ავეჯისა და ფართო მოხმარების სხვა ნაწარმის დამზადების გეგმის შესრულება. კერძოდ, დაუყოვნებლივ აღადგინოს ვენური სკამებისა და გრეხილი ავეჯის გამოშვება მარელისის ავეჯეულობის ფაბრიკაში.

3. დაევალოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. კეცხოველს მისცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ასი დეკალიტრი სპირტი გრეხილი ავეჯის დასამზადებლად და გამოსაშვებად.

4. დაევალოს თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. უთიაშვილს გამოუყოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ახმეტის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას 1944 წლის 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე, ფასიანი შრომითი საჭაპანო ბეგარის წესით, ხე-ტყის საზიდი გზის მშენებლობისათვის 40 მუშა და ათი უღელი ხარი ან კამეჩი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 671
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1944 წლის მოსავლის ყურძნის დეცდამზადებაზე ზოგიერთი ორგანიზაციის დაშვების შესახებ**

ადგილობრივი სასურსათო რესურსების გადიდების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს თბილხილბოსტანვაჭრობას, თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას, ჭიათურის რაიალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დეცდამზადების წესით შეისყიდონ 1944 წლის მოსავლის შემდეგი რაოდენობის ყურძენი იმ რაიონებში, სადაც კონტრაქტაცია არ სწარმოებს:

ა) **თბილხილბოსტანვაჭრობამ**

თბილისის რაიონში . . . . . . . 30 ტონა

ბ) **თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ:**

| | | |
|---|---|---|
| ბორჩალოს რაიონში | . . . . . | 100 ტონა |
| ყარაიის „ | . . . . . | 50 „ |
| ლაგოდეხის „ | . . . . . | 60 „ |
| თეთრიწყაროს „ | . . . . . | 40 „ |
| საგარეჯოს „ | . . . . . | 200 „ |
| სულ . | | 450 ტონა |

გ) **ჭიათურის რაიალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ**

ჭიათურის რაიონში . . . . . . 50 ტონა

დ) აჭარის ასსრ ადგილობრივი
მრეწველობის სახალხო
კომისარიატმა
აჭარის ასსრ რაიონებში . . . . . . 100 ტონა

2. დაევალოს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს და თბილისის, ბორჩალოს, ყარაიის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს, საგარეჯოსა და ჭიათურის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს საჭირო დახმარება გაუწიონ ყურძნის დეცდამზადებისათვის დაშვებულ ორგანიზაციებს ყურძნის შესყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 672

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვალებულ ნამდვილ წევრთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 8 აპრილის № 7717-გ განკარგულების საფუძველზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დადგენილ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვალებულ ნამდვილ წევრთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის შემდეგი წესი:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს შეუნარჩუნდება საბინაო ფართობი, რომელიც მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უჭირავს.

2. აკადემიკოსის ცოლს მთელ თავის სიცოცხლეში მიეცემა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის წოდებისათვის დაწესებული განაკვეთის 50 პროცენტი, ხოლო თუ მას მცირეწლოვანი შვილები ჰყავს, მათს სრულწლოვანობამდე მიეცემა განაკვეთის 75 პროცენტი.

3. გარდაცვალებულ აკადემიკოსთა ოჯახების წევრები სარგებლობენ პერსონალური პენსიონერებისათვის დაწესებული ყველა უფლებითა და შეღავათებით.

4. ნორმირებული მომარაგების პერიოდში, აკადემიკოსის ოჯახს შეუნარჩუნდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრისათვის დაწესებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის ლიმიტის 50-75 პროცენტი, ოჯახის შემადგენლობის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 673
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**დაწესებულებათა და საწარმოთა დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასკომის 1944 წლის 9 მაისის № 237 დადგენილება იმის შესახებ, რომ დროებით, ერთი სასოფლო-სამეურნეო წლის ვადით, გამოეყოს დაწესებულებებსა და საწარმოებს დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწები შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ა) გეგეჭკორის რაიონის პირუტყვ-დამზადებას | 6 ჰექტარი ზემო-ჭალადიდის კოლმეურნეობა „დამკვრელის" მიწებიდან |
| ბ) საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატის ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობას | 7 ჰექტარი „ |
| გ) თბილისის „ტრანსტორგპიტს" | 7 ჰექტარი „ |
| დ) ცხაკაიას რაიმრეწვკომბინატის სატყეო წარმოებას | 6 „ „ |
| ე) თბილისის ფარმაკო - ქიმიურ ინსტიტუტს | 20 ჰექტარი მენჯის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 674

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის II კვარტალის კაპიტალური მშენებლობის გეგმაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქალაქ ოჩამჩირეში ტუნგოს ახალი ქარხნის მშენებლობისა და ქობულეთის ტუნგოს ზეთის ქარხნის გაფართოების სამუშაოთა შეუფერხებელი დაფინანსება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს;

1. შემცირდეს II კვარტალისათვის დამტკიცებული გეგმა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრესტ „საქართველოს ჩაის" ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კაპიტალური სამუშაოების დაფინანსებისა 150 ათასი მანეთით და ორჯონიკიძის შუშის ტარის ქარხნისათვის გოფრირებული ქაღალდის მოწყობილობის საფასურის ანაზღაურება 100 ათასი მანეთით და ამის ანგარიშში დაფინანსებულ იქნას მეორე კვარტალში ოჩამჩირის ტუნგოს ახალი ქარხნის მშენებლობა 200 ათასი მანეთის რაოდენობით და ქობულეთის ტუნგოს ქარხნის გაფართოება 50 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. დაევალოს სამრეწველო ბანკის საქართველოს კანტორას—ამხ. ჩიქოვანს უზრუნველჰყოს მეორე კვარტალში ოჩამჩირის ტუნგოს ახალი ქარხნის მშენებლობისა და ქობულეთის ტუნგოს ქარხნის გაფართოების შეუფერხებელი დაფინანსება ამ დადგენილების 1 პუნქტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 675

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი სახკომსაბჭოს კომისიის შემადგენლობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლებულ იქნან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი სახკომსაბჭოს კომისიის შემადგენლობიდან ამხ. ა. ი. გუგუჩია, საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან გადასვლასთან დაკავშირებით, და ბ. ა. ჩხეიძე, სასწავლებლად წასვლის გამო.

2. შეყვანილ იქნან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი სახკომსაბჭოს კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ა. ი. კოჩლავაშვილი და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კ. გ. სოხაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 14 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 676

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ამხ. კ. ს. გაბრიჭიძის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. კონსტანტინე სიმონის-ძე გაბრიჭიძე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 16 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 677

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სკუმპიისა და თუთუბოს ფოთლის დამზადების 1944 წლის გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სკუმპიისა და თუთუბოს ფოთლის დამზადების 1944 წლის გეგმა 150 ტონის რაოდენობით, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ცალკეული რაიონების მიხედვით:

| | | |
|---|---|---|
| სიღნაღის რაიონი | 10 | ტონა |
| წითელწყაროს „ | 15 | „ |
| საგარეჯოს „ | 20 | „ |
| გურჯაანის „ | 5 | „ |
| ყვარლის „ | 5 | „ |
| თელავის „ | 5 | „ |
| მცხეთის „ | 3 | „ |
| დუშეთის „ | 5 | „ |
| საჩხერის „ | 25 | „ |
| ჭიათურის „ | 20 | „ |
| ამბროლაურის „ | 24 | „ |
| ცაგერის „ | 18 | „ |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 5 | „ |
| სულ | 150 | ტონა |

2. სკუმპიისა და თუთუბოს ფოთლის დამზადება დაეკისროს ცეკავშირის სისტემას.

3. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს და იმ რაიონების რაიაღმასკომების

თავმჯდომარეებს, რომლებიც სკუმპიასა და თუთუბოს ამზადებენ, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ცეკავშირის სისტემას საჭირო მუშახელის შეგროვების საქმეში, აგრეთვე სკუმპიისა და თუთუბოს ფოთლის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის შესრულებაში.

4. დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ნარსიას ა/წ ივნისის დამლევამდე გაგზავნოს დამზადების რაიონებში საჭირო რაოდენობის ტარა და უზრუნველჰყოს სკუმპიისა და თუთუბოს დამზადების ამ დადგენილებით დაწესებული გეგმის უცილობლივ შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 17 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 678

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**1944 წლისათვის მწვანე გერანის და დამასკოს ვარდის დამზადების გეგმისა და გერანის დაკალმების გეგმის შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 2 ივნისს „1944 წელს ეთერ-ზეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზის განმტკიცების ღონისძიებებისა და ეთერ-ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმის შესახებ" მიღებული № 651 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მეგერანეობის ყველა რაიონისათვის 1944 წელს გერანის მწვანე მასის მოსავლის ჩაბარების ნორმა ყოველ ჰექტარზე 10 ტონის რაოდენობით.

2. დამტკიცდეს 1944 წლის მოსავლის მწვანე გერანის კონტრაქტაციისა და დამზადების სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დაწესებული გეგმის რაიონობლივი განაწილება საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მიხედვით 9000 ტონის რაოდენობით:

| | (ტონობით) |
|---|---|
| აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში . . . . . . . | 1000 |
| ლაგოდეხის რაიონში . . . . . . . . . . | 2000 |
| ყვარლის „ . . . . . . . . . . | 1750 |
| თელავის „ . . . . . . . . . . | 1750 |
| ბორჩალოს „ . . . . . . . . . . | 2500 |

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1944 წლის მოსავლის დამასკოს ვარდის ფურცლის ჩაბარების შემდეგი რაიონობლივი ნორმები, მისი კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა:

| | ერთ ჰექტარზე ფურცლის ჩაბარების ნორმა (ცენტნერობით) | კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (ცენტნერობით) |
|---|---|---|
| ლაგოდეხის რაიონში . . . | 9,0 | 260.0 |
| ყვარლის „ . . . . . | 7,0 | 190,0 |
| თელავის „ . . . . . | 7,6 | 277,0 |
| ბორჩალოს „ . . | 3,0 | 3,0 |
| ს უ ლ საქართველოს სსრ-ში | 8,0 | 730,0 |

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, თელავის, ლაგოდეხის, ყვარლისა და ბორჩალოს რაიონების რაიაღმასკომებს და საქ კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) მოახდინონ მწვანე გერანისა და დამასკოს ვარდის ფურცლის ჩაბარების ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით და არაუგვიანეს ა/წ 25 ივნისისა დაამთავრონ ამ კულტურების ნედლეულის დამზადების გეგმის დაყვანა ცალკეულ კოლმეურნეობებამდე;

ბ) შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში გერანის მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი პლანტაციების მოვლის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, უზრუნველჰყონ მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სისტემატური თოხნა, გერანის ნიადაგის შენახვა სარეველებისაგან გაწმენდილ და გაფხვიერებულ მდგომარეობაში; უზრუნველჰყონ დროულად მორწყვა კვლებში და არ დაუშვან ნიადაგის გამოშრობა; მორწყვა აწარმოონ ღამით ან ღრუბლიან დღეებში; ყოველი მორწყვის შემდეგ ჩაატარონ ნიადაგის გაფხვიერება; დამასკოს ვარდის პლანტაციებზე ფურცლის აღების შემდეგ ჩაატარონ მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გერანის ხარისხოვნად და დროულად მოჭრას, ამასთან არ დაუშვან როგორც ნაადრევი მოჭრა, ისე ასაღებად მომწიფებული პლანტაციების გადაბერება; გერანის მწვანე მასის მოჭრა ჩაატარონ შერჩევით, იმისდამიხედვით, თუ როდის მომწიფდება პლანტაციები ასაღებად;

დ) მოაწყონ მწვანე გერანის დროულად გადაზიდვა პლანტაციებიდან ქარხნებში, ამასთან არ დაუშვან დანაკარგები როგორც აღების დროს ისე გადაზიდვის დროსაც, და მაქსიმალურად გამოიყენონ ქარხნების და თვით კოლმეურნეობათა ტრანსპორტი.

5. დაწესდეს საქართველოს სსრ ყველა რაიონისათვის გერანის მოჭრის დამთავრების ვადა—20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს მეგერანეობის რაიონების რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, ტრესტ საქეთერზეთთან ერთად, ერთი თვის ვადაში დააკომპლექტონ ქარხნები გერანის მისაღებად და გადასამუშავებლად საჭირო კადრებით.

7. გერანისა და დამასკოს ვარდის ფურცლის კონტრაქტაცია და დამზადება დაეკისროს ტრესტ საქეთერზეთს, რომელსაც დაევალოს ა/წ 1 ივლისამდე დაამთავროს კოლმეურნეობებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება.

8. დაევალოს ტრესტ საქეთერზეთს:

ა) შეიტანონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში ეთერ-ზეთოვანი ნედლეულის შემდეგი ახალი დასამზადებელი ფასები, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ:

მწვანე გერანისა . . . . . . . . . 60 მან. 1 ცენტნერი
ვარდისფერი ვარდის ფურცლისა . . . . . . . . . . . . . 400 „ „
წითელი ფერის ვარდის ფურცლისა . . . . . . . . . . . . . 300 „ „

ბ) შენარჩუნებულ იქნას 1944 წლისათვის მწვანე გერანისა და დამასკოს ვარდის ფურცლის გეგმის გადამეტებით ჩაბარებისათვის პრემია-წანამატების მიცემის ის წესი და პირობები, რაც 1943 წელს მოქმედებდა.

9. დაწესდეს 1944 წლის მოსავლის მწვანე გერანისა და დამასკოს ვარდის ფურცლის ნედლეულის კონტრაქტაციის წესით ჩაბარებულ ყოველ ცენტნერში კოლმეურნეობებისათვის მცენარეულობის ზეთის, კოპტონისა და საპნის მიყიდვა შემდეგი რაოდენობით:

ა) თითო ცენტნერ ვარდის ფურცელში:

საპონი . . . . . . . . . . . . 250 გრამი
მცენარეულის ზეთი . . . . . . . . . . . 1 კილოგრამი
კოპტონი . . . . . . . . . . . . 2 „

ბ) თითო ცენტნერ მწვანეზე გერანში:

საპონი . . . . . . . . . . . . 250 გრამი
მცენარეულის ზეთი . . . . . . . . . . . 500 „
კოპტონი . . . . . . . . . . . . 1 კილოგრამი

10. დაწესდეს, რომ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც 1944 წლის მოსავლის მწანე გერანსა და დამასკოს ვარდის ფურცელს აბარებენ, მიეყიდებათ სასურსათო მარცვალი შემდეგი ანგარიშით:

ა) ყოველ ცენტნერ ჩაბარებულ მწვანე გერანში—6,0 კგ;

ბ) დამასკოს ვარდის ყოველ ცენტნერ ჩაბარე-
ბულ ფურცელში . . — . . . . . . . . . 50 კგ.

11. დაევალოს საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს" საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. სიხარულიძეს ა/წ 1 ივლისამდე მისცეს ცეკავშირს 700 ტონა სასურსათო მარცვალი მწვანე გერანისა და დამასკოს ვარდის ფურცლის დამზადების რაიონებში შესატანად.

12. სასურსათო მარცვლის, საპნის, მცენარეულის ზეთისა და კოპტონის მიყიდვა ეთერ-ზეთოვანი ნედლეულის ჩამბარებლებისათვის დაეკისროს ცეკავშირის სისტემას და დაევალოს ცეკავშირის პრეზიდიუმს სასურსათო მარცვლის, აგრეთვე საპნის, მცენარეულის ზეთისა და კოპტონის გაყიდვა აწარმოოს მას შემდეგ, რაც ეთერ-ზეთოვანი ნედლეულის ჩამბარებლები წარმოადგენენ ქვითრებს იმის შესახებ, რომ მათ დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარეს გერანი და დამასკოს ვარდის ფურცელი.

13. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, რაიაღმასკომებსა და რაიკომებს ფართოდ განუმარტონ ეთერ-ზეთოვანი ნედლეულის ჩამბარებელ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მარცვლის, საპნის, მცენარეულის ზეთისა და კოპტონის მიყიდვის წესი, ამასთან უზრუნველჰყონ მწვანე გერანისა და დამასკოს ვარდის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესრულება.

14. გაფრთხილება მიეცეს რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს, რაისამომხმარებლო კავშირების თავმჯდომარეებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა ამ დადგენილებით გამოყოფილი სასურსათო მარცვლის, საპნის, მცენარეულის ზეთისა და კოპტონის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებისა და გაყიდვისათვის.

15. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში (ამხ. კვირკველიას) და საქართველოს სსრ მიწსახკომს (ამხ. ხოშტარიას) ორი დღის ვადაში დაამტკიცონ 1944 წლის მოსავლის მწვანე გერანისა და დამასკოს ვარდის ფურცლის კონტრაქტაციის შესახებ დასადებ ხელშეკრულებათა ტექსტი.

16. დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა სათბურებში 1944 წლის შემოდგომაზე გერანის კალმების დარგვის გეგმა 27 მილიონი ცალის რაოდენობით, აქედან:

| | | |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში . . . . . . | 3000 | ათასი ცალი |
| ლაგოდეხის რაიონში . . . . . . . . . . | 6000 | „ „ |
| ყვარლის „ . . . . . . . . . . | 5250 | „ „ |
| თელავის „ . . . . . . . . . . | 5250 | „ „ |
| ბორჩალოს „ . . . . . . . . . . | 7500 | „ „ |

17. დაევალოს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტს, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავისა და ბორჩალოს რაიონების რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) 1944 წლის 1 ივლისამდე დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე 1944 წლის შემოდგომისათვის გერანის დაკალმების გეგმები;

ბ) არაუგვიანეს ა/წ 1 აგვისტოსი უზრუნველჰყონ მეგერანეობის ყველა კოლმეურნეობაში სათბურების რემონტის დამთავრება და სრულ მზადყოფნაში მოიყვანონ როგორც წყალგამტარი, ისე წყალსარინი ქსელები;

გ) არაუგვიანეს 1 სექტემბრისა დაამთავრონ სათბურებისათვის საჭირო მასალის (ნაკელი, ქვიშა) მიტანა;

დ) მეგერანეობის ყველა კოლმეურნეობაში ჩაატარონ გერანის სათბურების მიმაგრება გამოცდილ კოლმეურნეებზე კალმების მოყვანის მთელი პერიოდისათვის.

18. დაევალოს ტრესტ საქეთერზეთს — ამხ. ცომაიას:

ა) საგოზავის მოსამზადებლად მოამარაგოს მეგერანეობის კოლმეურნეობები საჭირო რაოდენობის ასფალტითა და ბიტუმით;

ბ) მისცეს მეგერანეობის რაიონებს სათბურების რემონტისათვის 1,5 ტონა ლურსმანი, აქედან:

| | | |
|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკას . . . . . . | 200 | კგ. |
| ლაგოდეხის რაიონს . . . . . . . . . . | 400 | „ |
| ყვარლის „ . . . . . . . . . . | 225 | „ |
| თელავის „ . . . . . . . . . . | 225 | „ |
| ბორჩალოს „ . . . . . . . . . . | 450 | „ |

19. შენარჩუნებულ იქნას 1944 წლისათვის გერანის კალმების კონტრაქტაციისათვის კოლმეურნეობათა ფულადი ავანსირების 1943 წელს მოქმედი ნორმები, ვადები და პირობები.

20. გერანის კალმების კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს ტრესტ საქეთერზეთს, ამასთან კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაწესდეს 1944 წლის 25 სექტემბერი.

21. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის შემოდგომაზე გერანის დაკალმების გეგმის უზრუნველსაყოფად გამოყოს საქართველოს სსრ მიწსახკომს 50.000 კვ. მეტრი მინა, 20 ათასი ცალი სასათბურო ჩარჩო და 2 ტონა ლურსმანი, რაც შემოტანილ იქნას არაუგვიანეს ა/წ 1 აგვისტოსი.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ქ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 16 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 679
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის—აკადემიკოს ს. მ. ჩოლოყაშვილის დასაფლავების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს გამოჰყოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის—აკადემიკოს ს. მ. ჩოლოყაშვილის დასაფლავების მომწყობი კომისია.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დახარჯოს 6000 მანეთი აკადემიკოს ჩოლოყაშვილის დასაფლავებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 680

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### ხელოვნების საქმეთა ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**1.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის განაკვეთები სავსებით შეუფარდოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 მაისის № 630 დადგენილებას „ხელოვნების საქმეთა ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ".

2. ხელფასის განაკვეთების გადიდება გატარდეს 1944 წლის 1 ივნისიდან 1944 წლისათვის დამტკიცებული ფონდების ფარგლებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 681

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საოლქო აღმასკომის განყოფილებათა გამგეების მოადგილეთა და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან არსებულ სამმართველოთა უფროსების მოადგილეთა ხელფასის შესახებ**

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 7 ივნისის № 675 დადგენილებისა „საოლქო და სამხარეო აღმასკომების განყოფილებათა (სამმართველოთა) გამგეების მოადგილეთა და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან არსებულ სამმართველოთა უფროსების მოადგილეთა ხელფასის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს 1944 წლის 1 ივნისიდან საოლქო აღმასკომის განყოფილებათა გამგეების მოადგილეთა და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან არსებულ სამმართველოთა უფროსების მოადგილეთათვის 15%-ით ნაკლები ხელფასის განაკვეთები იმ განაკვეთებზე, რაც დამტკიცებულია შესაბამის განყოფილებათა და სამმართველოთა გამგეებისათვის (უფროსებისათვის).

იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მ შაკები ამ დადგენილებით გათვალისწინებულ განაკვეთებზე მეტ ხელფასს იღებენ, ეს ხელფასი ენახება მათ ამ დაწესებულებასა და ამ თანამდებობაზე მუშაობის მთელი დროის განმავლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 683
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**№ 8 კარტოგრაფიული ფაბრიკისათვის ხე-ტყისა და ცემენტის გამოყოფის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მისცენ № 8 კარტოგრაფიულ ფაბრიკას სამანქანო განყოფილების შენობის დასამთავრებლად შემდეგი მასალები:

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს—40 კუბ. მეტრი წიწვიანი მორი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს რეზერვიდან;

საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს—10 ტონა ცემენტი თბილისში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 19 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 686

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1944 წლის III კვარტალში თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში „სოიუზზაგოტტრანსისა“ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველოს სისტემის ავტომანქანების რემონტის წარმოების შესახებ**

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 5 ივნისის № 672 დადგენილება „1944 წლის მოსავლის პურის მიღებისათვის სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარ სამმართველოს ტექნიკური ბაზის მომზადების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს 1944 წლის III კვარტალის განმავლობაში ჩაატაროს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ქვემოდასახელებული ორგანიზაციების სატვირთო ავტომანქანების რემონტი, წითელი არმიის ავტომანქანების რემონტის გეგმის სათანადო შემცირების ხარჯზე;

„სოიუზზაგოტტრანსის“ საქართველოს განყოფილებისა — 15 ავტომანქანა;

„სოიუზზაგოტტრანსის“ აზერბაიჯანის განყოფილებისა—20 ავტომანქანა;

„სოიუზზაგოტტრანსის“ ყაბარდოს განყოფილებისა—5 ავტომანქანა;

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარ სამმართველოსი—3 ავტომანქანა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 21 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 687

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

## საქართველოს სსრ-ში მარილის შემოზიდვის მდგომარეობის შესახებ

მარილის შემოზიდვის გეგმის სისტემატურ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს სერიოზულ შეფერხებებს მოსახლეობის, სამრეწველო საწარმოებისა და მეცხოველეობის კოლმეურნეობების მარილით მომარაგების საქმეში.

1944 წლის I კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 6.579 ტონის ნაცვლად ფაქტიურად შემოზიდულია 4.491 ტონა, ხოლო II კვარტალში, 15 ივნისისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, გეგმით გათვალისწინებული 7.803 ტონის ნაცვლად შემოზიდულია მხოლოდ 4.625 ტონა მარილი ანუ 59%.

„გლავსოლის“ საქკანტორის მიზეზით ჩაშლილია ქალ. თბილისის მოსახლეობის მარილით მომარაგება. თბილვაჭრობას ნახევარწლიანი გეგმით გათვალისწინებული 1000 ტონის ნაცვლად ფაქტიურად $5\ ^1/_2$ თვის განმავლობაში მიეცა 53 ტონა მარილი. ამის გამო რამდენიმე თვის განმავლობაში ქალ. თბილისის მოსახლეობა ვერ ღებულობს ნორმით კუთვნილ მარილს.

დადგენილია რაიონებში მარილის არასწორად განაწილების ფაქტები. „გლავსოლის“ საქკანტორა ზოგ რაიონში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს მარილის შეზიდვის გეგმას, მაშინ როდესაც ზოგიერთი რაიონი იღებს კუთვნილი მარილის 16—40%.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსოლის“ მიერ საქართველოში მარილის შემოზიდვის დაწესებული გეგმები ვერც ერთ კვარტალში ვერ ფარავს გამოყოფილ ფონდებს. მაგალითად, მიმდინარე წლის II კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 9.210 ტონის რეალიზაციის ნაცვლად, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსოლმა“ დაგეგმა შემოსაზიდად

მხოლოდ 7.803 ტონა მარილი, მაშინ როდესაც „გლავსოლის“ საქკანტორის ბაზებში გარდამავალი ნაშთები უდრიდა მხოლოდ 30 ტონას.

„გლავსოლის“ საქკანტორა სისტემატურად არღვევს მარილის გაცემის დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც მარილი უნდა ეძლეოდეს მომხმარებლებს „გლავსოლის“ საქკანტორის ბაზებიდან, ანდა იგზავნებოდეს შესაბამის რკინიგზის სადგურებში. ნაცვლად ამისა, „გლავსოლის“ საქკანტორა იძლევა განაწესებს მარილის მისაღებად ნახჭევანსა და ბაქოში, რაც ფაქტიურად იწვევს მარილის სპეკულაციასა და დაწესებული გასაყიდი ფასების უხეშ დარღვევას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აეკრძალოს „გლავსოლის“ საქკანტორას მისცეს განწესები მომხმარებლებს მარილის მისაღებად საქართველოს სსრ ფარგლებს გარეშე არსებულ მარილის მაღაროებში.

დაევალოს „გლავსოლის“ საქკანტორის მმართველს ამხ. ხუციშვილს უზრუნველჰყოს მომავალში მარილის გაცემა უშუალოდ თავის ბაზებიდან, ანდა გადაუგზავნოს მომხმარებლებს მარილი უახლოეს რკინიგზის სადგურებზე.

2. მთელი პასუხისმგებლობა საქართველოში მარილის შემოზიდვისათვის დაეკისროს „გლავსოლის“ საქკანტორას და, ამასთან დაკავშირებით, განთავისუფლდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი მარილის შემოზიდვის იმ ოპერაციისაგან, რომელიც დაკისრებული ჰქონდა მას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 20 თებერვლის № 201 დადგენილებით.

3. დაევალოს „გლავსოლის“ საქკანტორას, საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად, ყოველთვიურად წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ქალაქებსა, რაიონებსა და უმნიშვნელოვანეს მომხმარებლებს შორის მარილის განაწილების გეგმა და მარილის გადაგზავნა აწარმოოს მხოლოდ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებით.

4. მიღებულ იქნას ცნობად სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსოლის“ უფროსის მოადგილის ამხ. ლუკიანოვის განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსოლს“, რკინიგზის ტრანსპორტით უზრუნველყოფის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს გადმოგზავნოს საქართველოში მიმდინარე წლის 1 ივლისამდე 1500 ტონა მარილი ბაქოდან და 1500 ტონა სადგურ ევლახიდან.

ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგი-

ლეს ამხ. მიქოიანს დაავალოს „გლავსოლის“ აზერბაიჯანის ბაზის მმართველს გადმოგზავნოს საქართველოში მიმდინარე წლის 1 ივლისამდე 3.000 ტონა მარილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. კიკნაძეს გამოჰყოს საჭირო რაოდენობის ვაგონები და ყოველგვარ პირობებში უზრუნველჰყოს 3.000 ტონა მარილის შემოზიდვა ბაქოდან და ევლახიდან და 2.000 ტონისა ნახჭავნის მარილის მაღაროებიდან მიმდინარე წლის ივნისის დამლევამდე.

6. დაევალოს „გლავსოლის“ საქკანტორის მმართველს ამხ. ხუციშვილს:

ა) მიავლინოს თავისი მუშაკები ნახჭავანსა, ბაქოსა და ევლახში და უზრუნველჰყოს მარილის შემოზიდვა ამ დადგენილების მე-4 პუნქტში გათვალისწინებული რაოდენობით;

ბ) მიმდინარე წლის 1 ივლისამდე შემოზიდული მარილის გაცემა აწარმოოს ამასთან დართული განაწილების თანახმად და უზრუნველჰყოს მარილის დაგზავნა შემდეგ პუნქტებში: „გლავსოლის“ ქალ. თბილისის ბაზაში—750 ტონა და თბილვაჭრობისათვის 500 ტონა, ცეკავშირის ქუთაისის ბაზაში—750 ტონა, გურჯაანში—750 ტონა, აფხაზკავშირისათვის —750 ტონა, ცეკავშირის ბორჯომის ბაზებში —750 ტონა და გორში—750 ტონა;

გ) უზრუნველჰყოს მარილის შემოზიდვა გამყოლებით, იმ ანგარიშით, რომ ყოველ ორ ვაგონს ახლდეს თითო გამყოლი.

7. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს და ცეკავშირს—ამხ. ნარსიას უზრუნველჰყონ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის გასაგზავნი მარილის თავის დროზე გამოტანა და რაიონებში შეტანა.

7. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დროებით (მიმდინარე წლის ივნისისა და III კვარტალის განმავლობაში) გაიღოს მარილის გამყოლთა შესანახი ხარჯები, დაწესებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საკოლმეურნეო ვაჭრობის სამმართველოს შემოსავალთა ხარჯზე.

9. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პირველ მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს მიიღონ საჭირო ზომები და დაუყოვნებლივ მოახდინონ მარილის დაწესებული გასაყიდი ფასების დარღვევისა და აგრეთვე მარილის გაცემის არსებული ნორმების დაუცველობის ფაქტების ლიკვიდაცია.

10. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურორს გამოიკვლიოს არსებული მასალები მარილის სპეკულაციისა და სახელმწიფო ფასების დარღვევის შესახებ და დამნაშავენი მისცეს პასუხისგებაში.

11. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს:

ა) დაამტკიცოს საქართველოში მარილის შემოზიდვის მიმდინარე წლის III კვარტალის გეგმა 15.000 ტონის რაოდენობით;

ბ) დაავალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს მიიღოს საჭირო ზომები და საქმით უზრუნველჰყოს 15.000 ტონა მარილის თანაბრად შემოზიდვა საქართველოში მიმდინარე წლის III კვარტალში ქ. არტემოვსკიდან, ბაქოდან და ნახჭავნის მარილის მაღაროებიდან;

გ) დაავალოს გზათა სახალხო კომისარიატს გამოჰყოს III კვარტალში 890 ვაგონი და უზრუნველჰყოს 15.000 ტონა მარილის შემოზიდვა საქართველოში თანაბრად—5.000 ტონობით ყოველთვიურად.

12. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს ამხ. კეცხოველსა და ჩუბინიძეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი.

1944 წლის 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განაწილება

**1944 წლის 1 ივლისამდე შემოზიდული მარილისა საქართველოს სსრ რაიონებში**

I. შემოზიდვა აზერბაიჯანიდან—3.000 ტონა შემდეგი დანიშნულებით:

| | | |
|---|---|---|
| ა) გურჯაანში | 750 | ტონა, აქედან: |
| 1. წითელწყარო | 150 | „ |
| 2. სიღნაღი | 160 | „ |
| 3. ყვარელი | 110 | „ |
| 4. თელავი | 132 | „ |
| 5. გურჯაანი | 108 | „ |
| 6. ლაგოდეხი | 90 | „ |
| ბ) ბორჯომში | 750 | ტონა, აქედან: |
| 1. ახალქალაქი | 200 | „ |
| 2. ახალციხე | 160 | „ |
| 3. ადიგენი | 120 | „ |
| 4. ასპინძა | 120 | „ |
| 5. ბორჯომი | 150 | „ |
| გ) სოხუმში | 750 | ტონა, აქედან: |
| 1. აფხსაზკავშირტრესტი | 30 | „ |
| 2. აფხაზვაჭრობა | 150 | „ |
| 3. აფხაზკავშირი | 570 | „ |
| დ) ქუთაისში | 750 | ტონა, აქედან: |
| 1. ქუთაისი | 130 | „ |
| 2. ონი | 140 | „ |
| 3. ცაგერი | 80 | „ |
| 4. ქვ.-სვანეთი | 45 | „ |
| 5. ამბროლაური | 160 | „ |
| 6. წყალტუბო | 50 | „ |
| 7. მაიაკოვსკი | 40 | „ |
| 8. წულუკიძე | 60 | „ |
| 9. ტყიბული | 45 | „ |

II. შემოზიდვა ნახჭავნიდან—2000 ტონა, აქედან თბილისში—1250 ტონა და გორში—750 ტონა, აქედან:

| | | |
|---|---|---|
| ქ. გორი და რაიონი | 250 | ტონა |
| სამხრეთ-ოსეთის ა/ო | 250 | „ |
| ქარელი | 100 | „ |
| ხაშური | 150 | „ |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 688

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წლის სარწყავი სეზონისათვის სარწყავი სისტემების მომზადების თაობაზე“ 1944 წლის 2 მარტს მიღებული დადგენილების შესრულების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წლის სარწყავი სეზონისათვის სარწყავი სისტემების მომზადების შესახებ“ 1944 წლის 2 მარტს მიღებული დადგენილების შესრულების საქმეში ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა: შესრულებულია სარწყავი და ამოსაშრობი არხების გაწმენდის გეგმა, შეკეთებულია ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი არხებზე და გადაჭარბებით შესრულებულია სამაგისტრალო არხებისა და განმანაწილებლების გასწვრივ ხე-ტყისა და ხილის ნარგავთა გაშენების გეგმა. შედგენილია წყალსარგებლობის გეგმა-გრაფიკები როგორც რაიონების, ისე რესპუბლიკისათვის მთლიანად, მომზადებული და გადამზადებულია მოკლევადიან კურსებზე წყალთა მეურნეობის სპეციალისტები. თავის დროზე შეკეთებული და გადაცემულია საექსპლოატაციოდ დილმისა და სოღანლუღის მექანიკური მორწყვის აგრეგატები. დამთავრებულია სამუშაოები ყარაიის სისტემის გადამღობავ ნაგებობათა აგებისათვის და ტირიფონის სამაგისტრალო არხზე მეწყერიანი უბნის გამაგრებისათვის და სხვ.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მთელ რიგ რაიონებში სარწყავი სისტემებისა და ნათესების მორწყვის მომზადების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთლიანად არ შეუსრულებიათ სარწყავი არხების გაწმენდისა და ნაგებობათა

რემონტის გეგმა კასპისა და ახალციხის რაიონებს; ჩამორჩებიან სარემონტო სამუშაოთა შესრულების საქმეში გორის რაიონი (21%), ყარაიის რაიონი (50%) და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი (15%).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის გამოყოფილი გაწმენდილი არხებისა და შეკეთებული ნაგებობების მიმღები სპეციალური კომისიები კასპის, ქარელის, თბილისისა და მცხეთის რაიონებში, რაც არღვევს დადგენილ წესს.

ცალკეულ რაიონებში არხების გაწმენდა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რემონტი ჩატარებულია არახარისხოვნად.

კასპის რაიონის დოესი—გრაკალის, ლამისყანისა და ყარაღაჯის არხების სათავო უბნები 1944 წლის 10 ივნისისათვის არ იყო გაწმენდილი, ხოლო შეკეთებულ ნაგებობათა ხარისხი ამ უბნებში მეტად დაბალია.

რაიონებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სარწყავი წყლის ტაცებასა და განიავებას ცალკეულ პირთა მიერ, მაგრამ მათ წინააღმდეგ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები საჭირო ზომებს არ იღებენ.

მცხეთის რაიონში, შამპანკომბინატის ნაკვეთზე, სოფ. დამპალოში სარწყავი წყლის სისტემატური ტაცების შედეგად 300 ათასი ძირი ამერიკული ვაზი დაღუპვის საფრთხეშია.

დიღმის სარწყავ ნაკვეთზე სარწყავი წყლის ტაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, კოლმეურნეობათა ნაკვეთები მოურწყველი რჩება. დოესი—გრაკალის არხზე, რომელიც კასპის რაიონის კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწებს რწყავს, არ იცავენ წყალსარგებლობის ელემენტარულ წესებს. კოლმეურნეობათა ნათესებს არ რწყავენ დადგენილი გრაფიკით, წყლის ნაკლებობის გამო, მაშინ როდესაც გორისა და კასპის რაიონების ბევრი კოლმეურნე იტაცებს სარწყავ წყალს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ სარწყავი რაიონების რაიმიწგანები, ყარაიისა და ბორჩალოს რაიონების გამოკლებით, საკმარისად არ მუშაობენ მორწყვისა და საკოლმეურნეობათაშორისო წყალგანაწილების მოწესრიგების საკითხებზე. კასპის რაიმიწგანს შემოწმების მომენტისათვის არ მოეპოვებოდა ცნობები ნათესების მორწყვის მდგომარეობის შესახებ. მთელი რიგი მტს-ები და რაამიწგანები არ იღებენ მონაწილეობას კოლმეურნეობათა სარწყავი გეგმა-გრაფიკების შედგენის საქმეში. სარწყავი რაიონების მეტ ნაწილში იშვიათად ტარდება ღამღამობით მორწყვა; თბილისისა და საგარეჯოს რაიონებში ღამღამობით მორწყვა შემოღებული არ არის.

სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, კასპისა და ქარელის რაიონებში კოლმეურნეებს არ ერიცხებათ დამატებითი შრომადღეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხების გაწმენდის, ნაგებობათა რემონტისა და ლამღამობით მორწყვის ნორმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს: სიღნაღისას—ამხ. ალავერდაშვილსა და მაზიაშვილს, გურჯაანისას—ამხ. ფეიქრიშვილსა და გელდიაშვილს და თელავისას—ამხ. სეხნიაშვილსა და უთიაშვილს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ალაზნის არხის სარწყავ სისტემაში ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რემონტისა და აღდგენის შესახებ.

თელავის რაიონის მიერ ნაპირსაცავ სამუშაოთა შეუსრულებლობის გამო, ალაზნის არხის სათავო ნაგებობა მდინარის შემოვლის საფრთხეშია. წყალსაგდები ნაგებობანი ბაკურციხესა და წნორში და ნაგებობათა კვანძი ყარალაჯში ისეთ მდგომარეობაშია, რომ მათი შემდგომი ექსპლოატაცია საშიშროებას იწვევს სარწყავი სისტემისათვის საერთოდ.

სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებს მუშაობა ბაკურციხის წყალსაგდებისა და ყარალაჯის ნაგებობათა კვანძის გამაგრებისათვის და ახალ წყალსაგდებ ნაგებობათა მშენებლობა არ დაუწყიათ, მაშინ როდესაც ეს სამუშაოები სავსებით უზრუნველყოფილია საფონდო სამშენებლო მასალებითა და ტექნიკური ხელმძღვანელობით.

საერთოდ ასეთი მდგომარეობის შედეგად, ალაზნის სარწყავი სისტემა ავარიულ მდგომარეობაშია, რამაც გამოიწვია ალაზნის ველის მიწების ინტენსიური დაჭაობიანება (დაჭაობიანებული მასივების საერთო ფართობი გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში 4000 ჰექტარს აღწევს).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეს კასპის, ახალციხისა და გორის რაიონების რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე ოლქის საოლქო კომიტეტს ივნისის დამლევამდე უზრუნველჰყონ სამუშაოთა შესრულება სარწყავი არხების გაწმენდისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რემონტისათვის სრული მოცულობით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომსა და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს, სარწყავი რაიონების რაიაღმასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების თავმჯდომარეებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომების მდივნებს:

ა) გააძლიერონ კონტროლი სარწყავი წყლის სწორად გამოყენებაზე; სარწყავი წყლის ტაცებაში შემჩნეული პირნი დაუყოვნებლივ გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს პასუხისგებაში მისაცემად, თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 5 ივლისის დადგენილებისა „კოლმეურნეობებში სარწყავი წყლის ტაცებასთან და განიავებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) მოაწყონ ღამღამობით რწყვის უცილობელი ჩატარება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მორწყვის ხარისხს და არ დაუშვან წყლის შეგუბება და ნათესების დაჭაობიანება.

3. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონების რაიკომების პირველ მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ მოაწყონ მუშებისა და ტრანსპორტის მასობრივი გამოყვანა და უზრუნველჰყონ სამუშაოთა უცილობელი დამთავრება ალაზნის სარწყავ სისტემაში იმ მოცულობითა და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია № 1 და 2 დანართებში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ზამბახიძეს):

ა) მიმდინარე წლის დამლევამდე დაამთავროს საკვლევაძიებო სამუშაოთა შესრულება ალაზნის ველზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 23 მარტის № 274 დადგენილებით „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობაში საპროექტო-საძიებო სამუშაოთა 1944 წლის სატიტულო სიების დამტკიცების შესახებ“;

ბ) ბაკურციხის წყალსაგდების აღდგენის დამთავრებისთანავე აკრძალოს წყლის გაშვება სამაგისტრალო არხით სოფ. ბაკურციხის ქვემოთ, გარდა სარწყავი პერიოდისა;

გ) დაუყოვნებლივ გაგზავნოს სპეციალისტები ყარაიის, კასპისა და დუშეთის რაიონებში რაიონული წყალთა მეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად სარწყავი არხების სათავო ნაგებობათათვის განვლილი წყალდიდობით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების საქმეში;

დ) გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების პარტრაიკომებთან და რაიაღმასკომებთან ერთად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წინადადებანი ალაზნის ველზე საკოლექტორო, წყალსაგდები და წყალსარინი ქსელის გაწმენდისა და ჯეროვან მდგომარეობაში მოყვანის საშემოდგომო სამუშაოთა შესახებ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს და წყალ-

თა მეურნეობის სახალხო კომისარიატს, სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონების რაიაღმასკომებსა და რაიკომებს აკრძალონ დაჭაობიანების მიდრეკილების მქონე მიწების მორწყვა წყალმიშვების მეთოდით და დანერგონ კვლობით მორწყვა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საქსოფლელექტროტრესტს უზრუნველჰყონ ალაზნის არხის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები ტექნიკური ხელმძღვანელობით.

7. დაევალოს საქნავთის ტრესტის მმართველს ამხ. აბესაძეს, ხრამჰესმშენის უფროსს ამხ. ჩანკვეტაძეს და „სოიუზდორპროექტის" უფროსს ამხ. ჯაფარიძეს ერთი კვირის განმავლობაში გაანთავისუფლონ და გაგზავნონ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ალაზნის სისტემის მშენებლობის დამთავრებისა და რეკონსტრუქციის დაპროექტებაზე გამოსაყენებლად წყალთა მეურნეობის სისტემაში წინათ ნამუშევარი სპეციალისტები:

ა. ყიფშიძე —საქნავთი
პ. ოდიშვილი — „
ხაჩატუროვი —ხრამჰესმშენი
მ. ყალაბეგაშვილი—„სოიუზდორპროექტი".

8. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) სარწყავი რაიონების რაიკომების მდივნებსა და ამავე რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ინფორმაცია მოაწოდონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სამუშაოების და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების მორწყვის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 21 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 21/VI № 688 დად-
გენილების დანართი № 1

## სამშენებლო მასალების დამზადება და სამუშაოთა ადგილებზე მიზიდვა

| ადმინისტრატიული რაიონები | მუშაობის ადგილი | ადგილობრივი მასალების დამზადება და მიზიდვა | | | | | სამშენებლო მასალების გადაგზავნა | | | მუშახელის მუდმივი კონტინგენტი | ურმების ყოველდღიური გამოსვლა | მუშაობის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფიჩხი კბმ | სარი ცალობით | ქვა კბმ | ხრეში კბმ | სილა კბმ | ცემენტი ტონობით | რკინის არმატ. ტონობით | ხე-ტყე კბმ | | | |
| თელავის რაიონი | არხის სათავე ნაგებობა . . . . | 400 | 2000 | 700 | — | — | — | — | — | 10 | 25 | 25/VI—5/VIII |
| სიღნაღის „ | ყარაღაჯის კვანძი | 125 | 850 | 40 | 240 | 100 | 70 | 15 | 60 | 30 | 10 | 25/VI—15/IX |
| გურჯაანის „ | წყალსაგდები ნაგებობა ბაკურციხეში . . . . | 200 | 1000 | 400 | 200 | 100 | 30 | 10 | 50 | 50 | 20 | 25/VI—15/VII |

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წ. 21/VI № 688 დადგენილების დანართი № 2

### მიწის სამუშაოთა მოცულობა ყარალაჯის ნაკვეთზე

| ადმინისტრაციული რაიონები | მუშაობის ადგილი | მუშაობის სახე | მუშაობის მოცულობა კბმ | მუშახელის ყოველდღიური გამოსვლის რაოდენობა | მუშაობის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|---|---|
| სიღნაღის რაიონი | ყარალაჯის კვანძი | ხევის ამოვსება და არხის გათხრა | 4400 | 45 | 25/VI—15/VIII |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 691

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან სასწავლო მეურნეობის მოწყობის შესახებ**

რადგან საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს არა აქვს სერიოზული ბაზა სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ჯეროვანი ორგანიზაციისათვის, რაც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადების ხარისხზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საჭიროდ იქნას ცნობილი მოეწყოს საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან, დიღმის მინდორზე, ქ. თბილისის მახლობლად, სასწავლო-საწარმოო მეურნეობა 250 ჰექტარ ფართობზე.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოს აღმასკომს:

ა) ორი კვირის განმავლობაში გააფორმოს საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის 250 ჰექტარი მიწის მიცემა სოფელ დიღმის სტალინის, ჩარკვიანისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობათა მიწებიდან წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის წყალსატუმბსა და დიღმის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის კარმიდამოს შორის არსებულ ნაკვეთზე და მასალები წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს;

ბ) გააფრთხილოს რკინიგზის საავადმყოფოს, № 2 გამასწორებელი სახლის, კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის, ევაკოჰოსპიტლისა და სხვა იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ დამხმარე ან კოლექტიური მეურნეობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტი-

ტუტისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე, რომ ისინი ვალდებული არიან 1944 წლის მოსავლის აღების შემდეგ გაანთავისუფლონ მათ მიერ დაკავებული მიწები.

3. დამტკიცდეს ფართობების განაწილება სასწავლო-საწარმოო მეურნეობაში შემდეგი კულტურებისათვის:

| | | |
|---|---|---|
| ვენახისათვის . . . . . . . . . . . . | 60 | ჰექტარი |
| სუბტროპიკული ხეხილისათვის . . . | 9 | „ |
| ხეხილისათვის . . . . . . . . . . | 29 | „ |
| ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურებისათვის . . . . . . . . . . | 20 | „ |
| კენკრის კულტურებისათვის . . . | 2 | „ |
| მინდვრის კულტურებისათვის . . . | 25 | „ |

დანარჩენი ფართობი გამოყენებულ იქნას სამეურნეო შენობებისა, გზებისა, თხრილებისა და ქარსაცავი ზოლებისათვის.

4. დადგენილ იქნას გეგმა მრავალწლიანი კულტურების გაშენებისა ჯიშებისა და წლების მიხედვით, № 1 და 2 დანართების თანახმად.

5. დაევალოს საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ბ. იაკობაშვილს თავის დროზე გაშალოს მუშაობა სასწავლო-საწარმოო მეურნეობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის ასათვისებლად და დაამთავროს მიმდინარე წლის შემოდგომისა და 1945 წლის გაზაფხულის განმავლობაში შემოღობვა, ქარსაცავი ზოლების გაშენება და შინაგანი სარწყავი ქსელის მოწყობა, რისთვისაც:

ა) არაუგვიანეს 1944 წლის 15 ივლისისა დაიწყოს ნათესებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთების მოხვნა და შემდეგში, მოსავლის აღებისა და მიწის განთავისუფლების მიხედვით, შეუდგეს პლანტაჟს იმ ანგარიშით, რომ მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე პლანტაჟი გაუკეთოს 22 ჰექტარს; ვენახისა და ხეხილის ბაღების გასაშენებლად განკუთვნილი დანარჩენი 78 ჰექტარი ფართობის პლანტაჟი ჩაატაროს 1945 წლის 15 ნოემბრამდე;

ბ) ქარსაცავი ზოლების გაშენებას შეუდგეს 1944 წლის შემოდგომიდან და მთლიანად დაამთავროს იგი 1945 წლის 1 აპრილამდე;

გ) 1944 წლის შემოდგომაზე გააშენოს გლედიჩიის სანერგე 1 ჰექტარ ფართობზე ცოცხალი ღობის სარგავი მასალის გამოსაყვანად;

დ) მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის დაამთავროს სასწავლო-საწარმოო მეურნეობის საორგანიზაციო გეგმის შედგენა და წარუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწსახკომს;

ე) ერთი თვის განმავლობაში გამოიმუშაოს ქარსაცავი ზოლების გაშენების სქემა და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მიწსახკომს.

6. დაევალოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

ა) თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწვანების ტრესტის დირექტორს ამხ. კალანდაძეს მისცეს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1944 წლის შემოდგომაზე 5000 ცალი ალვისხისა და 2000 ცალი აკაციის ნერგი;

ბ) საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. წიკლაურს მოაწყოს გორის საბჭოთა მეურნეობაში კურკოვანთა ოკულირება იმ ანგარიშით, რომ მისცეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1945 წლის შემოდგომაზე:

ატმის ნერგი . . . . . . . . . . 3200 ცალი
ალუბლის " . . . . . . . 400 "
ქლიავის " . . . . . . . 200 "

და 1945 წლის შემოდგომაზე:

გარგარის ნერგი . . . . . . . . . 750 ცალი
ალუბლის " . . . . . . . 1000 "
ქლიავის " . . . . . . . 500 "
ბლის " . . . . . . . 750 "
ნაყოფიანი თუთის ნერგი . . . . . 200 "
ნუშის . . . . . . . . . . . . 400 "

გ) სამტრესტის მმართველს ამხ. აზარაშვილს მოაწყოს ბებნისის საბჭოთა მეურნეობაში ხეხილების (ვაშლისა და მსხლის) ოკულირება 1944 წელს იმ ანგარიშით, რომ მისცეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1945 წლის შემოდგომაზე ვაშლის სტანდარტული ორწლიანი სარგავი მასალა 500 ცალი, აქედან ქონდარა ხეხილის საძირეებზე 200 ცალი, მსხლის ნერგი—1200 ცალი, აქედან ქონდარა ხეხილის საძირეებზე 200 ცალი და კომშის ნერგი—200 ცალი;

დ) ლიმმანტრესტის დირექტორს ამხ. ბერიძეს:

I. მისცეს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1944 წლის შემოდგომაზე თავის საბჭოთა მეურნეობებიდან 10 000 ცალი ჰორიზონტალური კვიპაროსი არანაკლებ 1,5 მეტრისა სიმაღლით.

II. მოაწყოს კოხორის საბჭოთა მეურნეობაში 1944 წელს სუბტროპიკული ხურმის ოკულირება იმ ანგარიშით, რომ მისცეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1945 წლის შემოდგომაზე სტანდარტული სანერგე მასალა 1500 ცალის რაოდენობით.

III. დაამზადოს 1944 წლის IV კვარტალში ორმეტრიანი ბამბუ-

კის ჯოხები 30.000 ცალის რაოდენობით და მისცეს ისინი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს არაუგვიანეს 1944 წლის 15 დეკემბრისა;

ე) მიწსახკომს—მოაწყოს 1945 წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ყურძნის ვაზის მყნობა 600.000 ცალის რაოდენობით, იმ ანგარიშით, რომ მისცეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1946 წლის გაზაფხულზე 200.000 ცალი სტანდარტული ნერგი ჯიშების მიხედვით, № 3 დანართის თანახმად;

ვ) ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს —ამხ. რთველაძეს გადასცეს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს წესიერ მდგომარეობაში ერთი ავტობუსი გაზ-აა და III კვარტალის განმავლობაში შეაკეთოს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში 2 ავტომანქანა გაზ-აა და 1 ზის-5;

ზ) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს 1944 წლის III კვარტალის დამლევამდე დაამზადოს და მისცეს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 500 ბარი, 500 თოხი, 100 ცული, 100 წალდი, 200 წერაქვი და 100 ძალაყინი.

7. დაევალოს მიწსახკომს ერთი თვის განმავლობაში გამონახოს შესაძლებლობა დანაკლისი რაოდენობის ნერგების შეზიდვისა ქარსაცავი ზოლების გასაშენებლად სასწავლო მეურნეობაში და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს განსახილველად სახკომსაბჭოს.

8. დაევალოს საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მიიღოს უშუალო მონაწილეობა ხეხილის საუკეთესო, გასინჯული სადედეების შერჩევაში და ოკულირება ჩაატაროს მხოლოდდამხოლოდ ამ სადედეებიდან აღებული კვირტებით.

9. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს—ამხ. რობიტაშვილს საქართველოს სამხედრო გზაზე გასაშენებელი მწვანე ზოლისათვის ეკლიანი მავთულის ღობეების შემოვლების სამუშაოთა ჩატარების დროს მხედველობაში მიიღოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო მეურნეობის ინტერესები.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო ბაზის მოწყობის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე მისცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 1945

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლის განათლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებიდან 250 ათასი მანეთი საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

11. წინადადება მიეცეს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ზამბახიძეს 1945 წლის I კვარტალის დამლევამდე დაამთავროს მუშაობა დილმის სარწყავ სისტემაში და უზრუნველჰყოს წყლის გაშვება დილმის მასივის მესამე ზონის მოსარწყავად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წ. 22/VI
№ 691 დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეგმა

## ვენახის გაშენებისა წლებისა და ჯიშების მიხედვით

| ჯიშების დასახელება | გაშენების გეგმა ჰექტარობით | წლების მიხედვით | |
|---|---|---|---|
| | | 1945 | 1946 |
| 1. რქაწითელი . . . . . . . . . . | 15 | 10 | 5 |
| 2. თავრიზი . . . . . . . . . . . . | 14 | — | 14 |
| 3. გორულა . . . . . . . . . . . | 13 | — | 13 |
| 4. შასლა . . . . . . . . . . . . . | 5 | — | 5 |
| 5. ხალილი . . . . . . . . . . . . | 2 | — | 2 |
| 6. მუსკატი . . . . . . . . . . . | 1 | — | 1 |
| 7. ჩინური . . . . . . . . . . . . | 2 | — | 2 |
| 8. მწვანე კახური . . . . . . . . | 1 | — | 1 |
| 9. საფერავი კახური . . . . . . | 2 | — | 2 |
| 10. შავ-კა პიტო . . . . . . . . . . | 1 | — | 1 |
| 11. ალიგოტე . . . . . . . . . . . | 3 | — | 3 |
| 12. საკოლექციო ჯიშები . . . . . . | 1 | — | 1 |
| ს უ ლ . . . . . . . . . . | 60 | 10 | 50 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ს ქ ე მ ა

## ხეხილის ბაღებისა და საკენკრეების გაშენებისა წლებისა და ჯიშე-ბის მიხედვით

| კულტურები | გაშენება ჰექტარობით | | | ძირითადი ჯიშები |
|---|---|---|---|---|
| | 1945 წლის შემოდგომაზე | 1946 წლის შემოდგომაზე | ს უ ლ | |
| **თესლოვანი** | | | | |
| 1. ვაშლი . . . . . | 1 | 2,0 | 3,0 | ლანდსბერგის რენეტი, ლონდონის პეპ-ნი, ზამთრის ოქროსფერი პარმენი, კოქსის ნარინჯისფერი რენეტი, ბელ-ფლიორი, ზამთრის ბანანი, ასტრა-ხანის წითელი, ზაფხულის ატმისე-ბრი და სხვ. |
| 2. მსხალი . . . . | 1 | 4,0 | 5,0 | ვილიამსი, გულაბი, ბერებოსკი, დიუშეს დ'ანგულემი, სენჟერმენი, ზამთრის დეკანკა და სხვ. |
| 3 კომში . . . . . | — | 1,0 | 1,0 | მსხლისებრი, ვაშლისებრი, მალაჩინი, ლაგოდეხის სიამაყე. |
| ს უ ლ . . . | 2 | 7,0 | 9,0 | |
| **კურკოვანი** | | | | |
| 1. ატამი . . . . . | 7,0 | — | — | მაიფლოვერი, რივერსის ადრეული, ამს-დენი, ელბერტი, ხიდისთავის ვარ-დისფერი, ხიდისთავის თეთრი, ხი-დისთავის საგვიანო ყვითელი, ბასტა-ვაშვილი, ზაფრანი, ნარინჯი ჩუგური. |
| 2. გარგარი . . . . | — | 4,0 | 4,0 | ალიპრიალა, შალახი, შირაზული, აღჯა-ნაბადი, გვერდწითელა. |
| 3. ბალი . . . . . . | — | 4,0 | 4,0 | ყვითელი დროგანა, თათრული შავი, ქართული გინია, ნაპოლეონი ვარ-დისფერი, მაისის საადრეო, ადრეუ-ლი მარკიდან, ფრანც იოსები. |
| 4. ალუბალი . . . | 1 | 1 | 2,0 | ადგილობრივი ქართული, პოდბელსკი. |
| 5. ქლიავი . . . . | 1 | 2,0 | 3,0 | ალტანის რენკლოდი, მწვანე რენკლო-დი ჯეფერსონი, ვიქტორია, ატმისე-ბრი, იტალიური ვენგერკა, ალუჩა და სხვ. |
| ს უ ლ . . . | 10,5 | 9,5 | 20,0 | |

| კულტურები | გაშენება ჰექტარობით | | | ძირითადი ჯიშები |
|---|---|---|---|---|
| | 1945 წლის შემოდგომაზე | 1946 წლის შემოდგომაზე | ს უ ლ | |
| გამხმარი სუბტროპიკული და სხვ. კულტურები | | | | |
| 1. მოცხარი და ხუნწა . . . . . | — | 0,5 | 0,5 | ადგილობრივი და შემოტანილი სამრეწველო ჯიშები. |
| 2. ქოლო . . . . . | — | 0,25 | 0,25 | |
| 3. ბალის მარწყვი და ხენდრო . . . | — | 1,25 | 1,25 | |
| ს უ ლ . . . . | — | 2,0 | 2,0 | |
| მთლად . . | 16 | 24,0 | 40,0 | |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 22/VI
№ 691 დადგენილების დანართი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გეგმა

## სტანდარტული ვენახის ნერგების მყნობისა და გამოყვანისა ჯიშების მიხედვით

| ჯიშების დასახელება | მყნობის რაოდენობა ცალობით | ვენახის ნერგების გამოსავალი ცალობით |
|---|---|---|
| 1. რქაწითელი . . . . . . . . . . . | 60.000 | 20.000 |
| 2. თავრიზი . . . . . . . . . . . . | 168.000 | 56.000 |
| 3. შასლა . . . . . . . . . . . . . | 60.000 | 20.000 |
| 4. საფერავი . . . . . . . . . . . . | 24.000 | 8.000 |
| 5. მწვანე . . . . . . . . . . . . | 12.000 | 4.000 |
| 6. ხალილი . . . . . . . . . . . . | 24.000 | 8.000 |
| 7. მუსკატი . . . . . . . . . . . . | 12.000 | 4.000 |
| 8. გორულა . . . . . . . . . . . . | 156.000 | 52.000 |
| 9. ჩინური . . . . . . . . . . . . | 24.000 | 8.000 |
| 10. ალიგოტე . . . . . . . . . . . | 36.000 | 12.000 |
| 11. შავკანიანი . . . . . . . . . . | 12.000 | 4.000 |
| 12. საკოლექციო ჯიში . . . . . . . | 12.000 | 4.000 |
| ს უ ლ . . . . . . . . . . . | 600.000 | 200.000 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 692

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1944 წლის მაისში მომხდარი წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ**

იმ დიდი წყალდიდობის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის მაისში, ზოგიერთ რაიონში წალეკილია ნაპირსამაგრი ნაგებობანი და მიყენებულია მნიშვნელოვანი ზიანი მთელი რიგი კომუნალური სა არმოებისათვის (ცაგერი, ვანი, ონი, აბაშა და სხვ.). წყალდიდობამ წალეკა აგრეთვე ხელოვნური ნაგებობანი და დააზიანა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მთელი რიგი გზატკეცილები.

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატსა და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს დროზე არ განუხორციელებიათ მოლიანად რაიონული ცენტრების—ცაგერის, ონისა და ვანის წყალდიდობისაგან დაცვის ღონისძიებანი და არ ჩაუტარებიათ საიმედო ნაპირსამაგრი სამუშაოები ნათესებისა და დასახლებული პუნქტების წალეკის თავიდან აცილებისათვის (აბაშის რაიონი, მდინარე ცხენისწყალი).

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა გააჭიანურა ნაპირსამაგრ ნაგებობათა პროექტის შედგენა ქ. ონის დასაცავად და ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს დამთავრებული პროექტი.

1944 წლის მაისში მომხდარი წყალდიდობით გამოწვეულ ნანგრევთა აღდგენისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ც ა გ ე რ ი ს რ ა ი ო ნ შ ი

1. დაევალოს ცაგერის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. სილაგაძეს და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ.

ბუკიას მიმდინარე წლის ივლისის დამლევამდე დაამთავრონ სამუშაოები ცაგერთან მდინარე ცხენისწყალზე ნაპირსამაგრი ჯებირების ასაგებად და ამავე ვადისათვის დაამთავრონ ჰესის ახალი არხის გათხრა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ტრასით.

2. წინადადება მიეცეს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ზამბახიძეს ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად მიავლინოს ცაგერში ინჟინერ-სპეციალისტი ჯებირების ასაგებ აღდგენითი სამუშაოთა პერიოდში.

3. რადგან ქვაფიჩხის ჯებირები, რომლებსაც აგებენ ცაგერში ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებლად, არ წარმოადგენს დაცვის საიმედო სახეს, ნგრევის განმეორების თავიდან აცილების მიზნით, დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას მოაწყოს და 1944 წლის 1 სექტემბრამდე დაამთავროს ტექნიკური პროექტის შედგენა საიმედო საცავ ნაგებობათა მშენებლობისათვის, გაითვალისწინოს ცაგერის ჰესის სათავო ნაგებობათა რეკონსტრუქციის უზრუნველყოფა და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის სექტემბრის დამლევისათვის.

## ონის რაიონში

4. დაევალოს ონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. რეხვიაშვილს და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას:

ა) ერთი თვის განმავლობაში ჩაატარონ სამუშაოები ქ. ონში მდინარე რიონის წყალდიდობით წალეკილი ნაპირსამაგრი ჯებირების აღსადგენად;

ბ) აღადგინონ მდინარე ჯეჯორზე ქვაფიჩხის ჯებირები, რომელნიც იცავენ ქალაქის კომუნალურ საწარმოებს (ჰიდროელექტროსადგური, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, წისქვილი და სხვ);

გ) ერთი თვის განმავლობაში დაამთავრონ ონის საქალაქო ხიდის ბურჯის გასამაგრებელი სამუშაოები;

დ) 15 ოქტომბრისათვის დაამთავრონ ქალაქ ონის მუდმივ და საიმედო საცავ ნაგებობათა მშენებლობის პროექტის შედგენა და თავისი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე.

## ვანის რაიონში

5. დაევალოს ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ღვინიანიძეს და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნაპირსამაგრი ჯებირების აგებას ჰესის სათავო ნაგებობათა ზემოთ, რისთვისაც ჩაატარონ მუშაობა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კომისიის მიერ შედგენილი 1944 წლის 29 მაისის აქტის შესაბამისად;

ბ) ორი დეკადის განმავლობაში აღადგინონ წყალდიდობით წალეკილი ჰესის სადერივაციო არხის ნაპირი;

გ) დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ბუკიას 1944 წლის 1 სექტემბრამდე შეადგინოს ვანის ჰესისა და მდინარე სულორის ნაპირსამაგრ ნაგებობათა რეკონსტრუქციის პროექტი და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს (ამხ. თალაკვაძეს) აღადგინოს 1944 წლის 1 აგვისტომდე წყალდიდობით წალეკილი ცალკეული უბნები და ხელოვნური ნაგებობანი ფშავ-ხევსურეთის გზაზე.

დაევალოს დუშეთის რაიაღმასკომს ფშავ-ხევსურეთის გზის აღსადგენად გამოჰყოს მთავარ საგზაო სამმართველოს განკარგულებაში საჭირო ჭაპანზიდვის ტრანსპორტი და მუშახელი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესით.

7. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქოაღმასკომს მიიღოს საჭირო ზომები და 1944 წლის 1 აგვისტომდე აღადგინოს გზა გუფთა—როკის უბანზე და აღდგენით სამუშაოებში ჩააბას ადგილობრივი მოსახლეობა შრომითი ბეგრის წესით.

8. დაევალოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ზამბახიძეს 1944 წლის 1 აგვისტომდე შეადგინოს სოფ. გეზათის რაიონში (აბაშის რაიონი) მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის გამაგრების პროექტი და მოაწყოს ნაპირსამაგრ ნაგებობათა პირველი რიგის მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ იგი დამთავრდეს 1944 წლის სექტემბრის დამლევისათვის.

ნაგებობათა მეორე რიგის სამუშაოებს შეუდგეს საშემოდგომო წყალდიდობის განვლისთანავე და ეს სამუშაოები დაამთავროს არაუგვიანეს 1945 წლის 1 მაისისა.

9. ნება დაერთოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს II კვარტალში გამოყოფილი 20 ტონა მავთული გამოიყენოს პირველი რიგის სამუშაოთათვის სოფელ გეზათთან, მდინარე ცხენისწყალზე.

10. დაევალოს აბაშის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბოკერიას გამოუყოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს საჭირო რაოდენობის მუშახელი და ტრანსპორტი 2000 კუბ. მეტრი ყორექვისა და 20 ტონა მავთულის მისაზიდად სამუშაოთა ადგილას

(სოფელ გეზათის რაიონში) და აგრეთვე სამუშაოთა ჩასატარებლად გაბიონის ჯებირების აგებისათვის.

11. რადგან მდინარე ცხენისწყლის ადიდებით გამოწვეული წალეკის შედეგად შექმნილია საშიშარი მდგომარეობა რკინიგზის ვაკისისათვის ქოლობან-აბაშის გადასარბენზე, დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს ამხ. გ. კიკნაძეს უზრუნველჰყოს 1 აგვისტომდე 2500 კუბ. მეტრი ყორექვის დამზადება თავის კარიერებში და მიზიდვა ქოლობანში მდინარე ცხენისწყლის პირველი რიგის სამუშაოთათვის.

12. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს და „გლავმეტალოსბიტის" თბილისის კანტორის მმართველს ამხ. მემარნიშვილს გასცენ აღდგენითი სამუშაოთათვის წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ დანართში გათვალისწინებული მასალები.

აღნიშნული მასალების გაცემა აწარმოოს „გლავმეტალოსბიტის" თბილისის კანტორამ საქართველოს სსრ 1944 წლის III კვარტალის ფონდების ანგარიშში, ხოლო ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 მაისის მითითებით დამზადებული ლურსმნის ანგარიშში.

13. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გ. ჯაბუას გამოუყოს ტყესაკაფები მორის დასამზადებლად აღდგენითი სამუშაოებისათვის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვემო-სვანეთის | რაიალმასკომს | . . 100 | კუბ. მეტრისათვის |
| ონის | „ | . . . . 50 | „ „ |
| ცაგერის | „ | . . . . 50 | „ „ |
| ვანის | „ | . . . . 50 | „ „ |

14. წინადადება მიეცეს ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს მისცეს გადაუდებელ ღონისძიებათათვის მაისის წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს სსრ-ში კაპიტალურ სამუშაოთა 1944 წლის I და II კვარტალების გეგმით აუთვისებელ სახსართა ხარჯზე —430.000 მანეთი, აქედან:

| | | |
|---|---|---|
| ონის რაიალმასკომს | . . . . . . . . . . . 150.000 | მანეთი |
| ვანის „ | . . . . . . . . . . 50.000 | „ |
| ცაგერის „ | . . . . . . . . . . 150.000 | „ |

სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს—80.000 მანეთი.

15. ნება დაერთოს მთავარ საგზაო სამმართველოს დახარჯოს 350.000 მანეთი დანგრეული გზების აღდგენით სამუშაოზე მთლიანად მთავარი საგზაო სამმართველოს მიმდინარე წლის საბიუჯეტო ასიგნობებიდან.

16. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს — ამხ. ბუკიას:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს იმ დროებითი ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, რომლებსაც ატარებენ მიმდინარე წელს ცაგერის, ონისა და ვანის რაიაღმასკომები;

ბ) მიმდინარე წლის დამლევამდე შეადგინოს პროექტი რაიონული ცენტრების — ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, ხარაგოულისა და თელავის დასაცავად წყალდიდობისაგან და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

17. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს გაითვალისწინონ კაპიტალური მშენებლობის 1944 წლის III კვარტალის გეგმით ცაგერში ნაპირსამაგრ ნაგებობათა საპროექტო-საძიებელ სამუშაოთათვის — 60.000 მანეთი და ვანში ჰესის რეკონსტრუქციისა და ნაპირსამაგრ სამუშაოთათვის — 40.000 მანეთი.

18. მდინარე ცხენისწყალზე ნაპირსამაგრ სამუშაოთა თავის დროზე ჩატარების, დასახლებული პუნქტებისა და სათესი ფართობების და აგრეთვე სამტრედია — ფოთის უბანზე რკინიგზის ვაკისისა და გზატკეცილის დაცვის უზრუნველსაყოფად, ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გამოუყოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს 1944 წლის ივლისში 25 ტონა ბენზინი და 50 ტონა 3—4 მილიმეტრიანი მავთული.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 22/VI
№ 692 დადგენილების დანართი

ბიბლიოთეკა

# ნუსხა

## წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციო აღდგენითი სამუშაოებისათვის გამოყოფილი მასალებისა

| დასახელება ორგანიზაციებისა, რომლებსაც უნდა გამოეყოს მასალები | მასალების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | დასახელება ორგანიზაციისა, საიდანაც გამოყოფილ უნდა იქნას მასალები |
|---|---|---|---|---|
| საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო | საზურღი ფოლადი | ტონა | 1,0 | „გლავმეტალოსბიტის“ თბილკანტორა |
| | ხარისხული რკინა წვრილ-ხარისხიანი | „ | 1,0 | „ „ |
| | ლურსმანი | „ | 0,5 | საქ. სსრ ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარ. |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საოლქო აღმასკომი | ხარისხული რკინა წვრილ-ხარისხიანი | „ | 0,5 | „გლავმეტალოსბიტის“ თბილკანტორა |
| | საზურღავი ფოლადი | „ | 0,3 | „ „ |
| | ლურსმანი | „ | 0,3 | საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომ. |
| ცაგერის რაიაღმასკომი | ხარისხული რკინა წვრილ-ხარისხიანი | „ | 0,2 | „გლავმეტალოსბიტის“ თბილკანტორა |
| ვანის რაიაღმასკომი | გაგლინული მავთული | „ | 0,5 | „გლავმეტალოსბიტის“ თბილკანტორა |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 693

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის რაიონული ქვემდებარეობის სამშენებლო მასალათა საწარმოების შეჯამებითი გეგმების შედგენისა და დეფიციტური მასალებით მომარაგების ფუნქციების გადაცემის შესახებ**

საქალაქო და რაიონული აღმასკომებისათვის სამშენებლო მასალებისა და კერამიკული ნაწარმების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დახმარების აღმოჩენის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს რაიონული და საქალაქო აღმასკომების გამგებლობაში არსებულ სამშენებლო მასალებისა და კერამიკული ნაწარმის საწარმოთა შეჯამებითი გეგმების შედგენისა, ანგარიშების განხილვისა, საფონდო მასალებით მომარაგებისა და მათთვის საწარმოო-ტექნიკური დახმარების აღმოჩენის ფუნქციები.

2. რეორგანიზებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობის სამმართველო რაიონული მრეწველობის მთავარ სამმართველოდ და დადგენილ იქნას, რომ რაიონული მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი წარმოადგენს ამავე დროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილესაც.

3. ცნობილ იქნას საჭიროდ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობის მთავარი სამმართველოს შტატის გადიდება.

ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას დაამტკიცოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველო-

ბის მთავარი სამმართველოს შტატი 17 ერთეულის რაოდენობითა და 16.995 მან. ხელფასის თვიური ფონდით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს გაგზავნოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ინჟინერ-მესილიკატე და ეკონომისტ-შგეგმავი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მომავალში საფონდო მასალების, ნედლეულის, სათბობისა და საწვავის ყველა ფონდი რაიონული ქვემდებარეობის სამშენებლო მასალებისა და კერამიკული ნაწარმების საწარმოთათვის გამოუყოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

6. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს რაიონული სამრეწველო კომბინატების დირექტორებისა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა გამგეების დანიშვნა და გადაყვანა აწარმოონ მხოლოდ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 695

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ რადიოფიკაციის 1944 წლის გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ლიმიტგარეშე კაპიტალურ ხარჯთა 1944 წლის გეგმა საქართველოს სსრ რადიოფიკაციისათვის 210 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონებისა და ობიექტების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ამხ. მონიავას უზრუნველჰყოს 1944 წელს:

ა) 100 ვატის სიმძლავრის ახალი რადიოკვანძის მოწყობა გულრიპშში 5-კილომეტრიანი საბოძე ხაზის აგებითა და ორმავთულიანი ჯაჭვის გაკიდვით;

ბ) რადიოკვანძის ჰიდროსადგურის რეკონსტრუქცია ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში;

გ) ორი ახალი მიკროჰესის აგება გორის რაიონში ტყვიავისა და მეჯვრისხევის რადიოკვანძების კვების უზრუნველსაყოფად;

დ) ქალაქ თბილისში: ახალი გამაძლიერებელი ქვესადგურის მოწყობა ლენინის სახელობის რაიონში, ბერიას სახ. რაიონის № 1 ცენტრალური გამაძლიერებელი სადგურის გადატანა ახალ სადგომში მისი ქვესადგურად გადაკეთებით და ბლოკსადგურის მშენებლობის დამთავრება ბერიას სახელობის რაიონში.

3. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს გამოუყოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში სათანადო სადგომები გამაძლიერებელი ქვესადგურის მოწყობისათვის ლენინის სახელობის რაიონში

და ცენტრალური გამაძლიერებელი სადგურისათვის ბერიას სახელობის რაიონში.

4. წინადადება მიეცეს „გლავსტროისბიტის“ ამიერკავკასიის კანტორის მმართველს ამხ. ჯალალოვს და კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორს ამხ. სავინსკის მისცენ მიმდინარე წლის ივნისში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში 6 ტონა ცემენტი, რაც გამოზიდულ იქნას მომხმარებლის ტრანსპორტით, მიკროჰესების მშენებლობისათვის ტყიავსა, მეჯვრისხევსა და აფენში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლიმიტგარეშე კაპიტალური ხარჯებისა ადგილობრივი ბიუჯე

| ობიექტის დასახელება და ადგილსამყოფელი | მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების წელი | სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ათას მანეთობით) | 1944 წლის 1 იანვრისათვის შესრულებული სამუშაოთა მოცულობა | 1944 წლის სამუშაოთა მოცულობა ათას მანეთობით | სადგურები (რადიოკვანძები): სიმძლავრის ტიპი (ვატობ.) | სადგურები (რადიოკვანძები): მოწყობილობის ღირებულება ათას მან. | სადგურები (რადიოკვანძები): შენობის მოწყ. ღირებულება ათას მან. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულრიპში (რადიოკვანძის მოწყობა) . . . | 1944/44 | 50,0 | — | 50,0 | 100 | 15,0 | 12,0 |
| აფენი—ლაგოდეხის რაიონი (რადიოკვანძის ჰიდროსადგურის რეკონსტრუქცია) . . . . . . . | „ | 15,0 | — | 15,0 | — | — | — |
| ტყვიავი—გორის რაიონი (ახალი მიკროჰესის მშენებლობა) . . . . . | „ | 22,0 | — | 22,0 | — | — | — |
| მეჯვრისხევი—გორის რ-ნი (ახალი მიკროჰესის მშენებლობა) . . . . | „ | 22,0 | — | 22,0 | — | — | — |
| ა) ქ. თბილისი | | | | | | | |
| ა) გამაძლიერებელი ქვესადგურის მშენებლობა ლენინის რაიონში . . . | „ | 25,0 | — | 25,0 | — | — | — |
| ბ) № 1 ცენტრალური გამაძლიერებელ სადგურის გადატანა (ბერიას სახ. რაიონში, სხვა შენობაში) | „ | 36,0 | — | 36,0 | 2X1500 (დმ) | 15,0 | 19,0 |
| გ) ბლოკსადგურის მშენებლობის დამთავრება ბერიას სახელობის რაიონში | 1942/44 | 195,0 | 163,0 | 32,0 | — | — | — |
| დ) აპარატურისა და მოწყობილობის შეძენა . | 1944/44 | 8,0 | — | 8,0 | — | — | — |
| ს უ ლ . . . | „ | 373,0 | 163,0 | 210,0 | — | 30,0 | 31,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 22/VI
№ 695 დადგენილების დანართი

მ ა

ტიდან საქართველოს სსრ რადიოფიკაციისათვის 1944 წელს

| ა ქ ე დ ა ნ: | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვესადგური | | | | ენერგობაზები | | ხაზების მშენებ. ჯაჭვების დაკიდებ. | | | | ხაზის რეკონსტრ. | |
| სიმძლავრის ტიპი ვატიბ. | მოწყობილობის ღირებულება ათას მან. | შენობის მოწყობ. ღირებულება ათას მან. | სიმძლავრის ტიპი ცხ. ძ. | მოწყობილობის ღირებულება ათას მან. | შენობის აგების ღირებულება ათას მან. | შენობის მოწყობ. ღირებულება ათას მან. | მანძილი კმ | ღირებულება ათას მან. | მანძილი კმ | ღირებულება ათას მან. | მოწყობ. და აპარატურის შეძენის ღირებ. ათას მან. |
| — | — | — | — | — | — | — | 5 | 15.0 | 5 | 8.0 | — |
| — | — | — | ჰიდროსადგ. რეკონსტრუქ. | 10,0 | — | 5,0 | — | — | — | — | — |
| — | — | — | ჰიდროსადგურის მშენებ. | 10,0 | 10,0 | — | ძალოვანი ხაზის 1 კმ | 2,0 | — | — | — |
| — | — | — | „ | 10,0 | 10,0 | — | ძალოვანი ხაზის 1 კმ | 2,0 | — | — | — |
| 500 | 10,0 | 15,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | 2 | 2,0 | — |
| — | — | — | 30 | 15,0 | — | 17,0 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 8,0 |
| — | 10,0 | 15,0 | — | 45,0 | 20,0 | 22,0 | 7 | 19,0 | 7 | 10,0 | 8,0 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 696

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### საპროტეზო-ორთოპედიული ქარხნისათვის ფიბრის პროტეზებისა და საპროტეზო ნახევარფაბრიკატების მოდელებისა და შტამპების დასამზადებელი სახსრების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს მისცეს საპროტეზო-ორთოპედიულ ქარხანას მოდელებისა და შტამპების დასამზადებლად ფიბრის პროტეზებისა და საპროტეზო ნახევარფაბრიკატებისათვის 100 ათასი მანეთი სამამულო ომის ინვალიდთა ინტერნატების შენახვისათვის გამოუყენებელი სახსრების ხარჯზე.

2. დაევალოს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს— ამხ. ელისაბედაშვილს განიხილოს და დაამტკიცოს ხარჯთაღრიცხვა მოდელებისა და შტამპების დასამზადებლად ფიბრის პროტეზებისა და ნახევარფაბრიკატებისათვის.

3. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს დაამზადოს მიმდინარე წლის III კვარტალში საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის შტამპების თუჯის სხმული, წარდგენილი მოდელების მიხედვით, 200 კილოგრამის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 697
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის „წყალპროექტის“ ტრესტისათვის საბრუნავი და ძირითადი სახსრების მიცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატს:

ა) მისცეს ტრესტს „წყალპროექტს“ საბრუნავი სახსრები 50 ათასი მანეთის რაოდენობით წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის ხარჯთაღრიცხვით აუთვისებელი სახსრების ხარჯზე;

ბ) მისცეს ტრესტ „წყალპროექტს“ 54 ათასი მანეთი ავტომანქანის, გეოდეზიური ინსტრუმენტისა და ინვენტარის შესაძენად წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში კაპიტალური მშენებლობის 1944 წლის II კვარტალის გეგმით აუთვისებელი სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 698

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სამხედრო გზის თბილის — მცხეთის უბნის გამწვანების ღონისძიებათათვის სახსრების გაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს მისცეს მიმდინარე წლის III კვარტალში საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს საქართველოს სსრ 1944 წლის ბიუჯეტის შესრულების წესით 781 ათასი მანეთი გზატკეცილების სამმართველოს მიერ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დავალებით თბილისიდან მცხეთამდე მწვანე ზოლის შესაქმნელი ხარჯების დასაფარავად.

2. დაევალოს ამხ. ციმაკურიძეს (ფინსახკომი), ანანიევს (თბილისის საქალაქო საბჭო) და გაბრიჭიძეს (სახელმწიფო საგეგმო კომისია) შეამოწმონ იმ ნერგების თვითღირებულების კალკულაცია, რომლებსაც იძლევიან გამწვანებისათვის გამწვანების ტრესტის სანერგეებიდან და სამი დღის განმავლობაში წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს ახალი გასაყიდი ფასების პროექტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 699

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ მიწსახკომის მუშაკთა ხელფასის პერსონალური განაკვეთების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით მოეხსნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10 მარტის № 217 დადგენილებით დაწესებული პერსონალური განაკვეთი საქართველოს სსრ მიწსახკომის ხილბოსტნეულის სამმართველოს უფროს აგრონომს ამხ. ვ. ი. ჩხუბიანიშვილს.

2. დაუწესდეს ხელფასის პერსონალური განაკვეთი 1.400 მანეთის რაოდენობით საქართველოს სსრ მიწსახკომის მეთამბაქოობის განყოფილების უფროსს ამხ. გრიგოლ არტემის-ძე სეფერთელაძეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 700

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში გამომუშავების ნორმების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 13 აპრილის № 427 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადიდებულ იქნას მუშათა გამომუშავების მოქმედი ნორმები ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემის სამრეწველო საწარმოებში შემდეგი რაოდენობით:

| | |
|---|---|
| ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი | —10%-ით |
| ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატი | —7%-ით |
| სარეწაო კავშირი | —9%-ით |
| საქინკოოპკავშირი | —5%-ით. |

2. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. გორდეზიანს, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. როთველაძეს, სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს და საქინკოოპკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. შაფაქიძეს:

ა) უზრუნველჰყონ საქვეუწყებო საწარმოებში გამომუშავების ნორმების გადასინჯვის ჩატარება ორი თვის განმავლობაში;

ბ) გამოსცენ სათანადო პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებული ბრძანებები გამომუშავების ნორმების გადასინჯვის შესახებ და დააწესონ ყოველი საწარმოსათვის გამომუშავების ნორმების გადიდებისა და სანარდო შეფასებათა შემცირების ოდენობა.

გ) გამოიმუშაონ საორგანიზაციო - ტექნიკური ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ გამომუშავების ახალი ნორმების უსწრაფეს ათვისებას და მუშათა შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას;

დ) გააუმჯობესონ საწარმოებში ტექნიკური ნორმირების საქმის დაყენება და გამომუშავების ნორმების შესრულებისა და ფაქტიურად ნამუშევარი დროის აღრიცხვა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 22 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 701

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ამხ. გ. ნ. ზამბახიძის მოსკოვს გამგზავრების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარს ამხ. ზამბახიძეს გაემგზავროს ქალ. მოსკოვს, სსრ კავშირის მიწსახკომის გაწვევის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 703

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სარეწაო კავშირისათვის ნავთლ-ულში ნავთის კუსტარული მოპოვების მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების გამოყოფის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს ქვემოდასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მისცენ სარეწაო კავშირს ნავთის კუსტარული მოპოვებისათვის ნავთლუღში შემდეგი სამშენებლო მასალები.

ა) საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს 10 კუბ. მეტრი წიწვიანი მორი და 20 კუბ. მეტრი წიწვიანი დახერხილი მასალა რეზერვიდან;

ბ) საქმომარაგების ტრესტის მმართველს ამხ. კვანტალიანს 5 ტონა ცემენტი, 300 მეტრი ფოლადის მთლიანწეული მილი და 3 ცალი ხელის ტუმბო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 707

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქშახტმშენის მიერ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის განაკაფის გაყვანის შესახებ**

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ქვანახშირის შახტების „აღმოსავლეთის"—„სამხრეთ-აღმოსავლეთის" უბანზე, რაც საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ღონისძიებებთან დაკავშირებით ტარდება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას გაკაფოს ტყე „აღმოსავლეთის"—„სამხრეთ-აღმოსავლეთის" შახტების უბანზე სიგრძით 1,4 კილომეტრი და სიგანით 25 მეტრი.

2. დაევალოს ტრესტ საქშახტმშენის მმართველს ამხ. ბრეგვაძეს უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი საჭირო რაოდენობის მუშებით განაკაფის გასაყვანად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 708

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქკონსერვხილტრესტისათვის სატარე ხე-ტყის მიცემის შესახებ**

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას წინა წლებში დამზადებული იმ თხმელის სატარე მორების გამოზიდვა, რომელიც საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ გაუტანია და რომელიც ამის გამო ფუჭდება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას და „გლავსნაბლესის" საქართველოს სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს მისცენ საქკონსერვხილტრესტს 1700 კუბ. მეტრი სატარე მორი, აქედან:

ა) ზუგდიდის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მიერ ჭურიაში დამზადებულ რაოდენობიდან 1000 კუბ. მეტრი;

ბ) ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მიერ შავ-ტყეში დამზადებულ რაოდენობიდან 700 კუბ. მეტრი.

2. დაევალოს „გლავსნაბლესის" საქართველოს სამმართველოს უფროსს ამხ. კვიცარიძეს გააფორმოს 1700 კუბ. მეტრი სატარე მორის გაცემა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის მიწოდების ანგარიშში.

3. ტრესტ საქკონსერვხილტრესტის მმართველმა ამხ. წიკლაურმა უზრუნველჰყოს მიცემული სატარე მასალის გამოზიდვა 1944 წლის III კვარტალის განმავლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 24 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 709
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**1945/1947 წლებისათვის საქართველოს სსრ-ში თეთრი აკაციის გაშენების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობა და განსაკუთრებით კი მევენახეობა უზრუნველყოფილი არ არის საბიჯგი მასალით (ჭიგოებით, სარებით, ბოძებით), რაც გავლენას ახდენს ვენახისა და ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობაზე.

საბიჯგი მასალის საჭიროება ვენახებისათვის (58 ათასი ჰექტარი) შეადგენს 200 მილიონამდე ჭიგოს, 5 მილიონამდე სარსა და 1,2 მილიონამდე ბოძს. ამავე დროს, აკაციის არსებულ ნარგაობას შეუძლია დაფაროს ჭიგოს საჭიროება მევენახეობისათვის მხოლოდ 10—15%-ით, რის გამოც საბიჯგი მასალის დამზადება ძირითადად სწარმოებს სახელმწიფო ფონდის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, რომლებიც განლაგებულია დასახლებული პუნქტების მახლობლად და რომელთაც აქვთ ნიადაგდამცავი და წყალდამცავი მნიშვნელობა.

რაიონული ორგანიზაციების მიერ საბიჯგი მასალის გამოყვანისათვის საჭირო ბაზის შექმნის მნიშვნელობის შეუფასებლობის, აგრეთვე აკაციის ნარგავებისა და სანერგეების გაშენებისას მიწის ნაკვეთების არასაკმაო გულმოდგინედ შერჩევისა, საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა არათავისდროზე და არასრულად გატარებისა და ჯეროვანი მოვლა-დაცვის ჩაუტარებლობის შედეგად (პირუტყვის მიერ გათელვა, ღობეების უქონლობა), აკაციის არსებულ ნარგაობას დაბალი ნაყოფიერება აქვს და ისინი არაკეთილხარისხოვან საბიჯგ

მასალას იძლევიან. გამორკვეულია აგრეთვე, რომ საბიჯგი მასალის ერთ ნაწილს სათბობად იყენებენ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში აკაციის პლანტაციების გაშენების 1945/1947 წლების გეგმა 6.520 ჰექტარის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონების, სექტორებისა და წლების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. აკაციის პლანტაციების გაშენების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსს ამხ. გომელაურს:

ა) აკაციის სარგავი მასალის გამოყვანისათვის გააშენონ 1945/47 წლებში 108,7 ჰექტარი სანერგე, აქედან სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—84,1 ჰექტარი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ხაზით—24,6 ჰექტარი, რაც გაანაწილონ რაიონებისა და გაშენების წლების მიხედვით, № 2 დანართის თანახმად;

ბ) სრულად და თავის დროზე უზრუნველჰყონ თესლით საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს სატყეო მეურნეობები, რომელთაც აქვთ სანერგეების გაშენების დავალება;

გ) თავის დროზე უზრუნველჰყონ სტანდარტული სარგავი მასალის მიცემა სანერგეებიდან კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის თვითღირებულებით, რაიაღმასკომის განაწილების თანახმად.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს გასწიოს ხარჯები თესლის დამზადებისა და სანერგეების ნიადაგის მომზადებისათვის 1944 წელს სატყეო მეურნეობაში აუთვისებელი სახსრების ხარჯზე, ხოლო 1945 წლიდან სათანადო ხარჯები გაითვალისწინოს წლიური საწარმოო გეგმებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს—ამხ. ჯაბუას:

ა) მოაწყოს თეთრი აკაციის თესლის დამზადება 10.870 კილოგრამის რაოდენობით, აქედან 1944 წელს—2.605 კილოგრამისა, 1945 წელს—3.935 კილოგრამისა და 1946 წელს—2.330 კილოგრამისა;

ბ) მისცეს მითითება სატყეო მეურნეობების მუშაკებს ტექნიკური დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეებს აკაციის პლანტაციების გაშენებისა და მოვლის დროს.

4. დაევალოს თეთრი აკაციის გაშენების დავალების მქონე რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და პარტრაიკომების მდივნებს:

ა) ორი თვის განმავლობაში გაანაწილონ დავალებანი აკაციის კულტურების გაშენებისა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის 1945/47 წლებისათვის ძირითადად მათი მოთხოვნილების გათვალისწინებით;

ბ) მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე გამოჰყონ, სატყეო მეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად, შესაფერი მიწის ფართობები სანერგეების გასაშენებლად 1945 წლის გაზაფხულზე, დაამუშაონ ეს ფართობები 1944 წლის 1 დეკემბრამდე და შეარჩიონ აგრეთვე მიწის ნაკვეთები აკაციის ნარგავთა გაშენებისათვის;

გ) გამოუყონ სატყეო მეურნეობებს საჭირო რაოდენობის მუშები და ჭაპანზიდვის ტრანსპორტი თესლის დამზადებისა და სანერგეების გაშენება-დამუშავებისათვის;

დ) მითითება მისცენ კოლმეურნეობათა გამგეობებს აკაციის პლანტაციების გაშენება გაითვალისწინონ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებში;

ე) დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი როგორც არსებული, ისე გასაშენებელი აკაციის კულტურების დაცვა-მოვლისათვის (შეღობვა, დარაჯების გამოყოფა და სხვ.).

5. სამტრესტის დირექტორმა ამხ. აზარაშვილმა და შამპანკომბინატის მმართველმა ამხ. არობელიძემ განახორციელონ მათს საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობებში საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილების რეალიზაციისათვის.

6. საქართველოს სსრ მიწსახკომმა, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად, შეადგინოს და გამოსცეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისა აკაციის გაშენების აგროწესები. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გასცეს ამ მიზნისათვის 200 კილოგრამი ქაღალდი.

7. დადგენილ იქნას, რომ აკაციის ნარგავთა გაშენებას კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, როგორც წესი, აწარმოებენ ერთიან ფართობებზე, ხოლო ერთიანი ფართობების გამოძებნის სიძნელის შემთხვევაში ერთეული ნერგების გადარგვა წარმოებულ იქნას ვენახებისა და საკარმიდამო ნაკვეთების გვერდებზე, ღობეების, გზებისა და თხრილების გასწვრივ, იმ ანგარიშით, რომ 5.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალი ცალკეული ნერგის დარგვა ჩაითვალოს ერთი ჰექტარი აკაციის პლანტაციის თანაბრად.

8. პერსონალური პასუხისმგებლობა ამ დადგენილების დაწესებული მოცულობითა და განსაზღვრულ ვადებში შესრულებისათვის დაეკისროს პირადად რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და რაიკომების 1-ლ მდივნებს და დაევალოს მათ ყოველწლიურად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიშები სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ე გ

## აკაციის პლანტაციების გაშენებისა საქართველოს სსრ-ში 1945-

## ორგანიზაციების

| რაიონები | უნდა გაშენდეს | | | | ა ქ ე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | აქედან | | სულ 1947 წ. | კოლმეურნეო-ა ქ ე | |
| | | 1945 წ. | 1946 წ. | | სულ | 1945 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| I. აღმოსავლეთ საქართველოში | | | | | | |
| თელავის . . . . . . . . . . . . | 530 / 2650,0 | 170 / 850,0 | 180 / 900,0 | 180 / 900,0 | 506 / 2530,0 | 163 / 815,0 |
| ყვარლის . . . . . . . . . . . | 100 / 500,0 | 30 / 150.0 | 35 / 175,0 | 35 / 175,0 | 98 / 490,0 | 29 / 145,0 |
| ლაგოდეხის . . . . . . . . . . | 70 / 350,0 | 20 / 100,0 | 25 / 125,0 | 25 / 125,0 | 70 / 350,0 | 20 / 100,0 |
| წითელწყაროს . . . . . . . . | 120 / 600,0 | 40 / 200,0 | 40 / 200,0 | 40 / 200,0 | 120 / 600,0 | 40 / 200,0 |
| სიღნაღის . . . . . . . . . . . | 230 / 1150,0 | 70 / 350,0 | 80 / 400,0 | 80 / 400,0 | 214 / 1070,0 | 64 / 320,0 |
| გურჯაანის . . . . . . . . . . | 550 / 2750,0 | 180 / 900,0 | 190 / 950,0 | 180 / 900,0 | 533 / 2665,0 | 174 / 870,0 |
| საგარეჯოს . . . . . . . . . . | 260 / 1300,0 | 80 / 400,0 | 90 / 450,0 | 90 / 450,0 | 257 / 1285,0 | 78 / 390,0 |
| ბორჩალოს . . . . . . . . . . | 80 / 400,0 | 20 / 100,0 | 30 / 150,0 | 30 / 150,0 | 65 / 325,0 | 15 / 75,0 |
| ბოლნისის . . . . . . . . . . | 200 / 1000,0 | 60 / 300,0 | 70 / 350,0 | 70 / 350,0 | 185 / 925,0 | 55 / 275,0 |
| თეთრიწყაროს . . . . . . . | 70 / 350,0 | 20 / 100,0 | 30 / 150,0 | 20 / 100,0 | 20 / 100,0 | 30 / 150,0 |
| მცხეთის . . . . . . . . . . . | 240 / 1200,0 | 80 / 400,0 | 80 / 400,0 | 80 / 400,0 | 238 / 1165,0 | 77 / 385,0 |
| თბილისის . . . . . . . . . . | 80 / 400,0 | 20 / 100,0 | 30. / 150,0 | 30 / 150,0 | 80 / 400,0 | 20 / 100,0 |

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 21|VI № 709 დადგენილების დანართი № 1

# მ ა

**1947 წლების პერიოდისათვის რაიონების, სექტორებისა და მიხედვით**

(ჰექტარობით / ათას ცალობით)

| დ ა ნ ბათა მიერ დ ა ნ 1946 წ. | 1947 წ. | საბჭოთა მეურნეობების მიერ სულ | აქედან 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. | ადგილობრივი მრეწველობის მიერ სულ | 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 171 | 172 | 20 | 6 | 7 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 |
| 855,0 | 860,0 | 100,0 | 30,0 | 35,0 | 35,0 | 20,0 | 5,0 | 10,0 | 5,0 |
| 34 | 35 | 2 | 1 | 1 | — | — | — | — | — |
| 170,0 | 175,0 | 10,0 | 5,0 | 5,0 | — | — | — | — | — |
| 25 | 25 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 125,0 | 125,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40 | 40 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 200,0 | 200,0 | | | | | | | | |
| 75 | 75 | 12 | 4 | 4 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 |
| 375,0 | 375,0 | 60,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 5,0 |
| 184 | 175 | 12 | 4 | 4 | 4 | 5 | 2 | 2 | 1 |
| 920,0 | 875,0 | 60,0 | 20,0 | 20,0 | 20,0 | 25,0 | 10,0 | 10,0 | 5,0 |
| 89 | 90 | 3 | 2 | 1 | — | — | — | — | — |
| 445,0 | 450,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 | — | — | — | — | — |
| 25 | 25 | 15 | 5 | 5 | 5 | — | — | — | — |
| 125,0 | 125,0 | 75,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 | — | — | — | — |
| 65 | 65 | 15 | 5 | 5 | 5 | | | | |
| 325,0 | 325,5 | 75,0 | 25,0 | 25,5 | 25,0 | — | - | — | — |
| 20 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 100,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 78 | 78 | 7 | 3 | 2 | 2 | — | — | — | — |
| 390,0 | 390,0 | 35,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 | | | | |
| 30 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 150,0 | 150,0 | — | — | — | — | | | | |

| რაიონები | უნდა გაშენდეს | | | | ა ქ ე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | აქედან | | სულ 1947 წ. | კოლმეურნეობა-ში | |
| | | 1945 წ. | 1946 წ. | | სულ | 1945 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| კასპის . . . . . . . . . | 120 | 40 | 40 | 40 | 118 | 39 |
| | 600,0 | 200,0 | 200,0 | 200,0 | 590,0 | 195,0 |
| გორის . . . . . . . . . . | 300 | 95 | 100 | 105 | 300 | 95 |
| | 1500,0 | 475,0 | 500,0 | 525,0 | 1500,0 | 475,0 |
| ქარელის . . . . . . . . . | 120 | 40 | 40 | 40 | 120 | 40 |
| | 600,0 | 200,0 | 200,0 | 600,0 | 200,0 | 200,0 |
| ხაშურის . . . . . . . . . | 150 | 50 | 50 | 50 | 150 | 50 |
| | 750,0 | 250,0 | 250,0 | 250,0 | 750,0 | 250,0 |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . | 100 | 30 | 40 | 30 | 100 | 30 |
| | 500,0 | 150,0 | 200,0 | 150,0 | 500,0 | 150,0 |
| სულ აღმოსავლეთ საქართველოში | 3320 | 1045 | 1150 | 1125 | 3219 | 1009 |
| | 16600,0 | 5225,0 | 5750,0 | 5625,0 | 16095,0 | 5045,0 |
| II. დასავლეთ საქართველოში | | | | | | |
| ორჯონიკიძის . . . . . . . . | 100 | 30 | 40 | 30 | 100 | 30 |
| | 500,0 | 150,0 | 200,0 | 150,0 | 500,0 | 150,0 |
| ჩხარის . . . . . . . . | 500 | 160 | 170 | 170 | 496 | 158 |
| | 2500,0 | 800,0 | 850,0 | 850,0 | 2480,0 | 790,0 |
| ჭიათურის . . . . . . . . | 300 | 100 | 100 | 100 | 300 | 100 |
| | 1500,0 | 500,0 | 500,0 | 500,0 | 1500,0 | 500,0 |
| საჩხერის . . . . . . . . . | 250 | 80 | 90 | 80 | 250 | 80 |
| | 1250,0 | 400,0 | 450,0 | 400,0 | 1250,0 | 400,0 |
| ვანის . . . . . . . . . . | 40 | 10 | 20 | 10 | 40 | 10 |
| | 200,0 | 50,0 | 100,0 | 50,0 | 200,0 | 50,0 |
| ქუთაისის . . . . . . . | 230 | 80 | 80 | 70 | 230 | 80 |
| | 1150,0 | 400,0 | 400,0 | 350,0 | 1150,0 | 400,0 |
| ტყიბულის . . . . . . . . | 100 | 30 | 40 | 30 | 100 | 30 |
| | 500,0 | 150,0 | 200,0 | 150,0 | 500,0 | 150,0 |
| წყალტუბოს . . . . . . . | 90 | 30 | 30 | 30 | 90 | 30 |
| | 450 | 150,0 | 150,0 | 150,0 | 450,0 | 150,0 |
| წულუკიძის . . . . . . . . . | 100 | 30 | 40 | 30 | 100 | 30 |
| | 500,0 | 150,0 | 200,0 | 150,0 | 500,0 | 150,0 |
| ონის . . . . . . . . . | 30 | 15 | 15 | — | 30 | 15 |
| | 150,0 | 75,0 | 75,0 | | 150,0 | 75,0 |

| დ ა ნ — ბათა მიერ დ ა ნ | | საბჭოთა მეურნეობების მიერ | | | | ადგილობრივი მრეწველობის მიერ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | აქედან | | | | | | |
| 1946 წ. | 1947 წ. | სულ | 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. | სულ | 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 39 / 195,0 | 40 / 200,0 | 2 / 10,0 | 1 / 5,0 | 1 / 5,0 | — | — | — | — | — |
| 100 / 500,0 | 105 / 525,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40 / 200,0 | 40 / 200,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 50 / 250,0 | 50 / 250,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40 / 200,0 | 30 / 150,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 1115 / 5575,0 | 1095 / 5475,0 | 88 / 440,0 | 31 / 155,0 | 30 / 150,0 | 27 / 135,0 | 13 / 65,0 | 5 / 25,0 | 5 / 25,0 | 3 / 150,0 |
| 40 / 200,0 | 30 / 150,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 169 / 845,0 | 169 / 845,0 | 4 / 20,0 | 2 / 10,0 | 1 / 5,0 | 1 / 5,0 | — | — | — | — |
| 100 / 500,0 | 100 / 500,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 90 / 450,0 | 80 / 400,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 20 / 100,0 | 10 / 50,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 80 / 400,0 | 70 / 350,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40 / 200,0 | 30 / 150,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 30 / 150,0 | 30 / 150,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 40 / 200,0 | 30 / 150,0 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 15 / 75,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — |

| რაიონები | უნდა გაშენდეს | | | | ა ქ ე კოლმეურნეო-ა ქ ე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | აქედან | | სულ 1947 წ. | სულ | 1945 წ. |
| | | 1945 წ. | 1946 წ. | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| სამტრედიის . . . . . . . . . | 70 / 350,0 | 20 / 100.0 | 30 / 150,0 | 20 / 100,0 | 70 / 350,0 | 20 / 100,0 |
| ამბროლაურის . . . . . . . . | 300 / 1500,0 | 100 / 500,0 | 100 / 500,0 | 100 / 500,0 | 300 / 1500,0 | 100 / 500,0 |
| ცხაკაიას . . . . . . . . . . . | 70 / 350.0 | 20 / 100,0 | 30 / 150,0 | 20 / 100,0 | 70 / 350,0 | 20 / 100,0 |
| ცაგერის . . . . . . . . . . . | 100 / 500,0 | 30 / 150,0 | 40 / 200,0 | 30 / 150,0 | 100 / 500,0 | 30 / 150,0 |
| გეგეჭკორის . . . . . . . . . . | 130 / 650,0 | 40 / 200,0 | 50 / 250,0 | 40 / 200,0 | 130 / 650,0 | 40 / 200,0 |
| ჩხოროწყუს . . . . . . . . . | 70 / 350,0 | 20 / 100,0 | 30 / 150,0 | 20 / 100.0 | 70 / 350,0 | 20 / 100,0 |
| წალენჯიხის . . . . . . . . . . | 50 / 250,0 | 10 / 50,0 | 20 / 100,0 | 20 / 100,0 | 50 / 250,0 | 10 / 50,0 |
| ზუგდიდის . . . . . . . . . . | 150 / 750,0 | 50 / 250,0 | 50 / 250,0 | 50 / 250,0 | 150 / 750,0 | 50 / 250,0 |
| ლანჩხუთის . . . . . . . . . . | 40 / 200,0 | 10 / 50,0 | 20 / 100,0 | 10 / 50,0 | 40 / 200,0 | 10 / 50,0 |
| ჩოხატაურის . . . . . . . . . | 100 / 500,0 | 30 / 150,0 | 40 / 200,0 | 30 / 150,0 | 100 / 500.0 | 30 / 150,0 |
| მახარაძის . . . . . . . . . . | 30 / 150,0 | 10 / 50,0 | 10 / 50,0 | 10 / 50,0 | 28 / 140,0 | 9 / 45,0 |
| აჭარის ასსრ . . . . . . . . . | 50 / 250,0 | 15 / 75,0 | 15 / 75,0 | 20 / 100,0 | 50 / 250,0 | 15 / 75,0 |
| აფხაზეთის ასსრ . . . . . . . | 300 / 1500,0 | 100 / 500,0 | 100 / 500,0 | 100 / 500,0 | 296 / 1480,0 | 98 / 490,0 |
| სულ დასავლეთ საქართველოში | 3200 / 16000,0 | 1020 / 5100,0 | 1160 / 5800,0 | 1020 / 5100,0 | 3190 / 15950,0 | 1015 / 5075,0 |
| მთლად საქართველოს სსრ-ში . . | 6520,0 / 32600,0 | 2065 / 10325,0 | 2310 / 11550,0 | 2145 / 10725,0 | 6409 / 32045,0 | 2024 / 10120,0 |

დ ა ნ

| ბათა მიერ დ ა ნ | | საბჭოთა მეურნეობების მიერ | | | | ადგილობრივი მრეწველობის მიერ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1946 წ. | 1947 წ. | სულ | აქედან 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. | სულ | 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 30 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 150,0 | 100,0 | | | | | | | | |
| 100 | 100 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 500,0 | 500,0 | | | | | | | | |
| 30 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 150,0 | 100,0 | | | | | | | | |
| 40 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 200.0 | 150 0 | | | | | | | | |
| 50 | 40 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 250,0 | 200,0 | | | | | | | | |
| 30 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 150,0 | 100,0 | | | | | | | | |
| 20 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 100,0 | 100,0 | | | | | | | | |
| 50 | 50 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 250,0 | 250,0 | | | | | | | | |
| 20 | 10 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 100,0 | 50,0 | | | | | | | | |
| 40 | 30 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 200,0 | 150,0 | | | | | | | | |
| 9 | 10 | 2 | 1 | 1 | — | — | — | — | — |
| 45,0 | 50,0 | 10,0 | 5,0 | 5,0 | | | | | |
| 15 | 20 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 75,0 | 100,0 | | | | | | | | |
| 99 | 99 | — | — | — | — | 4 | 2 | 1 | 1 |
| 495,0 | 495,0 | | | | | 20.0 | 10,0 | 5,0 | 5,0 |
| 1157 | 1018 | 6 | 3 | 2 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 |
| 5785,0 | 5090,0 | 30,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 5,0 |
| 2272 | 2113 | 94 | 34 | 32 | 28 | 17 | 7 | 6 | 4 |
| 11360,0 | 10565,0 | 470,0 | 170,0 | 160,0 | 140,0 | 85,0 | 35,0 | 30,0 | 20,0 |

შენიშვნა: აკაციის პლანტაციის ერთ ჰექტარზე ირგვება 5000 ერთწლიანი სათესარი. 5000 ცალკეული სათესარის დარგვა ღობეების,. თხრილებისა და სხვ. გასწვრივ მიიღება პირობითად, რაც 1 ჰექტარი პლანტაციის დარგვას უდრის.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 21|VI № 709
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გ ე გ მ ა

## თეთრი აკაციის სანერგეების გაშენებისა 1945-47 წლის პერიოდისათვის საქართველოს სსრში

| რაიონები | სანერგეების გამშენებელ სატყეო მეურნეობათა დასახელება | გასაშენებელი სანერგეების ფართობი (სასარგებლო) (ჰექტარობით) | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სულ 1945/47 წწ. | აქედან 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| **I. აღმოსავლეთ საქართველო** | | | | | |
| თელავის | თელავის სატყეო მეურნ. | 9 | 4 | 3 | 2 |
| ყვარლის | " " | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| ლაგოდეხის | გურჯაანის " | 1 | 0,5 | 0,5 | — |
| წითელწყაროს | " " | 2 | 1 | 0,5 | 0,5 |
| სიღნაღის | " " | 4 | 1,5 | 1,5 | 1 |
| გურჯაანის | " " | 9 | 4 | 3 | 2 |
| საგარეჯოს | თბილისის " | 4 | 1,5 | 1,5 | 1 |
| თეთრიწყაროს | " " | 1 | 0,5 | 0.35 | 0.15 |
| ბორჩალოს | ბოლნისის " | 1,5 | 0,75 | 0,5 | 0,25 |
| ბოლნისის | " " | 3,5 | 1,5 | 1 | 1 |
| მცხეთის | თბილ. საკურ.-სატყეო მეურნ. | 1 | 1,5 | 1,5 | 1 |
| თბილისის | " | 1,5 | 0,75 | 0,5 | 0,25 |
| კასპის | ხაშურის სატყეო მეურნ. | 2 | 1 | 1 | — |
| გორის | " " | 5,0 | 2 | 2 | 1 |
| ქარელის | " " | 2 | 1 | 0,5 | 0,5 |
| ხაშურის | " " | 2,5 | 1 | 1 | 0,5 |
| სამხრეთ-ოსეთის ა/ო | სამხრეთ ოსეთის " | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . . . | | 55,0 | 23,5 | 19,35 | 12,15 |
| **II. დასავლეთ საქართველო** | | | | | |
| ორჯონიკიძის | ჩარაგოულის სატყეო მეურნ. | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| ჩხარის | ჩხარის რაიონ. " | 8,5 | 3,5 | 3 | 2 |
| ჭიათურის | საჩხერის " | 5 | 2 | 2 | 1 |
| საჩხერის | " | 4 | 1,5 | 1,5 | 1 |
| ვანის | ვანის საკურ.-სატყეო მეურნ. | 0,7 | 0,3 | 0,3 | 0,1 |

| რაიონები | სანერგეების გამშენებელ სატყეო მეურნეობათა დასახელება | გასაშენებელი სანერგეების ფართობი (სასარგებლო) (ჰექტარობით) | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ა ქ ე დ ა ნ | | |
| | | სულ 1945/47 წწ. | 1945 წ. | 1946 წ. | 1947 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| სამტრედიის | ვანის საკურ.-სატყეო მეურნ. | 1,2 | 0,5 | 0,4 | 0,3 |
| ქუთაისის | ქუთაისის სატყეო მეურნეობა | 4 | 1,5 | 1,5 | 1 |
| ტყიბულის | " | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| წყალტუბოს | წყალტუბოს საკ.-სატყ. მეურნ. | 1,5 | 0,75 | 0,5 | 0.25 |
| წულუკიძის | სალხინოს სატყეო მეურნ. | 1,7 | 1 | 0.45 | 0,25 |
| გეგეჭკორის | " | 2,5 | 1 | 1 | 0,5 |
| ონის | ამბროლაურის " | 0,5 | 0,5 | — | — |
| ცაგერის | ქვ/სვანეთის " | 1,5 | 0,5 | 0,5 | 0,5 |
| ცხაკაიას | ცხაკაიას რაიონული სატყეო მეურნ. | 1,2 | 0,5 | 0,4 | 0,3 |
| ჩხოროწყუს | ზუგდიდის სატყეო მეურნ. | 1,0 | 0,5 | 0,5 | — |
| წალენჯიხის | " " | 1,0 | 0,5 | 0,5 | — |
| ზუგდიდის | " " | 2,5 | 1 | 1 | 0,5 |
| ლანჩხუთის | მახარაძის " | 0,7 | 0,3 | 0,3 | 0,1 |
| მახარაძის | " " | 0,5 | 0,2 | 0,2 | 0,1 |
| ჩოხატაურის | ჩოხატაურის " | 1,7 | 1,0 | 0,45 | 0,25 |
| აჭარის ასსრ | აჭარის " | 1,0 | 0,5 | 0,5 | — |
| აფხაზეთის ასსრ | აფხაზეთის საკურორტო-სატყეო მეურნეობა | 5 | 2 | 2 | 1 |
| სულ დასავლეთ საქართველოში . . . . | | 53,7 | 22,55 | 20,0 | 11,15 |
| სულ საქართველოს სსრ-ში . . . . . . . . | | 108,7 | 46,05 | 39,35 | 23,30 |

შენიშვნა: 1. სანერგის 1 ჰექტარ სასარგებლო ფართობზე ითესება 100 კილოგრამი აკაციის თესლი.

2. სანერგის 1 ჰექტარ სასარგებლო ფართობზე მიღებულ უნდა იქნას 300,0 ათასი ცალი 1-წლიანი სტანდარტული ნერგი მაინც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 712

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**უკრაინის კ. პ. (ბ) კადიევკის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოსათვის მათი კუთვნილი პოლიგრაფმოწყობილობისა და ტიპოგრაფიული შრიფტის დაბრუნების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 7 ივნისის № 606 დადგენილების შესაცვლელად, წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილეს ამხ. ტაბატაძეს სად. თბილისის ევაკობაზაში საევაკუაციო ტვირთის ხაზით მიღებული პოლიგრაფმოწყობილობა და ტიპოგრაფიული შრიფტები (ვაგონი № 659647) გადასცეს მათ მფლობელთ—უკრაინის კ. პ. (ბ) კადიევკის საქალაქო კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 27 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 714

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილების შესანახი ხარჯების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილების შესანახი ხარჯების დაფინანსება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 27 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 715
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**„გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორისათვის „ზის-101“ მარკის მსუბუქი ავტომანქანის გადაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს გადასცეს „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორას „ზის-101“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა (ყოფილი ტაქსი), რომელიც კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, ბალანსიდან ბალანსზე ჩამოწერით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 27 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 717

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

### ციტრუსოვანი კულტურების საზაფხულო ოკულირების 1944 წლის გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1943 წლის IX პლენუმის გადაწყვეტილებისა ციტრუსოვან კულტურათა საკუთარი სარგავი მასალით ყოველი რაიონის უზრუნველყოფის შესახებ, ზოგიერთი რაიონის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები და სამიწათმოქმედო ორგანოები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას სანერგე მეურნეობას. მთელ რიგ რაიონებში გასულ წელს ოკულირება ტარდებოდა არახარისხოვანი კალმებით, სუსტ საძირეებზე და ვადების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა (25-30%-ით) ნამყენთა გახარება გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, გულრიპშის, სოხუმისა და ხობის რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში.

არადამაკმაყოფილებელ მუშაობას სანერგეებში ადგილი აქვს 1944 წელსაც. ფოთის რაიონში მიმდინარე წლის გაზაფხულზე გადარგული ტრიფოლიატის 480.000 საძირიდან საზაფხულო ოკულირებისათვის ვარგისი გამოდგა მხოლოდ 140.000 ცალი; გეგეჭკორის რაიონში 180.000 საძირიდან ოკულირებისათვის ვარგისი გამოდგა მხოლოდ 15.000 ცალი. სტანდარტულ საძირეთა გამოსავლის დაბალი პროცენტი აქვთ აგრეთვე წყალტუბოს (30%), წულუკიძის (30%), სამტრედიის (33%), ჩოხატაურის (51%), ხობისა (52%) და ზოგიერთ სხვა რაიონებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვენ ციტრუსოვანთა რაიონების საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან სანერგე მეურნეობის გადაჭრით გაუმჯო-

ზესებას და კერძოდ მის ისე გაფართოებას, რომ სრულად უზრუნველყოფილ იქნას ციტრუსოვან ნარგავთა რემონტი და აღდგენა საკუთარი სარგავი მასალით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს ციტრუსოვან კულტურათა საზაფხულო ოკულირების 1944 წლის გეგმა 3.800.000 ცალის რაოდენობით, აქედან ლიმონი—875.000 ცალი, მანდარინი—2.860.000 ცალი და ფორთოხალი—65.000 ცალი.

2. დამტკიცდეს ციტრუსოვანთა საზაფხულო ოკულირების გეგმა რაიონების, საბჭოთა მეურნეობების, კულტურებისა და ჯიშების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

3. დამტკიცდეს კალმების რაიონობლივი განაწილება კულტურებისა და ჯიშების მიხედვით, № 2 დანართის თანახმად, და ასაკრავი მასალის განაწილება,- № 3 დანართის თანახმად.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, ციტრუსოვანთა რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მიწსახკომს და ლიმმანტრესტის დირექტორს:

ა) ხუთი დღის განმავლობაში დაიყვანონ ოკულირების გეგმა კულტურებისა და ჯიშების მიხედვით კოლმეურნეობებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე და უზრუნველჰყონ მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე ოკულირების გეგმის მთლიანად და ხარისხობრივად შესრულება;

ბ) შეამოწმონ ყოველი სანერგე და დასახონ სანერგეთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი ღონისძიებანი და კერძოდ, უზრუნველჰყონ, რათა საძირეთა მინდორი ინახებოდეს სარეველებისაგან გაწმენდილ და გაფხვიერებულ მდგომარეობაში და ყოველ თხუთმეტ დღეში შეჰქონდეთ წუნწუხი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სუსტი საძირეების მოვლას, გაახშირონ წუნწუხისა და აზოტის შეტანა მათში. საძირის შტამბის გაწმენდა ჩაატარონ ოკულირების 10 დღით ადრე;

გ) ოკულირება ჩაატარონ მხოლოდ სტანდარტულ საძირეებზე, რომელთა სისქეც ოკულირების ადგილას უნდა უდრიდეს 8-10 მილიმეტრს;

დ) კალმები ოკულირებისათვის აიღონ აპრობირებული სადედე ხეებიდან, რომლებიც არ არიან დასნებოვნებული ავადმყოფობითა და მავნებლებით;

ე) მოაწყონ კალმების გულმოდგინედ შერჩევა ჯიშების მიხედვით და არ დაუშვან მათი ერთმანეთში არევა; ერთი ჯიშის კალმების

კონებად შეკვრა აწარმოონ შეჭრის დროს და კონას შეაბან ეტიკეტი ჯიშის აღნიშვნით;

ვ) საძირეების ოკულირება სადედე ხეების კვირტებით აწარმოონ ჯიშების მიხედვით ცალკეულ კვლებში და არ დაუშვან ჯიშების ერთმანეთში არევა;

ზ) უზრუნველჰყონ მყნობელთა მომზადება მიმდინარე წლის 20 ივლისისათვის საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ დაგზავნილი გეგმის თანახმად. გამოავლინონ ყველა გამოცდილი მყნობელი და გამოიყენონ ისინი ციტრუსოვანთა ოკულირებისათვის;

თ) ყოველი სანერგე ოკულირების პერიოდისათვის მიამაგრონ ციტრუსოვანთა ოკულირების საქმის მცოდნე აგრონომებსა და აგროტექნიკოსებს და დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა ამ სამუშაოთა ხარისხობრივი შესრულებისათვის.

5. დაევალოს ციტრუსოვანთა რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე იმ ციტრუსოვან კულტურების საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომლებიც კალმებს იძლევიან, აღმოუჩინონ მათზე მიმაგრებულ რაიონებს ყოველგვარი დახმარება კალმების თავის დროზე და ხარისხობრივი დამზადებისა და გამოზიდვის საქმეში.

6. დაევალოს მიწსახკომს:

ა) შესწყვიტოს ციტრუსოვან კულტურათა ნერგების გადაგზავნა ერთი რაიონიდან მეორეში;

ბ) დააწესოს მუდმივი კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე და სისტემატურად მოაწოდოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ინფორმაცია სანერგეებში მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ | საქართველოს კ. პ. (ბ) |
| სახალხო კომისართა საბჭოს | ცენტრალური კომიტეტის |
| თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | მდივანი **კ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 27 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ე ბ

**ციტრუსოვან კულტურათა საზაფხულო ოკულირებისა 1944 წლისა ტორსა და ლიმმანტრესტის**

| რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახელება | სულ ციტრუსოვანთა ოკულირება | აქედან კულტურე მანდარინი სულ | აქედან კოვანოვასე |
|---|---|---|---|
| 1. აჭარის ასსრ . . . . . . . . | 250.000 | 100.000 | 10.000 |
| 2. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . | 800.000 | 480.000 | 10.000 |
| 3. მახარაძის რაიონი . . . . . . . . | 275.000 | 225.000 | 5.000 |
| 4. ლანჩხუთის „ . . . . . . . | 300.000 | 200.000 | — |
| 5. ჩოხატაურის „ . . . . . . . | 200.000 | 190.000 | — |
| 6. სამტრედიის „ . . . . . . . | 50.000 | 50.000 | — |
| 7. წულუკიძის „ . . . . . . . | 30.000 | 30.000 | — |
| 8. ქუთაისის „ . . . . . . . | 35.000 | 35.000 | — |
| 9. წყალტუბოს „ . . . . . . . | 30.000 | 30.000 | — |
| 10. ვ ა ნ ი ს „ . . . . . . . | 15.000 | 15.000 | — |
| 11. აბაშის „ . . . . . . . | 100.000 | 100.000 | — |
| 12. ცხაკაიას „ . . . . . . . | 250.000 | 230.000 | — |
| 13. ხობის „ . . . . . . . | 130.000 | 110.000 | — |
| 14. გეგეჭკორის „ . . . . . . . | 15.000 | 15.000 | — |
| 15. ჩოლოყყუს „ . . . . . . . | 140.000 | 140.000 | — |
| 16. წალენჯიხის „ . . . . . . . | 40.000 | 40.000 | — |
| 17. ზუგდიდის „ . . . . . . . | 600.000 | 500.000 | — |
| 18. ფოთის „ . . . . . . . | 140.000 | 100.000 | — |
| სულ კოლმეურნეობებში . . . . | 3.400.000 | 2.590.000 | 25.000 |
| 19. კახაბრის საბჭ. მეურნ. . . . . . | 65.000 | 35.000 | — |
| 20. კვირიკეს „ „ . . . . | 50.000 | 30.000 | 10.000 |
| 21. ურეკის „ „ . . . | 150.000 | 100.000 | 10.000 |
| 22. ანაკლიის „ „ . . . . | 120.000 | 100.000 | — |
| 23. ციხისძირის „ „ . . . | 15.000 | 5.000 | — |
| სულ საბჭოთა მეურნეობებში . . | 400.000 | 270.000 | 20.000 |
| სულ კოლმეურნეობებსა და საბჭ. მეურნეობებში . . . . . . . | 3.800.000 | 2.860.000 | 45.000 |

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წ. 27/VI № 717 დადგენი-
ლების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ა

**თვის კულტურებისა და ჯიშების მიხედვით საკოლმეურნეო სექ-**
**საბჭოთა მეურნეობებში**

(ძირობით)

ბისა და ჯიშების მიხედვით

| ლ ი მ ო ნ ი | | | | | ფ ო რ თ ო ხ ა ლ ი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს უ ლ | ა ქ ე დ ა ნ | | | | ს უ ლ | ა ქ ე დ ა ნ | |
| | ქართული | მეიერისა | ვილა-ფრანკა | ლის-ბონი | | ვაშინგ-ტონ ნაველი | „კორო-ლიოკი“ |
| 150.000 | 140.000 | 10.000 | — | — | — | — | — |
| 300.000 | 280.000 | 15.000 | 3.000 | 2.000 | 20.000 | 15.000 | 5.000 |
| 50.000 | 50.000 | — | — | — | — | — | — |
| 100.000 | 70.000 | 30.000 | — | — | — | — | — |
| 10.000 | 5.000 | 5.000 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| 20.000 | 10.000 | 10.000 | — | — | — | — | — |
| 20.000 | 10.000 | 10.000 | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — |
| 80.000 | 20.000 | 60.000 | — | — | — | — | — |
| 40 000 | 10.000 | 30.000 | — | — | 20.000 | 20.000 | — |
| 770.000 | 595.000 | 170.000 | 3.000 | 2.000 | 40.000 | 35.000 | 5.000 |
| 20.000 | 20.000 | — | — | — | 10.000 | 10.000 | — |
| 20.000 | — | 20.000 | — | — | 10.000 | 10.000 | — |
| 40.000 | 30.000 | 10.000 | — | — | — | — | — |
| 20.000 | — | 20.000 | — | — | — | — | — |
| 5.000 | 5.000 | — | — | — | 5.000 | 5.000 | — |
| 105.000 | 55.000 | 50.000 | — | — | 25.000 | 25.000 | — |
| 875.000 | 650.000 | 220.000 | 3.000 | 2.000 | 65.000 | 60.000 | 5.000 |

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 27/VI № 717 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განაწილება

## ციტრუსოვანი კულტურების კალმებისა 1944 წლის საზაფხულო ოკულირებისათვის

| დასახელება იმ რაიონებისა, რომლებიც იღებენ დანაკლისი რაოდენობის კალმებს | საიდან იღებენ ციტრუსოვანთა კალმებს (კალამზე 5 კვირტის გაანგარიშებით) | |
|---|---|---|
| 1. ლანჩხუთის რაიონი | მეიერის ლიმონს იღებს აჭარიდან—კვირიკეს საბჭოთა მეურნეობიდან . . | 3000 ცალს |
| | და ალამბრის საბჭოთა მეურნეობიდან . | 3000 „ |
| | ქართულ ლიმონს იღებს აჭარიდან—მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობიდან | 9000 „ |
| | კვირიკეს საბჭოთა მეურნეობიდან . . . | 3000 „ |
| | ალამბრის საბჭოთა მეურნეობიდან . . | 2000 „ |
| 2. ჩოხატაურის რაიონი | იღებს აჭარიდან—კვირიკეს საბჭოთა მეურნეობიდან: მეიერის ლიმონს . . | 1000 „ |
| | და ქართული ჯიშისას . . . . . . | 1000 „ |
| | მახარაძის რაიონიდან იღებს მანდარინს | 25.000 „ |
| 3. სამტრედიის რაიონი | იღებს ურეკის საბჭოთა მეურნეობიდან მანდარინის კალმებს . . . . . . . | 10.000 „ |
| 4. წულუკიძის რაიონი | აჭარიდან: მანდარინს . . . . . . | 6.000 „ |
| 5. ქუთაისის „ | „ „ | 7.000 „ |
| 6. წყალტუბოს „ | „ „ | 6.000 „ |
| 7. ვანის „ | „ „ | 3.000 „ |
| 8. აბაშის „ | „ „ | 20.000 „ |
| 9. ცხაკაიას „ | „ „ | 30.000 „ |
| „ | „ ქართულ ლიმონს . . . | 2.000 „ |
| „ | ფოთიდან—კოლხიდის საბჭოთა მეურნეობიდან მეიერის ლიმონს . . . . | 2.000 |
| 10. ხობის რაიონი | აჭარიდან—მანდარინს . . . . . . . . . | 20.000 „ |
| | და ფოთიდან—მეიერის ლიმონს . . . . | 2.000 „ |
| 11. ზუგდიდის რაიონი | აფხაზეთიდან: მანდარინს . . . . . . . . | 100.000 „ |
| | და ქართულ ლიმონს . . . . . . . . | 4.000 „ |
| | ფოთიდან: მეიერის ლიმონს . . . . . . | 12.000 „ |
| | აჭარიდან: ფორთოხალს—ვაშინგტონ-ნაველს . . . . . . . . . . . . . . | 4.000 „ |
| 12. ჯვეჯკორის რაიონი | აფხაზეთიდან იღებს მანდარინს . . . | 3.000 „ |
| 13. ჩხოროწყუს „ | აფხაზეთიდან—მანდარინს . . . . . . | 8.000 „ |

დანარჩენი რაიონები სრულიად უზრუნველყოფილი არიან კალმებით საკუთარი პლანტაციებიდან.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წ. 27|VI № 717 დადგენილების დანართი № 3

# განაწილება

### ასაკრავი მასალის—რაფიასი საზაფხულო ციტრუსოვანთა ოკულირების ჩასატარებლად 1944 წელს

| რაიონების დასახელება | რაოდენობა კილოგრამობით |
|---|---|
| 1. აჭარის ასსრ . . . . . . . . . . | 45 |
| 2. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . | 135 |
| 3. მახარაძის რაიონი . . . . . . . . . | 50 |
| 4. ლანჩხუთის „ . . . . . . . | 55 |
| 5. ჩოხატაურის „ . . . . . . . | 35 |
| 6. სამტრედიის „ . . . . . . . | 10 |
| 7. ვ ა ნ ი ს „ . . . . . . . | 4 |
| 8. წულუკიძის „ . . . . . . . | 6 |
| 9. წყალტუბოს „ . . . . . . . | 6 |
| 10. ქუთაისის „ . . . . . . . | 6 |
| 11. აბაშის „ . . . . . . . | 25 |
| 12. ცხაკაიას „ . . . . . . . | 45 |
| 13. გეგეჭკორის „ . . . . . . . | 4 |
| 14. ჩხოროწყუს „ . . . . . . . | 25 |
| 15. ხობის „ . . . . . . . | 22 |
| 16. წალენჯიხის „ . . . . . . . | 8 |
| 17. ზუგდიდის „ . . . . . . . | 110 |
| 18. ფოთის „ . . . . . | 25 |
| სულ ლიმმანტრესტის კოლმეურნეობებში . . . . | 616 |
| | 70 |
| სულ რესპუბლიკაში . | 686 |

## დადგენილება № 718

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**1944 წლის შემოდგომაზე სიდერაციული კულტურების სათესლეთა გაშენების შესახებ**

იმისათვის, რომ შეიქმნას სიდერაციული კულტურების სათესლეები, რათა უზრუნველყოფილ იქნას შემდგომ წლებში ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს პლანტაციები მწვანე სასუქით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დადგენილ იქნას გეგმა სიდერაციული კულტურების სათესლეთა გაშენებისა 1050 ჰექტარ ფართობზე, აქედან კოლმეურნეობებში—990 ჰექტარსა და ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებში—60 ჰექტარზე.

2. დამტკიცდეს სათესლეების გაშენების გეგმის რაიონობლივი განაწილება და სიდერაციული კულტურების თესლის განაწილება, დანართის თანახმად.

3. დადგენილ იქნას სიდერაციული კულტურების სათესლეების თესვის დასაწყისად 1944 წლის 15 სექტემბერი და თესვის დამთავრების ვადად—5 ოქტომბერი.

4. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს, სუბტროპიკული რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და ლიმმანტრესტის დირექტორს ამხ. ბერიძეს:

ა) ერთი დეკადის განმავლობაში დაიყვანონ სიდერაციული კულტურების სათესლეთა გაშენების გეგმა კოლმეურნეობებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე და უზრუნველჰყონ სათესლეთა გაშენების გეგმის შესრულება დაწესებული ვადისათვის.

ყოველი კოლმეურნეობის ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს პლან-

ტაციების მწვანე სასუქის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკუთარი სათესლე მასალით, აგრეთვე სიდერაციული კულტურების სათესლეთა საუკეთესო მოვლის მოსაწყობად და თესლის მაღალი მოსავლის მისაღებად დააწესონ სიდერატების სათესლეთა გაშენების გეგმა ყოველ კოლმეურნეობაში არაუმეტეს 3 ჰექტარისა;

ბ) გამოჰყონ საუკეთესო ნაკვეთები სათესლეთა თესვისათვის და 15-20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე ჩაატარონ ხვნა 15-18 სანტიმეტრის სიღრმით; უზრუნველჰყონ ფოსფორის სასუქთა შეტანა და ნიადაგის გულმოდგინედ მომზადება;

გ) სიდერაციული კულტურების სათესლეებით გაშენებული ნაკვეთები შეღობონ და უზრუნველჰყონ ნათესების დაცვა გათელვისაგან;

დ) სისტემატურად აწარმოონ მარგვლა და სიდერაციული კულტურების სათესლეებით გაშენებული ნიადაგი შეინახონ სარეველებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში.

5. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებს, საქართველოს კ. პ. აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, აბაშის, ცხაკაიას ხობის, სამტრედიისა და ფოთის რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს და ლიმმანტრესტის დირექტორს (ამხ. ბერიძეს):

ა) მოაწყონ სიდერაციული კულტურების თესლის დროული და უდანაკლისო აღება;

ბ) მთელი აღებული მასა შეჰკრან ძნებად და გააშრონ ძინდორზე, ხოლო წვიმიან დღეებში—ფარდულებში;

გ) მოაწყონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში თესლის გულმოდგინედ და უდანაკარგოდ გაცეხვა და გახმობა, რისთვისაც გამოიყენონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ფარდულები და სხვა სადგომები;

დ) გაცეხვის შემდეგ მოაწყონ თესლის განიავება, დახარისხება და გაწმენდა და აიყვანონ იგი სათეს კონდიციამდე.

6. წინადადება მიეცეს მიწსახკომს დაამზადოს სიდერატების თესლი ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში—20 ცენტნერისა, ხოლო აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში—10 ცენტნერის რაოდენობით და მისცეს იგი წულუკიძის, წყალტუბოს, ქუთაისისა და გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობებს, ამ დადგენილებით დაწესებული თესლის განაწილების გეგმის თანახმად.

7. დაევალოს ლიმმანტრესტის დირექტორს (ამხ. ბერიძეს) უზრუნველჰყოს სიდერატების ხარისხობრივი თესლის თავის დროზე მიცემა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათათვის 80 ცენტნერის, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათათვის—30 ცენტნერის, წალენჯი-

ხის რაიონის კოლმეურნეობათათვის—5 ცენტნერისა და ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობათათვის—5 ცენტნერის რაოდენობით.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, ქუთაისის, წყალტუბოს, წულუკიძის, გეგეჭკორის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ამავე რაიონების რაიკომებს თავის დროზე გამოზიდონ თავისი ტრანსპორტით სიდერაციული კულტურების თესლი მათზე შიმაგრებულ რაიონებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან.

9. დაევალოს მიწსახკომს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას და მუშაობის მიმდინარეობის შესახებ მოაწოდოს ინფორმაცია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>სახალხო კომისართა საბჭოს<br>თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | საქართველოს კ. პ. (ბ)<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მდივანი **კ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 27 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)
ც. კ-ის 1944 წლის 27/VI № 718 დად-
გენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეგმა

**ადგილობრივი თეთრი ხანჭკოლის სათესლეთა გაშენებისა და 1944 წლის შემოდგომისათვის თესლის განაწილებისა რაიონებსა და ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებს შორის**

| რაიონები | სათესლეების სათესი ჰექტარობით | თესლის მოთხოვნილება ცენტნერობით | საიდან იღებს სიდერატების თესლს |
|---|---|---|---|
| **კოლმეურნეობები** | | | |
| 1. აჭარის ასსრ . . . . | 200 | 100 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით. |
| 2. აფხაზეთის ასსრ . . . | 200 | 100 | უზრუნველყოფს 20 ცენტნ. საკუთარი თესლით, იღებს 80 ცენტნერს ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებიდან, აქედან ანაკლიის საბჭოთა მეურნეობიდან—50 ცენტნერს, კოხორის საბჭოთა მეურნეობიდან—15 ცენტნერს და ტეხურის საბჭოთა მეურნეობიდან—15 ცენტნერს. |
| 3. მახარაძის რაიონი . . | 150 | 75 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით. |
| 4. ლანჩხუთის „ . . | 120 | 60 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით და აძლევს სულ 20 ცენტნერს, აქედან წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებს—10 ცენტნერს, წყალტუბოსას—5 ცენტნერს და ქუთაისისას—5 ცენტნერს. |
| 5. ჩოხატაურის „ . . | 20 | 10 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით. |
| 6. აბაშის „ . . | 30 | 15 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით და აძლევს გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებს 10 ცენტნერს. |
| 7. ცხაკაიას „ . . | 40 | 20 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით. |
| 8. გეგეჭკორის „ . . | 20 | 10 | იღებს აბაშის რაიონის კოლმეურნეობებიდან 10 ცენტნერს. |
| 9. ხობის „ . . | 40 | 20 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით. |
| 10. ზუგდიდის „ . . | 60 | 30 | იღებს ლიმმანტრესტის ანაკლიის საბჭოთა მეურნეობიდან 30 ცენტნერს. |
| 11. წალენჯიხის „ . . | 10 | 5 | იღებს ლიმმანტრესტის ანაკლიის საბჭოთა მეურნეობიდან 5 ცენტნერს. |

| რაიონები | სათესლეების სათელი ფართობი ჰექტარობით | თესლის მოთხოვნილება ცენტნერობით | საიდან იღებს სიდერატების თესლს |
|---|---|---|---|
| 12. ჩხოროწყუს რაიონი . | 10 | 5 | იღებს ლიმმანტრესტის ტეხურის საბჭოთა მეურნეობიდან 5 ცენტნერს. |
| 13. წყალტუბოს „ . . | 10 | 5 | იღებს ლახჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებიდან. |
| 14. ქუთაისის „ . . | 10 | 5 | იღებს ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებიკან. |
| 15. წულუკიძის „ . . | 20 | 10 | იღებს ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებიდან. |
| 16. სამტრედიის „ . . | 20 | 10 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლ.ით. |
| 17. ფოთის „ . . | 30 | 15 | „ „ „ |
| სულ კოლმეურნეობებში . . . | 990 | 495 | |
| 18. ლიმმანტრეს.ტის საბჭოთა მეურნეობები . . | 60 | 30 | უზრუნველყოფს საკუთარი თესლით და აძლევს სულ 120 ცენლნერს, აქედან აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებს—80 ცენტნერს, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს—30 ცენტნერს, წალენჯიხისას—5 ცენტნერს და ჩხოროწყუსას—5 ცენტნყრს. |
| სულ საქართველოს სსრ-ში . . . . | 1050 | 525 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 720

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების იმ საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სამშენებლო მასალებს ამზადებენ**

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების იმ საწარმოთა მუშაობა, რომლებიც სამშენებლო მასალებს ამზადებენ, და გადიდდეს სამშენებლო მასალების წარმოება ქ. თბილისში სარემონტო და სამშენებლო სამუშაოთა უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 მარტის დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს ამ საწარმოებისათვის სამშენებლო მასალების წარმოების 1944 წლის შემდეგი გეგმა:

ალიზისა—6 მილიონი ცალი, წითელი აგურისა—5 მილიონი ცალი, მარსელის კრამიტისა—500 ათასი ცალი და გაჯისა—3 ათასი ტონა.

2. დაევალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეს ამხ. გალუსტოვს აღნიშნული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

### ა გ უ რ ი ს ქ ა რ ხ ნ ე ბ შ ი (ვ ა კ ე დ ა ო რ მ ა ღ ე ლ ე)

ა) მთლიანად გამოიყენონ არსებული გამოსაწვავი ღუმელების, თიხის საზელებისა და სხვა მექანიზმების საწარმოო სიმძლავრე და არ დაუშვან მათი უნაყოფო გაცდენა. უზრუნველჰყონ მექანიზმების

გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტის თავის დროზე ჩატარება, მტკიცე გრაფიკის მიხედვით;

ბ) ალიზის ყალიბების გადიდების მიზნით, თავის დროზე დაამზადონ თიხა აგურის ქარხნების კარიერებში, მიიტანონ იგი სამუშაო ადგილზე და საყალიბო მოედანზე, უზრუნველჰყონ დამყალიბებლები საჭირო რაოდენობის ყალიბებით ალიზის დასამზადებლად და ვარგისი საყალიბო მაგიდებით; შეაკეთონ შიდასაქარხნო ლიანდაგები და ვაგონეტები;

გ) 10 აგვისტომდე შეაკეთონ ნედლეულის შესანახი ფარდულები და დაამზადონ საცავი ღარები შტაბელებისათვის, ამასთან არ დაუშვან ნედლეულის გაფუჭება წვიმისაგან. სათანადო მდგომარეობაში მოიყვანონ საამქროთა საწარმოო სადგომები და შეაკეთონ ამ სადგომების სახურავები;

დ) გამოშვებული წითელი აგურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დააწესონ დაყალიბებული ალიზის მიღება, მოაწყონ ნედლეულის სწორად შენახვა მოედანზე და ფარდულქვეშ, მტკიცედ დაიცვან ღუმელებში აგურის გამოწვის რეჟიმი (განსაკუთრებით ღამის ცვლებში);

ე) აღკვეთონ სათბობის გადახარჯვა და მიიღონ ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც გადახარჯავენ სათბობს დაწესებული ნორმების გადამეტებით; შემოიღონ დაჯილდოება სათბობის ეკონომიისათვის.

ქსნის კრამიტის ქარხანაში

ა) შექმნან საქარხნო მოედანზე თიხის მარაგი, რაც უზრუნველჰყოფს ქარხნის შეუფერხებელ მუშაობას;

ბ) ერთი თვის ვადაში გამოსცვალონ ბაგირგზის გვარლი, ჩაატარონ ბაგირგზის ვაგონეტების რემონტი და უზრუნველჰყონ დიზელი საჭირო სათადარიგო ნაწილებით;

გ) 20 ივლისამდე შეაკეთონ ქარხნის საწარმოო და საშრობი შენობების სახურავები და მოაწყონ წყალსადინარი ღარები.

გაჯის ქარხანაში

ა) ორი დეკადის განმავლობაში დაამთავრონ გამოსაწვავი ღუმელის მექანიკური ნაწილის რემონტი და გადასცენ ღუმელი ნორმალურ ექსპლოატაციაში; ამასთან უზრუნველჰყონ მისი მუშაობა მაქსიმალური დატვირთვით;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ გამოშვებული გაჯის ხარისხი, უზრუნველჰყონ მაღალი ხარისხის ნედლეულის მოპოვება კარიერებზე, მტკიცედ დაიცვან გამოწვის ტექნოლოგიური პროცესი, დააწე-

სონ მუდმივი კონტროლი საწარმოო პროცესსა და მოწყობილობის მუშაობაზე, უზრუნველჰყონ მზა პროდუქციის სათანადო შენახვა;

გ) 20 ივლისამდე აღადგინონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ საცრები ნედლეულის გასაცრელად, დაამთავრონ ქარსაცავი კედლების ამოყვანა და ჩაატარონ ქარხნის შენობის რემონტი.

3. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეს ამხ. გალუსტოვს, ქსნის კრამიტის ქარხნის დირექტორს ამხ. მასხულიას, № 3 აგურის ქარხნის დირექტორს ამხ ხაკუჩინსკის, № 5 აგურის ქარხნის დირექტორს ამხ. გაბაშვილს და გაჯის ქარხნის დირექტორს ამხ. ვართანოვს:

ა) უზრუნველჰყონ ქარხანაში მომუშავე მუშების დამაგრება, რისთვისაც შეუქმნან მათ საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველჰყონ სპეცტანსაცმლით, გაუმჯობესებული კვებით და სხვ.;

ბ) მოაგვარონ საწარმოო სწავლებისა და ახალი მუშების (მეყალიბეების, ცეცხლფარეშების, მექანიზმების მომსახურე მუშების) მომზადების საქმე;

გ) განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, მოაწესრიგონ სატაბელო მეურნეობა და სამუშაოზე მუშათა გამოცხადების აღრიცხვა, ამასთან პასუხისგებაში მისცენ დისციპლინის დამრღვევნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად.

4. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს:

ა) ივნის—ივლისის განმავლობაში უზრუნველჰყოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც სამშენებლო მასალებს ამზადებენ, ხე-ტყის მასალითა და სახურავით საწარმოთა შენობების, აგრეთვე მუშათა ბინებისა და საერთო საცხოვრებლების სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად;

ბ) კარიერების ბაგირგზის ამორტიზებული გვარლის გამოსაცვლელად მისცეს ქსნის კრამიტის ქარხანას ფუნიკულიორიდან მოხსნილი გამოუყენებელი გვარლი;

გ) განიხილოს და გააჯანსაღოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების იმ ქარხნების ფინანსიური მდგომარეობა, რომლებიც სამშენებლო მასალებს ამზადებენ;

დ) გამოჰყოს მიმდინარე წელს თბილისის საბჭოს აღმასკომის სისტემის დამხმარე მეურნეობების მოსავლიდან ბოსტნეული, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტები ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სამშენებლო მასალათა საწარმოების მუშების საზოგა-

დოებრივი კვების გასაუმჯობესებლად; მოაწყოს 1945 წელს ამ საწარმოთა მუშებისათვის დამხმარე მეურნეობა 10 ჰექტარ ნაკვეთზე, რომელიც საქალაქო აღმასკომის გამწვანების ტრესტის დიღმის სანერგეს ეკუთვნის და დროებით გადაცემული აქვს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს სანერგის მოსაწყობად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—ამხ. ალავიძეს, ივლისიდან დაწყებული წლის დამლევამდე, ფონდების განაწილების დროს უშუალოდ გამოუყოს თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას მარტო სამშენებლო მასალების დამამზადებელი საწარმოებისათვის ყოველთვიურად—250 ტონა ქვანახშირი, 7 ტონა სოლარზეთი, აგრეთვე გამოუყოს მასვე ყოველთვიურად საწარმოო საჭიროებისათვის 70 კილოგრამი გაზეთის ქაღალდის მაკულატურა.

6. იმ მიზნით, რომ დროულად იქნან უზრუნველყოფილი ქვანახშირით სამშენებლო მასალების დამამზადებელი ქარხნები, ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს სამშენებლო მასალების მიცემისას ვალდებული გახადოს მომხმარებლები შემოიტანონ ქვანახშირი საკუთარი ტრანსპორტით.

7. ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მობილიზაცია უყოს ქ. თბილისში არამომუშავე შრომისუნარიანი მოსახლეობიდან 60 კაცს და გაგზავნოს ისინი: ვაკის აგურის ქარხანაში სამუშაოდ — 25 კაცი, ღრმაღელის აგურის ქარხანაში სამუშაოდ—20 კაცი და გაჯის ქარხანაში—15 კაცი.

8. დაევალოს მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მელიქიშვილს და საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანს ამხ. ქართველიშვილს 10 ივლისამდე გაიწვიონ მობილიზაციის წესით და ქსნის კრამიტის ქარხანაში მუდმივ სამუშაოდ გაგზავნონ 40 კაცი.

9. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს—ამხ. რთველაძეს 15 ივლისამდე შეაკეთოს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში 3 ავტომანქანა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისათვის.

10. მუშაობის გაუმჯობესების მიზნით და იმისათვის, რომ ხელმძღვანელობა დაუახლოვდეს ქარხნებს, აღდგენილ იქნან 1 ივლისიდან, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულები, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის № 3 აგურის ქარხანა და კაფელ-ფილის ქარხანა.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო

კომისარიატს—ამხ. გიორგაძეს უზრუნველჰყოს 1 ივლისიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის მომარაგებით ქსნის კრამიტის ქარხნის 100-მდე მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშების ნორმების მიხედვით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს მისცეს მიმდინარე წელს თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას ქსნის კრამიტისა და კაფელ-ფილის ქარხნებისათვის ყოველთვიურად თანაბარ პარტიებად სულ 15 ტონა ალაბასტრი.

13. დაევალოს № 31 ქარხნის დირექტორს ამხ. სალაძეს მისცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას 200 ფურცელი დაწუნებული დიქტი ან ფირფიცარი.

14. დაევალოს საქსარეწტყეკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ჯებაშვილს 15 აგვისტომდე მისცეს თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას 20.000 ცალი ყავარი.

15. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს და „ზაკსნაბუგოლის" საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. შარიას უზრუნველჰყონ, გამოყოფილი ფონდების თანახმად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების იმ საწარმოების სრულად და დროულად მომარაგება ქვანახშირით, რომლებიც სამშენებლო მასალებს ამზადებენ.

16. დაევალოს საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსს ამხ. რობიტაშვილს მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოსავლის აღების შემდეგ დაუბრუნოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც ქალაქის გამწვანების ტრესტის დიღმის სანერგეს ეკუთვნის და რომელიც ამჟამად გამოუყენებელია.

17. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ჯაბუას მისცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას აგურის ჩამოსაყალიბებელი ფორმების დასამზადებლად ერთი კუბ. მეტრი მუხის ხე-ტყის მასალა.

18. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1944 წლის 27 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 721

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა

**დანიშნულებისამებრ გამოუყენებელი პროფკავშირული კლუბების, კავშირთა სახლებისა და შრომის სასახლეების სადგომების განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1944 წლის 8 აპრილს „დანიშნულებისამებრ გამოუყენებელი პროფკავშირული კლუბების, კავშირთა სახლებისა და შრომის სასახლეების სადგომების განთავისუფლების შესახებ“ მიღებული № 5578 დადგენილების განსახორციელებლად შეიქმნას კომისია ამხ. ჯაშის (თავმჯდომარე), იშხანოვის, გოჩაშვილის, კობალაძისა და გეგეშიძის შემადგენლობით.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და აჭარის საოლქო კომიტეტს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 8 აპრილის № 5578 დადგენილების შესაბამისად, გაანთავისუფლონ პროფკავშირული კლუბებისა და კავშირთა სახლების ის სადგომები, რომლებიც არადანიშნულებისამებრ არიან გამოყენებული.

3. დაევალოს კომისიას, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს და აჭარის საოლქო კომიტეტს 1944 წლის 15 აგვისტოსათვის წარმოუდგინონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 8 აპრილის № 5578 დადგენილების შესრულების შესახებ.

4. აეკრძალოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს პროფკავშირული კლუბებისა და კავშირთა სახლების სადგომების დაკავება ამიერიდან სხვა მიზნებისათვის პრო-

ფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს თანხმობის გარეშე.

5. დაწესდეს, რომ პროფკავშირული კლუბებისა და კავშირთა სახლების სადგომები, რომლებსაც ჯარის ნაწილები, ჰოსპიტლები და ორგანიზაციები გაანთავისუფლებენ, უნდა დაუბრუნდეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

6. აეკრძალოს ჯარის ნაწილებს, ჰოსპიტლებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც პროფკავშირული კლუბების, კავშირთა სახლებისა და შრომის სასახლეების სადგომებს ანთავისუფლებენ, იმ ქონებისა და მოწყობილობის გატანა ამ სადგომებიდან, რაც პროფკავშირულ ორგანიზაციებს ეკუთვნის.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ | საქართველოს კ. პ. (ბ) |
| სახალხო კომისართა საბჭოს | ცენტრალური კომიტეტის |
| თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.** | მდივანი **ქ. ჩარკვიანი.** |

1944 წლის 27 ივნისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 722
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**1944 წელს ტუნგოს ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარების ხარჯების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ტუნგოს პასპორტიზაციის ჩატარების ხარჯები გასწიოს სუბტროპიკული კულტურების აგროლონისძიებათა 3%-იანი ანარიცხების ანგარიშში.

მიწსახკომმა—ამხ. ხოშტარიამ, ფინსახკომთან ერთად, განიხილოს და დაამტკიცოს კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების საკარმიდამო ნაკვეთებზე ტუნგოს ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარების ხარჯების ხარჯთაღრიცვა.

2. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, ტრესტ საქეთერზეთის და ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ტუნგოს ნარგავების პასპორტიზაცია ჩატარდეს ამავე ორგანიზაციათა სახსრებითა და ძალებით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწსახკომს ის სახსრები, რაც 1944 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულია ტუნგოს პასპორტიზაციის ჩასატარებლად 200 ათასი მანეთის რაოდენობით, გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ხარჯების დასაფარავად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 725

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**შაბიამანის წარმოების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლედში შაბიამანის გამოშვების საქმეში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 თებერვლის № 344 დადგენილებით დაწესებული დავალება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემამ მეტად არადამაკმაყოფილებლად შეასრულა.

მაშინ როდესაც შაბიამანის წარმოების გეგმა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 180 ტონას უდრიდა, ფაქტიურად გამომუშავებულ იქნა 100 ტონა ანუ გეგმის 55,5%.

აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა მხოლოდ 30 მდე ტონა შაბიამანი, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 100 ტონის გამომუშავება.

წარმატებით შეასრულა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალება პირველ ნახევარწლედში შაბიამანის გამოშვების დარგში სარეწაო კავშირის სისტემამ (არტელმა „ტექნოქიმია") რომელმაც გამოიმუშავა 220,4 ტონა შაბიამანი, მაშინ როდესაც გეგმა ითვალისწინებდა 220 ტონას.

შაბიამანის გამოშვების საქმეში ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ჩამორჩენის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობა სახალხო კომისარიატის მხრივ ამ მნიშვნელოვანი საკითხისათვის, წარმოების დაგვიანებული ორგანიზაცია, ტექნოლოგიური პროცესის კუსტარული პირობები და საწარმოს შეუვსებლობა მოწყობილობით.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და

სარეწაო კავშირის საწარმოებში შაბიამანის წარმოების საქმის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დადგენილ იქნას შაბიამანის გამოშვების დავალება მიმდინარე წლის III კვარტალში 360 ტონის რაოდენობით, აქედან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—150 ტონა, სარეწაო კავშირის ხაზით—150 ტონა და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით – 60 ტონა.

2. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს - ამხ. გორდეზიანს:

ა) ორი თვის განმავლობაში აავოს № 2 ქიმიურ ქარხანაში ერთი ბოვი სპილენძის გრანულირებისათვის და დამატებითი გამოსაწვავი ღუმელი სპილენძის დაჟანგვისათვის;

ბ) ერთი თვის განმავლობაში დადგას ორი მჟავას გამძლე ტუმბო რეაქტორებში ხსნარის გადასატუმბად;

გ) ორი თვის განმავლობაში მოახდინოს ხენჯის აწევის მექანიზაცია და მისი ჩაყრა რეაქტორებში;

დ) ერთი თვის განმავლობაში დადგას სარეველები ხსნარის ასარევად რეაქტორებში;

ე) აავოს მიმდინარე წლის III კვარტალში მზა პროდუქციის შესანახი საწყობი;

ვ) შეღობოს ქარხნის მთელი ტერიტორია და შემოიღოს სასაშვებო სისტემა;

ზ) ერთი დეკადის განმავლობაში შეამოწმოს შაბიამანის წარმოების მდგომარეობა აჭარის ასსრ-ში და საჭირო დახმარება აღმოუჩინოს მას შაბიამანის გამოშვების გეგმის შესრულების საქმეში.

3. დაევალოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. აბაიშვილს და არტელ „ტექნოქიმის" თავმჯდომარეს ამხ. ბიგაევს:

ა) ერთი კვირის განმავლობაში დაამთავრონ ღუმელის მშენებლობა სპილენძის გრანულირებისათვის იმ ანგარიშით, რომ სრულად უზრუნველყოფილ იქნას შაბიამანის წარმოება;

ბ) მოახდინონ რეაქტორებში ხენჯის მიწოდება-ჩატვირთვის მექანიზაცია ამწევი მექანიზმის მოწყობის საშუალებით;

გ) ჩაატარონ რეაქტორების, სალექარის, კრისტალიზატორის, ტუმბოს და სხვა მოწყობილობის რემონტი.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) გამოჰყოს ქიმკომბინატის შაბიამანისა და წებოს სახარში საამქროები № 2 დამოუკიდებელ ქიმქარხანად;

ბ) დაუყოვნებლივ დააკომპლექტოს № 2 ქიმქარხნის შტატი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საშტატო კომისიის მიერ დამტკიცებული შტატის ფარგლებში;

გ) გადასცეს № 2 ქიმქარხანას თავისი სისტემის სხვა საწარმოებიდან ერთი სატვირთო ავტომანქანა ზის-5.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად, უზრუნველჰყოს № 2 ქიმქარხანა საჭირო საბრუნავი სახსრებით.

6. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს ერთი თვის განმავლობაში გამოასახლოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 ქიმქარხნის სადგომებში მცხოვრები 6 მობინადრე.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში შაბიამანის შეუფერხებელი გამოშვების უზრუნველსაყოფად, ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გამოჰყოს მიმდინარე წლის III კვარტალში და გადმოგზავნოს ივლისის დამლევამდე 120 ტონა წითელი სპილენძის ჯართი და 160 ტონა გოგირდმჟავა (100%-იანზე გადაყვანით).

8. რადგან შაბიამანის არსებული კუსტარული წარმოებანი ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას, დაევალოს კომისიას ამხ. გაბრიჭიძის (მოწვევა), გორდეზიანის (ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატი), ანანიევისა (თბილისის საქალაქო საბჭო) და აბაშვილის (სარეწაო კავშირი) შემადგენლობით, ორი დეკადის განმავლობაში გამოძებნოს შესაფერი მოედანი ქალ. თბილისის რაიონში წელიწადში 2 ათასი ტონის სიმძლავრის შაბიამანის ქარხნის ასაგებად.

კომისიამ თავის წინადადებანი წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 726

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## ლარსის სახურავი ფიქალის საბადოს შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ლარსის სახურავი ფიქალის მომპოვებელი საწარმო, რომელიც ამჟამად კონსერვირებულია, გადაეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქანდეზიტს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გოროდეზიანს:

ა) უზრუნველჰყოს ლარსის სახურავი ფიქალის საწარმოს შენობების, მოწყობილობისა და მთელი სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზუსტი აღრიცხვა და მოვლა-პატრონობა;

ბ) ჩაატაროს საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველჰყოს ლარსის სახურავი ფიქალის საწარმოს მომზადება იმისათვის, რომ გადაეცეს იგი საექსპლოატაციოდ 1944 წლის IV კვარტალში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 727

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლის აღდგენის შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 12 მაისის № 532 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ განსახკომს 1944 წლის 1 აგვისტოდან აღადგინონ თბილისში პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლის მუშაობა, ამასთან სკოლის კონტინგენტი განისაზღვროს 100 კაცით და სწავლების ვადად დაწესდეს 4 თვე.

2. შეუნარჩუნდეს იმ მოსწავლეებს, რომლებიც სკოლების შტატის უფროს პიონერხელმძღვანელებად ან საბავშვო სახლების პიონერხელმძღვანელებად ითვლებიან, აღნიშნულ სკოლაში სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე ის ხელფასი, რასაც ისინი მათი მუშაობის ადგილის მიხედვით იღებენ.

დანარჩენი მოსწავლეებისათვის დაწესდეს სტიპენდია თვეში 100 მანეთის ოდენობით.

3. დაწესდეს პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლის მასწავლებელთათვის გასამრჯელო საათში 15 მანეთის ოდენობით.

4. დაევალოს განათლების სახალხო კომისარს ამხ. კუპრაძეს უზრუნველჰყოს პიონერხელძღვანელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლის დაფინანსება იმ ასიგნობათა ხარჯზე, რაც 1944 წლის ბიუჯეტით არის დამტკიცებული განათლებისათვის.

5. დაევალოს კომისიას ამხ. ანანიევის (თავმჯდომარე), იმნაიშვილის (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი), ბურჭულაძისა (განსახკომი) და კიზირიას (თბილისის სახალხო განათლების განყოფილება) შემადგენლობით გადასჭრას ქ. თბილისში პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლისათვის შენობის გამოყოფის საკითხი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 728

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრზე იმ შენობის მიმაგრების შესახებ, რომელიც ამჟამად აღნიშნულ თეატრს უჭირავს**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიმაგრებულ იქნას მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრზე მუდმივ სარგებლობაში მთელი ის სადგომი, რომელიც ამჟამად აღნიშნულ თეატრს უჭირავს ლენინის ქუჩაზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის № 3 სახლში და რომლის ფართობი 1.830 კვ. მეტრს უდრის.

2. განთავისუფლებულ იქნას მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი იმ შენობის საიჯარო ქირისაგან, რომელიც მას ლენინის ქუჩაზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის № 3 სახლში უჭირავს.

დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაუბრუნოს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს წინა თვეებში გადახდევინებული საიჯარო ქირა 22.515 მანეთის რაოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უზრუნველჰყოს იმ სადგომების რემონტი და სათანადო მდგომარეობაში შენახვა თეატრის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში, რომლებიც მოზარდ მაყურებელთა თეატრს უჭირავს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 729

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**კურორტ „დარიალის“ სასანატორო შენობების სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის დროებითს სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს სახელშეკრულებო საფუძვლებზე გადასცეს დროებით' სარგებლობაში სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველოს კურორტ „დარიალის“ სანატორიუმის 550 საწოლიანი მთავარი კორპუსი ორი წლის ვადით და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დასასვენებელი სახლის შენობა ერთი წლის ვადით, აგრეთვე დამხმარე ნაგებობანი და შესაძლო რაოდენობის მაგარი, რბილი ინვენტარი და მოწყობილობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსაკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს უზრუნველჰყოს ელექტროენერგიით, წყლის მომარაგებითა და კავშირგაბმულობით ის დასასვენებელი სახლი, რომელსაც ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველო კურორტ „დარიალში“ ხსნის

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს — ამხ. ხელიძეს გაგზავნოს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველოს განკარგულებაში საჭირო რაოდენობის ექიმები და საშუალო სამედიცინო პერსონალი, რათა მთლიანად იქნას დაკომპლექტებული დასასვენებელი სახლი. რომელიც კურორტ „დარიალში“ იხსნება.

4. დაევალოს სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველოს ჩაატაროს საჭირო რემონტი დასათანადო წესრიგში იქონიოს სადგომები, მოწყობილობა და ინვენ-

ტარი, რაც დროებით სარგებლობაში ეძლევა ამიერკავკასიის მეტალურგმშენს კურორტ „დარიალში“, აგრეთვე კურორტის მისასვლელი გზები და, ვადის გასვლის შემდეგ, დაუბრუნოს საქართველოს სსრ ჯანსახკომის მთავარ საკურორტო სამმართველოს სადგომები, ინვენტარი და მოწყობილობა ვარგის მდგომარეობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 730
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ძაფსართავი ფაბრიკისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადების ღონისძიებათა შესახებ**

იმ მიზნით, რომ თავის დროზე მომზადებულ იქნას კვალიფიციური მუშები საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის იმ ძაფსართავი ფაბრიკისათვის, რომელიც ფართოვდება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს —ამხ. რუხაძეს:

ა) მიმდინარე წლის III კვარტალის განმავლობაში მოამზადოს შესაფერი პროფესიების 250 მუშა თბილისის ძაფსართავ ფაბრიკაში სამუშაოდ;

ბ) მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე მოაწყოს საერთო საცხოვრებელი იმ 100 მოზარდისათვის, რომლებიც ეგზავნება საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს განსახკომის საბავშვო სახლებიდან, და უზრუნველჰყოს საერთო საცხოვრებელი ყოველგვარი საჭირო მოწყობილობით, ინვენტარითა და ლოგინით;

გ) უზრუნველჰყოს განსახკომის საბავშვო სახლებიდან ძაფსართავ ფაბრიკაში სამუშაოდ გაგზავნილ მოზარდთა ჯეროვანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, რისთვისაც პირადად ადევნოს თვალყური აღნიშნულ მოზარდთა სწავლების პირობებსა და მათს მუშაობას; უწინარეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციოს მათს უზრუნველყოფას სათანადო კვებით;

დ) ერთი კვირის განმავლობაში გაგზავნოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ტრიკოტაჟ-

კომბინატში 20 მუშა საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში მომუშავეთა რიცხვიდან და მიმდინარე წლის III კვარტალის განმავლობაში მოამზადოს მათგან რთვის კვალიფიციური მესავარცხლეები და მათ შორის 2 მესავარცხლე ოსტატი და 3 ოსტატის თანაშემწე, რომელთაც შეუნახოს სწავლების პერიოდში საშუალო თვიური ხელფასი.

2. დაევალოს თბილისის ტრიკოტაჟკომბინატის დირექტორს ამხ. თუშიშვილს შეუქმნას მოსწავლე მუშებს ყოველგვარი საჭირო პირობები სავარცხლიანი რთვის პროფესიის უსწრაფესი დაუფლებისათვის.

3. დაევალოს განსახკომს—ამხ. კუპრაძეს მიმდინარე წლის 10 აგვისტომდე გადასცეს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს განსახკომის საბავშვო სახლებიდან 15 წელზე მეტი ასაკის 100 მოზარდი თბილისის ძაფსართავ ფაბრიკაში სამუშაოდ.

4. მობილიზებულ იქნას ქ. თბილისის არამომუშავე შრომისუნარიანი მოსახლეობიდან 150 ქალი საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის გაფართოებულ ძაფსართავ ფაბრიკაში სამუშაოდ. ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების კომიტეტს დაადასტუროს ეს მობილიზაცია.

5. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს:

ა) მობილიზაცია ჩაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 თებერვლის ბრძანებულების სრული შესაბამისობით;

ბ) მობილიზაცია დაიწყოს 15 ივლისიდან და დაამთავროს 1 აგვისტოს;

გ) მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ ყოველ ხუთდღიურში აცნობოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების ბიუროს—ამხ. ლეკიშვილს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გოჩაშვილს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 12 ნოემბრის № 4549 დადგენილების შესაბამისად, ერთი თვის განმავლობაში მოახდინონ როგორც იმ ყოფილ ფეიქარ მუშათა მობილიზაცია, რომლებიც არ მუშაობენ, ისე იმ ფეიქარი მუშებისაც რომლებიც მუშაობენ, მაგრამ არა თავისი სპეციალობის მიხედვით, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სამხედრო მრეწველობის ქარხნებში

მუშაობენ, და დააბრუნონ ისინი თბილისის ძაფსართავ ფაბრიკაში.

7. დაევალოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს —ამხ. რუხაძეს ერთი თვის განმავლობაში უზრუნველჰყოს ყველა იმ პირთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლება თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის საცხოვრებელი სახლებიდან, რომელთაც დაკარგული აქვთ შრომითი კავშირი ფაბრიკასთან, გარდა წითელი არმიის სამსახურში მყოფ მუშაკთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდებისა.

დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს—მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. ნაჭყებიას დახმარება აღმოუჩინოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ძაფსართავი ფაბრიკის საცხოვრებელ სახლებიდან იმ პირთა გამოსახლებაში, რომელთაც დაკარგული აქვთ შრომითი კავშირი ფაბრიკასთან, ამ დადგენილების თანახმად.

8. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის გაფართოებასთან დაკავშირებით, ეთხოვოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საშტატო კომისიას გაადიდოს ფაბრიკის ადმინისტრატიულ-სამმართველო შტატი 7 ერთეულითა და 4.300 მან. ხელფასის თვიური ფონდით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 731

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოების 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოებმა 1943 წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის გეგმა 1926—1927 წლის უცვლელი ფასებით შეასრულეს 105,2%-ით, მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და შედარებითს მომჭირნეობას ხელფასის ფონდის ხარჯვაში 603 ათასი მანეთით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოები 1943 წლის განმავლობაში მთლიანად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ და მათ მეტად უარყოფითი მაჩვენებლები აქვთ.

უმთავრესი სახის ნაწარმის მხრივ პროდუქციის ნატურით გამოშვების გეგმის შესრულება შეადგენდა: წითელი აგურისა—41%, კრამიტისა—26,6%, კირისა—63,3% და დაფქული ცარცისა—29,9%.

იმ დროს როცა გეგმის მიხედვით შესადარებელი პროდუქციის თვითღირებულება 5,2%-ით უნდა შემცირებულიყო, ფაქტიურად თვითღირებულება 1,1%-ით გაიზარდა, რამაც მოგვცა სასაქონლო პროდუქციის გაძვირება 572 ათასი მანეთით.

სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოებმა 1943 წლის განმავლობაში დაუშვეს გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები 627 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის გასული წლების ზარალი, რაც გამოვლინებულია 1943 წელს, უდრის 130 ათას მანეთს, ნედლეულის გაფუჭებით გამოწვეული

ზარალი—153 ათას მანეთს, აქედან ნოსირის აგურის ქარხანაში—106 ათას მანეთს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ზარალი—83 ათას მანეთს, სასადილოების ზარალი—82 ათას მანეთს და სადებიტორო დავალიანების ჩამოწერით გამოწვეული ზარალი—99 ათას მანეთს. ამის შედეგად საწარმოებმა იზარალეს 132 ათასი მანეთი იმ დროს, როცა დაგროვების დაწესებული გეგმით გათვალისწინებული იყო 280 ათასი მანეთის მიღება.

1944 წლის 1 იანვრისათვის სადებიტორო დავალიანება 514 ათას მანეთს უდრიდა. ამასთან ერთად დიდძალი თანხები გადასულია სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზენორმატიულ ნაშთებში, უმთავრესად მზა პროდუქციაში.

იმ დროს როცა საწარმოები მუშახელის საგრძნობ ნაკლებობას განიცდიან, განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურება. დამხმარე მეურნეობათა მუშაობა ჩაშლილია, რაც ცუდ გავლენას ახდენს მუშათა მომარაგებაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს ამხ. ბუაჩიძეს:

ა) წლიური ანგარიშების განხილვის საფუძველზე გაატაროს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებას მიმდინარე წელს;

ბ) შეიმუშაოს კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვითაც საწარმოებში უნდა შემცირდეს სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზენორმატიული ნაშთები, იმ ანგარიშით, რომ ეს ნაშთები დაყვანილ იქნას დაწესებულ ნორმებამდე;

გ) ერთი თვის ვადაში დააკომპლექტოს საანგარიშო და საგეგმო დარგის მუშაკთა შტატები და აღმოფხვრას საწარმოთა ჩამორჩენა აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების საქმეში (გურჯაანის ქარხანა, ლანჩხუთის ქარხანა, ზუგდიდის ქარხანა, ცაიშის ცარცის ქარხანა).

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებულ ყველა საწარმოს დირექტორებს:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები და აღმოფხვრან გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები და ზარალი სასადილოებსა, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და დამხმარე მეურნეობაში;

ბ) მიაღწიონ კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას დამხმარე მეურნეობებში, რისთვისაც უკეთ მოუარონ ნათესებს, უკეთ დაამუშაონ ეს ნათესები და შემდეგში თავიდან აიცილონ ზარალი;

გ) არ დაუშვან წარმოების ხარჯების გადამეტება, განსაკუთრებით ნახევარფაბრიკატების (ნედლეულის), სათბობის, საწვავის გეგმით გაუთვალისწინებელი დანაკარგები და მიაღწიონ პროდუქციის თვითღირებულების 1944 წლისათვის დაწესებული გეგმის უცილობლივ შესრულებას;

დ) შეამცირონ სადებიტორო დავალიანება ა/წ. III კვარტალის დამლევამდე სულ მცირე 50%-ით.

3. დაევალოს „გლავსნაბუგოლის" საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. შარიას უზრუნველჰყოს ქვანახშირის თავის დროზე და თანაბრად გაგზავნა ავურ-კრამიტისა და კირის ქარხნებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველოს უფროსს ამხ. ლეკიშვილს მიიღოს საჭირო ზომები და უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 8 თებერვალს „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოებისათვის მუშახელის მობილიზაციის შესახებ" მიღებული დადგენილების შესრულება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 732

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სარეწაო კავშირის სისტემის არტელებისა და რაიონული მრეწველობის საწარმოთა მიერ დამზადებული დოლაბების დროებითი გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დროებით სარეწაო კავშირის სისტემის არტელებისა და რაიონული მრეწველობის საწარმოთა მიერ ქუთაისის, ბოლნისის, მუხურისა და ქონეთის საბადოებში დამზადებული დოლაბების შემდეგი გასაცემი ფასები ფრანკო-კარიერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წმინდა | ნათალი | დიამეტ. | 0,76 | სისქე | 30 | სანტ. | 2500 | მან. | ცალი |
| „ | „ | „ | 0,8 | „ | 30 | „ | 3000 | „ | „ |
| „ | „ | „ | 0,9 | „ | 30 | „ | 3500 | „ | „ |
| „ | „ | „ | 1,0 | „ | 30 | „ | 4000 | „ | „ |
| „ | „ | „ | 1,16 | „ | 30 | „ | 4800 | „ | „ |
| „ | „ | „ | 1,26 | „ | 30 | „ | 5000 | „ | „ |

2. წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის რაიონული მრეწველობის სამმართველოს 1944 წლის დამლევისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას დოლაბების გასაცემი ფასების საანგარიშო კალკულაციები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 733

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### წყალტუბო—ღვედი—ბარიტის საბადოების გზის გაფართოებისა და რემონტის ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1944 წელს ღვედის, ოფიტარისა და ლაჩეპიტის საბადოების ბარიტის გადაზიდვა ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს წყალტუბოს რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ბიბილეიშვილს, წულუკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ციბაძეს და ცაგერის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. სილაკაძეს, მოსახლეობის ფასიანი შრომითი და საჭაპანო მონაწილეობის წესით შეასრულონ 1944 წლის III კვარტალის დამლევამდე წყალტუბო—ღვედი—ბარიტის საბადოების გზის რემონტის სამუშაოები შემდეგი მოცულობით:

ა) წყალტუბოს რაიონში—გაიტანონ 2500 კუბ. მეტრი ქვა გზის უბანზე 1-დან 13 კილომეტრამდე;

ბ) წულუკიძის რაიონში—გაიტანონ 1300 კუბ. მეტრი ქვა გზის უბანზე 14-დან 28 კილომეტრამდე და შეასრულონ გზის გაფართოების მიწის სამუშაოები 940 კუბ. მეტრის მოცულობით;

გ) ცაგერის რაიონში—გაიტანონ 800 კუბ. მეტრი ხრეში გზის უბანზე 29-დან 32 კილომეტრამდე და შეასრულონ მიწის სამუშაოები ასაქცევების მოსაწყობად 150 კუბ. მეტრის მოცულობით.

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის დირექტორს ამხ. სურმავას:

ა) მიმდინარე წლის 25 ივლისამდე უზრუნველჰყოს 3800 კუბ. მეტრი ქვის დამზადება იმ კარიერებში, რომლებიც წყალტუბო—ღვედის შესაკეთებელი გზის მახლობლად მდებარეობენ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) 1944 წლის 1 ოქტომბრამდე გაანაწილოს რაიონების მიერ გატანილი ქვა და შეაკეთოს გზის გასავლელი ნაწილი;

გ) შეაკეთოს პატარა ხიდები და მილები;

დ) უზრუნველჰყოს ტექნიკური ხელმძღვანელობა ქვის დამზადების, წყალტუბო—ღვედი—ბარიტის საბადოების გზის ვაკისის გაფართოებისა და რემონტის დროს;

ე) უზრუნველჰყოს შემდეგში გზის მუდმივი მოვლა და მისი შენახვა სათანადო მდგომარეობაში.

3. დაევალოს მთავარ საგზაო სამმართველოს უფროსს ამხ. ბირკაიას თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რუსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 734

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შტატი 1944 წლისათვის 16 ერთეულის რაოდენობით, რომლის ხელფასის თვიური ფონდი განისაზღვროს 17.165 მანეთის რაოდენობით, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 734 დადგენილების დანართი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის საშტატო ცხრილი

| სტრუქტურული ქვეგანაყოფებისა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდ. განაკვეთი თვეში | ხელფასის ფონდი თვეში |
|---|---|---|---|
| 1. დირექტორი | 1 | 2.000 | 2.000 |
| 2. სწავლული მდივანი | 1 | 1.600 | 1.600 |
| 3. ბიბლიოთეკის გამგე | 1 | 500 | 500 |
| **სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სექტორი** | | | |
| 4. სექტორის გამგე | 1 | 1.700 | 1.700 |
| 5. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო წოდება ან სამეცნიერო ხარისხი | 1 | 1.500 | 1.500 |
| 6. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი | 1 | 750 | 750 |
| ს უ ლ | 3 | — | 3.950 |
| **მრეწველობის ეკონომიკის სექტორი** | | | |
| 7. სექტორის გამგე | 1 | 1.700 | 1.700 |
| 8. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო წოდება ან სამეცნიერო ხარისხი | 1 | 1.500 | 1.500 |
| 9. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი | 1 | 750 | 750 |
| ს უ ლ | 3 | — | 3.950 |
| **ვაჭრობისა და ფინანსების სექტორი** | | | |
| 10. სექტორის გამგე | 1 | 1.700 | 1.700 |
| 11. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო წოდება ან სამეცნიერო ხარისხი | 1 | 1.500 | 1.500 |
| 12. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც აქვს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი | 1 | 750 | 750 |
| ს უ ლ | 3 | — | 3.950 |

| სტრუქტურული ქვეგანაყოფებისა და თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა | თანამდ. განაკვეთი თვეში | ხელფასის ფონდი თვეში |
|---|---|---|---|
| **ადმინისტრატიულ-სამეურნეო პერსონალი** | | | |
| 13. მთავარი ბუხჰალტერი . . . . . . . . . . . | 1 | 500 | 500 |
| 14. საქმეთა მმართველი—მემანქანე . . . . . . . . | 1 | 300 | 300 |
| 15. სამნეო ნაწილის გამგე—ინკასატორი . . . . . . | 1 | 300 | 300 |
| 16. დამლაგებელი—შიკრიკი . . . . . . . . . | 1 | 115 | 115 |
| ს უ ლ . . . . . . . . . . . . . . . | 16 | — | 17.165 |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 735

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინტერნატებ-ში მოთავსებულ სამამულო ომის ინვალიდთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გაგზავნის ხარჯების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს:

ა) როდესაც ინტერნატებში მოთავსებული სამამულო ომის ინვალიდები დაჟინებით მოითხოვენ სამშობლოში გაგზავნას, შეეკითხოს სათანადო საოლქო, საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელებისაგან მიღებული იქნება საამისო ნებართვა, მოაწყოს სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდთა გაგზავნა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე;

ბ) სამამულო ომის ინვალიდთა სამშობლოში გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები (ტანსაცმლის შეძენა, საგზაო ხარჯები, ერთდროული დახმარება, გამყოლის ხარჯები) გასწიოს ინტერნატების შესანახად გათვალისწინებული სახსრებიდან შემდეგი ანგარიშით: 1000 მანეთი საშუალოდ თითო ინვალიდზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 736

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. უშედეგოდ დარჩეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი ქვემოჩამოთვლილი საჩივრები:

1) ცეკავშირის პრეზიდიუმის საჩივარი სახელმწიფო არბიტრის 1944 წლის 1 თებერვლის დადგენილებაზე კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს" სარჩელისა გამო „აბსოიუზისადმი" 27.460 მან. და 02 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/351).

2) ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 4 აპრილის დადგენილებაზე № 319 ქარხნის სარჩელისა გამო მომჩივნისადმი 48.132 მან. და 10 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/274).

3) საქსარეწტყეკავშირის საჩივარი მთავარი არბიტრის 1942 წლის 10 აგვისტოს დადგენილებაზე „ნახსნაბსბიტის" სარჩელისა გამო არტელ „ტემპისადმი" 33.782 მან. და 10 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/712).

4) სარეწაო კავშირის საჩივარი მთავარი არბიტრის 1944 წლის 4 მარტის დადგენილებაზე ცეკავშირის სავაჭრო სამმართველოს სარჩელისა გამო საფეიქრო-სამკერვალო კავშირისადმი 23.769 მანეთის თაობაზე (საქმე № 2/82).

5) „იუგოსტორგის" დირექციის საჩივარი სახელმწიფო არბიტრაჟის 1944 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო ქსუის მანქანა-ტრაქტორთა სადგურისადმი 3.524 მან. 30 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/76).

6) ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხვაჭრობის როსტოვის განყოფილების საჩივარი სახელმწიფო არბიტრაჟის 1943 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო სამტრესტის № 4 ქარხნისადმი 22.535 მან. და 15 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/1069).

7) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 15 დეკემბრის დადგენილებაზე პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს საქართველოს სსრ რწმუნებულის სარჩელისა გამო საქმედმარაგდამზადებისადმი 44.932 მან. და 88 კაპ. თაობაზე (საქმე № 2/1248).

II. კიროვაკანის ქიმიური ქარხნის საჩივარი მთავარი არბიტრის 1943 წლის 8 სექტემბრისა და 28|29 ივნისის დადგენილებაზე მომჩივნის სარჩელისა გამო კიროვის სახელობის № 228 ქარხნისადმი 13.312 მან. და 50 კაპ. თაობაზე (საქმე № 2|539).

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ იცნო სარჩელის ნაწილი 3.250 მანეთის რაოდენობით, მთავარმა არბიტრმა მთლიანად უთხრა უარი მომჩივანს სარჩელის დაუმტკიცებლობის გამო და ამავე დროს ვერაფრით ვერ გააბათილა მოპასუხის განცხადება, სარჩელის ნაწილის ცნობის შესახებ, რის გამო გაუქმდეს მთავარი არბიტრის 1943 წლის 8 სექტემბრისა და 28/29 ივნისის დადგენილება და დაევალოს სახელმწიფო არბიტრაჟს კვლავ განიხილოს ეს საქმე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 737

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**საქართველოს სსრ განსახკომის შუამდგომლობა ქალაქ თბილისის ქალთა მე-7 საშუალო სკოლისათვის ლ. გ. ბოცვაძის სახელის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძველი დამსახურებული პედაგოგის ლუარსაბ გერასიმეს-ძე ბოცვაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, მიეკუთვნოს ქალაქ თბილისის ქალთა მე-7 საშუალო სკოლას ლ. გ. ბოცვაძის სახელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 738
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 ივნისის № 734 დადგენილება „მოსავლის აღებისა, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნისათვის 1944 წლის III კვარტალში საწვავი მასალის, ზეთისა და მოტორის ნავთობის შემოტანის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ"**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 ივნისის № 734 დადგენილების მე-10 მუხლის შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ხოშტარიას თავის უშუალო კონტროლქვეშ მოაქციოს:

ა) იმ საწვავი მასალისა და ზეთის განაწილება პერიფერიულ ნავთის ბაზებს შორის, რაც სოფლის მეურნეობისათვის შემოდის ნავთის პროდუქტების იმ ლიმიტების შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობებისათვის;

ბ) ჩაკეტილი მარშრუტების დროულად მოწყობა და მიმოქცევის გადიდება, მათი მოძრაობის დაჩქარება გზაში, ნავთის პროდუქტების დროულად ჩასხმა ნავთის ბაზებში, ცისტერნების შეგროვება მარშრუტებში ჩასხმის შემდეგ და მათი დაუყოვნებლივ დაბრუნება ჩასხმის პუნქტებში;

გ) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობებისათვის გამოყოფილი საწვავის გამოყენება დანიშნულებისამებრ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწვავის დატაცებისა და გადახარჯვის წინააღმდეგ ბრძოლას და არ დაუშვას მისი ხარჯვა სხვა მიზნებისათვის, გარდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 739

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებისათვის ხელფასის მომატების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 12 ივნისის № 710 დადგენილება „წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებისათვის ხელფასის მომატების შესახებ" სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს საქართველოს სსრ განსახკომსა და ფინსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომებს.

2. დაევალოს განსახკომს—ამხ. კუპრაძეს და ფინსახკომს—ამხ. ციმაკურიძეს უზრუნველჰყონ ხელფასის დროულად მიცემა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებისათვის ახალი განაკვეთების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი

# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

## დადგენილება № 710

1944 წლის 12 ივნისი — მოსკოვი, კრემლი

### წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის მომატების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოემატოს 1944 წლის 1 ივნისიდან ხელფასი წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებსა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებს და დაწესდეს მათთვის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში:

| მუშაკთა კატეგორიები | ქალაქებსა და მუშათა დაბებში | | | სასოფლო ადგილებში | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პედაგოგიური მუშაობის სტაჟით | | | | | |
| | 5 წლამდე | 5-დან 10 წლამდე | 10 წელს ზევით | 5 წლამდე | 5-დან 10 წლამდე | 10 წელს ზევით |
| ა) წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლები: | | | | | | |
| I თანრიგი — რომ ლთაც აქვთ საშუალო პედაგოგიური განათლება . | 350 | 400 | 450 | 300 | 350 | 400 |
| II თანრიგი — რომელთაც აქვთ ზოგადი საშუალო განაოლება . . | 300 | 350 | 400 | 275 | 325 | 375 |
| ბ) მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების I, II, III კლასების (რომლებიც უდრიან ბავშვთა შვიდწლიანი და საშუალო სკოლების V—VII კლასებს) მასწავლებლები: | | | | | | |
| I თანრიგი — უმაღლესი განათლებით | 450 | 500 | 550 | 400 | 450 | 500 |
| II თანრიგი — რომელთაც დამთავრებული აქვთ სამასწავლებლო ინსტიტუტები და მათთან გათანაბრებული სასწავლებლები . . | 425 | 475 | 525 | 375 | 425 | 475 |
| გ) მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების IV, V და VI კლასების (რომლებიც უდრიან ბავშვთა საშუალო სკოლების VIII—X კლასებს) მასწავლებლები: | | | | | | |
| I თანრიგი — უმაღლესი განათლებით . . . . . . . . . . . | 475 | 525 | 575 | 425 | 475 | 525 |
| II თანრიგი — რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება . . . . . . . . . . | 450 | 500 | 550 | 400 | 450 | 500 |

2. მოემატოს 1944 წლის 1 ივნისიდან ხელფასი მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს და დაწესდეს მათთვის ხელფასის შემდეგი განაკვეთები თვეში:

| მუშაკთა კატეგორიები | სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი არის: | | | |
|---|---|---|---|---|
| | 90 კაცამდე | 90-დან 150 კაცამდე | 150-დან 400 კაცამდე | 400 კაცზე მეტი |
| ა) მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების დირექტორები: | | | | |
| I თანრიგი—უმაღლესი განათლებით: | | | | |
| ქალაქებსა და მუშათა დაბებში . . . . . . | 500 | 525 | 575 | 650 |
| სასოფლო ადგილებში . . . . . . . | 450 | 475 | 525 | 600 |
| II თანრიგი - რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება: | | | | |
| ქალაქებსა და მუშათა დაბებში . . . . | 450 | 475 | 525 | 600 |
| სასოფლო ადგილებში . . . . . . . | 400 | 425 | 475 | 550 |
| ბ) მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები: | | | | |
| I თანრიგი—უმაღლესი განათლებით: | | | | |
| ქალაქებსა და მუშათა დაბებში . . . . . | — | — | — | 450 |
| სასოფლო ადგილებში . . . | — | — | — | 400 |
| II თანრიგი—რომელთაც არა აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება: | | | | |
| ქალაქებსა და მუშათა დაბებში . . . . . | — | — | — | 400 |
| სასოფლო ადგილებში . . . . . . . . | — | — | — | 350 |

3. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს, რომლებიც ამავე დროს ამ სკოლების გამგეებიც არიან, დამატებით ეძლევათ სკოლის გამგეობისათვის:

im სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი
50 კაცამდეა . . . . . . . . . . . . 75 მან. თვეში
იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი
100 კაცამდეა . . . . . . . . . . . . 100 მან. „
იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი
100 კაცს აღემატება . . . . . . . . 150 მან. „

იმ სკოლების გამგეები, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 250 კაცს აღემატება, თავისუფლდებიან სამასწავლებლო მუშაობისაგან და მათ ეძლევა შესაბამისი თანრიგის მასწავლებლის განაკვეთი 150 მან. წანამატით თვეში.

4. მოზარდთა იმ მაღალი ტიპის სკოლების დირექტორებისათვის, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 150 კაცამდეა, მე-2 პუნქტში

დაწესებული ხელფასის თვიური განაკვეთები შეიცავენ ყოველდღიური სავალდებულო სამასწავლებლო მუშაობის 2 საათის საზღაურს.

5. ამ დადგენილებით დაწესებული ხელფასის განაკვეთები მიეცეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებს 4 საათის სამასწავლებლო მუშაობისათვის დღეში; მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებს—3 საათის სამასწავლებლო მუშაობისათვის დღეში.

სამასწავლებლო მუშაობის დამატებით საათებისათვის მიეცეს დამატებითი გასამრჯელო იმ განაკვეთის შესაბამისად, რასაც იგი იღებს.

6. გავრცელდეს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლების მასწავლებლებსა და გამგეებზე და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებსა და დირექტორებზე 5, 6, 7, 8, 9, 10 და 15 მუხლები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 11 აგვისტოს დადგენილებისა „დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრ., 1943 წ, № 11, მუხ. 197).

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 10 იანვრის № 41 დადგენილება „წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის მომატების შესახებ“;

ბ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 23 ივნისის № 993 დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგიურ მუშაკთა ხელფასის გადიდების თაობაზე 1937 წლის 10 იანვარს გამოტანილი დადგენილების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 740
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 21 ივნისს „სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" მიღებული № 750 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც დაწყებითს და შვიდწლიან სკოლას ამთავრებენ, გამოსაშვები გამოცდების სავალდებულო ჩაბარება, ხოლო იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ—გამოცდების ჩაბარება სიმწიფის მოწმობაზე.

გამოსაშვები გამოცდებისა და სიმწიფის მოწმობაზე გამოცდების ჩაბარება შემოღებულ იქნას 1944—45 სასწავლო წლიდან.

საშუალო სკოლის იმ მოსწავლეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც განსაკუთრებული წარმატებით ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის მოწმობაზე და რომელთაც ჩინებული ყოფაქცევა აქვთ, დაწესდეს ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ოქროს მედლით დაჯილდოებულ იქნან ის პირნი, რომლებსაც აქვთ ჩინებული ყოფაქცევა და ნიშანი 5 საშუალო სკოლის სასწავლო გეგმის ყველა საგანში.

ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ იქნან ის პირნი, რომელთაც აქვთ ჩინებული ყოფაქცევა, ნიშანი 5 ყველა იმ საგანში, რომელთაც ჩაბარება სავალდებულოა სიმწიფის მოწმობის მისაღებად, და ნიშანი 4 არაუმეტეს 3 საგნისა დანარჩენ საგნებს შორის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 741

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**სამრეწველო წარმოების 1944 წლის ივლისის გეგმის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ვიდრე მიღებული იქნებოდეს სამრეწველო წარმოების 1944 წლის III კვარტალის გეგმა, დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, დაევალოს სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ უწყებებსა და ორგანიზაციებს დაუგზავნონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს სამრეწველო წარმოების ივლისის გეგმა არანაკლებ III კვარტალის გეგმის იმ პროექტის 33%-სა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1944 წლის 30 მაისის № 676-ს დადგენილებით.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დააწესოს ა/წ ივლისისათვის ადგილობრივი წარმოების ფართო მოხმარების იმ საქონლის რეალიზაციის გეგმა, რაც ცენტრალიზებული წესით არ იგეგმება, ა/წ II კვარტალის გეგმის 33%-ს მოცულობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ხ. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 742
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**ფართო მოხმარების ნაწარმის ფასების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ფართო მოხმარების შემდეგი ნაწარმის გასაცემი და საცალო ფასები:

1. თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ დამზადებული ელექტროქურებისა, № 1 დანართის თანახმად.

2. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ძაფ-მაუდის“, „საქძაფის“ და „ფეიქარი ქალის“ მიერ დამზადებული შალის, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილისა, №№ 2, 3 და 4 დანართების თანახმად.

3. ლიტფონდის საწარმოთა მიერ უვარგისი ფოტოფირფიტებისაგან დამზადებული სარკისა, № 5 დანართის თანახმად.

4. ინკოოპკავშირის და სარეწაო კავშირის არტელების მიერ დამზადებული ფართო მოხმარების ქიმიკატებისა, № 7, 8 და 9 დანართების თანახმად.

5. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „უნივერსალის“ მიერ დამზადებული ფართო მოხმარების ლითონის ნაწარმისა № 10 დანართის თანახმად.

6. სარეწაო კავშირის სისტემის არტელებში ფეხსაცმლის გაწმენდისა, № 11 დანართის თანახმად.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მიერ საფეიქრო ნაწარმისაგან დამზადებული კომბინირებული წუღებისა, № 12 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 29 ივნისი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 1

# პრეისკურანტი

**გასაყიდი ფასებისა თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ელექტროქურებზე**

წარმოების ფრანკო-საწყობი

1,5-მილიმეტრიანი ფურცლოვანი რკინის ელექტროქურები, სამი ფეხით, უამრეკვლოდ, დიამეტრით 165 მმ, მოსევადებული, ზონრით . . . . . . . 1 ცალი 65 მან.

0,8-მილიმეტრიანი ფურცლოვანი რკინის ელექტროქურა, სამი ფეხით, ამრეკლით, დიამეტრით 170 მმ, მოსევადებული, ზონრით. . . . . . . . 1 ცალი 72 მან.

**შენიშვნა:** ფასდაკლება II ხარისხზე შეფარდებულ იქნას აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 2

# პრეისკურანტი

**საცალო ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ძაფ-მაუდის“ დამატებითი სახის შალის ქსოვილებზე**

დრაფი „დემი“ სარჟით ნაწნავი მერინოსის შალის № 8/2 ნართისაგან, ქსელის სისქე 10 სანტიმეტრზე 140 ძაფი, მისაქსელისა—120 ძაფი, ქსოვილის განი 68—70 სანტიმეტრი, მზა საქონლის სიგრძივი მეტრის წონა 490—550 გრ. . . . . . . . . . . . 1 მეტრი 160 მან.

მერინოსის № 8 ნართი, გასაყიდი ფასი . . . . 1 კგ 116 მან.

**შენიშვნა:** ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად წესდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ 1939 წლის 5 იანვარს დამტკიცებული შალის ქსოვილების ფასების პრეისკურანტის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პრეისკურანტი

## საცალო ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „საქქაფის" დამატებითი სახის აბრეშუმის ქსოვილებზე

1. წმინდა აბრეშუმის ქსოვილი „ჩესუჩის" ტიპისა, ქსელი 20/22 ყაჭისაგან, სისქე ერთ სანტიმეტრზე 28 წვერი 6 ძაფად, მისაქსელი დომფალი, სისქე ერთ სანტიმეტრზე 18—20 ძაფი 3 ფენად, ქსოვილის განი 65 სანტიმეტრი . . 1 მეტრი 67 მან. 50 კაპ.

2. წმინდა აბრეშუმის ქსოვილი „ჩესუჩის" ტიპისა, ქსელი 20/22 ყაჭისაგან, სისქით 1 სანტიმეტრზე 28 წვერი 6 ძაფად, მისაქსელი შავი ჩხარი, სისქით ერთ სანტიმეტრზე 18—20 ძაფი სამ ფენად, ქსოვილის განი 65 სანტ. . 1 მეტრი 90 მან. 00 კაპ.

**შენიშვნა:** ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ დამტკიცებული აბრეშუმის ქსოვილთა ფასების პრეისკურანტის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 4

# პრეისკურანტი

## საცალო ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ფეიქარი ქალის" წარმოების ახალი სახის ბამბის ქსოვილებზე

ბამბის საგიმნასტურე ქსოვილი, სიგანით 72—75 სანტიმეტრი, 20/1 ნართისაგან, ქსელის სისქე 5 სანტიმეტრზე 80 ძაფი, მისაქსელზე— 60 ძაფი . . . . . . . . . . . . . . . 1 სიგრძ. მეტრი 8 მ. 50 კ.

**შენიშვნა:** ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და საერთო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ბამბის ქსოვილთა ფასების პრეისკურანტის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 5

# პრეისკურანტი

**გასაყიდი ფასებისა ლიტფონდის საწარმოთა უვარგისი ფოტო-ფირფიტების სარკეებზე**

წარმოების ფრანკო-საწყობი

ჯიბის სარკეები უვარგისი ფოტოფირფიტებისაგან, ზომით 6×9 სმ, ცალმხრივი, მუყაოს პაკეტში . . 1 ცალი 7 მან.
ასეთივე სარკეები, ორმხრივი . . . . . . . . . 1 „ 13 მან.

**შენიშვნა:** ფასდაკლება II ხარისხზე შეფარდებულ იქნას აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 6

# პრეისკურანტი

**გასაყიდი ფასებისა ინკოოპკავშირის სისტემის არტელ „ფართო მოხმარების" წარმოების არითმეტიკულ ციფრებზე**

წარმოების ფრანკო-საწყობი

ციფრული ანბანი—ციფრები, დაბეჭდილი ქაღალდზე და დაწებებული დიქტზე ან მუყაოზე, ზომით 43×62×5—6 მმ, მუყაოს კოლოფში, კომპლექტი 16 ცალისაგან . . . . . . . . . . . . . . . . 1 კომპლ. 10 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 7

# პრეისკურანტი

**ახალი საცალო ფასებისა სრულიად-საქართველოს ინკოოპკავშირის სისტემის არტელების წარმოების ფხვნილ შამპუნზე**

შამპუნი ფხვნილად, 25-გრამიან პაკეტებში . . . . 1 პაკ. 1 მან.

**შენიშვნა:** ფასდაკლება სავაჭრო ფასების დასაფარავად შეფარდებულ იქნას სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1944 წლის 29 აპრილს დამტკიცებული ხელის საპნის ფასების პრეისკურანტის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 8

# პრეისკურანტი

**გასაყიდი ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელების ფართო მოხმარების სხვადასხვა ქიმიკატებზე**

წარმოების ფრანკო-საწყობი

**I. არტელი „ფარმქიმი“**

ბუზების მოსასპობი სითხე ლიტრიან
ბოთლებში . . . . . . . . . 1 ლიტრი უჭურჭლოდ 1 მან. 10 კ.
იგივე ნახევარლიტრიან ბოთლებში 1 ბოთლი უჭურჭლოდ 1 მან.

**II. არტელი „ტექნოქიმი“**

შაბიამანი . . . . . . . . . . 1 კგ 6 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 9

# პრეისკურანტი

## გასაყიდი ფასებისა არტელ „ინეკონომიის“ წარმოების აკვარელის საღებავებზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

აკვარელის საღებავები, მოწაფისა, 6 საღებავისაგან, მუყაოს პოლიტრებზე, მუყაოს კოლოფში . 1 კომპლ. 6 მან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 10

# პრეისკურანტი

## გასაყიდი ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „უნივერსალის“ წარმოების ფართო მოხმარების ლითონნაწარმზე

წარმოების ფრანკო-საწყობი

დატვიფრული ბოქლომი დეკაპირებული რკინისაგან, 2 გასაღებით . . . . . . . . . . . . . . . . . 1 ცალი 15 მან.
სუფრის დანები, ფოლადის პირით, დანის სიგრძე 22 სმ, ცელულოიდის ტარით . . . . . . . . 1 ცალი 17 მან.

**შენიშვნა:** ფასდაკლება II ხარისხზე აღნიშნული ფასების 10%-ის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 11

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პრეისკურანტი

## ფეხსაცმლის გაწმენდის ფასებისა სარეწაო კავშირის სისტემის არტელებში

| | | | |
|---|---|---|---|
| ბავშვის ფეხსაცმლის გაწმენდა . . . . . | 1 | წყვილი | 1 მან. |
| ქალის ფეხსაცმლის გაწმენდა . . . . . | 1 | „ | 2 „ |
| მამაკაცის უყელო წაღის გაწმენდა . . | 1 | „ | 2 „ |
| მამაკაცის დაბალყელიანი წაღის გაწმენდა | 1 | „ | 3 „ |
| ჩექმის გაწმენდა . . . . . . . | 1 | „ | 4 „ |
| ტილოს ფეხსაცმლის გაწმენდა . . . . | 1 | „ | 1 მან. 50 კაპ. |
| ტილოს ფეხსაცმლის შეღებვა . . . . . | 1 | „ | 3 მან. 50 კაპ. |

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29/VI
№ 742 დადგენილების დანართი № 12

# პრეისკურანტი

## საცალო და გასაყიდი ფასებისა ბრუნვის გადასახადის ჩაუთვლელად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა კომბინირებულ წუღებზე

1 წყვილზე

| ნაწარმის დასახელება | არტიკულის № | გასაყიდი ფასი ფასდა- დასახადით | საცალო ფასი |
|---|---|---|---|
| კომბინირებული წუღები ზონრით, გვერდები ქსოვილისაგან, ცხვირი მთლიანი, ნაჩვრეტებით, უკანა გარეთა ღვედი ტყავისაგან, ჩახსაკრავით შემოკერებული, რბილი ცხვირით, უხეში საქუსარით, შიგნით ქსოვილის შუა საფენით, უსარჩულოდ, ჩაკერილი, ტყავის | | | |
| ძირით: მამაკაცისა . . . . . . . . . . . . | 8100 ხტ | 18 მან. | 32 მან. |
| ქალისა . . . . . . . . . . . . . . | 8140 ხტ | 16 მ. 50 კ. | 30 მან. |
| ზომანაკლი . . . . . . . . . . . . | 8160 ხტ | 15 მან. | 25 მან. |
| რეზინის ძირით: | | | |
| მამაკაცისა . . . . . . . . . . . . | 8103 ხტ | 18 მან. | 23 მან. |
| ქალისა . . . . . . . . . . . . . . | 8143 ხტ | 16 მ. 50 კ. | 21 მან. |
| ზომანაკლი . . . . . . . . . . . . | 8163 ხტ | 15 მან. | 18 მან. |

**შენიშვნა:** ფასდაკლება ხარისხიანობის მიხედვით და სავაჭრო ხარჯების დასაფარავად შეფარდებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომსაბჭოს მიერ 1944 წლის 5 ივნისს დამტკიცებული ფეხსაცმლის ფასების პრეისკურანტის მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 744

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ასპინძის, ქარელის, სამტრედიის, დუშეთის, წულუკიძის, ბორჯომისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების აღმასკომების დადგენილებანი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასკვნით, და დაენიშნოს ქვემოჩამოთვლილ მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება შემდეგი ოდენობით:

1. სენემა ხასიას-ასულ ირემაძეს, მცხ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზოტში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ჯემალ ახმედის-ძე ირემაძეზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 9 დეკემბრიდან 1948 წ. 9 დეკემბრამდე.

2. მაშო ალექსანდრეს-ასულ ხუნდაძეს, მცხ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. დიდვანში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—მეტია არტიმონის-ასულ ხუნდაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 24 დეკემბრიდან 1948 წ. 24 დეკემბრამდე.

3. ნინო გიორგის-ასულ კილასონიას, მცხ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ჩაისუბანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ომარ ნიკიფორეს-ძე კილასონიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 1 მარტიდან 1949 წ. 1 მარტამდე.

4. მარიამ ოტიას-ასულ რუხაიას, მცხ. გეგეჭკორის რაიონის სოფ. გეგეჭკორში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე

შვილზე—დავლინა პავლეს-ასულ რუხაიაზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 იანვრიდან 1948 წ. 10 იანვრამდე

5. ეფროსინე გვადას-ასულ დიხამინჯიას, მცხ. გეგეჭკორის რაიონის სოფ. ჯოლევში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ჰეგელ იაკობის-ძე დიხამინჯიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 5 დეკემბრიდან 1947 წ. 5 დეკემბრამდე.

6. ლუბა პავლეს-ასულ შამათავას, მცხ. გეგეჭკორის რაიონის სოფ. კიწიაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—იზოლდა შალვას ასულ შამათავაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 27 დეკემბრიდან 1948 წ. 27 დეკემბრამდე.

7. რისიმე პეტრეს-ასულ გორელიშვილს, მცხ. ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრაში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ტრისტან ვასილის-ძე გორელიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 12 ოქტომბრიდან 1948 წ. 12 ოქტომბრამდე.

8. ერმონ ვასილის-ასულ ლონდარიძეს, მცხ. ასპინძის რაიონის სოფ. საროში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—თამარ პეტრეს-ასულ ლონდარიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 1 დეკემბრიდან 1947 წ. 1 დეკემბრამდე.

9. ასლი ისმაილ ყზი გონიევას, მცხ. ასპინძის რაიონის სოფ. ზ/ოშარაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ისმაილ ალოზ ოღლი გონიევზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 10 აგვისტოდან 1947 წ. 10 აგვისტომდე.

10. გიულარ თეიფურ ყზი კორიკოვას, მცხ. ასპინძის რაიონის სოფ. ქ/ოშარაში ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ნუფილ ბაირამ ოღლი კორიკოვზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 2 სექტემბრიდან 1948 წ. 2 სექტემბრამდე.

11. ბაბალე პეტრეს-ასულ კალაიჯიშვილს, მცხ. ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—გრიშა სტეფანეს ძე კალაიჯიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 8 ივლისიდან 1948 წ. 8 ივლისამდე.

12. დარიკო პეტრეს-ასულ ხათაშვილს, მცხ. ქარელის რაიონის სოფ. დირბში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ომარ ალალოს-ძე ხათაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 1 იანვრიდან 1947 წ. 1 იანვრამდე.

13. ნინო ელიზბარის-ასულ მურღულიას, მცხ. სამტრედიის რაიონის სოფ. მელაურში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ოთარ სილოვანის-ძე მურღულიაზე – ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 7 ივნისიდან 1947 წ. 7 ივნისამდე.

14. ნინო გიორგის-ასულ ინაშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. ვეძათხევში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—დავით ნიკოლოზის-ძე ინაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 13 ივლისიდან 1948 წ. 13 ივლისამდე.

15. ნადია ამბაკოს-ასულ კეთილაძეს, მცხ. წულუკიძის რაიონის სოფ. კუხში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—ნაზიკო ვასილის-ასულ კეთილაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 23 ნოემბრიდან 1948 წ. 23 ნოემბრამდე.

16. მარო კიმოთეს-ასულ უგრეხელიძეს, მცხ. ქალ. წულუკიძეში, ჯულაშვილის შეს. № 9, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მალინა რაჟდენის-ასულ უგრეხელიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 8 იანვრიდან 1949 წ. 8 იანვრამდე.

17. თამარ ანდრიას-ასულ შაყულაშვილს, მცხ. ბორჯომის რაიონის სოფ. ტაძრისში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მერი დავითის-ასულ შაყულაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 5 სექტემბრიდან 1948 წ. 5 სექტემბრამდე.

18. ალავნიკ კნიას-ასულ აკოფიანს, მცხ. ბორჯომის რაიონის სოფ. ტაბაწყურში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—იზოლდა სიმონის-ასულ აკოფიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 3 იანვრიდან 1948 წ. 3 იანვრამდე.

19. ნაზრო ვასილის-ასულ ჯიკაევას, მცხ. ბორჯომის რაიონის სოფ. პ/თონეთში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე, აზა გაბრიელის-ასულ ჯიკაევაზე – ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 მარტიდან 1948 წ. 1 მარტამდე.

20. ლიზა ესტატეს-ასულ ხანიკაევას, მცხ. ბორჯომის რაიონის სოფ. დ/თონეთში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ზაურ თედორეს-ასულ ხანიკაევზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 ოქტომბრიდან 1948 წ. 25 ოქტომბრამდე.

21. მინუ სტეფანეს-ასულ ახალაიას, მცხ. ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ნაკიანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—რეზიკო ავქსენტის-ძე ახალაიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 20 თებერვლიდან 1948 წ. 20 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ს. როსტიაშვილი.

1944 წლის 30 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 745

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის, დუშეთის, ცხაკაიას, ცაგერის, ორჯონიკიძის, ხობის, ლანჩხუთის, თელავის, ჩხარის, საჩხერის, ვანის, თბილისისა და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასკომების დადგენილებანი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შინსახკომის დასკვნით, და დაენიშნოს ქვემოჩამოთვლილ მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება შემდეგი ოდენობით:

1. ელენე პეტრეს ასულ კევლიშვილს, მცხ. ბორჯომის რაიონის სოფ. დვირში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—აკაკი გიორგის-ძე კევლიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში 1943 წ. 4 აპრილიდან 1948 წ. 4 აპრილამდე.

2. ზაირიკ იშხანის-ასულ მურადიანს, მცხ. ბორჯომის რაიონის სოფ. ტაბაწყურში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ალვარდი გრიგოლის-ასულ მურადიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 4 აპრილიდან 1948 წ. 4 აპრილამდე.

3. მარიამ ივანეს-ასულ ფეიქრიშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. ჭილურტში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—თამილა ზაქარიას-ასულ ფეიქრიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 ნოემბრიდან 1943 წ. 15 ნოემბრამდე.

4. პელო აბრამის-ასულ ნათობიშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. უკანამხარში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე

შვილზე—ნინო ივანეს-ასულ ნათობაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1940 წ. 24 აგვისტოდან 1945 წ. 24 აგვისტომდე.

5. მაშო სანდროს-ასულ ხუბაშვილს, მცხ. დუშეთის რაიონის სოფ. ძველ-ოსებში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ვანო გიორგის-ძე ხუბაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 30 იანვრიდან 1948 წ. 30 იანვრამდე.

6. ეპრაქსია მიხეილის-ასულ გაბელიას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. უშაფათში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ზაური აკაკის-ძე გაბელიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 5 იანვრიდან 1948 წ. 5 იანვრამდე.

7. ლუბა შამილის-ასულ სიჭინავას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ეკში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—მეცხრე ნიკოლოზის-ასულ სიჭინავაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 12 აპრილიდან 1948 წ. 12 აპრილამდე.

8. მარო ივანეს-ასულ ინჯგიას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხოში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—მურმან ტერენტის-ძე ინჯგიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 6 ივლისიდან 1948 წ. 6 ივლისამდე.

9. შურა მაქსიმეს-ასულ ფუტკარაიას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ახალსოფელში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ემალ ვლადიმერის-ასულ ფუტკარაიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 8 აგვისტოდან 1948 წ. 8 აგვისტომდე.

10. ბაბუცა გოგიას-ასულ სირიას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ოქტომბერში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე, ომისა ევგენის-ძე სირიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 5 მარტიდან 1948 წ. 5 მარტამდე.

11. მინადორა გიორგის-ასულ შამათავას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. უშაფათში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—მურთაზ ანტონის-ძე შამათავაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 10 ნოემბრიდან 1947 წ. 10 ნოემბრამდე.

12. მარო სიმონის-ასულ ყურუას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ახალ სოფელში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ნაზიკო ნესტორის-ასულ ყურუაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 აპრილიდან 1948 წ. 1 აპრილამდე.

13. მარუსია თედორეს-ასულ ბესელიას, მცხ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ნაქალაქევში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ვაჟიკო პორფილეს-ძე ბესელიაზე—ორი ათასი მანეთის ოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობით წელიწადში, 1942 წ. 15 ნოემბრიდან 1947 წ. 15 ნოემბრამდე.

14. ქენია ერასტოს-ასულ ქარსელაძეს, მცხ. ცაგერის რაიონის სოფ. გვესოში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—აზა ევგენის-ასულ ქარსელაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 ივლისიდან 1948 წ. 25 ივლისამდე.

15. ანდიოფა ივანეს-ასულ გვიშიანს, მცხ. ცაგერის რაიონის სოფ. ორბელში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ანეტა ალექსის-ასულ გვიშიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 სექტემბრიდან 1948 წ. 1 სექტემბრამდე.

16. იუსტი ექვთიმეს-ასულ სვანიძეს, მცხ. ცაგერის რაიონის სოფ. ორბელში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ბიჭიკო იასონის-ძე სვანიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 დეკემბრიდან 1948 წ. 1 დეკემბრამდე.

17. მარუსა ანდროს-ასულ აბაშიძეს, მცხ. ორჯონიკიძის რაიონის სოფ. სარგვეშში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ზაირა ვიაჩესლავის-ასულ აბაშიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 ნოემბრიდან 1948 წ. 20 ნოემბრამდე.

18. კალერია საყვარელას-ასულ შველიძეს, მცხ. ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ფარცხნალში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—სულიკო ერასტის-ძე შველიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 13 სექტემბრიდან 1948 წ. 13 სექტემბრამდე.

19. ელპიტე ალექსის-ასულ კუპრეიშვილს, მცხ. ხობის რაიონის სოფ. საჯიჯაოში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—ნაუშა თომას-ასულ კუპრეიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 12 ნოემბრიდან 1948 წ. 12 ნოემბრამდე.

20. მელანია სამსონის-ასულ ცირიკიძეს, მცხ. ხობის რაიონის სოფ. ქვალონში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ხათუნა პარმენის-ასულ ცირიკიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 24 იანვრიდან 1949 წ. 24 იანვრამდე.

21. ქსენია იაკობის-ასულ დოლბაძეს, მცხ. ხობის რაიონის სოფ. შუა ქვალონში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ინეზა ვლადიმერის-ასულ დოლბაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 30 სექტემბრიდან 1948 წ. 30 სექტემბრამდე.

22. ქენია ალექსის-ასულ ჯგერენაიას, მცხ. ხობის რაიონის სოფ. თორსაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ჯანიკო დათიკოს-ძე ჯგერენაიაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 30 დეკემბრიდან 1948 წ. 30 დეკემბრამდე.

23. ლიდა ბესარიონის-ასულ ჩხაიძეს, მცხ. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლანჩხუთში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ლეილა არჩილის-ასულ ჩხაიძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 27 აპრილიდან 1949 წ. 27 აპრილამდე.

24. მართა მიხეილის-ასულ ბულკაშვილს, მცხ. თელავის რაიონის სოფ ჩაბინაანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ეთერი ნიკოლოზის-ასულ ბულკაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 1 მარტიდან 1949 წ. 1 მარტამდე.

25. ნატო ზურაბის-ასულ თებლოშვილს, მცხ. თელავის რაიონის სოფ. არაშენდაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ანო ბოლის-ასულ თებლოშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 ნოემბრიდან 1948 წ. 10 ნოემბრამდე.

26. ელო ნიკოს-ასულ ხოსიაშვილს, მცხ. თელავის რაიონის სოფ. ქისტაურში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—გიორგი კონსტანტინეს-ძე ხოსიაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 17 მარტიდან 1949 წ. 17 მარტამდე.

27. სიფორა მენაშეს-ასულ მოშიაშვილს, მცხ. სამტრედიის რაიონის სოფ. კულაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—აბრამ შაბათას-ძე მოშიაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 21 იანვრიდან 1949 წ. 21 იანვრამდე.

28. თამარ ესაიას-ასულ ცინაძეს, მცხ. ჩხარის რაიონის სოფ. თავასაში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ნელი სევარიონის-ასულ ცინაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 13 სექტემბრიდან 1948 წ. 13 სექტემბრამდე.

29. ლუბა ივანეს-ასულ ქოჩიაშვილს, მცხ. ჩხარის რაიონის სოფ. თერჯოლაში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—დოდო ვასილის-ასულ ქოჩიაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 15 ნოემბრიდან 1947 წ. 15 ნოემბრამდე.

30. ვერა ივანეს-ასულ ქარქაშაძეს, მცხ. ჩხარის რაიონის სოფ. სიმონეთში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მაგულია ბარნაბის-ასულ ქარქაშაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 ივლისიდან 1948 წ. 15 ივლისამდე.

31. ანიჩკა იოსების-ასულ ტეფნაძეს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. ლიჩში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გოგი ვლადიმერის-ძე ტეფნაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 23 დეკემბრიდან 1948 წ. 23 დეკემბრამდე.

32. ნატალია ვანოს-ასულ ხარაიშვილს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. ლიჩში, ჰყავს ათი შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—მზევინარ თედორეს-ასულ ხარაიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 10 აპრილიდან 1949 წ. 10 აპრილამდე.

33. პილასი მაკარიოზის-ასულ ტეფნაძეს, მხც. საჩხერის რაიონის სოფ. ლიჩში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე--ტანია სანდროს-ასულ ტეფნაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 16 სექტემბრიდან 1947 წ. 16 სექტემბრამდე.

34. ლუბა სევასტის-ასულ კაპანაძეს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. მერჯევში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გიორგი ივლიანეს-ძე კაპანაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 30 სექტემბრიდან 1948 წ. 30 სექტემბრამდე.

35. ოლიმპიადა ლევანის-ასულ იობაშვილს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. ქორეთში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე--ციალა პეტრეს-ასულ იობაშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 5 ივნისიდან 1948 წ. 5 ივნისამდე.

36. ელენე სერაპიონის-ასულ ქველაძეს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. ეთოში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—სიმონ ლადიკოს-ძე ქველაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 2 აგვისტოდან 1948 წ. 2 აგვისტომდე.

37. თებრო ბიჭიას-ასულ ტაბატაძეს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. ლიჩში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—ანზორ ილარიონის-ძე ტაბატაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 15 სექტემბრიდან 1947 წ. 15 სექტემბრამდე.

38. მინადარ ფილიმონის-ასულ კაპანაძეს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. ხვანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ერასტი იოველის-ძე კაპანაძეზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 19 მარტიდან 1949 წ. 19 მარტამდე.

39. ეკატერინე ექვთიმეს-ასულ ვაჭრიძეს, მცხ. საჩხერის რაიონის სოფ. სავანეში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—შუშანა იასონის-ასულ ვაჭრიძეზე—ორი ათასი მანეთის

ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 10 თებერვლიდან 1949 წ. 10 თებერვლამდე.

40. სონია პეტრეს-ასულ დვალიშვილს, მცხ. ვანის რაიონის სოფ. სალხინოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მაგული ალექსანდრეს-ასულ დვალიშვილზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 სექტემბრიდან 1948 წ. 10 სექტემბრამდე.

41. ფატმა გული ყზის, მცხ. თბილისის რაიონის სოფ. ძველ-ვეძინში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—იაშა ისაკ ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 1 მარტიდან 1949 წ. 1 მარტამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 746

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ახალციხის, ბოლნისის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთისა და წალკის რაიონული საბჭოების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომების დადგენილებანი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასკვნით, და დაენიშნოს ქვემოჩამოთვლილ მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება შემდეგი ოდენობით:

1. მარიამ აკოფის-ასულ გრიგორიანს, მცხ. ახალციხის რაიონის სოფ. ხაკიში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—აზატ საგატელის-ძე გრიგორიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 3 იანვრიდან 1949 წ. 3 იანვრამდე,

2. სონა სულეიმან ყზის, მცხ. ახალციხის რაიონის სოფ. ორცეპში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ფეიზულ ულფან ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 8 ოქტომბრიდან 1947 წ. 8 ოქტომბრამდე.

3. სალფირაზ მამედ ყზის, მცხ. ახალციხის რაიონის სოფ. ქისათიბში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—შარიფოვ სარბია ხალილ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 24 ნოემბრიდან 1948 წ. 24 ნოემბრამდე.

4. ხეირა მურად ყზის, მცხ. ახალციხის რაიონის სოფ. ვალეში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ხეირა ალლადინ ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 ოქტომბრიდან 1948 წ. 15 ოქტომბრამდე.

5. ფატმა მამედ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. დარბაზში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—თელი ისმაილ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 დეკემბრიდან 1948 წ. 25 დეკემბრამდე.

6. მამედოვ ნიარ მამედ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. კოჩულოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მალბიკა იზა ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 ოქტომბრიდან 1948 წ. 10 ოქტომბრამდე.

7. ფატმა აშირ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ფახრალოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ყარამ მაგარამ ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 19 მაისიდან 1948 წ. 19 მაისამდე.

8. ალიევ ჩეხუნა იზა ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ქვ. კოშა-კალისაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ხურდა პანახ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 ივნისიდან 1948 წ. 10 ივნისამდე.

9. ბალი ბაირამ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ფახრალოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ხანპარი ორუჯდ ყზიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 3 ივლისიდან 1948 წ. 3 ივლისადმე.

10. ბალახანუმ ორუჯდ ყზის, მცხ. ბოლნისის რაიონის სოფ. ფახრალოში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—ალი მამედ ოღლიზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 30 აგვისტოდან 1948 წ. 30 აგვისტომდე.

11. ერიკნაზ ბარსეგის-ასულ ეგიაზარიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. აზარვეთში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ანიმან გრიგოლის-ასულ ეგიაზარიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 26 აგვისტოდან 1947 წ. 26 აგვისტომდე.

12. სოფიო მიხეილის-ასულ აზოვას, მცხ. ბაშკიჩეთის რაიონის სოფ. დემირ-ბულაკში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მარიამ კონსტანტინეს-ასულ აზოვაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 ოქტომბრიდან 1948 წ. 15 ოქტომბრამდე.

13. ოსანა პოლოსის-ასულ პეტროსოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. დარაკოვში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ვარსენიკ ხაჩატურის-ასულ პეტროსოვაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 26 მარტიდან 1947 წ. 26 მარტამდე.

14. ბანაკან აკოფის-ასულ ტერ-ვაგანიანს, მცხ. ქალ. თბილისში, მე-4 ნადიკვარის ქ. № 135 (კიროვის რაიონი), ჰყავს 7 შვილი,

დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ოფელია სოსიკოს-ასულ ტერ-ვაგანიანზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 23 ოქტომბრიდან 1948 წ. 23 ოქტომბრამდე.

15. ხოზალ სარქისის-ასულ ავეტისოვას, მცხ. ქალ. თბილისში, კომუნალური ქ. № 72 (კიროვის რაიონი), ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ამალია არამონის-ასულ ავეტისოვაზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 აგვისტოდან 1948 წ. 25 აგვისტომდე.

16. მეხტიევ გუსლუნ ალი ყზის, მცხ. ქალ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. № 5 (ორჯონიკიძის რაიონი), ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ტელმან გუმბატის-ძე მეხტიევზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 13 იანვრიდან 1949 წ. 13 იანვრამდე.

17. ნინა ავდიშის-ასულ ბიდბუნოვას, მცხ. ქალ. თბილისში, ჯანიაშვილის ქ. № 3 (ორჯონიკიძის რაიონი), ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—პეტრე კონსტანტინეს-ძე ბიდბუნოვზე—ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 25 თებერვლიდან 1949 წ. 25 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ივნისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 747
# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების ბაშქიჩეთის, ადიგენის, თეთრიწყაროს, წალკის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონული საბჭოების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის კიროვისა და მოლოტოვის რაისაბჭოების ალმასკომების დადგენილებანი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასკვნით, და დაენიშნოს ქვემოჩამოთვლილ მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება შემდეგი ოდენობით:

1. თამამ ნასიბ ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. ირგანჩაიში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—გულხანიმ ახმედ ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 21 თებერვლიდან 1949 წ. 21 თებერვლამდე.

2. ელენე ქრისტეფორეს-ასულ ფილიპოვას, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. ქეივან-ბულგასონში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ნათელა მოსეს-ასულ ფილიპოვაზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 დეკემბრიდან 1948 წ. 1 დეკემბრამდე.

3. პარი აჯი ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. დალიარში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მუსტაფა მამედ ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 მარტიდან 1948 წ. 20 მარტამდე.

4. გიულსანამ აბდულა ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. ქ/ორუზმანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მისირხან რმარ ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 15 მარტიდან 1949 წ. 15 მარტამდე.

5. გიულაზ ბაირამ ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. არმუტლოში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—იბრაჰიმ-ხალილ მახრალი ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 სექტემბრიდან 1948 წ. 1 სექტემბრამდე.

6. პარი აბდულა ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. მუღანლოში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ზაგარია ისმაილ ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 დეკემბრიდან 1948 წ. 20 დეკემბრამდე.

7. ხაჯა ალახვერდი ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. ორგანჩაიში, ჰყავს 10 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეათე შვილზე—სამატ მეხრალი ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 11 ივლისიდან 1948 წ. 11 ივლისამდე.

8. ანასტასია ადამის-ასულ ქიურჯიევას, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. ამბარლოში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ბარბალე ისაკის-ასულ ქიურჯიევაზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 22 მარტიდან 1949 წ. 22 მარტამდე.

9. სუმბულ მაჰამედ ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. კიზილ-კილისაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ფატმა მამედ ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წლის 1 იანვრიდან 1949 წ. 1 იანვრამდე.

10. ტუკაზბან იბრაჰიმ ყზის, მცხ. ბაშქიჩეთის რაიონის სოფ. ლოკჯანდარში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—მარზა მაგარლან ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 ნოემბრიდან 1948 წ. 20 ნოემბრამდე.

11. მარუსია ივანეს-ასულ აპრიამაშვილს, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. არალში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—დარიკო პეტრეს-ასულ აპრიამაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 16 მარტიდან 1947 წ. 16 მარტამდე.

12. პანბუხ ალი ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. გორძაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მულკია რამიზ ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 ივლისიდან 1948 წ. 25 ივლისამდე.

13. თამარ ივანეს-ასულ ჩილინგარაშვილს, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. არალში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ლავრენტი სიმონის-ძე ჩილინგარაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1941 წ. 23 დეკემბრიდან 1946 წ. 23 დეკემბრამდე.

14. ქრისტინე ანტონის-ასულ აპრიამაშვილს, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. არალში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერ-

ვე შვილზე—თამარ ივანეს-ასულ აპრიამაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 25 მარტიდან 1948 წ. 25 მარტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. გიულდან ულფვა ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. ორჩოშანში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—შახსადინ პაშალი ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 24 ოქტომბრიდან 1948 წ. 24 ოქტომბრამდე.

16. იდაატ ისკანდარ ყზის, მცხ. ადიგენის რაიონის სოფ. დერსულში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—შამარდან ალისულთან ოღლიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 3 ივლისიდან 1947 წ. 3 ივლისამდე.

17. სათუთ ომარ ყზის, მცხ ადიგენის რაიონის სოფ. გორძეში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ასმა ასლან ყზიზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 მაისიდან 1948 წ. 20 მაისამდე.

18. პეპე ალექსის ასულ თუაევას, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ნავთიანში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ხარლამპი მიქელის-ძე თუაევზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 3 ნოემბრიდან 1948 წ. 3 ნოემბრამდე.

19. თამარ სისაკოს-ასულ ეუაშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. მუხათში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—გიორგი ბახჩოს-ძე ეუაშვილზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 23 ივლისიდან 1948 წ. 23 ივლისამდე.

20. თამარ სიმონის-ასულ გოგოლაურს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. პრიუტში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ვახტანგ მიხეილის-ძე გოგოლაურზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1942 წ. 14 მარტიდან 1947 წ. 14 მარტამდე.

21. ერიკ სიმონის-ასულ ამირხანოვას, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დაგეტ-ხაჩინში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე არსენ სანდროს-ძე ამირხანოვზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 20 თებერვლიდან 1949 წ. 20 თებერვლამდე.

22. ანა მიხეილის-ასულ ჩალიძეს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. კლდეისში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—შურა სამსონის-ძე ჩალიძეზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 ივნისიდან 1948 წ. 1 ივნისამდე.

23. ნადეჟდა გიგოლას-ასულ ბაიდარაშვილს, მცხ. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ჩხიკვტაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—სვეტლანა ლადოს ასულ ბაიდარაშვილზე,

ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში. 1943 წ. 21 ნოემბრიდან 1948 წ. 21 ნოემბრამდე.

24. ეკატერინე ალექსის-ასულ ჩამურლიევას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. წალკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—სოფრომ გრიგოლის-ძე ჩამურლიევზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 26 აგვისტოდან 1948 წ 26 აგვისტომდე.

25. სეიდიბაშ აპტალიფ ყზი უზუნალოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. არსარვანში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე ისკანდარ იმამალი ოღლი უზუნალოვზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 21 დეკემბრიდან 1948 წ. 21 დეკემბრამდე.

26. ელენე ესტატეს-ასულ სარიბეკოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. წალკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მარიამ ვასილის-ასულ სარიბეკოვაზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 26 ოქტომბრიდან 1948 წ. 26 ოქტომბრამდე.

27. მარიამ ტიმოთეს-ასულ მერკულოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. წალკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ვალენტინა ანდრიას-ასულ მერკულოვაზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში 1943 წ. 18 ოქტომბრიდან 1948 წ. 18 ოქტომბრამდე.

28. ელისაბედ ანდრიას-ასულ სარიევას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. ბაშკოვში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—იოანე მიხეილის-ძე სარიევზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 28 იანვრიდან 1949 წ. 28 იანვრამდე.

29. ევგენია აბრამის-ასულ კოტონოვას, მცხ. წალკის რაიონის სოფ. წალკაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ბენიამინ გერასიმეს-ძე კოტონოვზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 1 სექტემბრიდან 1948 წ. 1 სექტემბრამდე.

30. ზარო ხაჩატურის-ასულ კომკციახს, მცხ. წალკის რაიონის სოფ. მოლოტოვში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—როზა ამაიაკის-ასულ კომკციანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 10 თებერვლიდან 1948 წ. 10 თებერვლამდე

31. ორომსიმ მათევოსის-ასულ ჩახალიანს, მცხ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. მამზარაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ირაკლი ბარსეგის-ძე ჩახალიანზე, ორი ათასი მა-

ნეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 15 მაისიდან 1948 წ. 15 მაისამდე

32. ვართანუშ ხაჩატურის-ასულ ტონაკანიანს, მცხ. ქალ. ახალქალაქში, ქ. № 6, სახლი № 52, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ლიუსიკ მკრტიჩის-ასულ ტონაკანიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 13 მარტიდან 1949 წ. 13 მარტამდე.

33. აშხენ მკრტიჩის-ასულ ირიციანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ბავრაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—კნარიკ პეტრეს ასულ ირიციანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 8 ივნისიდან 1948 წ. 8 ივნისამდე.

34. სირანუშ ერემიას-ასულ ელბაქიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. სულდაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—თინა არუთინის-ასულ ელბაქიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 10 თებერვლიდან 1949 წ. 10 თებერვლამდე.

35. ბეტხე მილოსის-ასულ ნერსესიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ოლავერდში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—რუბიკ კარაპეტის-ძე ნერსესიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 8 თებერვლიდან 1949 წ. 8 თებერვლამდე.

36. შოგო არაქელის-ასულ კოსიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. კულიკამში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ლევონ მირონის-ძე კოსიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 25 იანვრიდან 1949 წ. 25 იანვრამდე.

37. ასთღიკ კარაპეტის-ასულ კაროიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. კოჯიაში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ელმან შმავონის-ასულ კაროიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 8 აპრილიდან 1948 წ. 8 აპრილამდე.

38. ერიკნაზ გევორქის-ასულ რსტაკიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. დიდ-სამსარში, ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—ჟორჟიკ ოვაკიმის ძე რსტაკიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 20 ნოემბრიდან 1948 წ. 20 ნოემბრამდე.

39. ასტღიკ ხაჩატურის-ასულ აივაზიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ხორენიანში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—დათიკო არშაკის-ძე აივაზიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 10 იანვრიდან 1949 წ. 10 იანვრამდე.

40. ნვარდ ავეტისის-ასულ ჯეირანიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. მურენიაში, ჰყავს 9 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეცხრე შვილზე—ლუფტიკ გაბრიელის-ასულ ჯეირანიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 15 მარტიდან 1949 წ. 15 მარტამდე.

41. სირუნ ტრდატის-ასულ მარტიროსიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ვაჩიანში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—რემიკ გრიგოლის-ასულ მარტიროსიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 13 მარტიდან 1949 წ. 13 მარტამდე.

42. სათენიკ თათევოსის-ასულ ამბარიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. ალანაში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—ენზეტა პოლოსის-ასულ ამბარიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 4 იანვრიდან 1949 წ. 4 იანვრამდე.

43. საბეტ სიმონის-ასულ ტაბატაძეს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. კოკიაში, ჰყავს 11 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეთერთმეტე შვილზე—ტარიელ იობის-ძე ტაბატაძეზე, ხუთი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 4 თებერვლიდან 1945 წ. 4 თებერვლამდე, სამი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1945 წ. 4 თებერვლიდან 1949 წ. 4 თებერვლამდე.

44. პარანც მარტიროსის-ასულ ვარდანიანს, მცხ. ახალქალაქის რაიონის სოფ. გუმურდოში, ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—სულთან გალუსტის-ძე ვარდანიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 15 მარტიდან 1949 წლის 15 მარტამდე.

45. გულო ხუდოს-ასულ ალოევას, მცხ. ქალ. თბილისში, საფეიქროს შეს. № 4 (კიროვის რაიონი), ჰყავს 7 შვილი, დახმარება დაენიშნოს მეშვიდე შვილზე—მრაზა ალიევის-ასულ ალიევაზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1943 წ. 23 სექტემბრიდან 1948 წ. 23 სექტემბრამდე.

46. შუშანა კარაბეკის-ასულ ამირიანს, მცხ. ქალ. თბილისში, ახუტინის ქ. № 7 (მოლოტოვის რაიონი), ჰყავს 8 შვილი, დახმარება დაენიშნოს მერვე შვილზე—მარგალიტა მარქარის-ასულ ამირიანზე, ორი ათასი მანეთის ოდენობით წელიწადში, 1944 წ. 1 მარტიდან 1949 წ. 1 მარტამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1944 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის ივნისის დადგენილებებისა

გვ.

589. იმ ელექტროენერგიის ტარიფის საშეღავათო ფასდაკლების გაუქმების შესახებ, რაც ქვანახშირის მრეწველობას ეძლევა . . . . . . . . 3
590. საიდუმლო
591. საიდუმლო
592. საიდუმლო
593. თელასისათვის ჟირობრძანებათა წიგნაკების დამზადების შესახებ . . 4
594. ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩამტარებელი კომიტეტის შექმნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 5
595. საიდუმლო
596. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 6
597. სრულიად საიდუმლო
598. საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს დამხმარე მეურნეობის მიწის ფართობის ერთი ნაწილისა და შენობების ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის გადაცემის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 11
599. 1944 წელს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების, გალეწვისა და დამზადების შესახებ . . . . . . . . . . 13
600. სათიხნი კულტურების ნათესების დამუშავების შესახებ . . . . . . 24
601. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 30
602. სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ ასპინძის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მცხეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის. თელავის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს, წალკის, ჩხარისა და ჩხოროწყუს რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილის მობილიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
603. აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 34
604. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების რაიონობლივი წლიური ნორმების შესახებ . . . . . . . . . . . . 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

605. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის ორი ცენტრიდანული ტუმბოს გადაცემის შესახებ . . . . . . . 36
606. საჩელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისა და „კომუნისტის“ პოლიგრაფკომბინატისათვის უდოკუმენტო პოლიგრაფმოწყობილობისა და სასტამბო შრიფტის გადაცემის შესახებ . . . . . . . . . . . 37
607. საიდუმლო
608. საიდუმლო
609. მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ 38
610. ძირულის შამოტის ქარხანა „შრომის“ გაფართოების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შემდგომი წარმოებისაგან ტრესტ ხრამჰესმშენის განთავისუფლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 45
611. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს, ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქსარეწტყეკავშირის მიერ დამზადებული ხე-ტყის განაწილების შესახებ . . . . . . . . 49
612. სარეწაო კავშირის შუამდგომლობა ნავთლუღში ნავთობის ამოღების ნებართვის მიცემის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 72
613. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებისათვის ანდეზიტის ქვისა და ფხვნილის გაგზავნის შესახებ . . 73
614. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე კრამიტის ქარხნების მშენებლობის შესახებ . . . . . . 75
615. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1944 წლის მოსავლის კაკლის თესლის დამზადების გეგმის შესახებ . . . . . . . . . . . . . 77
616. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის შესახებ . . . . . . . . 79
617. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ყაზბეგის საკურორტო სატყეო მეურნეობის მოწყობის შესახებ . . . . . . . . 80
618. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტუნგოს ახალი ქარხნის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ . . . . . 82
619. მოსავლიანობის თანრიგებზე კოლმეურნეობათა მისაკუთვნებლად მარცვლეულ და ზეთოვან კულტურათა მთავალი მოსავლის შეფასების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 83
620. თელავის რაიონის სოფ. მატანისა და ახმეტისათვის სამხედრო გადასახადის ოდენობის შემცირების შესახებ . . . . . . . . . . . . 85
621. ღვინო-არყის პროდუქციის სადეგუსტაციო სახელმწიფო კომისიის მოწყობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 86
622. სოღანლუღ—წითელი ხიდის გზის საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ . 90
623. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნისათვის ბარიტის გამოზიდვის შესახებ . . 91
624. ადიგენის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის თბილისის რაიონის სოფ. დიღომში გადატანის შესახებ . . . . . . . . . . . . . 92
625. საქმინწყლების ტრესტის ბორჯომის შუშეულობისა და ჩამომსხმელი ქარხნების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

626. გურჯაანის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობათა საკოლმეურნეო სავაჭრო წერტების მუშაობის პრაქტიკის შესახებ . 96
627. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა (უწყებებისა) და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკუმების პირველი და მეორე კურსის სტუდენტების 15-დღიანი საბანაკო შეკრებების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 100
628. წალკის რაიონის გერმანელთა ყოფილი კოლმეურნეობის (როზენბერგის) მიწების სხვა კოლმეურნეობებისა და ხრამჰესმშენისათვის გადაცემის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 103
629. საქართველოს სსრ-ში უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო მომზადების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 105
630. 1944 წელს საქარხნო და კომუნალური ელექტროსადგურების კაპიტალური რემონტის ჩატარების, სათადარიგო ნაწილების დამზადებისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . 107
631. საქართველოს სსრ ფინსახკომის ბარათი ტრესტ თბილმომარაგების 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ . 108
632. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო თევზსამეურნეო სადგურის სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ . . . . . 110
633. საიდუმლო
634. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საფინანსო განყოფილების გამგის ამხ. მ. მ. ჩოდრიშვილის განთავისუფლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 111
635. საიდუმლო
636. საიდუმლო
637. საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილების სამმართველოსათვის ტყესაკაფის დამატებით გამოყოფის შესახებ . . . . . . . . . . 112
638. 1944 წლის მოსავლის ახალი კურკოვანი ნაყოფის და შავქლიავის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ . . . . . . 113
639. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსათვის საშპალე მორების დასამზადებლად მიზნობრივი ტყესაკაფის გამოყოფის შესახებ . . . 116
640. საიდუმლო
641. საიდუმლო
642. თბილისის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობისათვის კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის განვადების შესახებ . . . . . 117
643. საიდუმლო
644. სსრ კავშირის ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ტყის ნაკვეთების სამრეწველო ათვისების სამშენებლო სამუშაოებისათვის მუშახელის მობილიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 119
645. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 120
646. საიდუმლო
647. საიდუმლო
648. საიდუმლო
649. საიდუმლო
650. საიდუმლო
651 საიდუმლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა


652. საიდუმლო
653. აზერბაიჯანის სსრ განსახკომისათვის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების ქართველ მოსახლეობას შორის სახალხო განათლების გაუმჯობესების საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ . . . . . 124
654. საქართველოს სსრ მტს-ების სახელოსნოებისათვის გამოუყენებელი დაზგებისა და სარემონტო მოწყობილობის გადაცემის შესახებ . . 126
655. 1944 წლის მოსავლის თამბაქოს აღებისა და მოსავლის შემდგომი დამუშავების გეგმის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 130
656. საიდუმლო
657. საიდუმლო
658. საიდუმლო
659. ლაგოდეხის რაიაღმასკომის 1943 წლის ბიუჯეტის რევიზიის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 134
660. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შექმნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 139
661. აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოს მშენებლობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 142
662. სასოფლო-სამეურნეო გადასახლების 1944 წლის გეგმის შესახებ . . 144
663. წიფლის ნაპობი ტკეჩის განაწილების შესახებ . . . . . . . . . . 152
664. საიდუმლო
665. ხაშურის რაისამომხმარებლო კავშირთან არსებული ხილის ღვინის წარმოების შტატის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 155
666. კლუხორის რაიონის სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 157
667. მრეწველობაში ელექტროენერგიის მომჭირნეობის შესახებ . . . . . 158
668. საქართველოს სსრ ხორცრძემრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 163
669. საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 167
670. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 170
671. 1944 წლის მოსავლის ყურძნის დეცდამზადებაზე ზოგიერთი ორგანიზაციის დაშვების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 174
672. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვალებულ ნამდვილ წევრთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ . . 176
673. დაწესებულებათა და საწარმოთა დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობათა აუთვისებელი მიწების დროებით გამოყოფის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 177
674. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის II კვარტალის კაპიტალური მშენებლობის გეგმაში ცვლილებათა შეტანის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 178
675. პერსონალური და აკადემიური პენსიების დამნიშვნელი სახკომსაბჭოს კომისიის შემადგენლობის შესახებ . . . . . . . . . . . . . 179

83·
ეროვნული
ბიბლიოთეკა

676. ამხ. კ. ს. გაბრიჭიძის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 180
677. სკუმპიისა და თუთუბოს ფოთლის დამზადების 1944 წლის გეგმის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 181
678. 1944 წლისათვის მწვანე გერანის და დამასკოს ვარდის დამზადების გეგმისა და გერანის დაკალმების გეგმის შესახებ . . . . . . . . . 183
679. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის—აკადემიკოს ს. მ. ჩოლოყაშვილის დასაფლავების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 189
680, ხელოვნების საქმეთა ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 190
681. საოლქო აღმასკომის განყოფილებათა გამგეების მოადგილეთა და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან არსებულ სამმართველოთა უფროსების მოადგილეთა ხელფასის შესახებ . . . . . . . . . 191
682. საიდუმლო
683. № 8 კარტოგრაფიული ფაბრიკისათვის ხე-ტყისა და ცემენტის გამოყოფის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 192
684. საიდუმლო
685. საიდუმლო
686. 1944 წლის III კვარტალში თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში „სოიუზზაგოტტრანსისა“ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველოს სისტემის ავტომანქანების რემონტის წარმოების შესახებ . . . . . . 193
687. საქართველოს სსრ-ში მარილის შემოზიდვის მდგომარეობის შესახებ . 195
688. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „1944 წლის სარწყავი სეზონისათვის სარწყავი სისტემების მომზადების თაობაზე“ 1944 წლის 2 მარტს მიღებული დადგენილების შესრულების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 200
689. საიდუმლო
690. საიდუმლო
691. საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან სასწავლო მეურნეობის მოწყობის შესახებ . . . . . . . . 207
692. 1944 წლის მაისში მომხდარი წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 216
693. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის რაიონული ქვემდებარეობის სამშენებლო მასალათა საწარმოების შეჯამებითი გეგმების შედგენისა და დეფიციტური მასალებით მომარაგების ფუნქციების გადაცემის შესახებ . . . . . . . . . 222
694. საიდუმლო
695. საქართველოს სსრ რადიოფიკაციის 1944 წლის გეგმის შესახებ . . . 224
696. საპროტეზო-ორთოპედიული ქარხნისათვის ფიბრის პროტეზებისა და საპროტეზო ნახევარფაბრიკატების მოდელებისა და შტამპების დასამზადებელი სახსრების მიცემის შესახებ . . . . . . . . . . . . 228
697. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის „წყალპროექტის“ ტრესტისათვის საბრუნავი და ძირითადი სახსრების მიცემის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 229
698. საქართველოს სამხედრო გზის თბილის—მცხეთის უბნის გამწვანების ღონისძიებათათვის სახსრების გაცემის შესახებ . . . . . . . . 230

ეროვნული ბიბლიოთეკა

699. საქართველოს სსრ მიწსახკომის მუშაკთა ხელფასის პერსონალური განაკვეთების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 231
700. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში გამომუშავების ნორმების გადიდების შესახებ 232
701. გ. ნ. ზამბახიძის მოსკოვს გამგზავრების შესახებ . . . . . . . . 234
702. საიდუმლო
703. სარეწაო კავშირისათვის ნავთლუღში ნავთის კუსტარული მოპოვებისათვის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების გამოყოფის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 235
704. საიდუმლო
705. საიდუმლო
706. საიდუმლო
707. საქმახტმშენის მიერ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის განაკაფის გაყვანის შესახებ . . . . . . . . . . . . . 236
708. საქკონსერვხილტრესტისათვის სატარე ხე-ტყის მიღების შესახებ . . 237
709. 1945/1947 წლებისათვის საქართველოს სსრ-ში თეთრი აკაციის გაშენების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 238
710. საიდუმლო
711. საიდუმლო
712. უკრაინის კ. პ. (ბ) კადიევკის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოსათვის მათი კუთვნილი პოლიგრაფმოწყობილობისა და ტიპოგრაფიული შრიფტის დაბრუნების შესახებ . . . . . . . . . . . 250
713. საიდუმლო
714. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ პირთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილების შესანახი ხარჯების შესახებ 251
715. „გლავავტოტრაქტოროსბიტის“ საქართველოს კანტორისათვის „ზის-101“ მარკის მსუბუქი ავტომანქანის გადაცემის შესახებ . . . . . . . . 252
716. საიდუმლო
717. ციტრუსოვანი კულტურების საზაფხულო ოკულირების 1944 წლის გეგმის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 253
718. 1944 წლის შემოდგომაზე სიდერაციული კულტურების სათესლეთა გაშენების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 260
719. საიდუმლო
720. თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების იმ საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სამშენებლო მასალებს ამზადებენ . . . . . . . 265
721. დანიშნულებისამებრ გამოუყენებელი პროფკავშირული კლუბების, კავშირთა სახლებისა და შრომის სასახლეების სადგომების განთავისუფლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 270
722. 1944 წელს ტუნგოს ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარების ხარჯების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 272
723. საიდუმლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა


724. საიდუმლო

725. შაბიამანის წარმოების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 273

726. ლარსის სახურავი ფიქალის საბადოს შესახებ . . . . . . . . . 276

727. პიონერ ხელმძღვანელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სკოლის აღდგენის შესახებ . . . . . . . . . . . . . 277

728. მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრზე იმ შენობის მიმაგრების შესახებ, რომელიც ამჟამად აღნიშნულ თეატრს უჭირავს . . . . . 279

729. კურორტ „დარიალის“ სასანატორო შენობების სსრ კავშირის შინსახკომის ამიერკავკასიის მეტალურგმშენისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 280

730. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის ძაფსართავი ფაბრიკისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 282

731. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს საწარმოების 1943 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ . . . . . . . 285

732. სარეწაო კავშირის სისტემის არტელებისა და რაიონული მრეწველობის საწარმოთა მიერ დამზადებული დოლაბების დროებითი გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 288

733. წყალტუბო—ღვედი—ბარიტის საბადოების გზის გაფართოებისა და რემონტის ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . 289

734. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ეკონომიკის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 291

735. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინტერნატებში მოთავსებულ სამამულო ომის ინვალიდთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გაგზავნის ხარჯების შესახებ . . . . . . . . . . . 294

736. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შემოტანილი საჩივრების შესახებ . . . 295

737. საქართველოს სსრ განსახკომის შუამდგომლობა ქალაქ თბილისის ქალთა მე-7 საშუალო სკოლისათვის ლ. გ. ბოცვაძის სახელის მიკუთვნების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 297

738. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 18 ივნისის № 734 დადგენილება „მოსავლის აღებისა, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხნისათვის 1944 წლის III კვარტალში საწვავი მასალის, ზეთისა და მოტორის ნავთობის შემოტანის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ . 298

739. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებისა და მოზარდთა მაღალი ტიპის სკოლების მასწავლებლებისათვის ხელფასის მომატების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 299

740. სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 303

741. სამრეწველო წარმოების 1944 წლის ივლისის გეგმის შესახებ . . . 304

742. ფართო მოხმარების ნაწარმის ფასების დამტკიცების შესახებ . . . . 305

ეროვნული ბიბლიოთეკა

343. საიდუმლო

344. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 312

345. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 316

346. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 322

347. მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 325

---

ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28

337

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სსრ სახ. წიგნის პალატა
სავალდებულო № 204
25/III 61 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა